თ. ჟორდანია.

ისტორიული საბუთები

შიო-მღვიმის მონასტრისა

და

„ძეგლი ვაჰხანის ქვაბთა

გამოცემული გორის ეპისკოპოსის და საქართველოს ვიკარის **ალექსანდრეს**-მიერ, რომელ-საც, როგორც განმაახლებელს შიო-მღვიმის ლავრისას, წადიერებით და უმდაბლესად უძღვ-ნის ავქსონი.

თბილისი
სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.
1896

Дозволено цензорою. Тифлисъ, 1 Февраля 1896 года.

წინასიტყვაობა

მისმან ყოვლად უსამღვდელოესობამ, გორის ეპისკოპოსმა და საქართველოს ვიკარმან ალექსანდრემ, ცნობილმა მოტრფიალემ ქართულის მწერლობისა და ისტორიისმან, კეთილ ინება და მიბრძანა მე მისგან მრავალ ღვაწლ-დიდებულის შიო-მღვიმის ლავრისა და დავით-გარეჯსის უდაბნოთა ძველის საისტორიო საბუთების შეკრება და მისის საფასით დაბეჭდვა. წინამდებარე წიგნაკი, რომელსაც სურვილით და მოწიწებით მიუპღვნი მისს ყოვლად უსამღვდელოესობის ღირს-სახსოვარს სახელსა, არის ნაყოფი ესრეთის მათის ბრძანებისა და ნებისა. ამ პირველს წიგნაკში ჩვენ მოვაქციეთ ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის ლავრისა, ხოლო შემდეგს წიგნში, რომლის ბეჭდვას ახლავე შეუდგებით, მოთავსებული იქნება დავით-გარეჯისა, დოდორქისა და იოანე ნჯთლის-მცემლის უდაბნოთა ისტორიული საბუთები.

ძველთა მონასტერთა და უდაბნოთა შთაბერეს საქართველოს ერს ის ძლიერი სული და საარაკო მხნეობა, რომელსაც საუკუნეთა გრძელს მანძილში ამაოდ ებრძოდა მთელი ძალა და მანქანება ამ ქვეყნისა: მთელის დედამიწის ამრევ-დამრევთა, დამპყრობელთა და მბრძანებელთა საქართველოს მცირე ერი ლუკმადაც არ ეყოფოდათ, თუ რომ ეს სჯულისა და ქრისტესთჳს მებრძოლი მხედრობა, რომელსაც მუდამ წინ უძღოდა ბერი ჯკარის მტვირთველი, არ ყოფილ იყო აღფრთოვანებული მონასტერ-უდაბნოთაგან შთაბერილის სარწმუნოების უძლეველის ძალით. ათას-ხუთასის წლის განუწყვეტელს ბრძოლაში გატარებული სახელოვანი დროშა სჯულისა და მართლ-მადიდებ-
ლობისა ძველთა გმირთა მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის კართან და ჩააბარეს ძლიერთა მკლავთა ძლევა-მოსილის თანამორჯულე-ერისა. დადგა დრო მშვიდობისა, როდესაც ახალს თაობას, ძველთა გმირთა შთამონაკვეთს, სანატრელი და სასიქადულო ჟამი და შემთხვევა მიეცათ საუკუნეთა წყლულის განკურნებისა და ნაკლულევანებათა აღვსებისა. მაგრამ, ჰოი საკვირველება! შემდეგს თაობას მამაპაპათაგან ცარიელი ხორცი-ღა შერჩენიათ, ხოლო მათის სულისაგან – არცა ნატამალი. ამ ცარიელ გვამთა, რომელთა თვალი მხოლოდ იმაზე უჭირავთ, თუ „რა ვჭამოთ, რა ვსვათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ“, იმთავითვე უარ-ჰყვეს ყოველივე ის, რასაც ეტრფოდენ ძველნი გმირნი – რჯული, დარბაისლობა, ზნე-ჩვეულებანი, კაცური-კაცობა და შეუდგნენ ვითომ-და ვოლტერიანისეულის მოძღვერებას, რომელ „ძილი ვიძინოთ, რათა განთიად განვსძღეთ და განძღომილთა განვისვენოთ, რათა მოცავიმშივნეთ“. ეს ის თაობაა, რომელთაც უკიჟინა მგოსანმა გრ· ორბელიანმა: „გოგრა ცა-

რიელ, გული ცარიელ, მილიონებზედ მხოლოდ მყვირალნი“; ხოლო მეორემან მგოსანმა, ვახტანგ ორბელიანმა, სამართლიანად სახელსდვა მათ „ქონდრის კაცებად“ ანუ „მოძრავ დედოფალაებად“.

ამ „მყვირალა ქონდრის-კაცუნებმა“, განმაბნეველთა მამაპაპეულის ნაღვაწ-ნაქონებისა, არა თუ თჳთ დაივიწყეს ძველთა გმირთა სისხლით და ცრემლით მონაღვაწი ლავრა-მონასტრები და დიდებულნი სასწაულთ-მოქმედნი სიწმიდენი, არამედ სიცილსა და განკიცხვასა მისცეს პატიკისმცემელნიცა მათნი. გაჰქრა ლამპარი ამ სიწმიდეთა წინაშე, დაშრტა საუკუნო ცეცხლი ამ ჩვენის რჯულის კერაზე, დადუმდა „დავითის ქნარი“, რომელიც „ანგელოზთაგან მარად იკრვოდა“ აქ, ამ კერას წინაშე, დაიქცნენ ანუ დაქცევამდი მიიღწივნენ საუკუნეთა დიადნი ნაშთნი, სიწმინდენი მიმოიტაცეს უცხოელთა და აწ „დაგვრჩა მხოლოდ ფერფლი“ სარწმუნოების კერასაგან და „საძაგელი იგი მოოხრებისა“. თჳთ ქართველ ერის გულს, ამ წმიდათა-წმიდას, შეეხო ჭუჭყი „ქონდრის კაცუნებისა“, და ოდესმე სათნოიანი, მხნე და კაცურ-კაციანი, აწ სანთლით საძებნელია ძველი ქართველი და ქართველობა...

მხოლოდ უმცირესმან გუნდმა უახლესისა ახალ-თაობისამ შეიგნო გზა-ცთომილება წინანდელის ‚კაცუნებისა“ და იწყო ძიება და კვლევა „ძველის გზისა“ და ძველის ჩვენის ყოფა-ცხოვრეზისა იმ განზრახვით, რომ მამაპაპეულისაგან ყოველი კეთილი სავსებით შეირჩინოს, ხოლო უცხო-ერთაგან უკეთესი შეიძინოს, და ამ ჭეშმარიტის გზით წარმართოს თჳსი ერი უუმჯობესისადმი. ამ წიგნაკის გამომცემელსაცა, მისს მეუფებას, ის აზრი აფრთოვანებს, რომ ძველის ჩვენის ქრისტიანულის ცხოვრების ნაშთთა გამოქვეყნებით საშვალება მისცეს უახლესს თაობას შეიგნოს თჳთ დედა-ძარღვი ჩვენთა წინაპართა ზნეობრივის ძლიერებისა და კვალად აღადგინოს დაკარგული „ძველი გზა“ სათნოებრივის ცხოვრებისა.

წინამდებარე წიგნაკში ჩვენ მოვაქციეთ მხოლოდ შიომღვიმის სიგელ-გუჯრები, დაცულნი სინოდ. კანტორაში და აწ საეკლესიო მუზეუმში და ზოგიც სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში. მრავალ გუჯრებისაგან ჩვენს დრომდი ცოტას მოუღწევია, მაგრამ რაც დარჩენილა ისიც ძვირფასი განძია ჩვენთა მომავალთა მკვლევართათჳს, მით უმეტეს რომ მხოლოდ შიომღვიმის გუჯრებში იპოვება უუძველესის დროის საბუთები: ერთი გუჯარი მეათე-საუკუნისა (პირია და არა თჳთ ასლი), სამი სიგელი მე-XI საუკუნისა და მათ შორის დიდად საყურადღებო სიგელი გიორგი II, კათალიკოზის გაბრიელისაგან ხელმოწერილი; ექვსი სიგელი მე-XII საუკუნისა და მათ შორის „ანდერძი დავით აღმაშენებელისა“, შიომღვიმისადმი მიცემული 1123 წ., რომელიც ცალკე წიგნაკადაც რუსულს ენაზე სრულის განმარტებით გამოსცა მისმა მეუფებამ, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ხოლო აქ ჩავურთეთ მარტო ქართული მისი ტექსტი; ორი სიგელი თამარ-მეფისა, თჳთ მისის ხელით დამტკიცებულნი; რვა სიგელიც მე-XIII საუკუნისა და მრაკალი მწვრილი საბუთები შემდეგთა საუკუნეთა. უძველესი და უძვირფასესი საბუთები ჩვენ სრულად და შეუმოკლებლად შემოვიტანეთ ამ წიგნში, ხოლო უახლესნი – შემოკლებით და სიტყვა-დაურთავად. რა-

მდენიმე ცნობა შიომღვიმის უდაბნოზე ჩვენ შემოვიტანეთ ხელნაწერების წარწერათაგან.

გარდა ამისა, რადგან ქართულს ძველს და ახალს მწერლობაში ფრიად იშვიათად იპოვება ცნობა ძველის ჩვენებურის მონასტრულის ცხოვრებისა, ამის-გამო ჩვენ დიდად გვენუგეშა, როდესაც ხელში ჩაგვივარდა მე–XIII საუკუნეში ცნობილის ივანე მჯარგრძელის-მიერ აღწერილი ვაჰხანის (არტანუჯში) ძველის უდაბნოს „ძეგლი“ ანუ წესდება მონასტრულის ცხოვრებისა, რომელშიც იპოვება სხვა დიდად საყურადღებო საბუთებიცა XIV – XVI საუკუნისა სამცხე-საათაბაგოს პატრონთა და დიდებულთა შეწირულებისა და ერთი ნაწყვეტიცა სვიმონ ჭყონდიდლისაგან აღწერილის მონასტრულის შინაურულ ცსოვრებისა. ამისთვის მისის მეუფების ნება-დართვით ეს „ძეგლიც“ და რამდენიმე სხვა – მონასტრების მწვრილი საბუთებიცა შემოვიტანეთ ამ წიგნაკში. თუმცა „ძეგლი“ ვაჰხანის მონასტრისა ფრიად დაზიანებულია და შიგ-და-შიგ ფურცლები და მთელი თავებიც აკლია, მაგრამ რაც დარჩენილა, ისიც ძვირფას საუნჯედ ვცანით და ყოვლადის შეუცვლელობით სწორედ გამოვეცით, თჳთ სავსენი ნიშნები დედნისა დავტოვეთ (დანარჩენ გუჯრებში სასვენი ნიშნები, უმეტესს შემთხვევაში, მარტო პირველს სტრაქონებშ ვუჩვენეთ ნიმუშად). აგრეთვე შეუცვლელად დავბეჭდეთ ყველა ის საბუთები, რომელნიც დაცულია ჩემდა რწმუნებულს საეკ. მუზეუმში და ამ წიგნაკის ბეჭდვის დროს ხელ-ქვეშ გვქონდა. ამისი თქმა თამამად არ შეგვიძლია დანარჩენ საბუთების შესახებ, რომელთა ასლი ბეჭდვის დროს ხელში არ გვქონდა შესამოწმებლად, რაისაგამო ამ უკანასკნელ საბუთებში შეიძლება ასოთა მეტ-ნაკლებობა აღმოჩნდეს, ხოლო აზრის შემცვლელი და გადამახინჯებული შეცდომები, იმედი მაქვს, არ მოაპოვება.

თითოეულს მე-X – XV საუკ. სიგელს ჩვენ დავურთეთ ქრონოლოგიური და ისტორიული განმარტება რომლისაგან ცხად ჰხდება, თუ ვითარის ღირსებისანი არიან ეს საბუთნი და რა ახალი ცნობები შემოაქვთ მათ ჩვენს ისტორიაში ანუ რამდენად ამოწმებენ იგინი ჩვენს მატიანეში აღნუსხულ ამბებს. ვისაც გული შესტკივა და ჩვენის სახელოვანის წარსულის გამორკვავა ჰსწყურის, მისთჳს დიდი განძია ყოველი ნაგლეჯი ძველის საბუთებისა, როგორც ახალის ცნობების შემომტანი, ისრე მატიანეში აღნუსხულის ცნობების დამამოწმებელი. უკანასკნელის გვარის საბუთები მით უმეტეს საჭირონი არიან, რომ ჩვენის დროის „ძალად-მეცნიერთა“ თითქმის „მოდად“ შემოიღეს „ქართლის-ცხობრების“ უარის ყოფა, და მათი პირის დამყოფელი „მათრახები“ დიაღაც ფას-დასადებია.

ამ წიგნის ბეჭდვას რომ შეუდეგით, მაშინ ჩვენ იმედი გვქონდა ჩაგვერთო ფოტოტიპიით ანუ ფოტო-ლიტოგრაფიით გადაღებული ნიმუშები ამ წიგნში მოქცელის უძველესის გუჯარ-სიგელებისა და საკუთარნი ხელის-მოწერანი მეფეთა: გიორგი II-ისა (1072 – 1089), დავით-აღმაშენებელისა, თამარ-მეფისა, დავით IV-ისა და აგრეთვე XI – XIV საუკუნის ერისთავთა, კათალიკოზთა და დიდებულთა. რამდენიმე ამ ნიმუშთაგანი პატივცემულმა ა. ს. როინაშვილმა უსასყიდლოდ ფოტოგრაფიულად გადმოიღო. სამწუხაროდ, მათი ფოტოტიპიით გამოცემა, სიძვირის-გამო,

ჩვენ ვერ შევძელით და ვერც გავბედეთ შეგვეწუხებინა მისი მეუფება, ეპისკოპოზი ალექსანდრე, მით უმეტეს, რომ ამ წიგნაკის გამოცემაც მისგან მსხვერპლია საზოგადო ინტერესისთჳს, რადგან, როგორც ყველამ იცის, ამ-გვარს წიგნებს მეტად მცირე გასავალი აქვს და 10 – 15 წელიწადს ძლივს-ღა გაიყიდება ორასიოდე ცალი.

უკანასკნელ უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე ამ წიგნში შეტანილის გუჯრებისაგან აღნუსხულია განსვენებულის დ. ფერცელაძის „Церковные Гуджары“-ებში, მაგრამ მოკლედ და რუსულად, თავისუფლად გადმოცემულია გამომცემელისაგან და არა ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმნით (გარდა თითო-ოროლა შემთხვევისა). რასკვირველია, ეს გარემოება ფასს უკარგავს გამოცემას მით უმეტეს, რომ ამასთან ავტორს წყაროები არ დაუსახელებია საისტორიო მასალისა და არც განუმარტავს იგი ქრონოლოგიურად და ისტორიულად.

ამ მსხვილ-მსხვილ ნაკლულევანებასთან და ფურცელაძის გამოცემა ყელთადმი აღსავსეა ისრეთის ქრონოლოგიურის და ნივთიერის შეცთომილებით, რომ ამ შრომას ყოველივე ფასი ეკარგება და თითქმის რომ სრულიად გადასაგდები ხდება. ეს ნაკლულევანებანი ყველასთჳს საჩინოა და დასანახი; და თუ, მიუხედავად ამისა, აქამდი კრიტიკა არ შეეხო ამ შრომას, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ჩვენში კრიტიკას (ჩვენებურს „კიტრიკას“) მხოლოდ პირადობა აქვს სახეში და მტრის ჯავრის ამოსაყრელად უფრო იწერება, ვიდრე ჭეშმარიტების გამოსარჩევად. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენებური „თავმოყვარეთა გუნდი“ კრიტიკას ვერ იტანს და თუ ორიოდე კრიტიკული სიტყვა როგორმე წამოგცდათ, უსათუოდ დაგახრჩობენ თუ არ „კიტრიკანულის“ კინკლაობით, ჭორიკანაობით ხომ მაინც და, თუ საქმე გაჭირდა, უსახელო წერილებსაც მიყრიან „სადაც ჯერ არს “ და ღალატს დაგაბრალებენ... ცრუ-მოწმებიც ხომ ან ჩვენს „განათლებულ“ საუკუნეში შაურად იყიდება და თუ ინებებთ – ბისტადაც. განსვენებულს დ. ფურცელაძეს-კი, როგორც ტკბილს და გაფრთხილებულს გვამს, მტერი არ ჰყოლია და ამით აიხსნება ის, რომ ჩვენი მეცნიერენი მისს შრომას არ შეეხნენ; მისი სახელი, როგორც არქეოლოგისა დამკვიდრდა და თჳთ ბ. ა. ცაგარლისაგან აღიარებულია (Свѣдѣнія, III, ტგ. VI), ხოლო მისგან გამოცემულს სიგელ-გუჯრებს ემყარებიან მეცნიერნი მკვლევარნი, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს დროს. ამისგამო ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ, გასაფრთხილებელად უკანასკნელთა, ორიოდე სიტყვა შემოვიტანოთ აქ დ. ფურცელაძის შრომათა შესახებ.

ჩვენ განხილული გვაქვს უმეტესი ნაწილი იმ საბუთებისა, რომელნიც შემოკლებით დაუბეჭდავს დ. ფურცელაძეს და სამსუხაროდ დავრწმუნდით, რომ ეს საბუთები ძალზე გადამახინჯებით შემოტანილია დ. ფურცელაძის „Гуджар“-ებში. გარდა ამისა, იმ საბუთებისაგან, რომელნიც დ. ფურცელაძეს თარიღებიანად აქვს აღნიშნული და წლებს უსხამს, სრულიად უთარიღონი აღმოჩნდნენ, ხოლო თჳთ თარიღებიანს გუჯრებშიც ისე გადაურეკია თარიღები და ქრონოლოგია, რომ ამაებზედ დამყარება სამეცნიერო გამოკვლევისა შეუძლებელი ჰხდება. რომ სიტყვა მეტად არ გაგრძელდეს, ჩვენ სანიმუშოდ ცხრილში მოვაქცევთ უმთავრეს ქრონოლოგიურ შეც-

დომებს დ. ფურცელაძისას; პირველს ცხრილში დავსხამთ გვერდს მისის წიგმისას „Церковные Гуджары“, მეორეში – მისგან დასხმულს წლებს, როდესაც სიგელ-ში მოხსენებულნი მეფენი ვითომ ცოცხალნი იყვნენ; ხოლო უკანასკნელს ცხრილში ნამდვილ წლებს იმავე მეფეთა მეფოსისას.

გვერდი	წელნი	მეფენი და დიდებულნი	ნამდვილ წყა-როებითა.
6	1606	მეფე სვიმონ	
38	1519	მეფე სვიმონ	1557 – 1599 წ.
97	1520	მეფე სვიმონ	
102	1425	მეფე დავით და ძენი ვახტანგ და დემეტრე	?!
103	1428	მეფე დავით	1505 – 1526 წ.
103	1434	მეფე ვახტანგ	?!
103	1431	მეფის ძე ალექსანდრე	?!
97	1383	მეფე დავით, ალექსანდრეს ძე	?!
7	1639	ნაზარ ალიხან	1683 – 1710 წ.
9	1699	შაჰ-ნავაზ	მოკვდა 1675 წ.
10	1720	შაჰ-ნავაზ	მოკვდა 1675 წ.
28	1698	ვახტანგის ძე მეფე იმამყული	?!
37	1583	მეფე გიორგი	გამეფდა 1600 წ.
39	1712	დედოფალი დარეჯან	დაიბადა 1739 წ.
46	1780	მეფე თეიმურაზ	მოკვდა 1762
47	1339	მეფე დავით და ძე მისი გ˜ი	?!
47	1649	გრიგოლ სამავრელი	1459
47	1549	შალვა ერისთავი	1459
52	1459	მეფე დავით	1505 – 1526
55	1553	მეფე კოსტანტინე, ძე ალექსანდრე-მეფისა	?!
68	1612	მეფე ვახტანგ	?!
86	1604	ლეონის ცოლი თინათინ	მკვდარი 1591 წ.
89	1514	მეფე სოლომონ	1752 – 1784
90	1520	მეფე ალექსანდრე	?!
90	1522	მეფე ლუარსაბ	გამეფდა 1535 წ.
90	1780	რამანი (რამაზ)	1580
106	1518	მეფე გიორგი	გამეფდა 1526 წ.
122	1776	მეფე დავით	?!
129	1613	მეფე ვამიყ	?!
134	1712	კზ˜ი იოსებ, ძმა სოლომონ I-ისა	დაიბადა 1739 წ.
136	1700	სოლომონ-მეფე	დაიბადა 1735 წ.

ამ ნაირად დ. ფურცელაძეს გუჯრები ცოცხლებში გგიჩვენებს იმ მეფე-დედოფ-ლებს, რომელნიც 20 – 200 წელს უწინ გადაიცვალნენ და მკვდრებად გვისახავს მე-ფეთა, რომელნიც 20 – 300 წლის შემდეგ დაიბადნენ; არა იშვიათად მეფეებად წო-დებულნი არიან ისეთნი პირნი, რომელნიც არ მეფობდენ და სხ. რა საკვირველია,

ესეთივე მომაკვდინებელი შეცდომები მოუდის განსვენებულ შესახებ კათალიკოზებისა, ერისთავებისა და დიდებულთა. გამომცემლის დაუდევრობას და ფაქტების არევ-დარევას
იქამდის აღუღწევია, რომ თვით ჩვენის დროის უახლოესნი პირნი, რომელთა სიკ-ვდილ-სიცოცხლის დრო თითქმის ყოველმა დ. ფურცელაძის შეგნებულმა თანამედ-როვემ ზეპირ იცოდა, ცოცხლებში მოხსენებულნი არიან მაშინ, როდესაც იგინი მკვდარნი იყვნენ, მაგ. გიორგი XIII ცოცხალია 1802 წ. (გვ. 100), ხოლო სო-ლომონ-მეფე, რომელიც მოკვდა 1815 წელს, გამეფებული ყოფილა 1700 წელსაც (გვ. 136)! ცნობილი იუსტინე მროვლი (მაღალაშვილი), რომელიც მოკვდა ამ მე-XIX საუკუნეში, ურბნელად სჩანს 1712 წელს (გვ. 39). რამდენიმე ჩვენგან დაბეჭდილი უთარიღო გუჯარი დ. ფურცელაძის გამოცემაში, როგორც გგითქვამს, თარიღია-ნია (!), ხოლო თარიღიან გუჯრების წელნი 100 – 300 წლით და მეტ-ნაკლებ დროით შეცვლილნი არიან, მაგ. მეფე სოლომონ ნაჩვენებია 1513 წ. (გვ. 86), ხოლო იგი-ვე გუჯარი ჩვენს „ქრონიკეში“ აღნიშნულია 1814 წლის თარიღით; ბაგრატის სიგელი 1534 წლის თარიღისა ფურცელაძის გამოცემაში (გვ. 129) აღნიშნულია 1434 წლისად, აგრეთვე 1527 წლისა – 1428 წლისად (გვ. 132); რამჯაზ ბტონი-შვილის სიგელი 1580 წლისა – 1780 წლისად (გვ. 90) და სხ. რა თქმა უნდა, რომ ასრეთვე შეუნდებელი შეცდომები მოუვა ყველას, ვინც გულუბრყვილოდ ამ „არქეო-ლოგს“ დაენდობა *).

დასასრულ საჭიროდ ვრაცხ განვმარტო მნიშვნელობა ჩვენგან ამ წიგნში და „ჭრონიკებში“ ხმარებულ ნიშნებისა: 1) სადაც წვრილი ხაზები ანუ „დეფიზები“

---

*) შენიშნვა: ხოლო რაც შეეხება დ. ფურცელაძის შენიშნვებს, სადაც გამოთქმულია აზრი, ვითომ გლეხ-კაცობა ყოველს უფლებას მოკლებულ-ყოფილ-იყოს და უდრიდეს რუ-სულს Крѣпостничество-ს, ე. ი. მონობას, ჩვენ ეს აზრი (განმეორებული სხვათაცა მკვლევა-რთაგან) სრულიად უსაბუთოდ მიგვაჩნია. თუ დრო მოგვეცა, ჩვენ აუარებელ საბუთებით და-ვამტკიცებთ, რომ გლეხობას სრული ქონებრივი უფლება ჰქონდა (როგორც მიწისა, ისრე მონების შეძენისა) და თუ საკუთარი მიწა ჰქონდა ნაყიდი, მამინ იგი მხოლოდ საბატონო ხარჯს ეწეოდა („ძღვენი“ დღესასწაულებში და „შესაწევარი“ სტუმრობაში ქორწ ლ-ნათლობა-და სიკვდილის ჟამს); თუ უნდოდა, გლეხი ბატონს წაუვიდოდა (ამის დაშლა ერეკლემ იწყო „მორიგის“ ჯარის შემოღების-გამო). გლეხებისაგან მიწებს სყიდვით იძენდენ მათი ბატონები და ბატონებისაგან – გლეხნი; გლეხებს ჰყავდათ თვისი ყმებიცა („მკვიდრი ყმა“ ანუ ნაყიდი, გინა ომში ნაშოვნი კაცები, ე. ი. მონები და ნაბუშრებიც). მხოლოდ მე-XIX საუ-კუნებში, როდესაც ახალ მმართველობაზე ზოგიერთ თავადიშვილებს დიდი გავლენა ჰქონდათ, უკანასკნელთ მოაღორეს მთავრობა, ვითომ საქართველოში იგივე „კრეპოსტნიკობა“ არისო და მთელი გლეხ-კაცობა მონად აქციეს, მათი ნასყიდი დედულ-მამულები დაისაკუთრეს, თვით გლეხებს ჰყიდიდენ უ მ ა მ უ ლ ო დ (ძველს სიგელში რომ გლეხების გაყიდვა სწერია, იქ ყოველგან იგულისხმება იმ ს ა ბ ა ტ ო ნ ო ანუ სახასო მ ა მ უ ლ ი ს გ ა ყ ი დ ვ ა, რომელიც გლეხს
ეჭირა და რომლისაგან გლეხის აყრა უკანასკნელის უნებურად არავის შეეძლო და არა თვი-თონ პირადად გლეხის გაყიდვა). ამ „გაკრეპოსტნიკობას“ შეუდგა აურიცხელი უწესოება და „ბუნტები“ გლეხებისა, რომელთაგან რამდენიმე შემთხვევა აღნიშნულია Акт-ებში და ბრო-სეს Hist. Mod. de la Gérg-ში.

უსხედს (. . . .), აღნიშნავს იმას, რომ იმ ალაგას სიგელი მოგლეჯილია ანუ დაზიანებული და არ იკითხება; 2) მრავალ წერტილი (...) დასხმულია იმ სიტყვების მაგიერ, რომელნიც ჩვენ განგებ გამოუშვით 3) კუთხიანი ანუ დიდი·ფრჩხილები ([ ]) უსხედს იმ სიტყვებს, რომელნიც გუჯარს აკლია, მაგრამ აზრთა მიმდინარეობით ანუ ნუსხით ჩვენგან აღდგენილია; 4) სადაც ხაზები და წერტილები ერთი-მეორეს მისდევს (. . . .) აღნიშნავს, რომ ამ ალაგას სიგელში მელანი გადასულია.

პალეგრაფიულად გადაღებული ნაწყვეტები რამდენისამე ამ წიგნში შემოტანილ სიგელ-გუჯრისა გამოცემულია მე-V არქეოლოგიურ კრების ოქმებში დ. ბაქრაძის მიერ, იხ. Таблицы XX. №№ 2; 3 5 4, XXII № 1, XXIII №№ 1 – 4; XXIV, № 1; XXV № 3; XXVI № 1.

ამასთან საჭიროდ ვრაცხ ჩავურთო რამდენიმე შენიშვნა ამ „ტაბლიცებზე“: 1) განსვენებული არქეოლოგი დ. ბაქრაძე მე-XX ტაბლიცას, № 3 ჩვენგან დაბეჭდილის გუჯრისას)გვ. 10-12), დასდებს მე-X საუკუნისად და მასში მოხსენე ბულს მეფე-გიორგის ჰხადის გურგენ დავითის ძედ († 994). მაგრამ ამ გურგენის დროს არ სჩანს კ˜ზი გაბრიელ (გაბრიელ სჩანს მე-IX საუკუნის დასასრულს: იხ. ჩემი „ქროწიკები“ წიგ. I, გვ. 78·). ჩვენ დავასაბუთეთ, რომ ეს სიგელი ეკუთნის გიორგი II–ს, დავით აღმაშენებელის მამას (ibid. გვ. 9–11) და აქ მხოლოდ ამ ახალს საბუთს დავსძენთ, რომ სიგელში ჩამოთვილ შიო-მღვიმის მამულებში მოხსენებული „კლდეკართა ქვეშე ბორცვის-ჯუარი“ მღვიმემ მოიპოვა მხოლოდ 1058 წ. (ის. „ქრონიკები“ I, გვ. 204-6 და სრული განმარტება ამავე გუჯრისა იხ. ჩემს წერილში: „Къ матеріаламъ по исторіи Грузіи XI-XII вв. Чтенія въ Императ. Общ. Исторіи и Древностей росс. при Моск. Унив., 1895, г. кн. III. т. 174) და მაშასადამე სიგელი უსათუოდ დაწერილია შემდეგ 1058 წლისა, პირველს წელს გიორგის მეფობისას, ესე-იგი 1072-1073 წელს. ამ სიგელში მოხსენებული კათალიკოზი გაბრიელ იგივე პირია, რომელიც გიორგი II-ის მეფობაშივე დასახელებულია „ქართლის ცხოვრებაში“ „გაბრიელ საფარელად“ (ქ·ცს· I, 133 და Hust. de géor. I, p. 335) და ესეც ხომ ახალი და დიაღ საყურადღებო საბუთია ჩვენის ძველის მატიანის ღირსებათა.

2) გუჯარი „ტაბლიცა“ XXII, № 2 (იხ. ქვემო გვ. 26) დაწერილია მეთვრამეტე წელს თამარის მეფობისას (ე. ი. 1202) და არა მეათცხრამეტესა, (1203 წ.), როგორც დ. ბაქრაძეს წაუკითხავს (ibid. გვ. 212)·

3) ტაბლიცა XXIII, № 3 ხელმოწერილია კ˜ზის თეოდორეს-მიერ და არა კ˜ზის იოანესგან, როგორც დ. ბაქრაძე სწერს (ibid· იხ. ქვემო გვ. 23) და ზემოხსენებული ჩვენი საკითხავი: „Къ матеріаламъ по исторіи Грузіи“).

4) იმავე ტაბლიცის № 4 სიგელი დაწერილია, როგორც ჩვენ განვმარტეთ (იხ. ქვემო გვ. 65-68), არსა თამარის დროს, როგორც ჰფიქრობდა დ. ბაქრაძე, არამედ 1260 წ., შემდეგ ქართველ-მონგოლთაგან ბაღდადის ქალაქს აღებისა (იანვარს 1258 წლისას).

5) სიგელში ტაბლიცა XXIV № 1 სრულიად არ არის მოხსენებული კ˜ზი ბოანე, თუმცა მისი სახელი იქ აღმოუკითხავს დ. ბაქრაძეს, რომელიც ამ სიგელს მიაწერს ლაშა-გიორგის. ჩვენ უკვე დავასაბუთეთ (გვ. 13-14), რომ სიგელი დაწერილის 1082 წ. და აქ მოხსენებული მეფე გიორგი არის გიორგი II.

6) განსვენჟბული დ. ბაქრაძე, წინააღმდეგ ბროსსეს აზრისა (Rap, I, 7), უარჰყოფს „საიდუმლო ქართულ ანბანების“ არსებობას, მაგრამ ბროსსეს სიმართლეს და საიდუმლო ანბანების არსებობას ამტკიცებს სამი ამ გვარის ანბანით ნაწერი ნიმუშები. ერთი იპოვება წერა-კითხ. წიგნთ-საცავში, ერთი ნიმუში იმერეთიდამ მომივიდა და ერთიც – მდ. პ. კარბელოვმა გადმომცა და მისისავე დახმარებით ამოცნობილ იქმნა. ამ ნიმუშებს ჩვენ ჩაურთავთ „ქრონიკების“ შემდეგს წიგნებში, რომლის მეორე ტომი უკვე იბეჭდება უბრწყინვალესის თავადის კოსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატონის სურვილითა და საფასით.

უმთავრესნი კორექტურულნი შეცდომანი (სტრიქონები ზეიდამ ნაანგარიშია).

გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია:	უნდა:	გვ.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა:
გვ. 8	სტრ. 11	მიჯნაძორელნი	მიჯნაძოროელნი	19	31	ყოველთაო	ყოველთაოდა
– 12	10	მოსაჯულნი	მსაჯულნი	26	11	ბაგრატიო-ნისა	ბაგრატიო-ნისა
				26	12	მეფისა	მეფისა და
–	20	დამიტკიცებია	დამიმტკიცებია	27		მტკიცე	ქ: მტკიცე
13	25	სახელითა	ქ: სახელითა	–	26	დასრულე-ბულ	დასროლე-ბულ
–	26	ღვთისათა	ღვთისათა	–	29	ვპოვე	ვპოე
14	15	აბხაზთა ქ: მტკიცეა	აბხაზთა ქ: მტკიცეა	66	9	ძემან ძაგან-მან	(განმეორე-ბულია)

———————

სინოდ. კანტორის გუჯარი № 67 *)

[1]) **890 – 913** წ. – სახელითუ ღმრთისაითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაი, შუამდგომლობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა იოვანე ნათლისმცემლისაითა, რომელი მიეყრდნის მკერდსა საუფლოსა, წმიდათა და სამეოც-და-ათთა ქალწულთაითა, რომელთა გუ(ი)ქადაგეს გაჯორციელება სიტყუისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამისა შიოსითა, მას ჟამსა ოდეს, ბარდავს შევიბენით, [1]) ერთი ლომისა მსგავსი ფავნელი [2]) მკუდარი დარჩა და ერთი ცოცხალი, ესე უარესი წამეკიდა: ერთი უხუცესი შეილი ქავთარ შინა მაიმიკუდა (sic). ეთხოვენ ჩემნი მკვდარნი, მამუნნი ჩემნი, მკვდარნი მამულნი მეფესა [3]) და მიბოძნა, რომე ტყ(უე)ნი დავიჴსნე და მკუდრისა სუ-

---

*) ეს გუჯარი მიწერილია მე-XIII საუკ. გუჯრის ბოლოს (შიომღვიმის გუჯრ. № 67) მე-XV საუკუნის ხელით, მაგრამ ცხადია, რომ ეს სიგელი პირია უძველესის გუჯრისა (რომ ძველი გუჯარი ჰქონიათ ფავნელებსა, ამაზე ჰმოწმობს კათალიკოზი არსენი, იმავ გუჯრის ბოლოს № 67). გუჯარი № 67 დაწერილია გავაზელთა მამულზე, ხოლო ეს ცხევერელ, ანუ ცხევერეიზე. გარდა ამისა კახეთის მეფეები ფალლე და კვირიკე სცხოვრობდენ მე-IX და X საუკ.: ფალლე ანუ ფადალა I ვახუშტით მოკვდა 893 წ., ხოლო კვირიკე I – მოკვდა 913 წ. ხოლო აფხაზთა მეფენი კონსტანტინე † 908 წ. და ძე მისი ბაგრატ გამეფდა ჩვენის „ქრონიკებით“ 931 წ. (გვ. 87 – 89)· ადგილების სახელები, ფულის ანგარიში, განსაკუთრებული ფორმა წყევა-კრულვისა და საზოგადოდ ამ გუჯარში ნახმარი ტერმინები ძალიან ძველებია. ამ მიზეზებით ზემო ნაჩვენები გუჯარი ძველის მე-X საუკ. გუჯრის პირად მიგვაჩნია. ეს საბუთი (გარდა მისის ისტორიულის მნიშვნელობისა) ძვირფას მანალად მიგვაჩნია უძველესის ჩვენის შინაურის წეს-წქობილებისა. არც ერთს უძველესს გუჯრებში არ მოიპოვება აქ აღნიშნული ტერმინები და წეს-წყობილებანი, რაიცა უეჭველ ჰყოფს ,ჩვენს აზრსა.

[1]) ქ.-ცხ. I, 197.

[2]) გვარი ფავნელთა არსად იხსენება ქ.-ცხ. ფ ა ლ ე ლ ი ჩანჩუხი, მოხსენებული ქ.-ცხ (I, 219) მეფის ბაგრატ IV დროს (1027 – 1072), შეიძლება იყოს ამ გვარისა.

[3]) რომელს მეფეს? – შეიძლება კახთა მეფე აქვს სახეში, კჳრიკე დიდი, რომლის დროს უნდა მომხდარ იყოს ბარდავის ომი, რომლის შედეგი ის იყო, რომ „სალართა (სარკინოზთა) დაეპყრათ მაშინ ბარდავი და ადარბადაგანი“ (ქ.-ც· 197). ეს მომხდარა ზერეთის მეფის იშ-

ლი ვაურვო. ვთხოუვენ (sic) ოთხნი სოფელნი: ცხევერეი, გუელ დესი-თურთ, გავაზელნი კოტმი-თურთ **), ქუემო გულდეს ორი გლეხი შულლიას ძე და ტარიკას ძე და მოვიყვანე მთავარი მემღუმე თევდორე და მივათუალენით სოფელნი და მომუწონა (მომიწონა) ოც-და-ათი ლიტრა ოქრო, ოც-და-ათი ლიტრა ***) ვერცხლი წმიდისა შიოს კობოსა (კუბოსა) შემონაყარი; ათი-ათასი პელპელი, ათი ათასი სტავრა, შჳდი (შუდი) ჯორი ვარდა, შუიდი (შჳდი) ქორი კაპოეტი, შუიდი (შჳდი) მეძებარი, შუიდი (შჳდი) მწევარი წაუვალი. თეთრისა რა ანგარიში უნდა: კაბარჭითა გადაუწყე. უკანა საფასე ემცირებოდა და კიდევე მოგუეშალნეს. მივეცით ერთი კორი (პური?), პალარი კურტამითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგირი ხუთასად ყუელას მჯობი, ერთი ლაგამი მარგალიტისა ძირითა; მივეცით და მივუბედნიერეთ სარკინისა წინამძღუარსა აჰ ნიჩბელი (sic), კორითელი და ვახტანგ ბივრიტელი. ჩავე მე მიქაელ მემღუიმე და ჩავიტანენ ჩემნი ლავრანი ცხევრელნი. დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, ვიტანენ ჩემნი ლავრანი ცხევრელნი. დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, დავდგი ჴევისა კერძოდ. უკეთესი კოშკი შიგნით და გარეთ უკეთესი სახაზნო ცხევერელთა ჰქონდეს. დავიდევ ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი. თუ გრივი გამოვიდეს ცხრა გრივი პატონსა (sic) და მეათე ცხევერელთა. წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადიროზა არის. ბეგარა ჩუენი მოსაცემელი: კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამადი, ორორი პური, ორ-ორი პირი ღუნო (sic). თუ რამე ცხირელსა (ცხევერელსა?) ჴელოსანსა გურდსა (sic) შესაპოვარი გედვას, აჭმევდე რასა, ბეგროზისათუის ღალისა ნუ გაავლებინებ; სიარული არა შეუძლოს. აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე. – გარდავე ლიხთ იმერით და მოვიღე თავისუფლოზისა ბრძანება კოსტანტინესა და ბაგრატისი, კახთა მეფეთა ფალლესი და კურიკესი. მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან, და დიოფალთა და დიდებულ-

---

ხანაკის დროს (გურგენ ერისთავთ-ერისთავის დისწულისა † 945 წ.), რომლის დედამ, დინარ დედოფალმა, ადარნასე ერისთავის († 896 წ.) ასულმან, ჰერეთი მოაქცია მწვალებლობიდამ მართლ-მადიდებელად (ibid).

**) ამ სოფლის სახელები ცოტაოდნად გადამახინჯებულად ეხლამდი დარჩენილა ახალ-ქალაქის ახლო, გორის მაზრაში, სადაც ეხლა დასახლდენ მთიულები და ოსები: გავაზური, ცხრავერი (ერთაწმინდის თავში), გველეთი (რკონის ხეობაში, ტყე), კოტმანი (მინდარია). „მკვდარი მამული“, ე. ი. უშვილოდ ამოვარდნილის მამული (სახელმწიფო).

***) აქ ლიტრა, სჩანს, წონის ანგარიშით არის ნახმარი. პ ე ლ პ ე ლ ი ბერძნული ფულია, მე-XI საუკუნის ქართულს ხელ-ნაწერში ხშირად იხმარება (მაგ. ათონის აღაპებში 1074 წ. დაწერილს ხელ-ნაწერში). – ს ტ ა ვ რ ა ოქრო-ქსოვილია, მაგრამ აქ სჩანს ფულის ანგარიშად უხმარიათ. – კ ა ბ ა რ ჭ ი საზომისია. – თ ე თ რ ი წვრილი ფულია, ბროსსეს გამოანგარიშებით ერთი შაური. – უ კ ა ნ ი ს ა ს ა ფ ა ს ე, ე. ი. უკანასკნელის სოფლისა საფასე. – გ რ ი ვ ი ფულით ბაჟი უნდა იყოს (გრივი = 200 ა ს ს ა რ ო ნ ი).

თაგან, აზნურთა და მათთა ცოლთაგან; მითავისუფლებიან ყოველთავე ჯე-
ლოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგო-
დრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჯელოსანთაგან. თუ ვინ-
მე გაწყენდეს და არვინ რას გაგიგონებდეს, საჯოს კარსა მიიხუენით და ვინც
რამანც გუარისა კაცმან შეუცვალოს, შემცა იცვლების რჯულისაგან ქრისტია-
ნეთასა; რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა: კრულმცა არს ძილი და ღუი-
ძილი მისი, საფლავ და საჯსენებელი მისი, შემცაედების კეთრი გეზისი, შიშ-
თვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, იგიმცა მას უთქუამს: „სისხლი
მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“; ქრისტე(ს) ჯუარის მცმელთანამცა
დაინაწილების სული და საჯსენებელი მისი; პირველ კურთხევითგან იაკობ ძმი-
სა უფლისა ვიდრე უკანასკნელობამდი რაცა ჟამი იწირვის წმიდათა მამათა
მღრდელთ მოძღუართა და მღრდელთაგან, მათითამცა წირვითა კრულია. სა-
ტანას გან(უ)ჯსნელითამცა საკრველითა შეიკრვის ტომით, ნათესავით და სა-
ჯსენებელით მისითურთ. ამა ზემო წერილთა წმიდათა მადლი რისხავს, რამან
ადამიანის ნათესავმა შეშალოს. ამისი დამამტკიცებელი ღმერთმან აკურთხოს“.

ზედვე მოსდევს დამტკიცება ამ სიგელისა „მეფეთ-მეფის ალექსანდრეს ძის
მეფის დემეტრესაგან“ (1447 – 1452 წ.). მისის საკუთარის ხელით მოწერილი
(იხ. 1450 წ. ქვეშე).

---

2) 1058 წ. – გუჯარი ბაგრატ IV

შიომღვიმის მხედრულად ნაწერი ტყავის გუჯარი, სიგრძით 35¼ ვერ-
შოკი ანუ გოჯი და სიგანით 6 ვერშოკი. თავი აკლია. რაც არ სჩანს ანუ მო-
გლეჯილია და ჩვენ აღგვიდგენია აზრთა მიმდინარეობით, ის დიდ ფჩხილებში ჩა-
გვისხამს.

„ - - - - [ლაშ]ქარი დიდი წარმართნი - - - - | და ვე[რ და]ემორჩი-
ლეთ ლაშ[ქარნი და აღაჯრეს მამულნი] | წმიდისა უდაბნოისა: ლავრისა
მღუიმისანი: და [ესე წმიდათა მამათა მღუიმელთა ფ˜დ] | დაუმძიმდა: რომლი-
თუისცა გოლსვიდგინეთ: შესა[ვსებელად აღოჯრებულისა მამულისა წ’ის ლავ]-
რისა და დაკლებოლობისა მათისა გასაკორნებლად; მ|[ოსახსენებლად]|
სოლსა: პირველ (პ˜ლ) გარდაცვალებოლთა: მეფეთა: მამათა ჩემ|[თა და სა-
ლოცველად] | სოლისა: ჩემისა: და სალხინებელად ცოდეათა: ჩემთა: შევს[წი-
რე] | მამასა შიოს: ლავრასა მღუიმისასა: და წმიდათა (წ˜თა) მამათა: მღუი-
მელთ[ა მანგლისის]|ჯევს: ადგილი ბურცუის ჯუარი: ყოვლითა მზღვრითა
მისითა: მ[თითა] | ბარითა: წყლითა ტყითა კლდითა: წისქუილითა და ყოვლი-
თა საჯმრითა | და უჯმრითა: და გაოთავისოფლეთ ყოვლისა შესავლისა და გა-

მოსა[ვა]ლისაგან: საჴელმწიფოისა: საერისთეოისა: სააზნაუროისა: საც[იხის]|თეო-ისა: საჴევის: უფლოისა: საბანჯრისა საკიდისა: საკოშრისა (საკომრისა?) და ყოვლი|სა უფლისა: (ო˜ლისა?) და გადებოლისა: შესუვალისა და გამოსავალისა-გან: და არ[ა] | რაი ზედა აც: თუინიერ (sic) სამსახორებელისა: მის წმიდისა ლავრისა მღუიმი|სა: რამეთუ თავისუფლობით: შემიწირავს: ყოვლისავე მქონე-ბლისა და | დამაკლებლისაგან: რათა მეოხებითა: წ˜დისა: მამისა: შიუისითა (sic): ლოცეითა | წ˜თა მამათა: მღუიმელთათა: მოგუენჭოს ღ˜თისა მიერ; შენდობაი: ამის ნაქმ|რისა: და დაკლებისა მათისაი: წარმემართოს ლაშქრობაი ესე: და ყოველნივე: | დღენი: ცხორებისა ჩემისანი: ნებასა შინა ღ˜თისასა: მშუი-დობით: და მტერთა | ჩემთა ზედა ძლევით აღვასროლნე: და შემდგომად სი-კუდილისა: მეოხ იყოს: [წინაშე] | ღ˜თისა სოლისა ჩემისა˜თს: წმიდაი იგი: და მადლი: მათ ყოველთა წმიდათა მამათაი: აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი: და სიგე-ლი ესე ჩუენი შ˜ა (შიგა?) ჩუენსა: მომავალთა მეფეთა: ე'˜ეთა (ერისთავთ-ერის-თავთა):] ე˜თა (ერისთავთა): აზნაორთა: ციხისთავთა: ჴევისუფალთა: ჩინებოლ-თა: და ყოველთავე | საქმის მოქმედთა ჩუენთა: დაამტკიცეთ: და ნოვინ უშა-ლავთ: (sic) ბრძანებოლსა მას: და გაგებოლსა ჩუენსა: ნოცა რას ვინ დააკ-ლებთ; ნო დიდსა და ნო მცირესა თუი|ნიერ შეწევნისა და თანადგუმისა (sic) და ოკ˜თო (უკეთუ) ვინმე გამოშჩნდეთ; ღ˜თისა უარის | მყოფელად: და მის წმიდისა ლავრისა [შ]ემცოდედ: ოდესცა და რასცა ჟამსა: ანო რაი|საცა მიზე-ზისა მოღებითა: გინა თო იგი ადგილი შეოცვალოთ მას წ˜და|სა ლავრასა; ანო (ანუ) თო ესე წესნი: გაგებულნი ჩუენნი: შეოშალნეთ: უირის მ|ყუფელთამცა: ღ˜თისთა: თანა დასჯილხართ: იგიმცა წმიდაი მამაი: და მადლი მის წ˜დი|სა ლავრისაი არს მოსჯოლი (მსაჯული) თქუენი: ცოდეათამცა და ბრალთა ჩემ|თა გარდამკდელნი ხართ: წინჯშე ღ”თისა:· და თქუენ ქრისტეს მიერ: გ/ი (გიორგი) ქართლისა კათალი|კოზმან: და წმიდათა მღდელთმოძღუართა: დაწერილი ესე ჩუენი დაამტკი:|ცეთ: ვითა: წესი არს: წყევლანი: და შეჩუენებანი დაწერენით; ვინცა უქცი|ო|ს და შეუცვალოს: დაიწერა: ბრძანებაი და სიგელი: ესე ჩუენი: ინდი[კტიონსა მეფობისა: ჩემისასა მეო: ლ˜ა: სა: (ე. ი. მეოცდაათერთმეტესა) ჴე-ლითა იოვა:|ნე მწიგნობრისა: მწრელისაითა: :(sic)“.

სხვა სელით და ს·სგჯ შელნით:

„ქ: კ˜რნ (კირიელეისონ) ესე ეითა: ადიდენ ღ˜ნ ძლიერს ბაგრატ აფხაზთა მეფესა | და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსსა დაუწერია და ბო|რცო–ის ჯოარი სალოცველად მეფობისა მათისა და შვილთა მათთათ˜ს | მღუიმის მონასტრისდა შეუწირავს მე გ˜ი ქ: კ˜ზი (მე, გიორგი ქართლისას კათალიკოზი) მოწამე ვა]რ. დაწერილსა მათსა. აწ ვინცა ვინ რამანც გუარმან კაცმან რა- | სცა ჟამსა ვითა მათსა დაწერილსა სწერია უ: ქ: ციოს (უქციოს) და შალოს და წე|რილი მათი გინა ჟამთა ცვალებითა გინა სიგრძუთაგან ჟამთაისა | იკად-

როს ანო: შლად ანო ცვალებად ანო შესავალად დასაჴევისუფლ|ოდ გაჯა-
დოს ანო ბეგარი და გამოსავალი რაი დასდვას და ვითა დაო|წერია და გაუ-
თავისუფლებია მას ზედა მკუდრად (მკვიდრად) და შეუვალად არა იპ|ყრან ჰრი-
სხავსმცა მამაი ძე და სული წმინდაი წმიდაი ღ˜ის მშობელი | და კრულმცა არიან
დაუსაბამოისა ო˜ლისა (უფლისა) სიტყოითა (sic) ათორმეტთა | წ˜თა მოციქულთა
მადლითა ექუსთა კრებათა მადლითა. ხუთთა | პატრიაქთა ჯუარითა წ˜ისა
დედა ქალაქისა და სუეტის ცხოელისა მად|ლითა ჩემ გლახაკისა ჯუარითა გა-
უჴსნელად სულით და ჴორცით ამა|ს ყუფასა და მას საუკუნესა არსმცა ნა-
წილი მისი იოდასთანა ისკ|არიოტელსა და ყ˜ლთა (ყოველთა) მწუვაალებელთა
და ოფლისა უარისმყოფელ|თა თანა შერაცხილია და ვინ დაამტკიცოს და არა
შალოს ბრძანე|ბოლი და დაწერილი მათი მიიღენ კურთხევაი ღთისაგან და ჩე|მ
გლახაკისაგან.

:ქ: ადიდენ ღ˜ნ: ესე ვითა უძლეველსა | მეფეთამეფესა. დაუწერია. და შე-
უწირავს ბორცო|ის ჯოარი მღოიმისთნ სალოცუელად | მეფობისა მათისა შეაწი-
ენ ღ˜ნ მადლი წ˜დისა შიუსი | და ევეგრესი: (sic) მეცა მიწას მეფუბისა მა-
თისას ი˜ეს | (იოანეს) ძესა ლ˜პტ (ლიპარიტ) ე˜ესა·: (ერისთავთ-ერისთავისა-
სა) დამიმტ:კიცებია უქცეველი | არს: ბრძანებაი მათი: ჩემგანცა მონისა მათი-
საგან.“

ეს გუჯარი ჩვენ პირველად გამოვეცით 1893 წელს „ქრონიკებში“ (წიგნი I, გვ. 202 – 204); ხოლო 1895 წ. სრულის განმარტებით დავბეჭდეთ რუსულს ენაზედ (იხ. „Чтеніе въ Императорскомъ Обществѣ Исторіи и древностей Россійскихъ кн. III, т. 174, 1895). ეს უკანასკნელი სტატია თითქმის მზად იყო და დაბეჭდილი როდესაც გაჩნდა ბ. თაყაიშვილისაგან რუსულ-ქართულად დაბეჭდილი ესვე სიგელი (Записки Вост. Отд. Имп. Р. А. Общ. т. IX: „Сигель Груз. царя Баграта IV “). ამ სტატიის შენიშვნებისაგან საგულისხმობელია, ვითომ ბ. თაყაიშვილის გამოცემული ტაქსტი ჩემს წაკითხულზე არ იყოს დამყარებული. შესანიშნავია, რომ თვით ბ. თაყაიშვილი სრულიად არას ამბობს იმაზე, ვითომ მას არ ეხელმძღვანელოს ჩემგან გამოცემულის ტექსტით, მაგრამ ბ. კარიჭაშვილი მაინც სცდილობს დაამტკიცოს, ვითომ ბ. თაყაიშვილს არ ეხელმძღვანელოს ჩემგან წაკითხულის და გამოცემულის ტექსტით და სხ. და სხ.

რომ ბ. თაყაიშვილი ჩემს წაკითხულზეა დამყარებული, ეს ადვილად გამოსაცნობია შემდეგის საბუთებისაგან; 1) ჩემი „ქრონიკები“ გამოიცა 1893 წ. (და არა 1894 წ., როგორც მოხსნებულია თ – ლის გამოცემაში, შენიშ. 1) და მაშასადამე ერთის წლით წინეთ ბ. თაყაიშვილის გამოცემისა; 2) ჩემის „ქრონიკების“ ფურცლები 1891 წლიდამვე მიჰქონდათ ზოგიერთ თფილისელ ხელმომწერელთ; 3) თვით ასლი ანუ ნამდვილი ტყავის სიგელი თავიდამვე მე მქონდა მუზეუმში და (1860

წლიდამ არავისთვის მიმიცია, მხოლოდ 1894 წლის დამდეგს გადავეცი ეს სიგელი ბ. თაყაიშვილს, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეეძლო ჩემი გამოცემა შეესწორებინა დედანთან; 4) მაგრამ ყოვლად შეურყეველი საბუთი წინა-თქმულისა ის არის, რომ ბ-ნ თაყაიშვილს ის ათიოდე მწვრილი კორრექტურლი შეცდომები გაუმეორებია, რომელნიც ჩემს გამოცემაში შეპარულან და სწორედ იმავე სიტყვებში: ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც გულმოდგინედ შეუსწორებს ორსავე გამოცემას დედანსა. მაგრამ უფრო თვალ-დასანახი და ცხადი ის არის, რომ ბ. თაყაიშვილსაც (სტრიქ· 30) გამორჩენია სწორედ ის თანდებული „თუ“ (ანუ „თო“), რომელიც უწინ მე გამომრჩა და იმავე სიტყვებ შუა, სადაც მე გამომრჩა. კორრექტურული შეცდომა ჩემის გამოცემისა „იოანე ურბნელი“ (ურბელის მაგიერ) ბ. თაყაიშვილს გაუმეორებია და იოანე ორბელი (იგივე ურბელი) ურბნელ ეფისკოპოსად აღუარებია *)·

უკორრექტურულო შეცდომებით გამოცემა თითქმის შეუძლებელია. თითო-ოროლა ასო თვით „დაბადების“ გამომცემელთ მოსდით ხოლმე, თუმცა ათასი თვალი უყურებს, რომ არც ერთი შეცდომა არ შეეპაროს. ჩვენ არც წინეთ გვითქვამს და არც შემდეგში ვიმედოვნებთ, რომ ჩვენგან გამოცემულ ტექსტში თითო-ოროლა ასო არ გამოაკლდეს. ჩვენ მხოლოდ იმას ვადევნებთ ყურს, რომ აზრი ტექსტისა

---

*) შენიშ. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს იმისას, რომ ჩვენგან „ქრონიკებში“ დაშვებული მწვრილმანი კორრეკტურული შეცდომები ბ. თაყაიშვილსაც გაუმეორებია სწორედ იმავე სიტყვებში და იმავე ასოებს შუა, სადაც ჩემს გამოცემაშიც შეპარულა:

დედნის სტრიქონები (ეტრატით)	დედანში ესრე სწერია:	მე და ბ. თაყაიშვილს, ორთავეს, ერთი-და-იგივე შეცდომები მოგვსვლია, სახელდობრ:
2	ლაშ(ქარნი)	ლაშ(ქარნი) (ფრჩხილების ხმარებაში).
3	უდაბნ-ო-ისანი	უდაბნისანი.
12	საც(იხის)თვოითა	სა(ციხის)თვოითა (ფრჩხილები).
27	უარის	უარი.
28	ანო (ე. ი. ანუ)	ან.
28 – 29	რა-ი-საცა	რასაცა.
30	თო (ე. ი. თუ)	ეს სიტყვა ორსავე გამოგვრჩენია.
31 – 32	წ˜დისა	წ˜სა..
37	ლ˜ა:სა	ლა:სა (უქარაგმოდ).
44	ანო (ე. ი. ანუ)	ან
45	ანო	ან
45	ანო	ან
45	ანო	ან
46	არსმცა	არ ს-ა-მცა.
53	ისკარიოტელსა	ისკარიოტელ-ი-სა.
54	ჯოარი	ჯუარი.
58	სალოცუელად	სალოცველად.
58	ევეგრესი	ევაგრესი და სხ.
61	ურბელი ე. ი. (ორბელი)	ურბ-ნ-ელი (თამარის გუჯარი).

არ დამახინჯდეს მსხვილის შეცდომებით და სადაც ამისთანები მაინც აღმოჩნდება, ბოლო სიტყვაობაში ვასწორებთ ხოლმე. – რომ უშეცდომოდ გამოცემა თითქმის შეუძლებელია, ამას მჭევრმეტყველურად გვიმტკიცებს თვით ბ. თაყაიშვილის გამოცემა: თუმცა მას, როგორც სჩანს, მზად წაკითხული, გამოცნობილი და დაბეჭდილი ტექსტი ჰქონია ხელში, თჳთ დედანი სიგლისა და მისი პოლეოგრაფიული პირიც და მხოლოდ ერთის ·უჯრის გამოცემა უკისრნია, მაგრამ შეცდომებს მაინც ვერ ამცდარა. ამ შეცდომებში იმისთანებიც მოიპოვება, რომელნიც შესამჩნევად ამახინჯებენ თჳთ ჰაზრსა ტექსტისას, მაგ.: „კრულმცა არიან (სიგლის შემშლელნი)... სულით და ჴორცით მას ყოფასა და მას საუკუნესა“. გამოდის რომ სიგლის დამარღვეველნი მხოლოდ აქაურს მიწიერს ცხოვრებაში იქნებიან შეჩვენებულნი (როგორც ეს ფრასი უკუღმართად ესმის თჳთ ავქსონს: იხ. თარგმანი მისი, გვ. 63). სიგლის აზრი-კი ის არის, რომ ამ სიგლის დამრღვეველნი შეჩვენებულნი იქმნებიანო· ამ ქვეყნიურს ცხოვრებაში („ა-მას ყოფასაც“,) და სიკვილის შემდეგაც, საიქიოშიო („მას საუკუნესა“).

რაც შეეხება იმ განსხვავებას ჩემის და ბ. თაყაიშვილის ტექსტისას, რომელიც იპოვება დედნის მეცამეტე სტრიქონში, ჩვენ ამისი პასუხი უკვე დავბეჭდეთ ზემოხსენებულს გამოცემაში („Къ матеріаламъ по Исторіи Грузіи, въ Член. въ Имп. Общ. Ист. и древ. Рос. кн. III, т. 174, 1895 г. стр. 1Ш–18·) და აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სხვა-და-სხვაობა ძველ ნაწერების კითხვისა ახალი და მავნებელი მოვლენა არ არის, არამედ ხშირი და კანონიერიც.

ბაგრატის გუჯრის დამწერი (როგორც იმ დროის მხედრული და საზოგადოდ აღმოსავლეთის მწერლობა) ძალიან ხშირად უშვებს ასოს „ა“· ამის გამო ჩვენს გამოცემაშიც ეს ასო გამოუშვით, თუმცა-კი ეს ასო უსათუოდ უნდა ეგულისხმებინა მკითხველს და არ უნდა ჩამოერთვათ ჩემთვის უმეცრებად.

ასოები „ო“ და „უ“ ძალიან ხშირად ერთი-მეორეს მაგიერ იხმარება. ნიმუშები ჩვენ კუჩვენეთ ჩვენს „ქრონიკებში“; მაგრამ რადგან ჩვენის აზრით ამ გარემოებას მხოლოდ პალეოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და არა ფონეტიკური, ამის გამო ჩვენ „ო“ „უ“-დ აღვნიშნეთ, სადაც-კი მას „უ“-ს გამოთქმა აქვს (მაგ· „ანუ“ და არა „ანო“). არც ეს უნდა ჩაეთვალოთ უმეცრებად.

სრული განმარტება ბაგრატის გუჯრისა იხილე ზემოხსენებულს ჩვენს რუსულს გამოცემაში. ხოლო ბორცვის ჯვარი რომ მანგლისის ხეობაში არის და არა არაგვისაში, ეს ცხადია ქვემო დაბეჭდილ გიორგი მეფის 1073 წლის გუჯრისაგან, სადაც მოხსენებულია „ბორცვის ჯუარი კლდეკართა ქვეშე“ (მანგლისის ახლოს), სადაც გვიჩვენებს მას ვახუშტის რუკაცა.

———————

[1]) მეორე სიგელი. ბაგრატ IV (1058 წლის ახლო დროისა):

ეს სიგელი დაწერილია ტყავზე მხედრულად, თავი და ბოლო აკლია.

სიგრძე 3 არშინი და 7 ვერშოკი, სიგანე ექვსი ვერშოკი სტრიქონი 66; ოთხი გადაკერებული ტყავი, მეხუთესი ორი ვერშოკითაა.

ეს სიგელი ოპიზართა (ოპიზის მონასტერი ბათუმს ახლოა) დ. ბაქრაძეს გამოუცია (იხ. прилож. къ V т. Записокъ Имп. Академіи наукъ, № 1. 1887). ჩვენ ხელში გვაქვს მღვ. პ. კარბელოვის წაკითხული, რომელიც უფრო სწორია და უმეტ-ნაკლო, რაისგამო ვბეჭდავთ ამ უკანასკნელს სიტყვა-დაურთავად. ოპიზის მაშენებელზე „ბაჩილაზე“ იხ. ჩემი „ქრონიკები“ 1233 წლის ქვეშე.

– – – – [მო]ვიდეს: ჩ˜ნ წ˜ე ქუთათის: სახლსა: სამკუიდრებელსა: ჩ˜ნსა: ესე მამანი: მიჯნაძორელნი: და მამანი: ოპიზარნი: და მოიყვანნეს: მიჯნაძორელთა: ხატნი: წ˜ დათა: მოციქულთა: პტრ˜სი და პე˜ლსი და ნაწილნი: წ’დისა ბართლომე: მოციქულისანი: და მოიხუნეს: სიგელნი: გურგენ: ე’ეისა: გურგენ: მეფეთა: მეფისა: პაპისა: ჩემისა: ბ˜გტ კურაპალატისა: და: მამისა: ჩემისა: გ˜ი: მეფისა; რ˜ლითა: იგი ტყენი და ზღვარნი: მოჯნაძოროისათუის: დაემტკიცნეს: და: კრულობითა მოწმობანი: კათალიკოზთა: და: მღდელთ: მოძღუართა: და მოიღეს: ოპიზართა დაწერილი: გუარამ: მამფლისა: რ˜ლითა: მას ტყესა და: ზღვარსა: მიჯნაძოროელთა: ერჩოდეს: და ამათ: მოჯნაძოროისა: სიგელთა: შინა: გუარამ: მამფლისა: დაწერლი: რ˜ლ ოპიზართათუის: დაუწერია: არა: ჴსენებულ იყო: არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად: და ჩ˜ნ: ესე შფოთი მათი გუიმძიმდა: რადგან იგი წ˜დანი: უდაბნონი: მშუიდობისა და: დაწყნარებისა: და ჩ˜ნ: მეფეთა ლოცვისათუის: აღშენებულნი: არიან: და გულსმოდგამნი ღ˜ნ: და მადლმან: მათ წდ˜თამან: ჴელვყავ ხარკებით: საურავსა მათსა: შევკრიბენ: კარსა: დარბაზისა: ჩ˜ნისასა: მღვდელთმოძღვარნი: ე˜ენი: ე’ნი: დაყ˜ლთა: ჴევთა: ზემოთა და ქუემოთა: აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი: და დავსხენით: წ˜ე ჩნ˜სა: და წავიკითხენით: მათნიცა და მათნიცა: დაწერილნი: და რლ˜ი: სიტყუისგება იყო: მათ შორის: მოვისმინეთ: და სამართლად: ესე გავიგონეთ: რ˜ლ ჴელნი ამათნი: მრ˜ვნი (მრავალნი) და მტკიცენი: იყუნეს: დაჩ˜გან მათი: გატეხა: არა: ჯერიყო: და სულსა მათ პირველთა მეფეთასა: არა დავამძიმებდით: და თუმცა: ოპიზარნი უნუგეშინისცემოდ: გაგუეშვნეს იგინი: შეწუხდებოდეს: და: ესე ჩ˜ნ: ბრალად დავინახეთ: და აწ: სალოცველად მეფობისა: ჩემისა: და შვილისა: ჩემისა: გ˜ი: კურაპალატისა: და სალოცველად: სულსა: მათ: პირველთა მეფეთასა: ესრეთ განვაგდე: და დავამტკიცე: საქმე: მათი: ტყენი: და ზღვარნი: ამათნი: ვითა: მათ; პირველთა: მეფეთა: დაწერილთა: სიგელსა: შიგან: უწერიან: ნიშნით: ზღვარნი: სამხრით: სამწყრისა: წყალია: ვითა: შავშეთის: წყალსა: ჩაერ-

თვის: და: ტახარის: კლდე: და ქედქედი: ვითა წავალს: დასავლით: უჟუანთა: ქედი: და ჩრდილოით: დიდუბისა: ხერთვისი: და საქათმის კარი: ვითა: ქედქედი წავალს: დიდი: ქედი: ერთკარი: ესე ზღეარნი: მტკიცენი არიან: მიჯნაძორო-ელთა: ზედა: და ქედსა: ამერით არაი: უც: საქმე და სასარჩლოი: ოპიზართა: სლესველთა: სათიბისაგან: კიდე: და: ამისდა: ნაცვლად; რ˜ამცა: ოპიზარნიცა: გულსავსე ვყვენ: სალოცველად: სულისა ჩემისა; თავსავე ჩემსა: დავათმინე: ავი-ღე: სამამასახლისოჲსა: სამსახურებელისა: ჩ˜ნისაგან: ბარევანი სოფელი: და მივეც: ოპიზართა: სატრაპეზოდ: და გარდავსწყუიდე: მათ შორის: საზიდი: და სარჩი-ელი: რ˜ა: ესე: ორნივე: წდ˜ანი: უდაბნონი: მშუიდობით: და უშფოთველად: იყუნენ: და: მეფობასა: ჩემსა: და ძესა ჩემსა: გ˜ი: კურაპალატსა: გუილოცვი-დენ: და: მათ პირველთა: მეფეთა; მაშენებელთა: და შემწირველთაცა: ულოცვი-დენ: რ˜ა ღ˜ნ: მეოხებითა: მათ: წ˜დათა: მოციქულთათა: და მათდა: მიმართ ვედრებითა: მათ წ˜დათა: მამათათა: დღესა: მას: განკითხვისასა: ულხინოს: ცო-დვილსა: სულსა: ჩემსა: და მიჴსნას სასჯელთაგან: საუკუნეთა: აწ ვინცა ჰნა-ხოთ: ბრძანება: და სიგელი ესე ჩ˜ნი: შემდგომთა: ჩ˜ნთა: მომავალთა: მეფეთა: ე˜ეთა: ე˜თა: ტაოისა და: კლარჯეთისა: ტანუტერთა: და ყ˜ლთა: ჴელისუფალ-თა: და საქმის მოქმედთა: დაუმტკიცეთ: და ნუვინ: ჴელჰყოფთ: შლასა: და შე-ცვალებასა: ამისსა: და უკუეთუ ვინმე: რასაცა ჟამსა: რაიცა გუარი კაცი: დიდი გინა: მცირე: ადგეს: და ამას; ნაქნარსა: ჩ˜ნსა: აქცევდეს: გამცაურისხდების: მა-მაი ძე და სული: წ˜დაი: და ესემცა: წ˜დანი: მოციქულნი არიან: მსაჯულ-ნი: სულისა: მისისანი: დღესა მას: განკითხვისასა: და ჩემნი: ბრალნი: მი-სგან: იძიენ; ღ˜ნ: და თქ˜ნ წდ˜ო მეუფეო: ქართლისა: კ˜: და წმიდანო: მღდელთ მოძღუარნო: უჯუარო[ბითა დაუმტკიცეთ]“, – – – – აქ წედება გუ-ჯარი.

ბ. თაყაიშვილის აზრით (Сигель гр. ц. Баграта IV стр. 67) ოპი-ზის გუჯრის და ზემო დაბეჭდილის შიომღვიმის სიგელის ხელი ისე ჰგვანან ერ-თი-მეორეს, რომ ორივე ერთის პირისაგან უნდა იყოსო დაწერილი. ჩვენ ხელში გვაქვს მღ. პ. კარბელოვისგან გადმოღებული პოლეოგრაფიული პირი ოპიზის გუ-ჯრის ასოებისა, რომელნიც სრულიად არ ჰგვანან შიომღვიმის გუჯრის ასოებსა და ხელსა.

———————

[1]) 1072 წ. – სიგელი გიორგი II-ისა.

სინოდალურ კანტორის საბუთებში იპოვება ტყავზე დაწერილი ძველის ლამაზ მხედრულ ასოებით ნაწერი სიგელი გიორგი II, № 35, მიცემული შიომღვიმეს პირველს წელს მისის მეფობისას, ე. ი· 1073 წ. სიგელი ხელ-მოწერილია თჳთ მეფე გიორგისგან და გაბრიელ კათალიკოზისაგან (ფოტოგრაფიულად გადმოღებუ-ლი სახე მათის ხელისა იხ. დამატებაში).

გაბრიელ კათალიკოზის სახელი პირველად გვხვდება ამ გუჯარში. თუმცა ქ.-ცხოვრებაში იგი მოხსენებულია, მაგრამ უწინ მხოლოდ არშიაზე ყოფილა მიწერილი (როგორც, მაგ., ეკ. მუზ. ხელნაწერ ქ.–ცხოვრებაში, № 131, გვ. 230) და მხოლოდ შემდეგ ბატონიშვილს თეიმურაზს თჳთ ტექსტში შეუტანია (იხ. ჩემი „ქრონიკები“, წ. I. გვ. გვ. LXV, შენიშ.). სჩანს, რომ ქ.-ცხოვრების შემსწორებელთ ეს გუჯარიც მიუღიათ სახეში.

გუჯარს თავი აკლია, მაგრამ 1850 – 1853 წლებში, როდესაც კომისია არ-ჩევდა ამ გუჯრებს, ერთს წვერს კომისიისას ჰქონია ამ გუჯრის დაზიანებული თა-ვიცა, რომელიც მას აღმოუკითხავს სადაც-კი დაზიანებული არ ყოფილა და დაუწე-რია ცალკე ქაღალდზე, რომელიც ჩვენ კიპოვეთ იმავე გუჯრებში. რაც წამკითხველს დაზიანებულ სიგლისაგან ვერ აღმოუკითხავს და ცალიერი ადგილები დაუტოვებია, ის ჩვენ აღვავსეთ მიგნებით და დიდს ფრჩხილებში ჩავსვით.

„ქ. სიგელი გ˜ი (გიორგი) მეფისა ცხირეთს ცხავარისა, გავაზისა, კო-ტმანისა, გველდესისა და სხვათა სოფელთა შინა გლეხებისა და მამულე-ბისა [1]).

ქ. მე გიორგი ბაგრატოვანმან, ნებ[ითა ღთისათა აბხაზთა და ქართველ-თა მეფემან], ძემან სულკურთხეულისა მეფისა [ბაგრატისამან და]ვწერე და მო-ვაჴსენე სიგელი ესე [ლავრასა] და [მონასტერსა] მღჳმისასა. მოვიდეს მღჳმეს ჩუენ წინაშე წმიდა მამა მი[ქელ [2]) და ყოველნი მამანი], მკჳდრნი მღჳმისანი და [მოიხუნეს] სიგელნი [მამათა და პაპათა] ჩემთანი და დაწერილნი მთავართა ყო-ველთა[და აზნაურთა| საქონელთათჳს მათთა, რომელნი [ჰქონან] ლა[ვრასა მღუიმისსა] თრიალეთს და მანგლისის ჴევს და მოგვა[ჴსენეს, რათა] იგი სიგელნი გაუახლენით და დაწერილნი დაუმტკიცენით [3]), გულგვიდგინა ღმერთმან სამლოცველოდ მეფობისა ჩემისა და მამისა ჩემისა [ბაგრატ] [4]) კურაპალატისა და მოსაჴსენებელად სულთა პირველთა შეფეთა მამათა ჩემ-თასა გაგუიახლებიან სიგელნი მამისა და „პაპათა ჩემთანი [5]) და დაგჳმტკი-

---

[1]) ეს სათაური ყოფილა გუჯრისა.

[2]) ეს მიქელ არის ის შესანიშნავი მთავარ-მამა მღვიმისა, რომელმაც დავით აღმაშენებელის მინდობილობით აღაშენა შუა ეკლესია მღვიმისა, სადაც მისი სახელი აქამდი დარჩენილა დასავლეთის კედელზე გამოქანდაკებულს ჯვარზე: იხ. დავით აღმაშენებელის გუჯარი 1223 წ.

[3]) ჩვეულება იყო, რომ ახლად ტახტზე ასულ მეფეებს დაამტკიცებინებდენ ხოლმე ძველ სიგლებს, და ეს სიგელიც განახლებული უნდა იყოს გიორგი მეფისაგან იმავე წელს, როდე-საც იგი გამეფდა, ე. ი. 1072 წ., როგორც ეს სიგელიც ჰმოწმობს: „ინდიკტიონსა: ა: მეფო-ბისა ჩემისასა“, ანუ 1073 წლის დამწყებს.

[4]) ბაგრატის მაგიერ გადაწერილში მოხსენებულია „დავით“; მაგრამ ეს ცხადი შეცდომაა.

[5]) ამ სიგელში მოხსენებული მამულები მართლა ნაყიდია მღვიმელთამიერ ფავნელისგან 901 – 941 წლებში, როგორც ეს ცხადად სჩანს ზემო-დაბეჭდილ (№ 1) და ბაგრატ IV

ცებიან დაწერილნი ყოველთა მთავართა ყ˜თა (დიდებულთა] და აზნაურ-
თა [6]) შემწირველთანი და სიგელი ესე სიმტკიცისათუის დაგუიწერიან და||მო-
გუიჴსენებიან: წდ˜ისა: მამისა: შიოსდა: და წმიდისა ლავრისა მღუიმისადა:
სო||ფელნი: და აგარნი მათნი: და ყოველნი: საქონელნი: მათნი: რომელნი სა-
მეფოსა: ჩუენსა|| შინა: არიან: – სახელდებით: ესე: აგარაჲ: – [7]) ციხედიდს: გლეხ-
ნი: და მიწაი: – ნიჩბისს||: გლეხნი: და მიწაი: – კოდალს: – და წინარევჴს: – და
შუარევჴს ადლთს (ადლეთს) შედარს: – და ძუ||ელ ღრდულეთს: – და ცხირეთს:
ცხევერი: – და გავაზელნი: – გუელდესი: – და კოტ||მანი – [8]) კლდეკართა ქუე-
შე ბორცუის ჯუარი: – [9]) და ბჭითი: – [10]) ზეგანთა: მოუგონელნი: || სვი-
ნეთს: – [11]) და ფურჴიდს: – დაფიცეს: – ესე: ყოველნი: საქონელნი: მათნი: ვითა:
თ||უით: პირველთა: სიგელთა: სწერიან: [12]) და ვითა: შემწირველთა: ჴელით
წე||რილსა: შინა სწერიან: შეუვალობისა: და თავისუფლობისა: მათისათუის: აწ
ჩუენ||ცა: მასვე: ზედა: გაგუითავისუფლებიან: ესე ყოველნი საქონელნი: მღუი-
მის||ნი: ყოვლისა: შესავლისა: და საჴევისუფლოისა: შურტათა: და ჩინებულ-
თა||გან: და: ყოველთა საქმის მოქმედთაგან: – და ვითა: სამსახურებელი ცი-
ხეთაჲ: ა||რაი: ზედა: სდებია: და ჟამთა: შლილობისათა შინა ოდესმე
მძლავრთა||: და: უღმრთოთა: კაცთა: მათ ზედა: რაიცა: ბეგარი: დაუც: და
რაიცა: || დაჭირებითი: სამსახური: უქნევია: ანუ სდებია: ესე ყოველი აგუიჴდია:
გარდაგუიგდია||: და ყოვლისაგანვე გაგუითავისუფლებიან: და ვითა: პირველთა:
სიგ||ელთა: შინა: უწერია: გაგებით: მას წესსა: ზედა: იყუნენ: და არა ვის ჴელე-
წიფების: მათ ზედა: დაჭირებითისა: და უსამართლოსა: საქმის: ქნად||: და მეუნე-
ბლე: მავნებელი: და დამაკლებელი: მათი: არ ვინ გუიბ||რძანებია: და: არცა:
მშლელი: და მქცეველი: ბრძანებისა: ამის: ჩუენი||საი: და: ესე: ამისთუის: გუ-
იქნია: რათა ღმერთმან)ღ˜ნ) მადლითა: და მეოხებითა: წმიდისა|| მამისა: შიო-
ისითა საწუთროისა: ამის: ცხორებასა: კეთილად: წარჰმარ||თოს: მეფობაი: ჩე-

---

1058 წლის გუჯრებისაგან და დამტკიცებული ყოფილა აფხაზთა მეფეთა კოსტანტინე (†908) და ბაგრატისაგან (†945).

[6]) აქედამ ტექსტი იბეჭდება ტყავის გუჯრიდამ, რომლის პირველი სტრიქონი იწყება „[აზნა]ურთა შემომწირველთანი“ და სხ. ქარაგმა-გახსნით ვბეჭდავთ.

[7]) „მღვიმისა სოფელი აგარა“ იხ. 1082 წ. გუჯ. № 36.

[8]) აქ ჩამოთვლილია ისვე მამულები, რომელიც სყიდვით მოიპოვა მღვიმემ X საუკ. (გუჯ. № 1).

[9]) ეს მამული ბაგრატ IV-მ შესწირა მღვიმეს 1058 წ. (იხ. გუჯ. № 2 და შენ).

[10]) სოფელი ბჭითი მოხსენებულია 1123 წ. გუჯარში (№ 6).

[11]) სვინეთი შემდეგ „სავანეთად“ იწოდებოდა: „კოდმანი და სავანეთის მთა“ მცხეთის (გუჯ. ნუსხა №: სიზ:.) ნუსხაში „სვიანეთათ“ სწერია.

[12]) ამ სიგლებთაგან ზემო დავბეჭდეთ №№ 1, 2, 3.

მი: და საუკუნესა: მას: მლხინებელ მექმნეს: სული||სა: ჩემისა: დღესა: მას: სა-შინელსა: განკითხვისასა: აწ ვინცა ჰნახოთ: ბ||რძანებაი: და სიგელი: ესე ჩუე-ნი: შემდგომად: ჩუენსა: მომავალთა: მეფეთა: ერისთავთ-ერისთავთა (ეე˜თა): ერისთავთა (ე˜თა): აზნაურთა მემამულეთა: და მოსაკარგავეთა: (sic) ციხისთავ-თა: || ჴევის უფალთა: მანდატურთა: შურტათა: ჩინებულთა: და ყოველთა საქ-მის მო||ქმედთა: დაუმტკიცეთ: და ნუ ვინ უშალავთ: ბრძანებასა: ამას: და გა-გებულ||სა: ჩუენსა: და ნუცა რას ვინ; დააკლებთ: ნუ დიდსა: ნუ მცირასა: თუინიერ|| შეწევნისა: და თანადგომისა: – და უკუეთუ ვინმე: რამანცა გუარმან კაც||მან: რასცა ჟამს: ჴელ ყოს და იკადროს: ამის: ბრძანებისა: ჩუენისა: შეც||-ვალებად: წმიდაი: მამაი: შიო: და ყოველნი წმიდანიმცა არიან: მოსაჯუ||ლნი [13]) და დამსჯელნი: სულისა: მისისანი: დღესა: მას: საშინელსა: სასჯელისასა: და შემცაჩუენებულ არს: მარანათა (sic): ყოველთა ღუთისა (ღ˜თისა): უარისმყო-ფელ||თა: თანა: და თქუენ წმიდაო მეუფეო: ქართლისა: კათალიკოზო: და ყო-ველნო|| მღდელთ-მოძღუარნო: უჯუარობით: და წყევით დაუმტკიცე||თ დაწე-რილი: და სიგელი ესე: დაიწერა: ბრძანებაი: და სიგელი: ესე|| ჩუენი: ინდიკ-ტიონსა მეფობისა: ჩემისასა: – ა: – [14]) ჴელითა იოვანე: (ი˜ე): მონაზონისითა:

სხვა ხელით ლამაზ მხედრულით: „ქ. ესე ვითა ზემოით: დამიწერია: მე|| გიორგის: ბაგრატუნიანსა: ჴელითა: ჩემითა დამიტკიცებია: მტკიცე არს: ო(კეთუ) ოფალსა ღმერთსა (ო˜ ო˜ო·) უნდეს“.

და ზედვე მომწვრილოდ მხედრულადვე: „ქ. კრ˜ლნ (კირიელეისონ!): ესე ვითა: ადიდენ ღმერთმან (ღ˜ნ) ძლიერსა: მეფეთა-მეფესა: გიორგის (გი˜ს) ბაგ-რატუნიანსა: დაოწერია: წმიდის შიოისთუის: და ყოველნი საქონელნი მისნი: ყოვლის შესავალისაგან გაუთავისოფლებიან: ჩუენ გ˜ბრიელ: (გაბრიელ) ქრი-სტეს (ქ˜ეს) მიერ კათალიკოზი (ქკ˜ზი) მოწამენი ვართ: მტკიცე არს ბრძანებაი მათი ნებითა ღ˜თისათათა და ვინცა მშლელ და დამაქცეველად გამოჩნდეს: კრულმცა არს დაუსაბამოისა: ღ˜თისა სიტყუითა: წმიდისა კათოლიკე ეკლესი-ისა მადლითა და – – – – ვინ კულა მტკიცე [ჰყოს] ღმერთმან აკორთხენ – – – – ა˜ნ. [15]).

———————

[5]) 1082 წ. – გუჯარი მეფის გიორგი II-ისა.

ტყავის გუჯ. სინოდ. კანტორისა № 36, ლამაზ მხედრულ ასოებით დაწე-რილი (იხ. „ქრონიკები“ II დამატება) მეათე წელს მეფე გიორგი II-ის მეფობისას,

———————————

[13]) ე. ი. მსაჯულნი.

[14]) ე. ი. პირველსა (იხ. შენიშ. № 3).

[15]) ამით თავდება ეს გუჯარი; მაგრამ მეორე პირზე სიგელს აქვს შემდეგი წარწერები: 1) მხედრული XI – XII საუკუნისა: „სიგელი გი˜ [მეფისა] თრიალეთ და ტორნის-ჴეუს სო-[ფელთა]“ - - - - - 2) ხუცური წარწერა XIII საუკუნის „სიგელი ესე ცხირეთისა, ცხავერისა,

ე. ი. 1082 წ. რომ აქ მოხსენებული მეფე არის გიორგი II და არა სხვანი, ამას ჩვენ (გარდა სიგლის პოლეოგრაფიულ თვისებათა და მისის მწერობითის ფორმისა) ვასაბუთებთ თვით შინაარსით: 1) ამ სიგელში მოხსენებულია, რომ მღვიმის სოფელს აგარას მეფის ბეგარა ედვაო. მაგრამ დავით აღმაშენებელის მიერ მიცემულის სიგლის შემდეგ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მან გაათავისუფლა ყველა მღვიმის მამულები ყოველ გვარ სახელმწიფო და კერძო ბეგარათა და გამოსაღებისაგან (იხ. ქვემო გუჯ. 1123 წ. – 33); 2) მღვიმის საქმეს, როგორც ამ გუჯრიდამ სჩანს, განაგებს „მამათ-მთავარი იოანე ქართლისა მთავარეპისკოპოსი“ („ინე: ქ: მე˜სი“), რომელიც შუამავლობს მეფის წინაშე მღვიმის მამულებზე. მაგრამ დავით აღმაშენებელის „ანდერძის“ შემდეგ მცხეთის კათალიკოზებს წაერთვათ ყოველივე უფლება მღვიმის მონასტერეზე, რომელსაც მას უკან განაგებდენ თჳთ მემღვიმენი და პირ-და-პირ მეფისგან მიჩენილი სმღვდელო პირნი, როგორც სტავროპიგიულ მონასტერს (იხ. იგივე 1123 წ. „ანდერძი“). შიომღვიმის ესრეთის თავისუფლებით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ თვისის ტახტის დამტევებელნი კათალიკოზნი (მაგ. არსენი XIII საუკ.) და ეპისკოპოსნიც. ამ ლავრაში, როგორც კათალიკოზთაგან დამოუკიდებელ მონასტერში, ატარებდენ დანარჩენს დროს თვისის ცხოვრებისას. ეს საბუთებიც საკმარისად მიგვაჩნია იმისთჳს, რომ ეს სიგელი არ მიეწეროს გიორგი III-ს და მით უმეტეს გიორგი ლაშას, რადგან, შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ ამის ბრწყინვალე მეფობის დროს დარღვეულ იყოს „ანდერძი“ დავით აღმაშენებელისა და შიო მღვიმეს დაეკარგოს უპირატესი თვისი უფლება – მცხეთისგან დამოუკიდებლობა: 3) აქ მოხსენებული მკზ˜ი იოანე მერე კათალიკოზად იჯდა (ქ.-ცხ. I. 240 – 245).

ქარაგმები გავხსენით, ორ-ორ წერტილები გამოუშვით გარდა პირველის სტრიქონისა; ხოლო სამ-სამი წერტილი-კი დავტოვეთ.

„სახელითა: ღთისათა: ესე: ბრძანებაჲ: ჩემი არს გიორგი (გ˜ი) ბაგრატუნიანისა, ნებითა ღვთისათა აბხაზთა და ქართველთა, რანთა კახთა და სომეხთა მეფისაი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმყრობელისაი: – [მო]გუაჴსენა ქრისტეს გამორჩეულმან სასომან და მეფემან (sic) ჩ˜ნმან წმიდამან მამამთავარმან იოანე ქართლისა მთავარეპისკოპოსმან (ი˜ნე: ქ: მესმან) *) უდაბნოისა მღუიმისა სოფლისა აგარისა საქმე და გუეჰაჯა რომელი ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედ ედვა ფუძესა ზედა, რათამცა იგი გაუ-

---

ჯუარისა, კოტმნისა და კლდე-კართა გარეშემო სოფლებისა და [გლე]ხებისა“ 3) სხვა მერმინდელ ხელით: „სიგელი ჭიტებისა“ ; – „სიგელი ადლეთისა“ „სიგელი ესე ცხირეთისა ჯვარი, კარტმანი და კლდე-კართა გარეშემოთა სოფლებისა“. ნუსხაში: „ქ. სიგელი გიორგი მეფისა ცხირეთ ცხავარისა, გავაზისა, კოტმანისა, გველდესისა და სხუათა სოფელთა შინა გლეხებისა და მამულებისა“.

*) ეს უნდა იყოს ის იოანე, რომელიც შემდეგ გაბრიელისა კათალიკოზად დაჯდა და რუის-ურბნისის კრების თავმჯდომარე იყო (ქ.-ცხოვრება I, გვ. 242).

შუით სალოცველად მეფობისა ჩუენისად: – ჩუენ ვისმინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი მისი იუვანე ქართლისა მთავარ ეპისკოპოსისა (ი˜ნე :ქ˜: მესისი) და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რომელი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიმისა სოფელსა აგარასა, რაც მღუიმისაი არს საკუირაუისა გლეხითურთ და ამისთუის გუიჩინა მწირველი და გაგუიკეთა საწირავად ჩუენთუის ათორმეტნი საუფლონი დღესასწაულნი და მარხვათა შაბათ-კუირიაკნენი. ესე ჩუენთუის განჩენილი არ-ოდეს დაეცადოს, ვიდრემდის იგი უდაბნო ეგოს და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მაგნებელი და დამკლებელი მისი. აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი საგამგეოისა ჩუენისა მოურავთა, მუხნარისა ციხის თავთა, მეზროხეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, დაამტკიცეთ და ნუმცა ვის ჴელგეწიფების შლად და ქცევად ბრძანებისა ამის ჩუენისად.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათესა, ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა მიქაელ კატარაწის ძისაითა: –

ზედვე ხვეულად, სხვა ხელით: „მტკიცეა ნებითა ღთისათა“: – (ეს თჳთ მეფის ხელია),

სათაური სიგლისა: „სიგელი აგარისა მართალი და ჭეშმარიტი“.

იქვე მე-XV საუკუნის ხელით მხედრულად, ნაწერი გადასულია და ზოგან გამოიცნობება: „- - - ახატანური: ისა - - ერთი ქანდა - - სხალტბური ერთი: ახატანური თავი: სიგელი: სხუა ერთი: სიგელი ქალაქისა მამულისა და კართა: ერთი: სიგელი სხუა: დაოთური ერთი: - - ლ შიოს: უბნური; ერთი სიგელი თელეთური: სიგელი სხლ - - ური სხუავი (?) სიგელი ძალური; რუსხმაურისა: სიგელი ერთი: მამულთა თარხანობისა: სიგელი ქალაქურისა წ˜ყლისა: სიგ - - - იმერთა: ლომა ლომას ძეთა:.

---

[9]) – მეფის წ˜ა დავით აღმაშენებელის ანდერძი, შიომღვიმისდა მიცემული 1123 წ.

საქართველო-იმერეთის სინოდ· კანტორის გუჯრებში იპოება ძველი ხუცურად ტყავზედ ნაწერი სიგელი, სიგრძით სამი არშინი და სიგანით 6 ვერშოკი. თავი და ბოლო სიგლისა წარწერილია თჳთ დავით აღმაშენებელის ხელით მხედრულად. ეს შესანიშნავი საბუთი უკვე გამოვეცით რუსულ-ქართულად და სრულის განმარტებით საეკლესიო სიძველეთა მოტრფიალის, ყოვლად უსამღვდელოესის გორის ეპისკოპოზის ალექსანდრეს სურვილით და მისისავე ხარჯით ცალკე წიგნაკად: „Завѣщаніе груз. царя. св. Давидв Возобновителя Тиф“. 1595 г. ამის გამო. აქ ამ საბუთს ვბეჭდავთ სიტყვა-დაურთავად და ქარაგმების გახსნით.

[ნე]ბითა ღვთისაითა შედაის შეწყის(? [1])

ჟამსა ჩემსა შარვან[სა ზედა] გა[ნმა]რთვისასა შევევედრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამას შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ-მიერ აღშენებული [და]სრულებულად; და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაჲ, და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა. [ხოლო] დაკლებული სისწრაფისაჲ არს. თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს; თუ არა, ესე იყოს აწინდელი. – ვინათგან მსთუადმან წყალობად და სულ-გრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა და წყალობითა სიყუარულისა თჳსისა მიმართ მიმზიდეელმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აჩუჩნა მიუწდომელნი ქველის-მოქმედებანი, რომელთათჳს ყოვლად უმადლოი ესე ჯერისაებრ ვერ-მმადლობელიცა არა მომიძაგა და არა დააცადა ჩუჩულებითი წყალობაჲ, დღეს-დღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რაჲმე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა. თვით იგი ოდეს მარწმუნა (sic) მის-მიერ განგებულსა მეფობასა თჳსითა რაჲთამე განგებითა არა-უღირს-მჩენელმა შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაითგანვე აღიღო ჴელი სიტკბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა, და თჳთ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად; ცხადთა წინააღმდგომთა განმგეობისა თჳსისათა მისცემდა მოსასრველად; იდუმალთა კუალად ზაკუვისათჳს შორის მფარეელთა არა შეუნდობდა სიცბილად, რომელთა თანად თჳთ მიიღეს ზაკუვისა მათისათჳს საცთური; – და ერთმან მათგანმან, ძაგანმან, შემაწუხებელმან ღთ˜ისა და მონათა მისთამან, მძლავრებით ღეთისაცა არა-მრიდმან, თანავე ძისა თჳსისა მოდისტოს, წინა-უკმ ოჲსა მღდელთ-მოძღურისა, რომელმან ერთმან პატრონთა თჳსთა წყალობაჲ მათ ზედა საისრელად აღმახუა, ხოლო მეორემან ღმერთსა, და გ(ან)კუთენითა ეკლესიები საზეზთ-მჩენოდ თჳსად მიიტაცა; რომელნი ესე არა ითნნა ესრედ ყოფად საშჯელმან გამოუძიებელმან, – ცხად არს, რამეთუ ღ˜თისამან; – და არცა მიუშუა კუჩრთხი ცოდეილთა ნაწილსა ზედა მართალთასა; მწყემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა-მიერ დაემკუაჲ, და ძაგანი, მღუიმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან; რომელსა შინა არა-მცირედი ერთგულება აჩუჩნეს ჩუჩნდა მომართ მამათა მემღჳმეთა; რამეთუ იხარებს მართალი, რაჟამს იხილოს შურისგებაჲ. მადლობა აღუვარე დამბადებელსა ღმერთსა და თაყუანისვეც ღმერთ-შემოსილისა წმიდისა მამისა შიო˜ს საფლავსა. ვიხილე წმიდა მთავარ–მამა, მემღჳმე მიქელ, და სულითა ღვთისაჲთა განათლებულნი მამანი; განვიშჳ სულითა საწადელისა მისთჳს კრებულისა და მხიარულებით აღვივსე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათჳს, მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ

---

[1]) ეს ოთხი სიტყვა მხედრულ ასოებით არის დაწერილი, როგორც ეტყობა, თვით დავით აღმაშენებელის ხელითა; ამისი შემდეგი-კი ბოლომდე ხუცური ხელია. რას ჰნიშნავს „შედაის შეწყის“ ჩვენ არ ვიცით.

საშუალ მონასტრისა, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღეთის-მშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად ვიხილე. – მიბრძანა სასომან ჩემმან, ბერმან არსენი, და თჳთ სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან, ი˜ე(იოანე), რათა-მცა წესსა ზედა სჳმონ–წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღჳმისა წესნი, რომელი თჳთ მათ-მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუჱნიერად, უცთომელი გზა და წესიერი ცხორებაჲ და ანგელოზებრი მოქალაქობაჲ, რათა ღვთისათჳს ოდენ განკუ[თნვილ]ნი, მას მხოლოსა, თჳნიერ საწუთუთაჲსა, ზრუნვასა ჰზრახვიდენ [და წინაშე ღეთისა] მეოხებად კადნიერ იყენენ. – შეწევნითა ყოვლად სახიერისა ღვთისაჲთა და მადლითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისაჲთა და მეოხებითა შესავედრებელისა ჩემისა წმიდისა შიოჲსითა მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა, ჩემ-მიერ აღშენებულსა] თუ მე ღირს-მყოს ღმერთმან ენკენობაჲ მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელებაჲ მისი, თუ არა – არსენი ბერსა, რომელ აქუს კოსტანტი და პერპერაჲ, კალაპოტი გამოუყარონ, მოლესენ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დ˜ტე (დემეტრე), თანადგომითა კურთხულის მწეთ-უხუცესის (კთ˜ლის მ˜წ უხუცესისა) და ჩემთა ბერთაჲთა, აკურთხონ ჴელითა იოანე ქართლისა კა-თალიკოზისათა (ი˜ნე ქ˜ კზ˜ისათაჲ), თანა-დახუდობითა იმერთა და ამერთა ყო-ველთა ეპისკოპოსთაჲთა. – ვითარად მამათაჲ და პაპათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათჳს მათთა წმიდასა ამას უდაბნოჲსა, რაჲცა სიბოროტითა ჟამ-თათა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვიეთმე და თჳთ ძუჱლი და ძუჱწლის-ძუჱლი ნას-ყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყინლად კულა მომი-ჴსენებია წმინდისა მამისა შიოსათჳს. – ქალაქს ტფილის, რომელი სპარსთა ქო-ნებასა ჰქონებია და რომელი აწ უყიდია და რომელი მე მომიჴსენებია იგი და ანუ წაღმართ მოიგონ იგიცა, ყუელაჲ უბაჟოდ და უსუხრაოდ (sic) ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს. ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა მეუფესა იოვანეს ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესი-ისა ჩემისა-და, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან, მღჳმისა საშჯულოჲ სამრებლოჲ არს ყოველგან, თჳთ მემღჳმისა დიაკონმან მოისა-მართლოს და ეკლესიისა ზეთადა მოიჴმაროს *); და ამისთჳს რომელ მიჰრონსა, ქართლისა კათალიკოზი (აძლევს) ჩემსა ეკლესიასა შინა სახელი მისი მოიჴსე–ნებოდეს პირველთა თანა მღდელისაგან. – ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კან-დლები, რომელი მე მომიჴსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცა ვის უკადრებია გამოღებაჲ; სასანთლები, სიწმინდის სამსახური და რაიცა უნდა მი-სთჳს, ოც-და-ათი ლიტრაჲ ვეცხლი წმინდისა არსენის ჴელსა არს. – ცჳლი, ვი-თა გამიჩენიან ვაჭართა ზედა ჟამად-ჟუმადი, იგი ამსახურონ. – საზრდელი ძმა-თა – პური, ხილი ფურნისაჲ, ხუთასისა დრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდე-

---

*) ეს. ფრასა სიტყვა-სიტყვით მოყვანილია დოსითეოს ფიცხელაურის განცხადებაში 1806 წ., 14 მაისს, გუჯ. № 46.

ბის. – სამდღვიროდ ღჳნოჲ ჟამსა სთულისასა, შემსგავსებულად მოსულისა, შინათ მოართუან მსახურთა მონასტრისათა ყოველთა ერთი საწყავი. ეგრეთვე სხუა ყოველი საჭიროჲ საჴმარი შემოსავალთაგან მონასტრისათა. – სხუა ნაბჭობი და ქულბაქთაჲ და საზეთეთაჲ და წისქჳლთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფოდის. – ოც-და-ათი ჯორი, რომელი აწ მე მომიჴსენებია, ამას ნუ დააკლდების. – ძუწლითგან ვითა სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ სამი-ათასისა ცხურისაჲ მთასა და ბარს, აწ მე მომიჴსენებია ორი ათასი ცხუარი; და ხუთი ათასი ცხუარი თჳთ სასეფოჲ მონასტრისაჲ და მათთა მეცხოვრეთაჲ (sic) უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყინელად დგეს და იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუწრდით, და ამისი გამოსავალი ცხუარი ჯორსა იყიდდეს, მატყლი მსახურთა მონასტრისათა და წუწლაჲ ძმათა მიეცემოდის. – ასი ფური მომიჴსენებია, რომელ თრიალეთის მთასა, სოფელსა ბჭითს და ბჭითს ზეითს სოფლებს და მათსა საფურესა მუხნარს დგეს. მომეტებული ზროხაჲ ჯორსა და ცხენსა მონასტრისა სამსახურებელსა იქმოდეს. კარი სამცხოვრებელთა სამუშაოთა ადგილთა მოაჴმარონ. – თუალი და მარგალიტი ჩემისა ხატისათჳს რომელი დამიც და ორნი ბროლისა სასანთლენი მას ემსახოროს (sic) უკლებად. – ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუწმი სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიჴმარებოდის. – სხუაჲ ჭურჭელი, იავარი სპარსთაჲ, რომელი არსენისდა და ივანესდა მიმითვალავს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს ძე,ან ჩემმან დემეტრე. – ძელი ცხორებისაჲ და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სავსე, ესე თჳთ ამას ჩემსა ეკლესიას ტფილსა სეფისკუწრსა განუყოფდენ საჴსენებელად ჩემდა. და პირველისა შვიდეულისა პარასკევსა თითო კარასეული მიეცეს, სეფისკუწრსა და თესლსა-თანა შესუან და მილოცონ ესრეთ: „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისან!“. – მემსგეფსე ყოველთა კვირიაკეთა ჩემთჳს წირვიდეს ჩემსა ეკლესიასა შინა და მამაჲ მემღჳმე მას დღესა სერსა უყოფდეს. – რომელსაცა დღესა ჩემი განყოფაჲ იქმნას ჴორცთა ამათგან უბადრიკთა და მრავალ-მცოდველთა, ღამის თევაჲ და ლოცვაჲ ყონ ყოველმან სიმრავლემან, და მას დღესა ჟამის-წირვაჲ ჩემთჳს აესრულებოდის. – სოხასტერი, ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია და მე ხუდაბუნი შემიწირავს წმიდისა სჳმონ საკჳრველ-მოქმედისა-და, რომელმან სამისა დღისა მკუდარი აღადგინა, იგი, ვითარცა ატჳთ არსენი განაწესის, ეგრე იქნას (sic). გარნა ჩემ-მიერ ესე ოდენი, რომელ შემდგომად არსენისსა განკრძალული მღდელი იყოს მაჴსენებელი ჩემი შეუცვალებელად. – ტფილის საამიდოჲთ, ვითა სხჳთაცა ნიშნითა თჳთ ჴელითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰკანა მღდელთა და მგალობელთათჳს, ნუ-ვინ დააკლებს მათ; დღესა, რომელსა მომიჴსენოს ღვერთმან, გაიყონ მღდელთა და მგალობელთა. – ვითა აწ არსენის გაუწესებია ყოველთა კჳრათა ღამე-ყოველ ღამის-თევაჲ, ნუ ვინ შესცვლის ამას წესსა. – და ტურათის უბანსა რომელ მეზურენი დაუ-

სხმან და ზუარნი და მიწანი, ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ კჳრაჲს ძალითა და თითო კარასეული ღჳნო. – ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძუწლითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძაჲ, მით რომელ სხუათაცაჲ ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩუენი ერთგულობა. აწ ძაგანმან სადგომად საებისკაოსნიცაჲ უდიდესნი გარნა (გახადა?) სამთავროდ თჳთ ადრითგან მამაობასა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ და მცხეთისა საქონელნი მრავალნი დაემჭირნეს და წილკანი საყდრისა. მონასტრისა რაცა იყო მთასა ციხე, მარანი ანუ მატური იგი სოფელი და მღჳმე-მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თჳთ. ოდეს მოიქცეს სალმობა მისი თავსა მისსა, ყოველი ყოვლითავე უკუნით ეცით საქონები მისა-მიმართ [მი]თჳსებული და მღჳმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუწნილი, ვითა მამისა ჩიმისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია. აღარ ოდეს მიგეღოს იგი და არცარა ვის სხუასა საქმე უც მღჳმესა თანა და არცა მღჳმისა ქუაბთა, ვითარ იგი თჳთ სანატრელისა მამათა ნათლისა შიოჲსა ანდერძში სწერია, უფალი მღჳმისა ღ˜თა (მღჳმეთა?) მეუფე წმინდა მამა შიოჲ და მეფეთათჳს ლოცვა აღასროულონ, ვითა თჳთ წერილნი წმიდანი უმოძღურებენ და ეითა თჳთ იგინი თჳნიერ მეფეთა საწირავისა საქმე ყოფილა მღჳმესა თანა არცა-ვის აწ უც საქმე თჳნიერ ლოცვისა და შეწირვისა. აწ სვიმეონ (ს˜ნ) ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ რაც საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩვენ ვერ მივიწინეთ; და შემდგომად მისსა თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხუჲ მწეთ-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის. – და თჳთ ძუწლთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთა ჴელნი ვითარად ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზის საქმე არს მღჳმესა ზედა, არცა ვის სხჳსა ეპისკოპოზისა არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანისა მგეთა; არცა მღჳმისა შედგომად ვის აქუს ჴელმწიფებაჲ, არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთაჲ თანა ვის საქმე უც. და ესე ჩემგან აღშენებული ეკლესია ნიჭად ჩუწნობისად (ჩ˜ნობისად) კმა ეყოს ყოველთა. – ოდეს მუხრანს ვიყვნეთ წმიდისა შიოჲს ხატსა შეგუამთხჳნენ; სამი სეფისკუწრი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გჳევლოგიონ. მთავარმან მემღჳმემან (მოასვენოს) ჯუარი მისი, მას გვაამბორონ, ჩუენ პატივსცეთ, ვითარცა სულიერსა მამასა ჰშუენის, საჯდომელითა და სერითა. – თჳნიერ ერთი *) მიიცვალოს, ვითა თჳთ წესი არს მის წმიდისა შიოჲს საფლავსა ზედა წილგდებაჲ **), ამით სხუაჲ განაჩინონ და ჩუწნსა დარბაზსა მოიყვანონ, და ჩუენ არგანი მოვაჴსენოთ და შევჰვედროთ მონასტერი. – და თქუწნ, შემდგომად მეფენო! ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შეჰგვედრებ წინაშე ღვთისა შეკრებასა ჩუწნსა, რომელ არ-სირცხჳლისა თანამდებ

---

*) აქ განახლებულია ნაწერი. წინეთ იქნებოდა: „თუ მთავარ-მამა“.

**) ეს წესები აღწერილი ყოფილა იმ ნაწყვეტში „უდაბნოს წინამძღვრის რიგისაში“, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ და ამ „ანდერძის“ ქვემოდ ვბეჭდავთ (გვ. 20 – 21).

იხილვნეთ ღვთისა და ანგელოზთა მისთაგან. – მოიჯსენეთ ვერდი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს; ჰნახევდით გულს-მოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყვნევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა. – და აწ შემდგომად ამისსა ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოზმან გინა მონაზონმან, გინა ჴელისუფალმან-ვინ, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუღოს ანუ ქრთამისათჳს, ანუ თუ თჳთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღვთის-მსახურებასა რასმე აჩუჱნებდეს, ანუ მღჳმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ თავისათჳს რადმე მოსაჴმარებლად, ანუ გარეშე მონასტრისა მწეთ-უხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაჲ გუარი, გინდა ვინ იყოს, – პირველად შენ, დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღმერთო, მიაწიე რისხვაჲ შენი დაუსრულებელად მას ზედა; ნუმცა უხილავს ნათელი ღვთაებისა შენისაჲ; ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი, ნუცა ცუარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქუჱყნისა. იყავნ სამკჳდრებელი მისი ოჴერ და ნაშობნი მისნი შოსასრველ. მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვაჲ შენი ეწიენ; გონებისა, ცნებისა და ხედვისაგან ოჴერ ყავ იგი, ღმერთო. ხოლო შენ, ყოვლად წმიდაო ღთისმშობელო, განყოფასა მისსა ჴორცთაგან, განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებელთაჲსა და შური იძიე ვითარცა მგმობარსა შენსა ნესტორს ზედა. ხოლო შენ, წმინდაო ღმერთ-შემოსილო მამაო შიო, ოდეს დასჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოელთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდეგ და განჰსაჯე და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა ეგრეთ შური იძიე პირითა ღვთისაჲთა. – უკეთუ ჟამი მოიცეს ღმერთმან და სხუაჲ უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქუჱნ თქუჱნმიერითა კანონითა უჯუარობით, წყევითა და შეჩუჱნებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღდელთ-მოძღუარნო; და თუ სიტყჳსა დაწერად ჟამი აღარ მომხუდეს, თჳთ ესე დაამტკიცეთ, და რაჲთაცა რას ვინ მღჳმესა დააკლებდეს, კანონითამცა თქუჱნ-მიერითა კრულ არს გაუჴ სნელად“.

შემდეგ ზედვე მსხვილი და ლამაზი მხედრული წარწერა თჳთდავით აღმაშენებელისა (რომლის პოლეოგრაფიული პირი იხ. ქვემო): „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო მტკიცე მტკიცედ აქციე“.

———————

7) – წინამძღვრის რიგი.

ამავე დროს უნდა ეკუთნოდეს „უდაბნოს წინამძღვრის რიგი“, რომლის ნაწყვეტი ჩვენ ვიპოვნეთ მცხეთის ხუცურად ნაწერს ნუსხაში, № სლვ. როგორც ამ „რიგის“ შინაარსიდამ სჩანს, ის დაწერილია ანუ „გაჩენილი“ მამის სვიმეონისაგან. ეს სვიმეონ უნდა იყოს სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი, რომელსაც დავით აღმაშენებელმა ზემო დაბეჭდილის ანდერძით მიანდო გამგეობა შიომღვიმის ლავრისა და რომელსაც ამის გამო სრული უფლება ჰქონდა წესდებანი „განეჩინა“ ბერების-

თვის (იხ. „ანდერძი“ წ˜ის დავით აღმაშენებელისა). აი თჳთ ეს ნაწყვეტი, რომელსაც თუმც თავი აკლია, მაგრამ მაინც საყურადღებოა ჩვენის ეკლესიის ისტორიის მკვლევართათჳს:

ƀƀƮ: „უდაბნოს წინამძღვრის რიგი. თავი აკლდა“.

- - ვ˜ა ქ˜ეს ღთისაგან და ყ˜დ წ˜ისა დედოფლისა ღთისმშობელისაგან გამორჩეულ არს თქუენდა წინამძღურად მოვლინებულისა და ჰნებავს ღ˜ა და საწინამძღურო კურთხევა ჴელთა მიეცით. და საჴდომსა და პატივსა დაისვას და იოს უცვალებელად, არა თუ გამოჩნდეს მისთანა საქმე წუალება, მონასტრისა ორგულობა ანუ მეფეთა ღალატი და რჯულისა შეცოდება. თუ მას ეს არა სჭირდეს, დაემორჩილოს ყ˜ი, ვ˜ა ქრისტესა ღ˜სა და ვ˜ა თჳთ ღ˜ა ვერ ვინ იკადრებს უნებლისა მისისა, ვინცა იკადროს წინააღმდგომი არს ღ˜ჲ, ვ˜ა თჳთ თავადი ღ˜ი ბრძანებს, ვ˜დ რ˜ნ თქნ˜ი არა ისმინოს, ჩემი არა ისმინოს, და რ˜ნ თქუჳნ შეურაცხ გყოს, მე შეურაცხ მყოფს; და მოციქული იტყჳს, ვ˜დ დაემორჩილენით წინამძღუართა თქუჳნთ... ეგრეთვე უჴმს წინამძღუართა ღს˜ა მიერ გამორჩეულთა მწყემსსა და მოძღუარსა მათსა. ეგრეთვე დეკანოზი მოაკლდეს, შეკრბენ ძმანი წ˜ე მამისა და წინამძღურისა და მოძღურისა და გამოარჩიონ იმავეწესითა, რომ ზემო სწერია, ისრე იმას დააყენებს და პატივი - - დეკანოზისა რომელ ღ˜ის მსახურებდეს ეკლესიათა. ეკლესიასა შ˜ა შემოვლად, დადგომად ეუბნებოდეს, ანუ შინა შევა და ლოცვასა იჩემებს და სხუათა ეუბნების და ღთისა წინააღმდგომთა და შეურაცხის მყოფელთა თანა დაისაჯების. ესრეთ ეკლესიად შესრულთა ეუბნების, მათ ლოცვა ჰგონია და ლოცვა არა არს. საუფლოთა (სოფლიოთა?) და ჴორციელთათჳს მოსრულმან ყ˜თა ზრახუჳნ და ეუბნებიან და ესრეთ იქმნების ღთისაგან რისხუა ზრახვითა და უწესოდ დგომითა ეკლესიათა განიდევნოს და იკ˜ონიქი (sic) არა მიხუდეს ძმათაგან სამ-დღე და ეკლესიათა კართა დგომასა იყოს სამდღე და შენდობასა ითხოვდეს ყ˜თა მათგან საღმრთოთა კრებულთა ძმათა; შენდობა მისცენ, მწუხრი და იკონივი მისცენ. დეკანოზის მეტისა კაცისაგან საუბარი არა იკადრების, მანცა თუ დაჭირება იყოს, ვინცა ლოცვა მოშალოს, განიკანონოს მოძღურისაგან, წინამძღურისა და მოძღურისა და დეკანოზისა ჴელთა არს ეკლესიისა საქმე და ძმათა სულიერთა, ამათ სამთა ჴელთა არის. ეკლესიისა საქმე რაჲცა დააკლონ ღ[მერთმან მათ] ჰკითხოს.

ესე განაჩენი მე მმ˜ნ ს˜ნ (მამამან სჳმონ) – – – – *) ხოლე გავაჩინე. ვინცა ესე ზემოწერილი გაათაოს და ისმინოს, ღ˜ნ მისი ლოცვა ისმინოს. (ხოლო უკეთუ) დიდმან ანუ პატარამან რამანცა კაცმა მოშალოს ანუ დიდებულმან, ანუ აზნაურმან, ანუ მონაზონმან, ანუ ძმათაგანმან დაუჭირებელად მოშა-

---

*) ეს სიტყვა ჰკლებია, რადგან ნუსხაში ცარიელი ადგილია დატოვებული. აქ უნდა წერებულიყო „ბ ე დ ი ე ლ-ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ“, რომელსაც, როგორც ვთქვით, მეფისგან ჩაბარებული ჰქონდა გამგეობა შიომღვიმის ლავრისა.

ლოს, ამა სოფელსა შერცხუჱნითა და სიკუდილითა ჰკითხოს და საუკუნოდ წარწყმედითა ჰკითხოს სულსა მისსა. ა~ნ“.

———————

8) – წ~ისა დავით აღმაშენებელის გუჯარი.

ამავე დროებს უნდა ეკუთვნოდეს დავით მეფისაგან მიცემული შემდეგი მოკლე გუჯარი, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ მცხეთის გუჯართა ნუსხაში, № :ტნბ: და თუმცა შიომღვიმეს არ ეკუთვნის, მაგრამ აქ ჩავურთეთ დაუკარგველობისათვის. რომ ეს გუჯარი ეკუთნის დავით აღმაშენებელს და არა დავით IV-ს, ანუ სხვათა, ამის საბუთად მოგვყავს ჩვენ: 1) თჳთ ენა და დამწერლობითი ფორმა (მოკლე-სიტყვაობა) გუჯრისა; 2) გუჯარში მოხსენებული გვარი არიშიანი ცნობილია ქ.-ცხოვრებაში მხოლოდ მე-XII საუკ. (ქ.-ცხ. I, 242, 283, ჩემი „ქრონიკები“, I, 274). არიშიანნი სცხოვრობდენ კახეთში და ერთმა ამ გვართაგანმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა მეფე დავითს კახეთის დაპყრობაში (ქ.-ცხ. I, 242), და ამ დროიდამ მათი გვარი იჭერს საპატიო ალაგს მე-XII საუკ., მაგრამ შემდეგს საუკუნოებში არ სჩანს; 3) გუჯრიდამ სჩანს, რომ ნიანია დიდად დამსახურებულია მეფის წინ ლაშქრობით, დაბერებულა და „ლაშქობა აღარ შეეძლო:, ამის გამო მეფე ათავისუფლებს მას და მისს მამულებს ყველა სახელმწიფო სათხოვრისაგან. რადგან დავით IV-ს დროს კახეთი ესრე მკვიდრად არ იყო დამოკიდებული მეფისგან, ამის გამო აქ მოხსენებული მეფე უნდა იყოს აღმაშენებელი დავით. აი ტექსტი გუჯისა:

„ქ: სახელითა ღვთისათა დავითისაგან, ნებითა ღ~თისათა აფხაზთა, ქართუჱლთა, რანთა და კახთა მეფისა.

აწღა მოვიდა ჩუენ წინაშე არიშიანი და გუეაჯა, რათამცა გაუშჳთ და გაგათავისუფლეთ ნიანია გრიგოლ მოოჯრებულის შჳლი მისითა მამულითა ვეძისჴევითა, ვინადგან ადგილიცა ზითვად ჰქონებოდა და ჩუენიცა დიდად ნამსახური და ბევრი ვალი იყო, ლაშქრობა აღარ შეეძლო. აწ გაუშვი ნიანია მისითა მ[ამულითა ზ]ითვად ნაქონებითა ვეძისჴევითა და გაგჳთავისუფლებია ყოვლისა გამოსავლისა და შესავლისა საჴელმწიფოჲსა და სათხოვრისაგან ყოვლისა“ (გათავდა).

———————

9) – თამარ-მეფის სიგელი.

1190 წ. – ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი ს. კანტ. ტყავის გრძელი სიგელი № 64, (სიგრძით 2 არშინი და $1^1/_2$ ვერშოკი; სიგანით· $4^1/_2$ ვერშოკი) რომელიც ხელ-მოწერილია თამარის დროინდელ ისტორიულ პირთაგან: ჭიაბერისაგან, შოთასაგან, თეოდორე კათალიკოზისაგან და სხვ. სიგელი დაწერილია მხედრულად:

„ - - - - - - - - ყ~დ წ(მიდისჯა) - - - | - - - - - - თა; რომლისაგან:

შეისხენ | ჯორცნი: ქ˜ტემან: ღ˜თნ ჩუენმან: და: კ˜დ: შ˜დ: შობისა; მშობელი | ქალწულად: დაიცვა: ძალითა: ცხუვლს (sic): მყოფელისა: პატიუსნისა ჯ[უარი]||სა ძელისა: ცხორებისაითა: რომელსა ზედა: განიპყრნა: უხრწნელნი: | მკლავნი: თუისნი: ქ˜ნ ღ˜ნ: ჩ˜ნმან ჴსნისათუის ჩ˜ნისა: (აქ განგებ გამოვუშვით 12 სტრიქონი). . . მეოხებითა და თანამოქმედობითა წ˜დისა და ყ˜დ სანატრელისა: მამისა: ჩუენისა: შიოსითა:| რომლისა მიმართ: არს სასო(ე)ბაი: ჩემი დაწერილი: ესე დაგიწერე:| და მოგაჴსენე: მ ე მ ა ნ დ ა ტ ო რ თ ხ უ ც ე ს მ ა ნ დ ა: ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ მ ა ნ: | ჭ ი ა ბ ე რ მ ა ნ: პირველად: შენ: სასუსა: და შესავედრებელსა: | წ˜ასა: მამასა: შიოს: და შენ მიერ: აღშენებულსა: უდაბნესა: (sic) მღუიმესა: და მონ შინა: დამკოდრებულთა: (sic) ყ˜ლთა: მამათა: და: ძმათა: ადრიდგან: მაუნდა სასუებაი: და სიყუარული: მაგის: წ˜ისა: უდაბნოისა: მიმართ: მინდოდა: და მწადდა: რათამცა: სულისა: გამეჩინა:
რაიმე: დაჰვხედ˜დი (დაჰვხედოდი) რომელ ამათ[და] სასოებითა: თქუენ: იყვენით: ჩემდა: მომართ: ჩემსა: ჟ ი ნ ო ვ ნ ი ს ა: ქუნებასა: შინა ვჰკადრე: და მოვაჴსენე: ღ˜თისა: სწორსა: მ ე ფ ე თ ა მ ე ფ ე ს ა: თ ა მ ა რ ს: და მათ მიერ: ბ˜ბითა (ბრძანებითა) და კითხვითა: გკადრე: და მოგაჴსენე: შენ: წ˜ასა: მამასა: შიოს: და შენთა: ცრემლთა: მიერ: აღშენებულსა: უდაბნოსა: მღუიმესა: და შენ: შინა: დამკოიდრებულთა მამათა: და ძმათა: ჟინუვნით (ჟინვანით) მიხითარაის ძენი: დავითის შვილნი: უქროი: და მახარაი (sic): ბრაჭი: და: ი˜ნე: მათითა: სახლითა: და მამოლითა: დასყიდითა: და უსყიდელითა: რომელი: მიიღებდენ: ყოველთა: წელიწადსა: შინა: ცუინსა: თხუთ[მე]ტსა: ლიტრასა: და: ამისთუის: გამიჩინეთ: სალოცავად: დღესასწაული: წ˜ისა: ეფრემისი: იანვარსა: უცდა (sic): რვასა: აღაპითა: და წირვითა: უცვალებელად: გ[აა]ბედნიერენ: ღ˜ნ: მი: უ˜კე: (მიუკუნისამდე) ჟინოვნით მიხითარაის ძენი: დავითის: შვილნი: უ ქ რ ა ი და მ[ახ]არაი: ბრაჭი: და: ი˜ნე: მათითა: სახლითა: და მამოლითა: ჴელ-მოსხლეტითა: და მოუდევრად: მომიჴსენებიან და შეოვალად: ყოვლისა: შესავლისაგან: და არა ზედა აც: ბეგარი: ვითა: სადაცა: სხუაგან: შემოწირულნი: ვაჭარნი: თქუენნი: ყოვლისა მავნებელისაგან: შეოვალნი: და ნებიერნი: სხენანი: ეგრეთვე: ესენი სხდენ: და ყოველთა: წელიწადთა: ამას: ცოინსა (ცვილსა?): მოგარმიდენ: თხუთმეტსა: ლიტრასა: არა: შეგეცვალოს: ჩემგან: არცა: შემდგომად: ჩემსა: ჟინოვნისა: მქუნებელთაგან: რაიდგნ: მე: პატრონთა: ღ˜თისა: სწორთა: ბ˜ბთა: (ბძანებითა) და კითხვითა [მი]ქნია: და ვინც: რამანცა: გუარმან: კაცმან: ჴელყოს: ამისად: შლად: და გატეხად კრულმცა: არს: დაუსაბამოისა: ღთისა: პირითა: ნესტერიმც: (ნესტორიმც) არს: ყ˜დ: წ˜ისა: ღ˜თის მშობელისათუის: არიუზ: ძისა: მისისათუის: ჰეროდე: ნათლისმცემლისათუის: ნერონ: წ˜თა: პეტრე და: პავლეისთუის: დაუთქ(უა)მსცა: დასასროლად: (დასასრულად) სიტყოისად: (სიტყვისად) ვითარმედ: არა: არს: სხუაი: ღ˜თი: თუნიერ: სამაელისსაუ(?) და ყოველთამცა: ბრალთა: და ცოდვითა: ჩემთა: პატიჟსა: მიმჴდელი: არის | და

ვინცა: და: (sic) ამტკიცოს: ღ˜თმან; ყოელი: გაგებული: და მისმიერ ქნილი: დაამტკიცოს: და შეონდენეს.

სხვა ხელით:

ქ. ესე მანდატურთ ხუცესისაგან | შეწირულად განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა:. (შეიძლება ეს იყოს თჳთ თამარის ხელი).

ქ. ესე დაწერილი მე ჭიაბერ|სა მეფეთ-მეფისა თამარის| მიწასა მანდატორთ-უხუცე|სსა თამარის დღეგრძელობისთვის შემიწირავს იგი კაცი| და დაწერილი დამამტკი|ცებია და ჩემად სალოცავა|დ: ვინ შეცვალოს შემცა|იცვალების ქ˜ტეს რჯოლისაგან. (თჳთ ჭიაბერის ხელია):

ქ. ესე დაწერილი: ჩუენ ქ˜ტეს მიერ: ქკ˜ზსა თ˜ეს (თეოდორეს): დაგუიმტკიც|ებია: შემცვალებელნი: ამისნი: შეცვალნეს ღ˜ნ: სჯული|საგან ქრისტიანეთასა და კროლმცა არიან ცათა შინა და ქუე| ყანასა ზედა ამას ყოფასა და მას საუკუნესა დამამტკიცებელნი | ღ˜ნ აკურთხენ და წმიდამან: და წმიდამან (bis) დედაქალაქმან: – (ე. ი. მცხეთამ).

ქ: მე შოთაი ჩ ე მ ს ჟინოვნის ქუნებასაც შიგა ამას ვამტკიცებ ვითა ამასა შიგა სწერია. (ეს შოთა უნდა იყოს რუსთველი: სხვა შოთა იუსტორიულთ პირთ შორის არ სჩანს თამარის დროს. შოთა ართავაჩოსძე 1177 წელს დაისაჯა (ქ.-ცხ. 273) როგორც „შინაგამცემი“ გიორგი-მეფისა. „ხოლო შოთა კუპრი“ რუსუდანის მეფობაში სჩანს ქ·-ცხ· 362. ალბათ ჭიაბერის შეწირულობაში შეცდომით ჩაჰყოლია შოთას მამული ჟინვანისა და შოთასაც დაუთმია ეკლესიისთვის).

მეორე მხარეზე: ქ. მე აეგ (ავაგ) ორბელი: ამისი დამამტკიცებელი ვარ რომე წ˜დისა შიოისდა აქ შიგა სწერია. (ავაგ, განთქმული პირი XIII საუკ· † 1250 წ. H. Gé p. 554 Add. p. 333. – ეს მერმინდელი წარწერაა).

ხევეულად: „ქ: მე ი˜ე (იოანე) უ რ ბ ე ლ ი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“ (ესეც მერმინდელი XIII საუკ. წარწერაა· იოანე ურბელი ანუ ორბელი, მამა ავაგისი, გამოჩენილი პირია თამარ მეფის და გიორგი ლაშას დროისა: იხ· ქ.-ცხ. სრული განმარტება ამ სიგელისა და რუსული თარგმანი მისის ტექსტისა ჩვენ გამოვეცით ჟურნალში: „Чтенія въ Императорскомъ Обществѣ исторіи и древностей россійскихъ“ 1895 ч., ч. IX. т. 174.

———————

10) – თამარ-მეფის დროინდელი სიგელი № 68.

ამავე დროს (1190 – 1207 წ.) უნდა იყოს დაწერილი შიომღვიმის ტყავის ხუცურად ნაწერი თავმოხეული სიგელი № 68 სიგრძით $2^{3}/_{4}$ არშინი; სიგანით $5^{1}/_{2}$ ვერშოკი, რომელშიც მოხსენებულნი არიან ისტორიულნი პირნი თამარ მეფის დროჲსანი, თეოდრრე კათალიკოსი და მემღვიმენი. თავი გუჯრისა დაზიანებულია. ტექსტის გარდა სხვა ყველა მხედრულად დაწერილია (ხელ-მოწერა წყევა-კრულვით) დიდის ხელოვნებით (ნიმუშები წერისა იხ. ბოლოს).

- - - - - - - - - ესე დაწერილი და სიმტკიცე და[გი]წერეთ და მოგაჴ-
სენეთ ჩუენ მღჳმისა ლავრ[ისა] კრებულმან ძლიერმან და უძლურმან(? :მ:
ბას[ილი] (ე. ი. მღვიმელმან ბასილი) - - მნათემან ნიკოლოოზ და ყოველმან კრე-
ბულმან მა - - - თ ს˜ლებითმან (სრულებითმან?): თ˜ქნ ტოხ[აძქს] - - ნიას და
ყოველთა მომავალთა - - - ნათესავთა მი: უ“კე: (მიუკუნისამდე); და უ - - -
სამწირველოჲ:. გბოძებოდა სიგლითა - - დ: კ˜ე (კჯრიკე) კახთა მეფისაგან: და
ჩუ℘ნცა მიგეცით და მოგაჴსენეთ სამ˜მლოდ (სამამულოდ) და მკჳდრად: ამად
რომე თქუ℘ნისა გუარისა მოძღუარი ყოფილიყო კ˜ე კ ა ხ თ ა მ ე ფ ი ს ჲ ბ ა ს ი-
ლ ი ტოხაჲსძე:. და მას მისითა მოძღ˜რობითა შემოეწირვინა წმიდისა შიოჲს-
თჳს რჩევით: მთათა შინა დაოთი: და ბართა შინა რუეთი; და გაეჩინა მისისა
სულისა სამლოცავად: ერთი ფუძე გლეხი დაოთს ვაჴშამაისძე: და რუეთს უში-
შარაჲსძე - - - ებოძა სამადლოდ მ[ი]წა(?) - - მწირე - - - - და გომთა ჰმარ-
თებს - - -: და ჩ˜ნ - - - სა[მწირ]ვლოჲ მით ორითა ფუძითა - - - და გქონ-
დეს ჩუ℘ნგანცა შეუვალად [ვითარ]ცა გინდეს ეგრეცა იმსახურებდით: და ედ-
ვას [ღა]ლაჲ ნაოთხალი თქ˜ნთჳს მოსახუ℘დრებელად: და რაჲზომიცა მსახური
გინდეს მუნით იმსახურებდით და არა ოდეს რ˜ი, საქმე გუ℘დვას არცა ჩუ℘ნ
და არცა ჩუ℘ნთა შემდგომთა: თჳნიერ ამისგან კიდე რომე ოდესცა მივიდო-
დეთ ძღუ℘ნი მოგუ℘რთმოდეს: სხუად გიბედნიეროს ღმერთმან თქუ℘ნ ტოხაჲს-
ძეთა და თქუენთა მომავალთა კ˜ე კახთა მეფისა სამწირველოჲ. მისითა მიმდ-
გომითა შ˜ათა (შინაითა) და გარითა. უკეთუ ხუცესი არა იყოს ტრაპეზი გარდა-
იჴდებოდეს: კ˜ე კახთა მეფისათჳს: აწ გიბედნიეროს ღ˜ნ თ˜ქნ ტოხაჲსძეთა ი˜ეს,
ნი˜ზს და [ნია]ნიას: და ყ˜თა ძმათა და შვილთა და მომავალთა [თქუენთა] და
უ˜კი უკ˜ე ერთგულობასა შ˜ა წ˜ის ამის [უდაბ]ნოჲსა: და აწ სრული არს და-
წერილი ესე ჩუ℘ნგან და შემდგომთა ჩუენთაგან: მოწამენი და დამამტკიცებელ-
ნი ვართ ამას დაწერილსა ზ˜ა ბ ა ს ი ლ ი: მ: (ე. ი. მემღვიმე) ლ˜კა: წ: (წილ-
კნელი) ნ˜კზ მნათე და ერთობით ყ˜ი კრებული: და აწ ვინცა ვინა ესე ჩუ℘ნი
დაწერილი შეცვალოს ანუ შინამან (შ˜ამან) ანუ გარემან ანუ მოძღუარმან ანუ
უდაბნოჲსა ამის მფლობელმან ანუ რამან გუარმან კაცმან შეგიცვალოს
ანუ შინათა სამწირველოჲ: ანუ გარეთ ორი ესე მის[ა] მიმდგომი ორი ფუძე
გლეხი: ჰრისხავსმცა ღ˜თი დაუსაბამოჲ... (წყეკა-კრულვა ფრიად გრძელი).

ბოლოს მხედრულად:

„ქ. ესე დაწერილი ჩ˜ნ ქ˜ეს მიერ ქკ˜ზსსა თ˜ეს (თეოდორეს) ჴ ე ლ ი თ ა
ჩ უ ე ნ ი თ ა დაგუიმ|ტკიცებია შემცვალებელნი ამისნი რაისაც მიზეზისა მოღები-
თა იყუნ|ენ კრულ წყეულ და შეჩუენებულ: ღ˜თისა და ყოველთა წმიდა|თაგან
აქა და საუკუნესა დამამტკიცებელნი აკურთხენ ღ˜ნ და წმიდამან დედა-ქა-
ლაქმან“.

მერე სხვა ხელით:

ქ: ესე დაწერილი ჩ˜ნ ქ˜ტეს მიერ: ქ˜სა: მ˜ს ა: გ˜ის (ქართლისა მთავარ

ეპისკოპოზს გიორგის) ჩ უ ე ნ ი თ ა: ჴელითა დაგუიმტკიცებია (წყევა იმ გვა-
რიკე)...

ქ. ესე ვითა: ზემოჲთ: მამათა: წ˜დათა: დაოწერია: თქუენ: ტოხუასძეთა-და
:და: კ˜ე: მეფისა: სამწირველოი: და სახლი: მოოცემია: ამას: მეცა: ნ˜კლზ:
წილკნელი: მოწამე...

ქ. ესე ვითა: წ˜თა: მ˜მთა; მ˜ღმელთა: ი˜ნე (იოანე): ტოხას: ძისა თის თს (bis)
დაოწერია და: უ˜ბძებია (და უბოძებია) კ˜ე: კახთა მეფისა: სამწირველო: მამულო-
ბით მე ლუკა მეღმე (მემღჳმე) მოწამე: და ღამამტკიცებელი: ვარ.

ქ. ესე: ვითა:. წ˜თა: და ღ˜თ შემოსილთა: მამათა: და ძმათა: ამის უდა-
ბნოჲსათა: ტუხუაის ძეისადა: და ყ˜ლთა: მომავალთა: მათდა: კ˜ე კახთა: მე-
ფისა სა:მწირველოჲ: მ˜კუიდრად: და მამოლობით: უბუძებია: მეცა: უნდოი:
ელია: მემღუიმე: მოწამე ვარ...

ქ. ესე ვითა... ი˜ნე ტოხუაისძისადა: და ყოველთა მომავალთა: მათთა-და
კუირიკე: კახთა: მეფისა: სამწირველოი: მკუიდრად: და მამულობით უბოძებია: მე-
ცა: მწირი: ღუღუნ ყოფილი: ნ ი კ ო ლ ო ზ: მოწამე ვარ...

ქ. ესე ვითა... და კ უ რ ი კ ე კ ა ხ თ ა: მ ე ფ ი ს ა ს ა მ წ ი რ ვ ე ლ ო უბუძე-
ძებია: იოვანე ტუხუაისძისათუის... მე ნიკოლოზ: მნათე: მოწამე ვარ...

ფრიად ხელოვნურად ხელჩართულად მეორე პირზედ:

ქ. „მე: მთავარ: მამა: მემღუმესა: იუვანესცა დამიმტკიცებია: არგოს: ღ˜თმან
სულსა: კახთა მეფისა: კუირიკესა: ამინ“.

არშიაზე:

ქ. ესე: ვითა: წდ˜თა და ღმერთ: შემოსილთა: მამათა: და ძმათა: მღუ-
მისა: ოდაბნოისათა იოანე ტოხასძესადა: და ყოველთა მომავალთა მათთადა:
და კუირიკე კახთა მეფისა სამწირველო - - [უ]ბოძებია მეცა [ცოდ]ვილი აბრა-
ამ მიხისძე (?) - - - და ვინ დაამტკიცოს ღ˜ნ აკურთხოს.

1202 წ. – სიგელი თამარ-მეფისა.

ეს ძვირფასი სიგელი სინოდ. კანტორისა № 1 დაწერილია ტყავზე (სიგრ-
ძე 2½ არშინი და სიგანე 6 ვერშმოკი) ლამაზ მხედრულ ასოებით მეთერამე-
ტე წელს თამარის მეფობისას, ე. ი. (1184+18) 1202 წ. და თჳთ თამარისა-
გან ხელმოწერილია (პალეოგრაფიული პირი თამარ მეფის წარწერისა იხ. ბო-
ლოს). თუმცა თამარ ამტკიცებს რა ამ სიგელს, თავისს სახელს არ აწერს, მა-
გრამ შემდეგი წარწერა მოიხსენიებს, რომ ეს სიგელი დამტკიცებულიაო. თჳთ
საუფლოჲთა ჴელითა მისითა“ (თამარ მეფისითა) და მაშასადამე პირველი წარ-
წერა ყოველს ეჭვს გარეშე თჳთ თამარის ხელია; მეორე წარწერა-კი ეკუთნის
მისს ქმარს დავით-სო-სლანს, რომელიც მეფედ იხსენიებს თავისს-თავს; სიგელი
მოიხსენიებს ლაშა-გიორგისაც. ბოლოს დამატებულია თამარ-მეფის ჯვართ-
მტვირთველის, ვაზირის და მწიგნობართუხუცესის ანტონ ჭყონდიდელის განჩი-

ნება შიომღვიმეში მისგან მოყვანილის წყლის შესახებ. ეს განჩინება თჳთ მისის ანტონის ხელით უნდა იყოს დაწერილი. როგორც ჩვენს „ქრონიკებში“ წ. I, გვ. LX) დავასაბუთეთ, ეს ანტონი არის მემატიანე, თამარ-მეფის დროების აღმწერი.

ამ გუჯრის დამწერი იაკობ შემდეგ (1250 წლის ახლო ხანებში) ყოფილა „დიდის გელათის მონასტრის დეკანოზი“, როგორც სჩანს მისგანვე დაწერილ გუჯრიდამ (იხ. ჩემი „ქრონიკები“, წიგნი II, 1250 წლის ქვეშე).

ეს სიგელი ის გუჯარია, რომლის არსებობა ჩვენ გავიგეთ („ქრონიკები“. წ. I, გვ. 278 – 279) და რომელიც ჩვენ შემდეგ მოვსძებნეთ შიომღვიმის გუჯრებში, № 1.

- - [სახელ]ითა ღთისათა. - - [თამა]რისაგან ბაგრატიონისა ნებ[ითა ღვთისათა] | [აფხაზთა] და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, დედო[ფალთ დედოფლისა] | და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მ[პყრობელისა] | . – მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მწიგნობართ [უხუცესი] | და პროტო-უპერტიმოსი და გუეჰაჯა და მოგუაჴსენა რმ˜ცა [მიწანი] | და რ˜ლი მღუიმეს მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა წყალი მ[ოიყვანეს] | სხალტბისლთ: და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი: ჯდა სასეფო [ქოსოს ძენი] | მის წყლისა მკაზმელად, იგი გლეხი სამკჳდროდ შესაწირავად მღუიმისად სული[სა] | მისისათუის მას მიუბოძეთ: – დაგუაჯერა ღ˜ნ და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებ[აჲ] | მისი ვაზირისა ჩუენისა ანტონ ჭყონდიდელ მკს˜ისა: მ˜წ: უხუცესისა და პროტო-ოპერატი|მოსისა და რომელ სხალტბას მის წყლისა მისგან მოღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის მიწად ერთი და კუამლად ორი ქოსოს ძენი საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია. ჰქონდის იგი წყალი და გლეხნი ქოსოს ძენი მიწად ერთი და კუამლად ორი, სჳმონ და გიორგი და ია ბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი სასოსა და მფარველსა ჩუენსა წ˜სა მამასა შიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერსა მღუიმესა; არას ჟამსა შეეცვალოს და არცა რაჲ მას წყალსა და გლეხსა ზედა ჴელისუფალთა ჩუენთა ჴელი შეუვიდოდის; ყოვლითურთ შეუვალი და თავისუფალი არს, რაიც ანტონ ჭლ˜მნ განუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურებდეს და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბ˜ულისა ამის ჩუენისა არცა მეუნებლი და დამაკლებელი მათი. აწ· ვინც ჰნახოთ ბ˜ჲაჲ, და სიგელი ესე ჩუენი ზეზადნისა (sic) ციხისთავთა, მპარავთ მეძებელთა, მოხარაჯეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უმალავთ ბ’˜ბასა ამასა ჩუენსა, ნუც რას ვინ დააკლებთ, ნუ დ[იდსა] და ნუ მცირესა თჳნიერ შეწევნისა და თანადგომისა. – დაიწერა ბ˜ბაი და სიგელი | ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა: მეა: – თურამეტესა: – ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა იაკობ აწრელისძისაითა: –

წარჩინებულის ხვეულის ასოებით:

მტკიცე ყოს ღ˜ნ შეუცვალებელად (ეს თამარ მეფის ხელით).

არშიაზე ჩინებულად, იმავე მელნით: „ქ. მე მეფესა დავითსაცა დამიმტკიცებია: მტკიცეა ნებითა ღთისაითა“: –

იქვე ხუცურად:

სახელითა ღთისათაჲთა... ესე დაწერილი დავწერეთ ჩუენ ს˜დ კრებულმან და ლავრამან მღჳმისამან. – ქ˜ეს სწორმან ანტონ ჭყონდიდელმან დიდითა ღუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოითა აღამართვინა, მოიყვანა წყაროი ესე ნუგეშინის საცემელად ამის უდაბნოისათუის, რომლისა საუკუნომცა არს ჴსენებაჲ და სუფევაჲ ყ˜თა წ˜თა თანა. – ესე გლეხნი ქოსაისძენი ფუძედ ერთი, კუამლად :გ: ვითა ამას სიგელსა შინა გაჩენით სწერია, მათგან მოგებული არს და წყაროჲსთჳს მიყენებული. ესე მიწანი, რ˜ნი თჳთ საუფლოჲთა ჴელითა მისითა სწერიან და ვენაჯი ჰქონდეს მათ გლეხთა. – ჩუენ დავხედენით ამას, რომელ ესენი ოდენ არა ეყოფოდეს მკაზმავად წყაროსა. მათითავე კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორშაფათე გლეხი სახელით პატარ და მეორე გლეხი გარეთ მოსული ქაჩაბურაჲსძე ესენიცა წყაროსავე მიუყენენით მკაზმავად. უკეთუ ნივთიერი რაიმე საკაზმავი იყოს, სხალტბურითა და სხუაგნურითა ძალითა ზედა მოვიდოდით და მოჭირვებით ჩუენ კრებულობით ვჰკაზმიდეთ და ამათ მეწყაროვეთა ს˜დ ყ˜თა ერთი ევლოგიაჲ ჰქონდის, რაიცა გაიყოფოდის: შინად და გარედ, ამისი შეცვლაჲ ჩ˜ნ კრებულისაგან არაოდეს იკადროს და ვინღაცა ესე ჩ˜ნი გაგებული შეცვალოს და წარმდებად და უდებებით იურვოდის წყაროჲსა საქმესა, კრულმცა არს თჳთ საუფლოჲთა მით სიტყჳთა“.....

იქავე მხედრულად, ლამაზ ხელით:

ქ: სახელითა ღთი˜საითა, ადიდენ და დაამყარენ ღ˜თნ მეფენი ჩნ˜ნი დ˜თ და თამარ და ძე მათი: გ˜ი: ლაშა, რომელთა წელნი უჰამრავ (sic) და სუფევაი დაუსრულებელ. მე მიწამან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონ: ჭ˜ნ (ჭყონდიდელმან) ვიხილე სახლი ღთისა წა˜ი უდაბნოი მღუიმისა და მას შ˜ა მყოფნი წ˜ნი მამანი ჭირსა და იწროებასა შ˜ა ურწყულობისასა და შემწეობითა წ’სა მამისა შიოისითა ვძებნე და ვპოვე წყალი ადგილსა სხალტბისასა და ჴელვყავ მოქმედებად და შეწევნითა მისითა მოვიყვანე წყაროი კარსა წ˜სა ეკლესიისასა ჟამთა წელიწადისა სამისათა დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა და მოსლვისა თავსა თანა ვჰძებნე სხუაი წყალი, რ˜ლი მკუიდრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი; და ვევედრები მასვე წ˜სა და ღ˜თ შემოსილსა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთ წ˜თა მამათა მადლსა, რათა დაამკუიდროს იგი წყალი მას ადგილსა სადიდებელად ღთისა... და მის წყაროისა სათავესა იყო კუამლი ორი სასეფოი სახელით აფხაზთანი და ვჰკადრე და მოვაჴსენე ღვთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს რაითამცა იგი გლეხნი მის წყაროისა მკაზმავად უბუძნეს (sic) და მოაჴსენნეს მონასტერსა. შემიწყალეს და მიბოძნეს და მსახურისა მსახურეს ჯეროანი და ამა

სიგლითა მკუიდრად და თავისუფლად მეფობისა თამარისა სალოცავად აფხაზეთ-
ნი (sic) იგი გ˜ი და ია ბერი ფოძედ ერთი და კომლად ორი და მე გაუჩინე
სამსახური მის წყაროისი, რ˜ლ ორისავე სახლისაგან თჳთოი შვილი მათი ქუქან-
კად გაისწავლებოდეს და ჰკაზმვიდენ მას წყაროსა. სხუაი მსახური არცა რაი ეკ-
ლესიისა ედვას თჳნიერ წყაროისა კაზმვისაგან კიდე და თუ დიდი და ნივთნი
რაიმე საქმე გამოჩნდეს, რ˜ი მათგან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდებდეს; ანუ
თუით მემღუიმე და კრებული ჩამოვიდოდეს და ყოვლითურთ უნაკლულოდ
ჰკაზმვიდენ. – და ამათ გლეხთა ორთავ სწორად მივსცენით მიწანი მონასტრი-
საგან სხალტბას სახელდებით ბოტკოს და დიდვალს დღისა ათისა და წყაროისა
თავსა ორისა დღისა და ვენაჯი, რომელი საკრებულო იდვა სხალტბას. აწ ეს ვითა
ქმნილა და გაგებულა მტკიცე ყოს ღ˜ნ და თუით მან წმიდამან შიო. და ვინ-
ცა და რამანცა გუარმან კაცმან დიდმან, ანუ მცირემან აზნაურმან, გინა ერი-
საგანმან, ჴელისუფალმან ანუ ჴელისუფლომან, მონაზონმან ანუ მოსაკარგვემან,
გარეთმან და თუნდა შინა მყოფმან, წინამძღუარმან, მოძღუარმან და ანუ კრე-
ბულმან დააკლოს, შეცვალოს და წარმდებებით აღარ ჰკაზმოს და არ იურვოს
რომლისაცა მიზეზისა მოღებითა, ნისტორმცა არს ყ˜დ წ˜სა ღ˜თის მშობელოისა-
თუის, არიოზ ძისა მისისათუის, ჰეროდე ნათლის მცემელისათუის, დომენტიანე
იოანე მახარებელისათუის, ნერონ წმიდათა მოციქულთათუის, დეოკლიტიანე
და მაქსიმინე წ˜დათა მოწამეთათუის და სადაც უსისხლოი მსხუერპლი შეიწირ-
ვის და ან შეწიროლა და ბარძიმსა შინა წყალი ერთვის და რთოლა (sic)
მისმცა ყუელასა მადლითა კრულია ცათა შ˜ა და ქუეყანასა ზ˜ა“...

მეორე პირზედ ხუცურ ნარევი მხედრული, მქრალ მელნით:

„ქ: ამას ბ˜ბასა (ბრძანებასა) და სიგელსა ღვთისა სწორისა მეფეთ-მეფისა
თამარისასა და ანტონი და გ˜ის და წ˜თა მამათა მღჳმელთა; რომელ წყაროსა-
თჳს გაჩენით მოხ˜ნი (?) გაოჩენიან და მეწყაროეთათუის ვენაჯი... მეცა ქ˜ს მიერ
ბ˜სა (უფლისა) მ˜სი (მთავარეპისკოპოსი) – მოწამე და დამამტკიცებელი ვარ
ბრძანებისა მათისაი... (წყევა)

სათაურით XVII საუკ. ხელით: „ქ· ეს სიგელი: წმიდის: შიოსა: არს:
სხალტბური.:“.

არშიაზე ტექსტის ხელით: „და მალი, ოდესცა უნდეს, მემღუიმე გაიღებ-
დეს ეკლესიისა ძალითა და საფასითა“: –

1212 – 1227 წ. „ძეგლი“ ანუ განბება“ ვაჰანის ქუაბთა მონასტრისა.

ვაჰანის ანუ ვანის წმიდის გიორგის მონასტერი, განთქმული თვისის ქვაბე-
ბებით (აწ სომეხთა მიერ მიტაცებული), აღშენებული ტაო-კლარჯეთის მთა

ში, სომხეთის საზღვრის ახლო (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 88, 82). რო-
დესაც თათრებმა გააუქმეს აქ ქრისტიანობა, რამდენიმე სიწმიდე (ხატები) ამ
მონასტრისა იქაურის ქრისტიანებითურთ გადმოვიდენ იმერეთში და დასახლდენ
ჩხერიმელას სათაურში. ახალს სოფელს უწოდეს იგივე სახელი ძველის თვისის
სოფლისა ვაჰანი ანუ ვახანი (აქიდამ ვახანის ეობა, ვახანის ციხე) და ახლად
აშენებულს ეკლესიასაც – ვახანის ქუაბი.

ჩვენ ეხლა ხელთა გვაქვს ძველის ვაჰანის ანუ ვანის მონასტრის დიდი ტყა-
ვის სიგელი, გინა „ძეგლი და განგება“ ამ მონასტრისა, მიცემული სარგისის
შვილის მხარგრძელისაგან და დამტკიცებული მხარგრძელის შვილის სარგისის-
გან და კათალიკოზის გიორგისაგან (სიგრძე „ძეგლისა“ 7 არშინი, სიგანე 5
ვერშოკი). სიგელი შეიცავს მონასტრის რიგს და განმგეობასა, და ფრიად გა-
მოსაყენებელია ჩვენის საეკლესიო და უმეტეს სამონასტრო წეს-რიგის გამოსა-
კვლევად. სამწუხაროდ სიგელი მეტად დაზიანებულია, თავი მოგლეჯილი აქვს
და შუაშიც რამდენიმე ტყავის ფურცელი აკლია, არშიებიც აქა-იქ სიძველისა-
გამო მოცრცნილი აქვს და ზოგან მელანიც მეტად მქრალია. სადაც ტყავის
ფურცლები გადაკერებულია, იმ ალაგებს თვით მხარგრძელის ხელით მხედრუ-
ლად აწერია: „მე ,ჯარგრძელს დამინიშნავს“.

სიგელი დაწერილია ლამაზის ხელით, ხუცურად, რომელიც ძალიან ჰგავს
საეკ. მუზეუმის მე-XII – XIII საუკუნის ხელნაწერის (№ 76) ხელსა. თვით
ორთოგრაფიული ნიშნებიც (ხმარება წერტილებისა, მძიმესი, მძიმე-წერტილე-
ბისა და სხვა საქცევ ნიშნებისა) ორსავ ხელნაწერში ერთგვარია.

„ძეგლს“ ქორონიკონი არ უზის და ამის-გამო საძიებელიაის, თუ რო-
დის არის ის დაწერილი და ვინ არიან იმში მოსენებულნი პირნი: მხარგრძე-
ლი, მისი შვილი სარგის, სარგისის დედა ხათუთა და კზ˜ი გიორგი. ეს პირნი
ისტორიაში უცნობად სჩანან, რადგან მხარგრძელი ამ „ძეგლში“ სახელ-წოდე-
ბაა და არა გვარი, ხოლო მისი შვილიც, სარგისი, ცნობილი არ არის.

„ძეგლიდამ“ სჩანს, რომ აქ მოხსენებული მხარგრძელი დიდებული პირია,
რომელსაც აქვს მრავალი მამული და ჰყავს აზნაურები; იგი მდიდარი პირია, რადგან
დიდ-ძალს ჯამაგირს უნიშნავს ხორაგად და ფულადაც ვანის ბერებს. ამის-გამო
ეჭვიც არ შეიტანება იმაში, რომ მხარგრძელი ისტორიული პირია. რადგან მხარ-
გრძელნი ისტორიის ასპარეზზედ გამოდიან მხოლოდ გიორგის მეფობის დროს,
ხოლო მართლმადიდებლობა მიიღო მხოლოდ ივანემ თამარის მეფობაში 1191
წლის ახლოხანებში (ქ.-ცხ. I, 317), ამის გამო უეჭველ ხდება, რომ
„ძეგლში“ მოხსენებული „მჯარგრძელი“ უნდა ცხოვრებულ იყო არა უადრეს
1191 წ.; ხოლო რადგან ივანე ათაბაგის ძის ავაგის სიკვდილის შემდეგ, 1250
წელს, ფვარი მართლ-მადიდებელთა მხარგრძელთა გათავდა (ავაგს ვაჟიშვილი
არ დარჩა), ამის გამო ზემომოხსენებული |ძეგლი| უნდა დაწერილ იყოს
1191 – 1250 წლებს შუა.

ხოლო რადგან კათალიკოზი გიორგი ჩვენგან შეკრებილ და გამოქვეყნე-

ბულ კათალიკოზთა სიაში მოხსენებულია შემდეგ კათალიკოზის არსენისა (იხ. ჩემი „ქრონიკები“, გვ. 80), რომელიც 1233 წლის ახლოხანებში ცოცხალი ყოფილა, თუმცა კათალიკოსობის დამტევებელი უბრალო ბერად მოღვაწეობდა შიო მღვიმეში (იხ. ქვემო შიომღ. გუჯ. № 48, 67, 37), ამის გამო ცხად ჰხდება რომ „ძეგლი“ დაწერილია 1233 წლის ახლო ხანებში, როდესაც ალბათ კათალიკოსობას განაგებდა „ძეგლში“ მოხსენებული გიორგი. აქედამ გამოდის, რომ „ძეგლი“ დაწერილია 1191 – 1233 წლებ შუა; და ამ დროებში ცხოვრებულან მასში მოხსენებულნი პირნი. ამ გარემოებათა მიხედვით ჩვენ გვგონია, რომ „ძეგლში“ მოხსენებული სარგისის შვილი „ერისთავთერისთავი მხარგრძელი“ უნდა იყოს ცნობილი ივანე მხარგრძელი, რომელიც მართლაც სარგისის შვილი იყო და საიდუმლოდ ბერობა მიეღო (ქ.-ცხ. I 349. Hist. dela Gé. p. 306; 315; 325. – Add. t. p. 362); ხოლო მხარგრძელის შვილად მოხსენებული სარგის უნდა იყოს დიდად ცნობილი ისტორიაში ავაგ მხარგრძელი (ქ.-ცხ, I, 351, 356 – 8; 365), რომელიც იწოდებოდა სარგისადაც (სარგის II-დ: იხ. Brosset: Add a I’H. de la Gé. p. 362; მისი 3): Hist. de la G. I p. 336; 342); ხოლო ხათუთა, დედა სარგისისა, ცხადია, პირველი ცოლია ივანესი და აქამდი უცნობი პირია ისტორიისა, ხოლო ხვაშაქი ყოფილა მეორე ცოლი ივანესი.

რადგან ივანე მხარგრძელი მოკვდა 1227 წელს (Hist. de la G. p. 315; 325 Add. p. 362), ამის გამო უფრო დაახლოებით შეგვიძლია განვმარტოთ, რომ „ძეგლი“ დაწერილია 1212 – 1227 წლებ შუა, და ამავე დროებს ეკუთნის კათალიკოსობა აქამდი უცნობ პირთა, არსენისი და გიორგისი; ცხადია, რომ 1227 წელს არსენი კათალიკოსობიდამ გადამდგარი ყოფილა, როგორც აცხადებს შიომღვიმის საბუთები (№№ 37, 48; 67).

შინაარსი „ძეგლისა“ ფრიად საყურადღებო საგანს შეეხება – საქართველოს მონასტრების შინაურ ცხოვრებას და წეს-წყობილებას. სამწუხაროდ „ძეგლს“ ნახევრამდე აკლია და დანარჩენიც აქა-იქ ძალიან დაზიანებულია, მაგრამ რაც დაგვრჩენია ისიც დიდ განძად უნდა ჩაირიცხოს ჩვენის ძველის ყოფა-ცხოვრების მკვლევართათვის და ამის გამო ეპისკოპოსის ალექსანდრეს ნება-დართვით შეუცვლელად ებეჭდავთ აქა შიომღვიმის საბუთებში, რადგან ეს „ძეგლი“ გვიხასიათებს ძველს მონასტრულს ცხოვრებას.

ტექსტი ვაჰანის ძებლისა

- - - - - - - - | ნს˜ტრსა ფ˜დ მხი - - - - | - - - შჳნე-მ - - - -დ ვრცელი -

- - | კმად დამტევნელი სიმრავლესა - - - | [მოქმე]დებითა ზუგარდამოჲთა შე-
წევნითაჲთა - - - | - - [წყა]ლობითა სრულ იქმნა:. ვინაცა გულსვიდგი[ნე] -
- - | და კანუნთა ღთივ ჴმოანთა ს˜ღთოთა ქადაგთა წ[მიდათა ღმერთშემო]|-
სილთა მამათასა განეგებეოდის ყოველივე სახე მოღუაწეობრივისა ქცე[ვისა]|
რომელნი მკჳდრ იყვნენ მას შინა: რამეთუ არცა კეთილი კეთილ არსო თ˜ქმ -
- –|- - - ლად იქმნებოდის; და ვითარმედ მცირი იგი არა მცირე ა - - -| დიდ-
თა მხობელ იქმნებოდის; –

რომლისა [თჳს]ცა დიდითა გულსმოდგინებითა და გამო[კითხვითა] აღვწე-
რე განწესებაჲ ესე. მ[ღთივ] შუწნიერებრისა წეს[ი მონაზონობისა]| ვინაჲთგან
იპოვნეს მას შინა ვიეთთამე მონაზონთაგანი, რომელთა - - -| მონასტრისაგან
ორნატნი, აგარაკნი და ვენაჴნი, რათა აქუ[ნდეს]- -| ამათ საფასეთაგან წმ˜ის (?)
მივეც ს - - - თითოეუ[ლსა რა]|ოდენიცა ენება და ით-[ხო]ვა და ყ[ოველ[ი–იგ]ი
ტრაპეზსა მიუდგინე - -| ესე ვითარცა ყოვლად უწესო [და] განგდებული, კა-
ნონთაგან წთ˜ა და ღვთივ გ[ანბრძნო]|ბილთა მოციქულთა, და ყოვლად მსო-
ფლიოთა კრებათაგან, და ვითარცა მ - - -| ნივთთ მოყუარებისაჲ რა საძაგე-
ლის შეძინებისაჲ, ვაჭრობისა და [მოფა]|რდულობისაჲ. (sic) და ვითარცა უც-
ხოჲ და წინააღმდგომი, და დამა[რღვე]|ველი ყოვლისავე სამოღუაწეოჲსა კა-
ნონისაჲ. და უცალო მყო[ფელი]| ღ˜თის მიმაახლებელისა ლოცვისა მიმართ და
მარხვისა: მო - -|უვალობისგან ერთსულთა ძმათაჲსა. რამეთუ წერილ არს
შეუმ[ლებელარს]| ორთა უფალთა მონებაჲ ესე იგი არს ღ’თისა და მამო-
ნაჲ[სა] - - -| მოიცალეთ და გულისჴმაყავთ რამეთუ მე ვარ ღმერთი და და
- - - ყოველისგანვე მონაგებისა თჳსისა, ვერ შე[მძლებელ არს მო]|წაფე ყო-
ფად ჩემდა: და სხჳთ წერილ არს, ხოლო სიმრავლე [სა მართლ მორ]|წმუნეთ-
ჲსა იყო გული და გონება ერთ. და არა ვინ იტყო[დის მონაგები]| მისი თჳ-
სად, არამედ ყოველივე აქუნდა საზოგადოდ. ხოლო ნუმ[ცა ვის თქუწნ][თა-
განსა უკადრებიეს ამიერითგან, რაჲთურთიით უწესოჲსა| საქმესა ჴელყოფად, მო-
ნასტერსა ამას შინა ჩემსა სამკჳდრებელსა| მოგებად რასმე განგდებულთაგანსა
თჳსაგან; რათა არა [მიიღოთ წყევაჲ იგი]| მოსასპოლველი ანანიაჲსი და საპ-
ფისსაჲსა [და კე]თრი იგი გეზისი - -.

თავი Ქ. რიცხჳსათჳს მღვდელთა და დიაკონთა და მწირთაჲსაჲ:. და დადგინე-
ბისათჳს სულიერისა მწყემსისა: და ჴელისუფალთა თუ ვითარ [ჯე]რარს გინა
ვითარი სათანადო არს რათა იყოს თუალი (თ˜ლი) მათი, და ვ˜დ არ ვის ძმათა-
განსა ჴელეწიფების მოწაფე ყოფად სხჳსა მოძღურისა არცა მოგებად მოწა-
ფეთა არცა შინაგან მონასტრისა და არცა გარეთ. და ვითარმედ - - - გ˜ან -
დ - - ს ყოველი სავსება ძმათა და რათა მემჴრენი მონასტრისა პატრონი-
თა - - - (ეს მუხლი სულ წითურად არის დაწერილი).

- - - [ესეცა] განვაწესეთ რათა იყვნენ მონასტერსა ამას ჩუენსა სამკჳდრებელსა
[ვაჰ]ანის ქუაბსა შინა მღდელნი უკუწ ვიდრემე (ვე˜მე) და მთავარ-დიაკონნი და
[მ წ ი რ ნ ი]| უსისხლოჲსა საიდუმლოჲსა სრულ მყოფელნი წ˜ნი და პტ[იოსანნი]

რიცხჳთ; Ъ˜Շ [რომელ]არს :Ҕ˜ :Ծ˜: მღდელნი და :Ъ˜: დიაკონნი განწესებისაებრ [მოციქულთა კრებუ]ლისა და წ˜თა მამათასა. ხოლო მწირად წოდებულნი იგი, რომელ არიან მონაზონნი იგიცა უწჴუწლად ღ˜თის მოშიშნი და ღთისად განმკუთვნელნი ყოვლისა ცხოვრების თჳსისანი და წინა აღრჩევისა მიერ ზეშთა აღსრულნი სოფლისა [ღელვა]თაგან და მსახურებისათჳს მონასტრისა და ძმათასა დიდად მოსიყ[უარულენი] და უდრტჳნველად მორჩილნი წამის ყოფისა მწყემსისა და მა[მისა] [ამის ლავ]რისასა რიცხჳთ :Ҕ˜: ხოლო მსახურნი :Ӏ˜: რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და [სამ ზა]რეულოჲსა და სახაბაზოჲსა სამსახურსა აღასრულებდენ რლბა (?) იყო რიცხჳსა ამის უმრაელესსა დაწესება მღდ[ელთა და] მონაზონთა. გარნა ვინაჲთგან ყოვლით კერძო უზრუნველობისა და [ჴორციელად] და სულიერად განსუწნებისა მათისათჳს, მოსწრაფე [ვიყავ და რათა] აქუნდეს ყოველივე საჭიროდ საჴმარი ჴორცთაცა [უმეტყუწ]ლო და უმოქნე იყვნენ და ყოველივე მოცალე (მარხვისა და] ლოცჳსათჳს [მოღუაწეობისა] და საღ[მრთოჲსა წერილისა კით]ხვისა. და მათ შორის მდებარეთა, რომელთა ზედა - - - - - და - ხედვად ხედვათა მათ მაღალთა რომელ ესე თანა ნ - - სასწრაფო არს და საჭირო მოსაგებელ ყოველთა მოსწრაფეთა საუკუნოჲსა ცხოვრებისა მეძიებელთა: ამის ჯერისათჳს კმა ვყავ რიცხჳ ესე რომელსა მოაკლდების ნუმცა ოდეს რიცხუსა ამას მღდელთა, და და მთავარ დიაკონთა, და მონაზონთასა:.

[ამი]ს უკუწ ზემოჴსენებულისა დასისაგან მღდელთასა გამოირჩეოდის ერთსულობისა მიერ ძმათაჲსა კაცი სიტყჳთ და საქმით უაღრესი სხუათა ყოველთა რომელსა ყოველნივე ერთჴმობით ეწამებოდინ. და მრავალი ჟამი დაეყოს [მონა]სტერსა შინა და უბიწოჲსა ცხოვრებისა მისისა ყოველნი იყვნენ მოწამე [ერთ]ობილ ყოვლითავე სათნოებათა სიკეთითა, სულიერისა და ჴორცთაებრ [შემძლ]ებელი ტჳრთვად ესოდენისა სულებსა ძმათასა - - - - ჯერისაებრ და ჟამისა და საჴმრისა ღუწად და წურთად და - - - კაცადკაცებსა წ[ყ]ლულებასა და შემოსლ - - - სებულსა სალბ - - - და რათა უმცირესთა სიტყჳთა უმრავლესნი საქმით [მიიღე]ბდენ, ესე იგი არს რათა - - - სახე კეთილისა ექმნებოდის ყოველთა კეთილის წარმართებითა თჳსისა ცხოვრებისაჲსა (?) ვითარცა წერილ არს: რომელთა იწყო იწსო ყოფად და სწავლად: რამეთუ მოციქულისაებრ მეტყუწლისა რომელმან თჳსისა სახლისა კეთილად განგება არა უწყოდისო მას. ეკლესიაჲ ღთისა ვითარ ერწმუნოს: და ნანდჳლვე სამართ[ალ]ით, რამეთუ უკეთუ თჳთ წინააღმდგომისა იყოს მოქმედ ვითარ ასწაოს მან სხუათა კეთილად მოქალაქობა. არა სამართლად ითქუასა მისა მიმართ, მკურნალო განიკურნე თავი თჳსი არამედ უფროჲსღა რათა ვითარცა ნიკესა შ˜ა. განეიდოდიან ყოველნი მოსწრაფებითა სათნოებისა მისისათა და შემძლებელ იყოს წარდგინებად წინაშე ღ˜თისა სამწყსოთა თჳსთა - - - [რომელსა - - -] სიტყჳს მიცემაჲცა თანა აც თანა წარუვალსა მას საში[ნელსა] ნათელსა სიტყჳსა ქეს˜სა და თქუმად აჰა მე და ყრმანი ყოველნი [რომელნი] მომცნა მე უფალმან

არ - - ვად - - - წამებაჲ, რამეთუ ამ[ას] - - - მოციქული - - - უავნეს - დ -
- - - ვარდეს ეშმაკისსა და რათა ბრძანებისაებრ უფლისა მი - - - რ დადებად
სულისა თჳსისა სამწყსოჲსა თჳსისათჳს წერი[ლისაებრ: ყოველმან] მწყემსმან
კეთილმან სული თჳსი დადვას ცხოვართა თჳსთათჳს და [იგი] - - - - [ესე ვი-
თარი] კაცი - - რად (ხოლო) მკურნველი თავისა თჳსისაჲ, დაი[დგინებოდეს]
წინამძღურად და მოძღურად სულიერად და ჴორციელად. და მას [ერთსა}
[მიე]ნებოდის სული ყოველთა მონასტერთა შინა მყოფთა ძმათაჲ და ყოველ-
ნივე იგი მწყემს და მოძღუარ და მამა სულიერი ნუმცა ვის სხუასა უ - - - -
(აქ ბევრი აკლია: გადაკერებულ ფურცელზე სწერია: „მე მჴარგრძელსა
დამინიშნავს“).

- - - - ყ˜ა მ -| - - - ანა ტრპეზი - -| - - - ობისათჳს ძმა[თასა] - -|
ჯერ არს (ჯ˜რრს) რათა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის დღეთა ჟამსა
ძმათა საზრდელისა მიღებისასა: და ნუ [რომელ]სა დღესა იქნების დახრწევაჲ წიგნისა
კითხვისაჲ, ნუ [რომლისა] მიზეზისათჳს: ხოლო იკითხავს იგი, რომელიცა კანანახო-
ბისა მსგე[ფსსა] მსახურებდეს. ხოლო არა ვის ჴელეწიფების უბნობად ურთიერთ-
არს ტრაპეზსა ზედა. არამედ რათა ფრიადითა მყუდროებითა [მიმღე]ბელნი საზრდე-
ლისანი ჰმადლობდენ მომცე[მელსა] და რაჲთურთით არა იყოს საუბნარი: და თუ
ვინ - - - ერთ და ორ გზისცა მეტრაპეზისამიერ {გა]რე - - - განყვანებულ
იქმნეს ტრაპეზით და განი[ცაოს]ნ - - [და უკეთ]უ[მცა] მასვე - - სიგლის-
პესა ზედა დაადგრ[ეს] - - - [სატრა]პეზსა ზ˜ა, ესე ვითარი - - - - - - -
აღმძრველი და ამა[შფოთ]ებელი - - - [მ]ყუდროებისაჲ ყ˜დ ყოვლითურთ მო-
იკუჱთენ [ვითარცა] დამპალი და გარე განითხიენ: ხოლო ჯერ არს რათა რაჲთურ-
თით გან[წუალებაჲ] არა იყოს შეკრებასა ძმათასა მიღ[ება]დ საზრდელისა [სწო]რად
დაეგებოდის ყოველთა ძმათათჳს ტრაპეზსა ზედა პური და ღჳნო [და] წუჱნი
მემჴრეთათჳს და მწირველთა და მწირთა: და ნუმცა უხუცესთა ძმათაგანი მი-
ზეზითა (- -)ლისა გემოთ მოყვარეობის[ა და] ნაყროვანებისა თჳსისაჲთა ნივთად
უკეთურებისად და [სახედ] ბოროტისად ექმნების სხუათა დამაბრკოლებელი ყო-
ველთაჲ. არამედ თ[ითოეუ]ლი დასჯერდინ საყოველთაოსა ევლოგიასა:. და
ნუმცა ო[დეს იკად]რების კიდეგანისა წუჱნისა დაგებაჲ ტრაპეზსა ზედა. და გან-
წვა[ლვისა და] განხეთქილებისა შემოღებაჲ ერთსა მას შინა გუამსა ძმათა[სა
და უმცირე]სსა ყოველთასა. და ყოველთა უდარესსა ერთი [და იგი] და სწო-
რიმცა [მოე]გების საჭმელიცა და სასუმელი და [სხუაჲ] - - გარნა თუ იშჳთ
პდესმე სტუმართ მოყუარეობისა მიზეზითა იქმნას [მო]მატება საჭმელთა რა-
თაჲმე. ბრძანებითა მოძღურისათა, ეს[ე] ჯეროან არს და ძუჱლი მცნებაჲ
რომლისა მიერ ვიეთმე ვითარ იგი არა უწყოდეს ანგელოზნიცა ისტუმრნეს:.
განესუჱნებოდენ (cis) უკუჱ სტუმართა, რლ˜თა თანა დედაკაცი არა იყოს; და
უფროჲსღა იშჳთთა, გინა შორით მოსრულთა. ცხად არს ვითარმედ მიზეზითა
ლოცვისათა ერთი და ორი დღეცა და მესმესა დღესა წარვიდოდენ გზასა თჳს-
სა. უკეთუ ვინ დიდი და საპატიოჲ სტუმარი შემოვიდოდის გინა. ვი [ეპი]სკო-

პოსი. ანუ აზნაური. ანუ საპატიონი ვინმე მონაზონნი ამ - - თა წესსა ტრაპეზით ემასპინძლებოდის: და თუ ქუჱმოსა თ - - - იყოს მონაზონი გინა ერის კაცი. და არა ვის თანა საქმე ედვას [ძმათა] თჳნიერ ლოცვისა და ტრაპეზისა გაღებასა არა ღირს იყოს - - ესე ვითართა მოძღურისა და დეკანოზისაგან ემასპინძლებოს[ეს] სად[ილისა] განმწესები მათთჳს ნამეტნავად გასაყოფელი რათა [ესე ვითართა სტუ] (აქაც გადაკერებულია და მხარგრძელის დამოწმებული) მართა იგინი გაისტუმრენდენ: და თუ ნათესავი ანუ მეცნიერი იყოს ვისამე ძმათაგანისაჲ და არა ლოცვისა მიზეზითა მოსრულ იყოს არამედ სხჳსა რაჲსამე საქმისათჳს. ამას თჳთ მან უმასპინძლოს რომლისა თანაცა აქუნდეს. საქმე. ხოლო მრავალ მრონინეთა მათ და მიწყიოთთა მთხოველთა მეკარე განისტუმრებდეს: არა ჴელეწიფების მიმოვლად სახლითი სახლად შინაგან მონასტრისა:. საჴმარარს რათა ყოვლად განკრძალული ერთი დ[ა ღთისა მოშ]იში მონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდის და უძლურ მყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს ყოველსავე საჴმარსა მათსა: დღითი დღე ს[ამ] გზის მოჰვლიდეს და მოიხილვიდეს, და საწესოსა მიართუმ[იდეს ძმასა] ტრაპეზსა:. და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სნეულთა და უძლურად [მყოფთა] ძმათა უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით: და ნუმცა რაჲ მ[ოაკლ]დების საჭიროდ საჴმართაგანი: რომელიცა იყოს და იპოებოდეს:.

Ⴓარნა ვინაჲთგან ყოვლით კერძო უზრუნველობისა და უმოქენეობისა ძმათაჲსა მეძიებელ ვარ. და რათა არა რაჲთა იყვნენ ნაკლულევანნი გაუჩინე საჩოჴედცა. რათა მოძღუარსა ვ˜ემე (ვიდრემე) ვითარცა მწყემსსა სულიერსა და უცთომელსა წინამძღუარსა მიეცემოდის :ექუსი: დუკატი: ხოლო დეკანოზსა და იკონომოსსა ოთხოთხი დუკატი: და რომელნიცა სამჴროსა ღირს ქმნილ იყვნენ ძმანი და მონასტრისა პატრონთა და თყნებულ (თაყვანებულ) იყვნენ მათ :სამსა:მი: დუკატი: ეგრეთვე მწირველთა რომელთაცა მკითხველ კანანახობაჲცა შეეძლოს მემჴრეთა[ვე] თანა: სამსამი: დუკატი მიეცემოდის:. მეჭურჭლესა და მეტრაპეზესა და კანდელაკსა და იპიტირიტისსა ესრევე სამსამი: დუკატი: ხოლო მეორისა დასისათა რომელთაცა წირვისა მეტი სხუაჲ საჴმროზაჲ არაჲ შეეძლოს ამათ: [ორ]ური: დუკატი აქუნდეს:. და მესამისა დასისათა, ესე იგი არს მწირთა, ბოტინატი და დოკატი მიეცემოდის:. ხოლო მსახურთა სატანისამოსლედ მწირთავე სწორად ჰქონდეს: ბუტინატი და დოკატი: *) (აქ არშიაზე იმავე ხელით გადატანილია: ხუ[ლო] არავინ - - - რას დააკ[ლებდეს] – - - უნდა შემატებ[დეს] - - - და უნდა ემ[სახურე]ბოდ[ეს] - - -) ეგრეთვე და პურიცა და ღჳნოჲ გაუჩინე რათა მიეცემოდის მოძღუარსა (მძღ˜რსა) რეაჲ გრივი პური, ოთხი წმიდაჲ, და ოთხი ქრთილი, და სამი საპალნე ღჳნოჲ:. და იკონომოსსა. ექუსი გრივი: სამი წ˜დაჲ: და სამი ქრთილი. და ორი საპალნე

---

*) ხაზ-გასმული სიტყვები თვით მხარგრძელის ხელით არის დაწერილი მხედრულად, ხოლო ტექსტი იგივე ხუცურია.

ღჳნოჲ: ეგრეთვე დეკანოზსა ექუსი გრივი პური. სამი წმიდაჲ: და სამი ქრთილი და ორი; საპალნე ღჳნოჲ:. ხოლო უთავადესთა ძმათა რომელთა :ⷔ̃: ⷔ̃: (სამ-სამი) დუკატი: აქუს საჩოჯედ. ამათ პური ორი გრივი წმიდაჲ და ერთი ქრთილი მიეცემოდის. და თჳთო საპალნე ღჳნოჲ:. და მეორისა დასისათა რომელთა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს. ღჳნოჲ თჳთოჲ ცალი მიეცემოდის. გარნა პური ვითა თავადთა ძმათათჳს დაგჳწესებია. ეგრეთვე იმათთჳს. ხოლო მწირთა პური თჳთოჲ გრივი წმიდაჲ და თჳთოჲ ქრთ[ილი] და ღჳნოჲ ოთხთა და ოთხთა თჳთოჲ საპალნე:.

თავი ⷔ ვითარმედ არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების თავნობად და მოფარდულობად ღჳნისა ანუ სხჳსა რაჲსმე არცა აღნადგინებად მიცემაჲ საჴმართა და რათა გამოუთხოვლად მოძღ̃რისა არ ვის სადა ჴელეწიფებოდის წარსლვად გარეგან მონასტრისა. და არაყოფისთჳს მეშფოთეთაჲსა: და თუ რაჲთა მიზეზთათჳს შეიცვალების მოძღუარი (მძ̃ღრი) წესისაგან ატჳსისა ანუ ძმაჲ განიჴდების მონასტრით:.

ⷣრა ვის ძმათაგანსა ჴელეწიფების, მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულობად ღჳნისა გინა რაჲსაცა არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ საჴმართა, მსოფლიოთა. გინა დაჭირებულთა ზედა. და სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრებაჲ, რომელი ესე დიდისა უწესოებისა არს საზღვარი და (აქაც გადაკერებულია და წარწერილი: „მე მჴარგრძელსა დამიმტკიცებია“). დასასრულ ანგაჰარებითისა სიბოროტისა და ვაჭ[რობისა] - - - [უ]ძჳრეს არს: ნანდვილვე სამართლად ითქუას მისსა მ[იმართ: სახლსა] მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდების. ხოლო თქუჳნ გიყოფი[ეს იგი ქუაბ] ავაზაკთა, რომელი არცა თუ ერის კაცთაგან ჯერ არს ყოფად: უ - - - ამისი დაიმკჳდრებს კეთრსა გიეზისსა და შიშთვილსა იუ[დაჲსსა] ვინაჲცა რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს ღჳნის მოფარდულო(ბა) გინა მევახშობა მყის განიდევნოს მონასტრით და მოიკუჳთოს ყოვლითურთ და მისსა ადგილსა სხუაჲ დაიდგინოს:.

ⷣრა რაჲ აღსძრავს და აღაშფოთებს და განამწარებს. მყუდრ[ოებასა] ერთსულთა ძმათასა, ვითარ მეშფოთე კაცი და ღულარჭნილი: [ვითარ]ცა იტყოდის რაჲ მოციქული. ვითარმედ ყოველი რისხუაჲ და გულისწყრომაჲ და ჴდომა[ჲ და] ღაღადებაჲ და სიმწარე მოისპენ თქუჳნ შორის. ყოვლით უკეთურებითურთ, ვითარცა ჰშუჳნის წმიდათა: რასა სხუასა გუასწავებს. თჳნიერ განშორებასა ამის [ჩუჳნისა]გან და ესე ვითართა კაცთაგან: რამეთუ ერთიცა მათგანი კმა არს სრულისა და [ე]რ მრავლისა ქალაქისა აღძრვად და აღშფოთებად. ვინაჲცა რომელმანცა ძმათაგანმან, იკადროს გინებად ანუ შეურაცხყოფად, რაოდენ უმცირესთაგანისა ვისმე, ძმათაგანისა და ლალვად და ამბოხებად: ეგე ვითარი იგი მყის მოისპენ და განიდევნენ, მონასტრით; ხოლო ნუ ვინ გამოჩნდ[ე]ბის მეშფოთისა და მომთრვალისა ასაბიად, რათა არა ითქუას მისთჳს-

ცა იხილი (sic) თუ მპარავი თანაურბიოდ(ა) მას და, შემდგომი: და თუ ჴელ ყოს ვინ ასაბიობად ესე ვითარსა, იგივე პატიჟი დაითმინოს მანცა [ვითარცა] თაეჴედი და დაუწყნარებელი:. ხოლო განიხილვოდედ ესე მწყემს[თაგან] და უკეთუ ორთაჲვე იყოს ბრალი, და ორკერძოვე ცხად იყოს მეშფოთეობაჲ. სწორ იყავნ ორთავე კანონიცა გინა პატიჟი. რამეთუ მონისა ღთისა არა ჯერ არსო ლალვაჲ თქ˜მლ არს. და რაჲთურთით მეშფოთესა და მაგინებელსა და მომთრვალესა, არა აქუს ადგილი და საყოფელი მონასტერსა ამას შინა, რაოდენცა საჴმარნი იყვნენ ესე ვითარნი იგი განიჴადებიან მონსტრით. არამედ უფროჲსღა ფერჴნი მყუდროთა და მშჳდთანი სტკბ[ნა].

Ⴝრავის ძმათაგანსა ჴელეწიფების ოდესცა უკითხავად და გამოუთხოვლად მოძღურისა, (sic) წასულაჲ, სადაცა გარეგან მონასტრისა. არა თავისა საქმისა და საურავისათჳს რავზომცა დაეჭიროს. არცა რეცა თუ მონასტრისა. არცა თუ ჩემისა სამსახურისა ძლით; არამედ თანა წარუვალი თუ და საჭიროჲ საქმე დაემართოს ვისმე ძმათაგანსა, წარვიდეს და აუწყოს მოძღუარსა, და გამოეთხოოს და ლოცვაჲ და კურთხევაჲ მისი მიიღოს და რაოდენსაცა დღესა უბრძანოს მოძღუარმან მეტსა არა უჴმს დაყოვნებაჲ. რათა არა ურჩებისა და უწესოებასა კანონსა თანამდებ ყოს თავი თჳსი: რამეთუ მცირედ-მცირედ შეჰყვაო ი˜Ელსა (ისრაელ?) თქუმულ არს, და სიტყჳთ იტყჳს, ვითარმედ მცირე იგი არა მცირე არს: ხოლო უკეთუ ვინ გარდარეულებითა ამპარტავნებისაჲთა ღამეცა ერთი გამოუთხოვლად დაყოს გარეშე მონასტრისა განიჴადენ, მონასტრით ვითარცა თაეჴედი და შეურაცხის მყოფელი თჳსისა ცხორებისაჲ:.

Ⴝაბრჴე ძლიერ და მსწრაფლ დამაკუⷭთებელარს სახედველთა მიერი წყლულაბაჲ. რომლისა მიერ ვჰპოებთ დაკუⷭთებულად პირველსაცა მამასა. რამეთუ შუⷭნიერ იყოო თქმულ არს ხილვად და შემდგომი:. ვითარცა ჰონე (sic) უაღჳრ˜ჲ (უაღჳროჲ). ნუ უკუⷭ და მრავალგზის კაპანთა შთააბნიის ზედამჯდომელი: ხოლო ჰავჩუⷭულნი (sic) და აღულაგმველნი თუალნი მრავალსახეთა, სასიკუდინეთა სენთა და ბოროტთა წყლულებათა მოაწევენ მტჯრთველთა თჳსთა ზედა: გარნა წინასწარმეტყუⷭლი იტყოდის რაჲ, ვიდოდეთ ბჭეთა მიმართ ჩემთა, და ქვანი გზისაგან განჰყარენით. სხუასა არა რასა გულისჴმა ვყოფ. თჳნიერ რათა ყოველნივე დაბრკოლებისა მიზეზნი მოისპნენ და უჩინო იქმნენ საშუალობისაგან ძმათა კრებულისა: ვინაჲცა განვაწესებ ამას რათა ყოვლად ყოვლითურთ უვალ იყოს დედაკაცისაგან მონასტერი: და ნუ რაჲს მიზეზისათჳს ნუ შევალს მას შინა ტჳნიერ ჴელმწიფეთაჲსა: და ჩუⷭნისა სახლისათა უკეთუ საჭირო იყოს, თანაწარუვალისა მიზეზისა, და ყოველთა თანამდებისა ძლით; და მაშინცა მყის განეშორნენ და ღამესა ნუმცა ვინ დაჰყოფს მას შინა ნუოდეს, რაოდენცა დაეჭიროს. ნუცა ვისსა სენაკსა შევალს დედაკაცი დედაჲღა თუ იყოს მისი:. ხოლო ამის მიზეზისა გარეშე სხუⷭბრ, არცა ჩუⷭნისა სახლისაგან ჯერ არს შესლვაჲ დედაკაცისაჲ მონასტერსა შინა:. ნუცა დიაკონი იზრდების მას შინა, გინა უწუⷭრული ყრმაჲ: ნუმცა ვინ იკადრებს, თჳსსა ნათესავსა გინა

ძმასა, ანუ შვილსა, უჰასაკოსა და უწუწრულსა, შემოყვანად მონასტერსა შინა ნუ რომლისა მიზეზისა მოღებითა: ხოლო უკეთუ ვინმე გლისპობდეს და ფლიდეს წესსა მონასტრისასა, და ჴელყოს განრყუნად მონასტრისა და გატეხად ტჯპიკონისა (sic) და შემოიყვანოს ყრმაჲ უჰასაკოჲ და ერთიცა, ღამე დააყოფიოს: გარეშე ყოვლისა ხუაიშნისა მეყსეულად მითურთ განიდევნოს მონასტრით. და მოიკუწთოს ვითარცა ასოჲ დამჰალი:.

ⴆუალადცა მასვე დავამტკიცებ ვ˜დ ყ˜დ რ˜ჲთ˜რთით (ყოვლად რაჲთურთით) არავის ჴელეწიფების უწუწრულისა ყრმისა გინა დიაკონისა შემოყვანად მონასტერსა ამას შინა საყოფად: გინათუ დიდებულისა შვილი იყოს, ანუ აზნაურისა: არცა თუ ჩემისა სახლისა თუ იყოს:. ნუცა ვისისა შეპოვნებისათჳს დაჰჴსნის ვინ წესსა ამას, ნუცა თნებისა ძლით კაცობრივისა წყევასა მოიჴდის თავს თჳსსა ზედა:. და განმარტებით ითქუმოდენ ვ˜დ ვითარცა იგი მდედრისათჳს, განმიწესებიეს, ეგრეთეე მსგავსად, და უწუწრულისათჳს განვაწესებ:· რათა ყოვლად ყოვლითურთ უვალი იყოს მონასტერი ესე ვითართა პირთაგან:. ხოლო უკეთუ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან იმეცადინოს დაჴსნად კეთილსა ამას წესიერებასა, და კანონსა ამის მონასტრისსა; ზეგარდმოჲთა რისხვითა დაჰჴსნას იგიცა ღ˜ნ, განსახრწნელსა შინა ულხინებელსა და დაუსრულებელსა: და დასტეხენ მას ხუთ ქალაქთაებრ სოდომიანთა, და წარმოიცარიელენ საქანელნი რისხვისანი მას ზედა ა˜ნ:. ხოლო რომელმან მტკიცედ იპყრას და დაამტკიცოს, დაიმკჳდრენ შეუძრავი სასუფეველი და უმმწუხროჲ ნათელი.

ⴆქ˜ნ ხართო მარილნი ქ˜ყნისანი ჴმობს მეუფჱ წმიდათა შინა სახარებათა, რომელი ესე წინამძღუართათჳს ეყვის (ეტყვის?) და მოძღუართა. რომელთადა რწმუნებულ იყოს წინამჯდომელობაჲ ეკლესიისაჲ. ვინაცა მართლისა თჳთებაჲ ესე არს რათა დალპოლვად (sic) არა უტევებდეს. ესე იგი არს, რათა პირველად თჳთ მწყემსი ყოველთა სახე კეთილის ექმნებოდის: ხოლო ურჩთა და თავჴედთა ძლიერად ამხილებდეს. და რომელნიცა კურნებასა მიითუალვიდენ, ამათ შეიწყნარებდეს: ხოლო უკურნებელად დადგრომილთა მოიკუწთდეს – (აქ გადაკერებულია და წარწერილი: „მე მჴარგრძელსა დამინიშნავს“) – და გარე განსთხევდეს, რათა არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმპალვე. ვ˜ნიცა (ვინაჲ) უკუწთუ მოძღუარმან გინა დეკანოზმან თნებისათჳს ვიეთთამე და შეპოვნებისა რაჲსამე კაცობრივისა. ანუ მიზეზითა თჳსებისაჲთა. გინა თუ ვნებულისა მეგობრობისა ძლით. ჰხედვიდენ რაჲ უწესოდ მავალთა და შეურაცხის მყოფელთა ამათ განწესებათასა და არა სწურთიდენ არცა ამხილებდენ: რათა ანუ განიკუ– რნენ ინებონ თუ: და უკეთუ არა, რათა განიჴადნენ: თჳთ იგინი დაკლებულ იქმნენ პატივისგან თჳსისა, და ერთად მორჩილთა განად (sic) იქმენინ:. ხოლო უკეთუ ორგულობაჲ გამოაჩნდეს ვის მონასტრისა პატრონთაჲ. ანუ მოხუწჭაჲ მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებთაჲ. ანუ ქრთამისა აღებითა გარდაქცევაჲ ჭეშმარიტებისაჲ: გინა რაჲცა გუარი საძაგელის შეძინებისაჲ და მოხუწჭისაჲ სრულიად განიჴადნენ მონასტრით:. და უკეთუ მოძღუარმან გინა დეკანოზმან

გინა იკონომოსმან. უდებებად გასცენ თავი თჳსი და სენაკთა შინა მოსუმუ-
რობათა (sic) მიდევნებულნი უგულებელს ჰყოფდენ საქმესა მონასტრისასა და
გარეშე საჭიროჲ მიზეზისა, ზედაჲსზედა ეკლესიისა ლოცვასა დააკლდებოდენ
გინა ტრაპეზს შესლვასა უდებ ჰყოფდენ: ამათ წარუწყმედიეს თავი თჳსი. ვი-
თარ ძალ უც ცხოვნებად სხუათას ვინაჲცა მყის შეიცვალნენ პატივისაგან თჳსი-
სა: და უკეთუ შემდგომად ამისსაცა ეგე ვითარადვე იქცეოდენ განიჴადნენ მო-
ნასტრითცა:. იტყჳს საღმრთოჲ მოციქული განცხადებულას ვითარმედ არცა
მეძავთა არცა კერპთმსახურთა არცა მემრუშეთა. არცა ჩუკენთა. არცა მამათ-
მავალთა. არცა ანგაჰართა. არცა მპარავთა. არცა მომთრვალეთა. არცა მაგი-
ნებელთა. არცა მტაცებელთა, სასუფეველი ღთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ:. ხო-
ლო ნუ იყოფინ რათამცა იპოა ვინ ესე ვითართა მოქმედი მონასტერსა ამას
შინა: გარნა უკეთუ ემხილოს ვის მცირეთა გინა დიდთაგანსა: ერთიცა ამა ზე-
მოთქმულთა ბრალთაგანი: შეუნდობელად განიჴადოს მონასტრით: – ხოლო ნუ
აღტაცებთ იქმნების ესე, არამედ გამოძიებითა მრავლითა განიხილეოდენ ესე
ვითარნი შესმენანი: ვინაჲთგან მრავალგზის აბორგებულნი ვინმე ეშმაკისაგან აღი-
ჭურვიან საეშმაკოთა რათმე შურმტერობათა ძლით ცილისწამებადცა:. და უკე-
თუ ცილი დაეწამოს ვისმე რომლისა გამოჩინებაჲ, ვერღარა შეუძლოს: ცილის-
მწამებელი იგი ფრიადითა შეურაცხებითა განქიქებული განიდევნოს მონასტრით
და ნაქონები მისი ძმათა განიყონ:. უჴმს მოძღუარსა, ფრიადითა კრძალულე-
ლებითა პყრობაჲ. ამათ განწესებათაჲ. და საქმით სრულ ყოფაჲ ამათ შინა აღ-
წერილთაჲ. და რათა თულ უხუად ამხილებდეს ყოველთავე გარდამავალთა: და
თჳთ თავსა თჳსსა სახედ კეთილისად მისცემდეს ყოველთა: (აქ გადაკეთებულია
და წარწერილი: „მე მჴარგრძელსა დამინიშნავს“) განგჳწესებიეს რათა სასყიდელი
ყოვლად რაჲთურთით არაჲ ვისგან აიღებოდის ძმად დაწესებისათჳს: არა მემ-
ჯრეთაგან არა მწირველთაგან და არცა მწირთაგან: ხოლო უკეთუ იკადროს
მოძღუარმან, ანუ იკონომოსმან გინა დეკანოზმან გარდარეულებითა ვეცხლის
მოყუარებისაჲთა: აღებად ქრთამისა რაჲსმე ფარულად გინა ცხადად: და ემხი-
ლოს: დაკლებულ იქმნეს თჳსისა პატივისაგან: რამეთუ სადა ძირი ყოველთა
ბოროტთაჲ რომელ არს ვეცხლის მოყუარეობაჲ დამკჳდრებულ იყოს მუნ: ნა-
მეტნავ არს მიერ მოლოდებაჲ კეთილისა რაჲსმე ოდესცა: რამეთუ ბოროტთა თე-
სლთაო თქმულ (თქმ˜ლ) არს ბოროტ ნამუშაკევნიცა:. მორჩილებასა და სიმ-
დაბლესა ვჰპოვებთ თანანერგად სათნოებითისა ცხორებისა, რომლისა თჳნიერ
შეუძლუბელ არს წარმართებაჲ მონაზონებითისა მოქალაქობისაჲ. საჭიროდ
უკუჱ უჴმს ყოველთავე ძმათა მორჩილებაჲ მწყემსისა და მამისა მათისა სული-
ერისა კეთილითა სჳნიდისითა და შიშითა ღვთისაჲთა, ყოველსავე სამსახურსა
მონასტრისასა, რომელსაცა უბრძანებდეს. და არა შთავრდომაჲ ბრალსა ურჩე-
ბისასა. რამეთუ ურჩებისა ნაყოფი სიკუდილი არსო თქუმულ არს: ვინაჲცა უკე-
თუ ვინ გარდარეულებითა სილაღისაჲთა ურჩ ექმნებოდეს მოძღურისა ბრძა-
ნებასა შეპყრობილი ცუდად მზუაობრობისა ვნებითა. დაიყენოს ტრაპეზს შეს-

ლვისაგან, და დაეჭიროს საწესოჲცა მისი; ხოლო უკეთუ დაადგრეს ურჩებასა ზედა თჳსსა უკურნებელად. განიჴადოს მონასტრითცა:.

Ⴕავი **Ⴣ**. მონაზონთა სოფლის ჴელისუფლად არა დადგინებისათჳს. და ვითარმედ მამულოვნობით არვის ჴელეწიფების მოგებად სენაკისა გინა ვენაჴისა, გინა ეგე ვითარისა რაჲს. და შვილებულ გაზრდილთა ძმად ვერ დაწესებისათჳს. და ვითარმედ არავის ჴელეწიფების ხდილობითისა (sic) მოსუმურობისა მიდევნებად:.

სოფელთა და აგარათა შინა მონასტრისათა. სანიადაგოდ ჴელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი. არამედ ერისა კაცნი დაიდგინებოდენ, მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა; და უკეთუ ოდესმე ეგე ვითარი რაჲმე საქმე დაემართებოდის რომელ ერის კაცითა არ გაიმართვოდეს, და დიდი იკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე სამუშაოთა და საურავთაგან, და მონაზონსა დაემართებოდის წასულაჲ. მწირთაგანი გაიგზავნებოდინ, ყოვლით კერძო გამოცდილნი, და ყოველთაგან წამებულნი, პატიოსნებისათჳს, და მოღუაწებითისა ცხორებისა მათისა; მჴცოანნი ჰასაკითაცა და გონებითა: ესე ვითარნი წარვიდოდენ: უკეთუ საჭიროდ საჴმარ იყვნენ სამსახურად მონასტრისა: ხოლო მღდელნი და მთავარ დიაკონნი ჯერ არს რათა საღმრთოჲსა დიდების მეტი ყუჱლებისათჳს მოცალე და განკრძალულ იყვნენ. და მსახურებისათჳს ეკლესიისა წესთაჲსა უწმინდესად (უწ˜დესად) და ღირსად:: და ღ˜თის მიმაახლებელისა მღდელმემსხუჱრპლეობისა: ვითარცა ღირს არს და ჰშუჱნის, მარადის შინაგან წმიდისა წმიდათაჲსა შემავალთა: და სიწმიდისა და უგანწმედილესობით მიახლებულთა: რათა - - - - (აქ არშიაზე წარწერილიხ თჳთ სარგისის ანუ ავაგის ხელით მხედრულად შემდეგი (არშია წაჭრილია და რაც ჩვენ აღვადგინეთ აზრთა მიმდინარეობით, ის დიდს ფრჩხილებში ჩავსვით):

„უდეს (ოდეს) მ[ე პატ]|რონისა და - -|ღ˜თის ჩემის - - -| მას ჩემ[ის] - -| ღ˜თი (ღმერთი) ჩემ[ისა მეუღ]|ლისაგან გაჰ[რი]სხდა: (და) მი|[იც]ვა[ლა] - - -| ბლად - -|ეზითა: ზ - - -| [ან]დერძი და[გჳწერა]| მათი ჴელ[წერ]|ებული: იკ[ონო]|ვისგანცა [ც]|ბიერებ[ითა]| ეშმაკის[ათა] - -| გუეწია - - -| და ვიგ[ონე]|თ: ესე და - -|ვიგულ[მოდგინეთ]| საყდარსა [წლითი]| წლად მ[ოღ]|ებაი მა[თი] - - -|დ ვს[დებ] - -|დ კულ[ა] - - -|- - -| რომელი ჩუენ[გან]| ეგებუდა: - -| იგივე ბ˜ბა (ბრძანება)- -| ჰაგრევ მ[ტკი]ცედ გავჰ[მ]ართეთ: – [მე] სარგის: ძემან [სუ]|კურთხე[უ]|ლისა: მამისა| ჩემისა მჴარგ|რძელისამან: და:| დედედამან: ჩემმან: ხა|თუთმან: და ძმა|თა ჩემთა: რაი|საცა კაცისაგან: მათსა| ბრძანებულს და: გა| -გებულსა შლ|აი და შეც[ვა]ლებ|აი: იკადრ[ოს]| ამისი კანონნი: და| შეჩუენებაი: ბ|ოლოსა მათი[სა]განვე ბ˜ბული (ბრძანებული)| და ჩუენგანი[ცა]| უკადრ[ელ]| და უწყა|ლობელნი | ვიყვნეთ:| შვილნი და [მო]მავალნი ჩ[უენ]ნი:“ – მეორე არშიაზე მხედრული XV საუკუნისა: „ქ. მოგეც მე უღულდაშვილმა მამინამა და ბატატამა შენ კანდელაკიშვილსა ბასილსა... ჯალაბადანის ტბასა ყორიანი ყანა ხუთის დღისა ნასყიდობითა. ავიღე ფასი, თულულასა შეუნდნეს ღმერთმა. ამი-

სი მწერელი: ხიმშიაშვილმა დაყუდებულმა დავწერე: მითა ადეილსა შენდობას მიბრძანე(ბდეთ)“...

მერე ხუცური, ტექსტის ხელით, რომლის 18 სტრიქონი თითქმის სრულიად გადასულია და ჩვენც გამოვუშვით.

შემდეგ გადაკერებულია ახალი ტყავის ფურცელი, რომლის ნაკერავზე მხედრულად აწერია: „მე სარგისს: დამინიშნავს: – “ მერე ისევ ტექსტი ძეგლისა ხუცურად:

- - - ვრიდებ თქუმად თუ საეშმაკოჲსა გალობისაჲ: რუმეთუ ნამდჳლვე ღჳნითა განბრძნობილი ვერა რას ირგებს: და რათა არა ითქუას მათდა მიმართცა ვითარმედ, რომელთა ღმერთ მუცელი არს და დიდება მათი სირცხჳლსა შინა:. რამეთუ წერილ არს ნუ დაითრევებით ღჳნითა რომლითა არს სიბილწე:. და ვითარმედ მომთრვალეთა სასუფეველი ღ˜თისა არა დაიმკჳდრონ:. და სხჳთ იტყჳს, ყოველი სიტყუაჲ დამპალი ნუ გამოვალნ პირით. თქუჳნით ვითარცა შუჳნის წმიდათა. ხოლო ნაყროვნებასა დედასა სიბილწისასა ნუცამცა ადგილი აქუს თქუჳნ შორის: რამეთუ ვითარცა იგი პირველი განვრდომაჲ ჭამისა მიერ იქმნა უჱჭელად (უეჭეელად) პირველი ხარისხი მოღუაწებითისა მოქალაქობისაჲ, თჳნიერ მარხვისა, და კრძალულებისა პოვნად შეუძლებელ არს:. ვინაჲცა გევედრები რათა სრულიად მოისპოს მრავალთავი ესე ვეშაპი საღმრთოჲსა ამის მწყობრისაგან: რათა რაჲთურთით არა იყოს უქმსიტყუაობაჲ: და ვნებული (მავნებელი?) მეგობრობაჲ და ხდილობითი მოსუმურობაჲ: არამედ თჳთოეული თჳსსა სენაკსა შინა შეევედრენ კრძალულებით კანონსა თჳსსა განწესებულსა, და მყუდროებითსა დიდების მეტყუჳლებასა, რომლითა მხოლოჲ, მხოლოსა მას მიეახლების, მიუახლებელსა; და შეეტრფვის და აღისურვებს, სატრფოსა მას, და სუსურველსა. არსთა ცხოვლობისასა: და ხედავს განწმედილითა გონებისა თუალითა, ზეშთა აღმატებულთა მათ გონებათაგანცა უხილავსა და მიწდომად შეუძლებელსა: მეტყუჳლი შეეძერწა სული ჩემი შედგომად შენსა და მე შემეწია მარჯუჳნემან შენმან:. (აქ გადაკერებულზე წარწერა: „მე მჴარგრძელსა დამინიშნავს“).

Ⴐავი Ხ შემოსაწირვისათჳს თუ ვითარ ჯერ არს განყოფაჲ და ვითარმედ ძმაჲ რაჲ მიიცვალებოდის ვერ ჴელეწიფების დატევებად თჳსთა და ნათესავთა ნაქონებისა თჳსისა:. და რათა ერთი აღაპი ტრაპეზით გარდაჴდებოდის. ახალ მიცვალებულისა ძმისათჳს· და მას დღესა ყოველნივე მღდელნი და დიაკონნი უსასყიდლოდ შეიმოსებოდენ მისთჳს:

შემოსაწირავსა რასაცა ვინ საწირავად შემოსწირვიდეს ვითა წესია მას მწირველნი გაიყოფდენ და ჟამსა უწირვიდენ: და რასაცა ვინ საერთოდ შემოსწირვიდეს მისგან ნახევარი საჭურჭლესა სუეკლესიოდ დაიმარხეოდის: და ნახევარსა სხუასა სწორად გაიყოფდენ მემჴრენი და მწირველნი. და მწირნი. და სწორად ულოცვიდენ.

ხოლო მღდელყოფილთა. და მთავარ დიაკონთა მღდელთავე თანასწორად მიეცემოდის. და მთავარ დიაკონობისათჳს გინა მღდელყოფილობისა ოდენ

ნურაჲ დააკლდების. სხუაჲ თუ საჴმრობაჲ შესწევდეს: და თუ არა ეგე ვითარისავე მღდლისა სწორად მიეცემოდის მათცა: და მატიანეთა ჩასაწერლად რასაცა ვინ შემოსწირვიდეს მას მღდელნი და მწირნი სწორად გაუყოფდენ:. ხოლო არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტრით განღებად ნაქონებისა თჳსისა, ჟამსა ამიერ მიცვალებისა თჳსისასა. რომელიმცა თჳსთა გინა ნათესავთა უანდერძა იგი, რომელთაგან ერთგზის ჯმნილ არს ჟამსა მონაზონად კურთხევისასა:. ხოლო ჯერ არს რათა ყოველთავე მღდელთა და დიაკონთა მესამესა დღესა ჟამი უწირონ უსასყიდლოდ ძმასა მიცვალებულსა, და აღაპიცა გარდაეჴადოს მასვე დღესა ტრაპეზულითა საჴმრითა: და ყოველთა ძმათა ულოცონ: და შეუნდვნეს ღმერთმან სულსა მისსა:.

ძმაჲ რაჲ მიიცვალოს თუ ანდერძი დაეწეროს მისისა ანდერძისა მსგავსად განეგოს ყოველი საქმე მისისა: სულისაჲ: ხოლო უკეთუ უანდერძოჲ აღესრულოს, რაღცა იპოოს მისი შუა გაიყოს, და ნახევარი მაშინვე ახმაროონ სულსა მისსა ვითაცა მოძღუარმან ბრძანოს და განაწესოს: და ნახევარი საეკლესიოდ დაიდვას საჭურჭლესა შინა, მისისივე სულისთვის:. (აქ გადაკერებულ ფურცელზე აწერია: „მე მჴარგრძელსა დამინიშნავს“).

ჩუენისა სახლისა აზნაურნი. და თუნდა მსახურნი შემოილაზუნდებოდენ და ჩუჱნგან და ჩუჱნისა სახლისა კაცისაგან, მონასტერს შეშუჱბასა. და დამკჳდრებასა ღირს იქმნებოდენ: ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიოჲ აზნაურისშვილი, მწირველთავე თანა დაიწესებოდეს. პურითა, და ოქროჲთა: და ჯდომითა: ყუჱლაჲთა: კუალადცა ესევე ეთქუათ თუ დიდად საპატიოჲ. და ნამსახური არ იყოს, ნუ იკადრებს მწირველთა თანა დაწესებასა: და უქუჱგანესი ამათი მსახური რომელიცა,მონასტერს შეშუჱბასა და დამკჳდრებასა ღირს იქმნებოდეს, მწირთა თანა დაეწესებოდეს ტანისამოსითა ოქროჲთა პურითა, და ყოვლითა საწესოჲთა საქმითა:

Სრულითა სასოებითა მეუფისა და მაცხოვრისა და მჴსნელისა ჩუჱნისა ქრისტეს მოწყალებათაჲთა. და მინდობითა წმინდისა მთავარმოწამისა მისისა შეწევნათაჲთა. მიწამან და მონამ მჴარგრძელმან, დიდითა გულსმოდგინებითა განგებაჲ ესე აღვწერე მონასტრისა ჩემისათჳს: რომელი ესე აწვე საქმით ქმნილ არსა ყოვლითურთ ჩემ მიერ, და უმეტესისა შეძენისათჳს დამიც სასოებაჲ, ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა. და ყოვლითურთ უმიზეზო ქმნილა მონასტერი ესე ჩემი მოღუაწეობით და საღუთოდ (ს˜ღთოდ), შემტკბობელთათჳს, მონამ ზონებისათა. და რომელნიცა სოფლისა ნივთთადა არ შემსჭვალულ არიან მონასტერს მყოფნი. ეგე ვითართა მათ უდაბნოჲს მოყუარეთა. და ყოვლად სოფლით განშორებულთა მათ მიერ უმანკოჲთა განგებითა, განიხილვოდინ ჩემ მიერ ყოვლად სასოებით და გულსმოდგინებით აღწერილი ესე ანდერძი საღმრთოჲსა განგებისა ამის უდაბნოჲსათჳს. და მას შინა სულთაჲსა მოღუაწებისა აღმსარებელთათჳს. რომელ სამეფოსა ჩუჱნსა უდაბნო ქმნით და ყოვლითურთ საღთოდ განწესებით. ზომიერად და ჯეროვნად რაოდენნი მწირველნი

და მწირნი მონასტერსა ამას ჩუ̈ნსა განგჳწესებიან სურვილითა ღუ̈ისაჲთა საღმრთოდ განკუთნვილთა მადლთა მათთაგან. რომელ ჩუენსა სამეფოსა აზნაურსა, თჳსისა მონასტრისათჳს არავის დაედვას, ესრეთ სასოებაჲ; უდაბნოდ განწესებისაჲ და სურვილით და წადიერებით, ზედამდგომელობაჲ ყოვლითა, განგებითა, ვითარ მე:.

Ⴙწ უკუ ვევედრები, სიწმიდესა და მადლსა თქუ̈ნსა, წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო. რომელნიცა წადიერ ხართ, მონასტერსა ამას ჩემსა დამკჳდრებად. რათა მტკიცედ ეგოს. ანდერძი და განგებაჲ ესე ჩემი თქუ̈ნ მიერ. და შემდგომითი შემდგომად, დამკჳდრებულთა უდაბნოსა შინა ჩემსა. და არა არცხჳნოთ სასოებასა ჩემსა. და არღარა შემოიხუნეთ ნივთნი სოფლისანი: სამკჳდრებელსა ამას შინა ჩემსა. და ყოვლითურთ უდაბნო ქმნით იპყრათ მტკიცედ ძეგლი ესე, შეუხებელად, ბიწთა ყოველთა: და თქუ̈ნდა მომართ მსახურება ჩემი სრულ იქმნებოდეს. სასოებისა და სიყუარულისა თქუ̈ნისათჳს, და რომელმანცა სასოებასა და განგებასა ამას ჩემსა ეცრუვნეთ, და რომელნი ძეგლსა ამას შინა განწესებულნი, საჴმარნი ტრაპეზისანი უხუ̈ბით მოუკლებელნი ყოველთა დღეთანი. და კუალად სატანისამოსლად მიცემულნი. და სასტუმროდ მოცემული პური და ღჳნოჲ: თჳნიერ ამისსა, რაჲცა ვინ მოიანგაჭროს საჴმართაგანი და დაიუნჯოს გარეშე ამათ ჩუ̈ნგან განჩენილთა და აღწერით დამტკიცუბულთაჲსა· და (აქ გადაკერებულია და წარწერილი: „მე მჴრგრძელსა დამინიშნავს“). გეეზის წყევაჲცა არ მოიგონოს. და განცხადნეს ამას შინა ამა საშინელთა წყევათა ქუ̈შე იყავნ, ქუ̈მო წერილთა. და სასჯელიმცა მიეჴადების. რისხჳსა ღ˜თისაჲ, დაუსრულებელი:. და ვინცა ესე განგებაჲ, და განწესებაჲ უდაბნოჲსა ჩუ̈ნისაჲ. დიდითა სასოებითა, და წადილითა დაწერილი ჩუ̈ნგან. ვინცა და რამანცა გუარმან ქრისტიანემან კაცმან. გინა უდაბნოსა შანა ჩემსა მყოფმან. რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა შეცვალოს. შეცვალებულმცა არს სჯულისაგან ქრისტიანეთაჲსა. და განურისხდებისცა ჭეშმარიტი ღმერთი. მამაჲ რომელი იქმნა მიზეზ ძისა შობითა. და წ˜ისა სულისა გამოვლინებითა. განურისხდებისმცა ღმერთი (ღ˜ი), ძე სიტყუჲ ღთისაი, (ღ˜ჲ). რომლისა მიერ ყოველნი წარმოიარსნეს, ზეცისა და ქუ̈ყანისანი. ხილულნი და უხილაენი, განურისხდებისმცა ღმერთმთავარი სული წმიდაჲ, რომლისა მიერ სრულ იქმნნეს სრულად და გონებად აღნამკნი ზენანი. ძალნი და სულნი, ყოველთა წმინდანი. კრულმცა არს, წყეულმცა არს, ბუნებით ერთარსისა თაყვანის საცემელისა ღთაებისა მადლითა: კრულმცა არს, წყეულმცა არს. შერისხულმცა არს სამგუამოვნებით აღსაარებულისა. და ერთღთაებით ქადაგებულისა. და ღმერთად ჭეშმარიტად თაყუანის საცემელისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა მადლითა: კრულმცა არს და შეჩუ̈ნებულ, ძალითა და მადლითა, ყოველთა წმიდათა ზეცისა ძალთაჲთა:. კრულმცა არს და წყუულ და შეჩუ̈ნებულ წმიდათა და აღმატებულთა სამწმიდაობისა დაუცხრომელად გალობისა შემწირ-

ველთა, ქეროვიმთა, სეროფიმთა, საყდართა, უფლებათა, ჴელმწიფებათა ძალთა, მთავრობათა მთავარანგელოზთა:.

კრულმცა არს, განუჴსნელმცა არს, შეჩუ̈ნებულმცა არს, მადლითა ზენა-_ თა განწესებათა, მღდელთმთავრობითთა, ოცდა ოთხთა მღდელთა, და შჳდთა დიაკონთა, რომელნი გონიერთა (sic) საყდართა ღ˜თისათა, დაუცხრომელად შესწირვენ, ზესთა აღმატებულსა დიდებასა, და მე სულკურთხეულისა სარგისის შვილსა, და შვილთა ჩემთა, და მომავალთა, ცოდვანი და ბრალნი მიეჴადებიან სასჯელისა დღესა:.

Ⴓა ყოველთამცა მგმობართა, თანა ყოვლად წმიდისა ღთისმშობელისათა. და ძისა მისისა და ღ˜თისა ჩუ̈ნისათა, თანა დაისაჯებიან; და შერისხვითა საზარელითა, პირისაგან ღ˜თისა, განვარდებიანმცა სასჯელად საუკუნოდ, და ცეცხლად უშრეტად გეჰენიისა, ეშმაკისა თანა, და მსახურთა მისთა:. **Ⴓ**ა რომელთაცა დაამტკიცონ და მტკიცედ იჰყრან, დიდითა სასოებითა, და წადიერებითა, დაწერილი და განგებაჲ ესე მონასტრისა ჩუ̈ნისა ვაჰანის ქუაბთაჲ (sic), ძემან ღ˜თისამან და ყოვლად წმიდამან მშობელმან მისმან, ყოველი გაგებული საღთოჲ და საკაცოჲ მათი, დაამტკიცოს, აქა და საუკუნესა, ა˜ნ: – **Ⴠ**სე ძეგლი და განგებაჲ, წელიწადსა შინა, **Ⴣ**: გზის (სამგზის) წაიკითხვოდეს, ტრაპეტსა ზედა; ერთგზის შემოსლვასა წმიდათა მარხვათასა; დღესა თევდორობასა: მეორედ სულისა წმიდისა მოსლვასა:. მესამედ ჯუარის ამაღლებასა; **Ⴠ**სე ვითა დაგჳწერია, წელიწადსა შინა, სამგზის წარკითხვაჲ ამის ძეგლისაჲ, რომელმანცა დააკლოს, და არ-სრულებით წარიკითხვიდეს, ამათ ზემოწერილთა ქუ̈შე იყავნ:.

Ⴓა უკეთუ (უ˜კთუ) ვინმე მონოზონი შემოვიდეს, და ძმათა თანა დაეწესებოდეს, ესე ძეგლი სრულებით წარეკითხვოდეს, უკეთუ ყოვლითურთ გულსავსე იქმნებოდეს და სიხარულით შეიწყნარებოდეს წესთა ამათ, თჳთცა დაეწესებოდეს, ძმათა, თანა, და უკეთუ არა შეიწყნაროს ლოცვაჲ აქუს (ა˜ქს) და კურთხევაჲ:. **Ⴓ**იდნი კარნი ზღუდისანი, დიდთა მარხვათა უხარებოდე (?.) ნუ განეხუმიან ცოტათა კართა იარებოდენ თჳნიერ (sic) ჴელმწიფე ანუ დიდებული არ შემოვიდოდეს ქრისტეს შობისა მარხვათა და მოციქულთასა უშაბათ კჳრაოდ და უდღესასწაულოდ ნუ განეხუმიან და ამათ სხუათა წინუკუანთა დღეთა უ[თხ]შაბათ პარასკევთა და ორშაბათსა ნუ განეხუმიან და ვითა თჳთ სწერია ამას ძეგლსა სამგზის წაკითხვასა შედეგად, რაჲცა მოშლილ იყოს ამის ძეგლისა განგებაჲ. მის ჟამისა მოძღუართა დეკანოზთა და ჴელისუფალთა არა! გაჰმართონ. იგინიმცა არიან ამათ წყევათა და კანონთა ქუ̈შე რომელნი ზემოჲთ სწერიან: (აქ ერთის ხელის დადებისოდენა ცარიელი ალაგის დატოვებული და შემდეგ სხვა-ხელით გაკრულ-ხუცუურით წარწერილია:)

† უფალო: იწსო: ქ˜ე: ღ˜ო: ჩ˜ნო: რომელისამიერ: სროლ იქმნების ყოველი: ჩუ̈ნდა: მონიჭებოლია მადლი: მინდობითა შენითა: დავსწერ სიმტკიცესა წ˜დისა ამის: მონასტრისასა: ჩუ̈ნ: ქრისტეს მიერ ქ˜კზი (ქართლი-

სა კათალიკოზი) გ˜ი (გიორგი): რომელი: ძეგლად ყოველთა მონასტერთაცა: კმასაყოფელარს: სადიდებელათ ღ˜თისა: და სალოც:ველად ე˜ ე'˜სა მჴარგრძელი-სათჳს: ნომცა დაიჴსნებიან: წესნი ზემოწერილნი ესე: და ნომცა შემოვალს: უდებებაი: განმრყვნელი: კეთილთაჲ: ყ˜თთა აგარაკ :(სო)ფელთა: მაწყენარნი უსამართლოდ: წყევასამცა: შინა არიან: – და ყოფელნი მჴნედ მოღუაწნი: და აღმასროლებელნი: ამის: ძეგლისანი: აკურთხნეს ღმერთმან: და წმიდამან: დედა-ქალაქმან: – (აქ თავდება სიგელი):

მერმინდელნი წარწერანი:

1) ხუცური XIV საუკუნისა, ლამაზ ხელით:

„სახელითა ღ˜თისათა..... თავსმდებებობითა. და შუამდგომილობითა. ვა-ნის. ქუაბთა: მთავარმოწამისა გიორგისითა... შუა მდგომელობითა... ხატისა მა-ცხოვრისასა ვანის ქუაბთა. და მას შინა. დამკჳდრებულთა: საღთოსა, (sic) კრე-ბულსა. მღდელთა. და დიაკონთა. მიგიძღუნე და მოგაჴსენე. სულისა. ჩემისა. მფარველსა: ჩემი. მკუდრი (sic). მამული ნასყიდი. ხარაკია. მისითა: მზღრითა: (sic) მთითა და ბარითა: შესავალ: გამოსავლითა. შევსწირე. და მოვაჴსენე. ხატსა. ღთაებისასა: მე. მურვან: ღარიბაჲს ძემან: ტოლოშს. ორნი. ვენაჴნი. მაღმარაშიგან: ჩემი ნასყიდი: შევსწირე: სულისა. ჩემისა. სამლოცველოდ. ვე-რავინ. მოშალოს: ვერამა გუარმა კაცმა. ვერცა. დიდმა: და ვერცა, მცირემან: ვინცა და რამანცა: გუარმან: კაცმან··· მოშალოს... შემცაიცვლების. სჯუ-ლინაგან. ქრისტიანეთასა..

ვანის წ˜ა გიორგის ხატი: იხ. ბაქრაძის Гурія и Аджарія გვ: 226; 196.

2) მეორე პირზე ხუცური წარწერა XV საუკ.

სახელითა მამისათა..... ძლიერისა და უძლეველისა: ძელისა ჯუარისათა... თავთა მოციქულთა პ˜ე და პავლე... ესე წიგნი: მოგაჴსენეთ: თქუ჻ნ მონას-ტერსა და ჩუ჻ნსა მფარველსა მაცხოვრისა. ხატსა: და წ˜ასა გ˜ის: და საფლავ-სა და სანაწილესა ჩუ჻ნთა მიცვალებულთასა ვანის ქუაბთა ეკუტარსა (sic) ჩუ჻ნსა. ჩუ჻ნ მკუდართა ღარიბას ძისა სძალთა მამადედამა დადუნიაჲ და ჩუ჻ნთა შვილთა: ქავთარ: რელამა ფოცხუერმა და სხჳთა (sic) შვილთა მო-გეცით მჭედლის უბნას, (cis) ერთი ყანაჲ: და ტოლოშს ვენაჴი: ჩუ჻ნთა ქმარ-თათჳს: საგიასა. და ინდუსტარისთჳს:. შევიკუ჻თეთ ორი აღპი, ანჲნას (sic) მუცლადღებისაჲ და მეორე დღე მნაეთი (sic) არა ვინ იყოს მშლელი.....

3) ხუცური მდარე ხელი, 1393 წელს დაწერიალი:

სახელითა... და შუამდგომლობითა: წ˜ა: გიორგი: ვანის ქუაბთა: მთა-ვარმოწამისათა: თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ჩუ჻ნისა. მფარველი-სა. წასოჲსა: შესავედრებელისა: ვანის ქუაბთა მაცხოვრისა. ხატისა: მე: მურ-ვან: ღარიბას ძე: რამეთუ: უმკჳდრო: ვიყავ. ცოდვათა: ჩემთა სიმრავლისაგან ნაშობთა: ზურგისა: (sic): ჩემისათა: შვილთა. ჩემთა ჴორციელთა. ნუგეშინის მცემელად. სულისა. ჩემისა: განვაგე (გნ˜ეგე) (sic) საუკუნოჲ: საჴსენებელი. და მოვაჴსენე: ეკ?ტრსა. სამკჳდრებელსა: ჴორცთა: ჩემთასა. ვანის ქუაბთა. სა-

ნაწილესა და საფლავსა. ჩემთა მიცვალებულთასაჲ და საფლავსა. ზედა მწირველსა ჩემსა, იორდანეს შვილთა. და ჩემითა. ალალითა. საფასითა: ნასყიდი: ერთი: მამული: ორხ˜ოფიას: რო˜ტაშაული. მისითა. მთითა. ..... ერთი ვენა˜კი ტოლ˜ოშს: ახალშენი. მაღნარას იგიცა ნასყიდი: და მ(ი)უდევარი: ო˜რნი ყანანი. ფიურნი იგიცა ნასყიდი. და მოუდევარი. ვინცა. შემ(დ)გომით(ი) შემდგომად: მწირველი: იყოს. დიდთა. მარხევათა. შიგან. შ[illegible]დსა (sic) შაბათსა: ჟამსა: წირვიდეს. ჩემთჳს. და ჩემისა ძისა. ღარიბა არსლანისთჳს და (sic) შუიდსა პანაშუიდსა დიდსა ეკ-ლესიას გარდაიჴდის და არა ვინ იყოს მოცილე. მშლელი და მაცილობელი... (წყევა). დაიწერა: ქრონიკონსა: პა: (1393 წ.) მეფობასა გ˜იჲ (გიორგისსა) დეკანოზობასა: იოსებისსა: მნათეობასა. ანანიასა. იკანამოსობასა: .იორდანესსა კა-ნდელაკობასა: გიორგისსა: მეკუტრებასა: ანტონესსა: ჴელითა , ყოველთა კაც-თა უცოდვილსასა მათ˜ე (?) ამირბეგისითა (თუ ამირბეგისძითა?) შ˜ნ ღ˜ნ: –

ეს წარწერა რომ ზემო-დაბეჭდილს წარწერაზე ადრინდელია, ეს ცხადია იქიდამ, რომ ზემო-წარწერის უკანასკნელი სტრიქონი ვერ დატეულა და ერთი ნაწილი არშიაზე გადაუტანია მწერალს. ეს წარწერა და № 1 ერთის-და-იმავე პირისაგან არის მიცე-მული. – 1393 წელს ცოცხალი იყო ბაგრატ-მეფე, მაგრამ აქ გიორგია მოხსენებუ-ლი მეფედ ალშათ იმის გამო, რომ ამ დროს ბაგრატ ტყვედ ჰყვანდა თამერლანს.

4) ხუცური XIII საუკუნისა, ხელოვნურად დაწერილი:

ქ. სახელითა..... ამათ ყოველთა შუამდგომლობითაჲ: შევსწირეთ და მოვაჴსენეთ წ˜ასა. მთავარ მოწამესა გიორგის: ვანის ქუბთა ბატონმა როსტევან და ჩემთა ძმათა თაყაჲ და შანშე (აქ წაშლილია: „ვისარი“). და ჩემთა შეილთა ვახტანგ და ზავრად: და ყოველთა მყოფთა სახლისაჲ ჩემისათა: და ვანის ქუა-ბელთა. საღ˜თომან კრებულმან ერთსულობით შეკრებულთაჲ: შევსწირეთ და მოვაჴსენეთ წ˜ს გ˜ის: გულაშარნისა ქუწშეთ. აბჯაარეული ზუწრი: და რაჲცა პარტახტი არის მას შინა: აშენებული: ჩუწნითა ბრძანებითაჲ. ყოვლისა კა-ცისაგან მოუდევარი და უსაქმო არს. აწე რამანცა გუარმან კაცმან... (წყევა)... რისვხამსცა ყ˜დ წ˜ა ვარძისა ღთისმშობელი. რისხავსმცა საუფლო ხატი კუმურ-დოსაჲ... ხოლო აღმასრულებელნი... აკურთხნეს... და წმიდამან დედაქლაქმან:. იეწლუსარემან: –

5) ხუცური მდარე XIV – XV საუკუნისა:

სახელითა... და შუამდგომლობითა ვანის ქუაბთა მთავარმოწამისა გიორგი-სითა. თავსმდებობითა... მფარველისა ჩ˜ნისა ხატისა მაცხოვრისასა ვანის ქუაბთა და მას შ˜ა დამკჳდებულთა საღ˜თოჲსა კრებულისა მღდელთა და დიაკონთა მიგ(ი)ძღუანე და მოგაჴსენე. მე მურვან. ღარიბის ძემან: ჩემისა ნასყიდისგან: მე-სამედი: კუნელეთით: მესამედი: დიდკლდით: მესამედი: ციხეკნელით: მე-სამედი: კუარბით: რასაცა ოდენ ღ˜თი მიგძღჳანებდეს: (sic) ნაყოფთაგან. ამათ: ქუნ·”ყახ·ათა: თუ დღიდღად და თუ მცირედ: ჩემთჳს ღა ჩემთა: მშობელთა და შვილთათჳს: აღაპითა და წირვითა და ლოცვითა: იჴსენებდით შეკუწთა ამად არა ეყავ ღ˜თისა ჴელთა: შინაა (შ˜აა). დიდი და მცირე. ყოველივე: რაცაღა

ჯამსა (ი)ყოს მას ოდენ. ნუ დამაკლებთ. და თუ. ჩემისა. სახლისა: ქალმან ანუ. სძალმან. ჩოკათა: ჩაცუმაჲ: მოინდომოს: ამა. მესამედსა მას მიუძღჳანებდით. და ვისცა: შემდგომად და შემდგომითი: შემდგომად: ჩემსა დაგრჩეს: ესე ჩემი ნასყიდი, და ნაქუონები (sic) თუ შვილისშვილსა. და თუ ჩემს გუარისა კაცსა და თუ სხუის გუარისა კაცსა და თუ. მეფეთა: და თუ ჴელმწიფეთა. რასაცა ჟამისა დაგდებითა: არა მამეშალოს (sic)...

აქ მოხსენებული მურვან ღარიბასძე ზემო ნაჩვენებია 1393 წლისქვეშე ცოცხლად (№№ 3 და 1). – ამ სიგელიდამ სჩანს, რომ ვანის მონასტერში განყოფილება ყოფილა დედათა მოღვაწეობისთვის (დედათა მონასტერი).

6) ხუცური მდარე, XV საუკ., მქრალ. მელნით:

სახელითა... მე პატრონმან ივანე. გკადრე და შემოგწირე. მცირე შესაწირავი. ვანის ქუაბთა. წინაშე. ხატსა ღთაებასასა. ჩემისა სულისატჳს. ათას ხუთასი თეთრი ჩემისა საპატრონოსა ტაღმისაგან თმოგუს მეტაღმენი თქუჳნ წინაშე სამუდამოდ ჩემთჳს და საჴსრად სულისა ჩემისათჳს ანთებდენ (sic) ვინცა კანდელაკი იყოს ასრე რომე არაოდეს მომეშალოს და ვინცა მომიშალოს და არ გამითაოს ჩემთამცა ბრალთა მზღველი არს და ამამცა ძეგლისა წყევასა ქუჳშე არს. და გამთავებელნი კხ˜ლ უკ˜ე.

ეჭვი არ არის, რომ აქ მოხსენებული პატრონი ივანე არის ივანე ათაბაგი (1391 – 1444 წ.), ანუ ივანე ჯაყელი, ათაბაგი XIII საუკ. Hist. de la Gé., 321; ქ.-ცხ. I, 403; 409 – 411; 419).

7) ხუცური მდარე იმავე საუკუნისა:

სახელითა... საყოფელსა წ˜დასა მონასტერსა: ვანის ქუაბთა: წმიდისა მთავარმოწამისა. გიორგისათა:. და მოვაჴსენეთ: წ˜დასა მონასტერსა ვანის ქუაბთა:. ჩუჳნსა ეკუდარსა: სამნათეოდ: და სულისა ჩუჳნისა მოსაჴსენებელად: შევსწირეთ სულკურთხეულისა მამისა ჩუჳნისა საგიასაგან. ნასყიდი: ერკუატას პრნივე იჳრიკას ძენი ორმოცდა ექუს თავ ჩაფს რჳნოს მოაჴსენებდეს მნათესა: სატრაპეზოთა თავჩაფითა: და ორს გრივს პურსა წმიდასა სატრაპეზოთა კაბიწითა; მუნავე. ერკუატას ევატას ძე ჟამერაი (sic) თოთხმეტსა თავჩაფსა ღჳნოსა მოაჴსენებდეს: მნათესა სატრაპეზოთა თავჩაფითა:. და შჳდს კაბიწს პურს წმიდასა: სატრაპეზოთა კაბიწითა: აგარას ორკალოსძისა მამული. სამი გრივი პური ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი: და შევსწირეთ თხუთმეტი ლიტრა ზეთი არდაჯით მოხდებოდეს (sic): მნათესა:. მოვ(ა)ჴსენეთ ესე ეკუდარსა ჩუენისა სამკჳდრებელსა და საფლავთა ჩუჳნთა: განვაგეთ და გავიჩინეთ სულისა ჩუჳნისა საუკუნო საჴსენებელი: და გაუჩინეთ მნათესა მონასტრისაგან საძმო ჰქონდეს და ევლოგია. და მამული: და ნახევარ (sic) ევლოგია ჰქონდეს სამნათოდა ჩუჳნ მირძასა და ზაზასაჴს წელიწადშიგან თორმეტსა საუფლოსა

დღესა ჟამსა გჳწირვიდეს დაუკლებელად: და დიდთა მარხვათა შიგან: ექუსსა პანაშჳდსა გარდაიჴდიდეს ხუთშაფათსა დღესა. და ძმანი დიდსა ეკლესიასა ლოცვითა შეეწეოდენ: (წყევა ჩვეულებრივი).

8) ხუცური, მქრალ მელნით XIV – XV საუკ.

Ⱋ. სახელითა:..... შემოგწირე: შენ ჩემსა მონასტერსა დასამკჳდრებელსა. ჩუ℘ნსა| ეკუდარსა: სამნ(ა)თეოდ მოგაჴსენე. ფიას; მე თმოგუ℘ლთა ასულმან. გულშარ: თორმეტთა საუფლოთა. დღეთა საწირავად: თქუ℘ნ ჩემსა მნათესა. გრიგოლს: კუ℘რნაული: ვენაჴი: დედისა და მამისა: და ბებრისა (sic) ჩემისგან ნასყიდი: არა ვინ არის მ(ო)ცილე არა გუარი კაცი: ამისნი მოწამენი სრულად. ფიელნი მამისახლისნი არიან: რომე უყიდ˜ია. ბალახაშვილისაგან: ხაბასა და ნიკოლოზასაგან: მისითა წყლითა: შაფათი დღე პირის პირაშიგან: (sic) საგუბარი: მ(ი)რაშხანს: ნაწალკოტევი ყანაჲ: (და ზედვე იმავე ხელით. მაგრამ სხვა მელნით არშიაზე წარწერილია): „და ერთი: ყანაჲ: ხუცრი ყორნა - - თურმეტთა ს - - ზედა მომიმატე: შენ ჩემ - - მნათემან: ორი დ - - ჟამის წირე˜ჲ: - - თი: ტაძარ მიყვა(ნე)ბ˜ჲ და მეორე დღ - - - ი:“:) ჭალა: გულაური: სამივე: მამისა და დედისა ჩემისაგან ნასყიდი: და ჩემსავე სუფევაშიგან. ორორსა ლიტრასა ზეთსა და თჳთოსა ლიტრასა ცჳლსა მოგიჴსენებდე წელიწად შიგან:..... (წყევა).

მხედრულად ლამაზის ხელით მოწერილი: „ქ: მე - - გულშარ ამისი გამთავებელი ვართ“.

9) ხუცური XIV – XV საუკუნისა:

სახელითა... და შუამდგომელობითა ვანის ქუაბთა ხატისა მაცხოვრისა: და წ˜ისა გიორგისათა სასოსა და მფარველისა ჩუ℘ნისათა:... გკადრე და მიგიძღუანე: და მოგაჴსენე თქუ℘ნ საშინელსა ხატსა მაცხოვრისა ვანის ქუაბთა: და მას შინა დამკჳდრებულთა: მღდელ მონაზონთა: მღდელთა და დიაკონთა: და საღთოჲსა კრებულსა მოკაჴსენე ჩემსა სამკჳდრებელსა: მე თმოგუ℘ლისა: ჩაისრისა ასულმან. გულშარ: ალაგითა: ჩემითა: საქოლნითა: (sic) ნასყიდი: მკჳდრი: და მოუდევარი: ჴელმოჴსნილი: უსარჩლელი: ყოელისა კაცისაგან: ზედა ვარზიასა მესამედი ჩემი ნასყიდი მისითა: სამართლიანითა მზღვრითა: (sic) საჴმრითა: და უჴმრითა: ერთი ვენაჴი: მილახს: გუარამათ მიწისა: მისითა: წყლითა: ნიგზითა და სამართლიანითა მზღვრითა: იგიცავე ჩემი ნასყიდი: ერთი: საბარავათა: ლუკაური: ვენაჴი იგიცა ჩემი ნასყიდი: შემიკუ℘თეს·: და დამიდვეს: აღაპი მამისა ჩემისათჳს წელიწდის თავი დღე და დედისა ჩემისათჳს: დეკემბერსა ოცდა ათერთმეტსა მელანიაჲსა: ნოემბერსპ: აცამეტკსა: (sic) იოვანე ოქროპირისა: ჩემისა შვილისათჳს აღაპი: ხავროზისთჳს:····· (წყევა:. „ხუთთამცა საპატრიაარქოთა საყდართა: მადლითა: კრულია“...).

მეხუთე-საპატრიარქოდ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს საქართველოს ეკლესია. ეს გულშარი ზემოც არის მოხსენებული № 7.

10) ხუცური XIII – XIV საუკუნისა, ლამაზ ხელით (ძლივსღა გაირჩევა):

სახელითა... დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ თქუენ: საშინელსა ხატსა სასოსა

და მფარველსა ჩუ̃ნსა და თქუ̃ნსა წინაშე დამკჳდრებულთა წ˜თა - - ვა-
ნის ქუაბთსა: შემოგწირე და მოგაჳსენე ჩუ̃ნგან აღშენებული წევის ბო-
ლო (გაურჩეველად) და ახალშენი მისითა ვენაჳითა ჩუ̃ნ რჩეულას ძეთა რო-
სტევან როს - - - ვამან და ჩუ̃ნთა შჳლთა ვახტანგ ზავრად და ხავ - - და-
გიკუ̃თეთ (აღაპი) დიდსა შაბათსა ჩემსა ჟამბა (ჟამობა?) და ჩემთა - - - ვიქმთ
- - - უკანა ხატსა და მონასტერსა დარჩეს და ჩემისა სულისა საფას - - - -
მათდა მ˜თმ˜ან ღ˜ნ იცის რა გუარცა - - - - - - - ამა ჩემგან გაჩენილსა: და
მოჳსენებულს..... (წყევა).

11) სუცური XV საუკ· მქრალ მელნით, ძლივსღა გამოიცნობება:

Ⴑრსებად დაუსრულებელსა და გარშეუწერელსა ხატსა ღვთაებისასა, გკადრე და მოგახსენე მე ათაბაგ ამირსპასალარმან პტრონმან ივანე ვანის ქუაბთა მაცხო-ვარს ხატსა ერთი საკელაპტრე ვეცხლით შეჭედილი ერთი ვეცხლის კანდელი საუფლო (გაურჩევლა) ჭაჭკრული სათათრო მალი: ზედა სანთებად ზეთად აი-ღებდეს მისი კანდელაკი და მის წინ აღანთებდენ ჩემთჳს (ჩემ სის=ჩემ სულის?) და მომავალთა ჩემთათჳს: არა მოეშალოს არცა ჩემგან და არცა სხუათაგან ამისი გამთავებელნი ღ˜ნ აკურთხნეს.

ივანე ათაბაგი 1391 – 1444 წ. იხ. ზემო. № 6.

12) ხუცური XV საუკ. კარგის ხელით:

Ⴑრსებად დაუბადებელსა და გარემოშეუწერელსა ხატსა ღთაებისასა გკადრეთ და მოგაჳსენეთ მე პატრონმან ყუარყუარე და თანამემცხედრემან ჩემმან პატრონ-მან ანა: და ძეთა ჩუ̃ნთა პატრონმან მზეჭაბუკ: და პატრონმან ქაიხოსროვ რო-გორაცა ძუ̃ლთა სიგელთა შინა სწერია ჭაჭკული მალი ჩუ̃ნცა ისრე მოგჳსე-ნებია საცოდ ჩუ̃ნდა სულიერად და ჯორციელად ჩუ̃ნთჳს და ეგრეთვე ძეთა ჩუ̃ნთათჳს: ამას კანდელაკი აიღებდეს და ზეთად აქცევდეს და აანთებდეს უკლებლად ყოველთა წელიწადთა და არაოდეს მოეშალოს ხატსა ღთაებისასა:.

აქ მოხსენებულია ყვარყვარე IV. ბევრი საბუთები გვაქვს იმისი, (ეკ· მუს. №№ 193; 73) რომ ყვარყვარეს ცოლის „დედის-იმედის“ ნამდვილი სახელი ყოფილა ანნა (იხ. აგრეთვე „Гурія-Аджарія“ გვ. 213). ათონის აღაპებიდამ და სხვა ჩვენგან შეკრებილ საბუთებითგან სჩანს, რომ ეს ყვარყვარე მომკვდარა 1498 წ. და არა 1500 წ. (H. G, I. 639). იმავე აღაპებში მოხსენებულია ყვარყვარეს შვილები: ქა-იხოსრო, მზეჭაბუკ, ბაადურ, იანქო, არავჟანდა, მანუჩარ, მარათლიხონ· – აქ მოხსენ-ებულს იანქოს, ჩვენის „ქრონიკებით“ ათაბაგობა დაუპყრია 1478 წელს. ეს გარე-მოება ჩვენს ისტორიაში აღნუსხული არ არის. – იხ. ქვემ· № 13.

13) ზედვე მხედრულად, მქრალ მელნით, XVI საუკ.:

ქ. არსებად: დაუსაბამოიცა არსება: დაუბადებელო ხატო ღმრთაებისაო შეიწირე. მცირე, ესე. ძღვენი. მე· ათაბაგისა ყუარყუარეს[თჳს] და მანუჩარისთჳს და ძისა. ჩემისა ქაიხოსროსთჳს. და თუალშვენიერისთჳს. სადღეგრძელოდ და სა-ჴსრად სულისა ჩუენისა. ჭაჭკური, ვენაჴის. თავი. და. მალი. ვერამა ჩუენმა მოსულმა. ვერ აიღოს. და, შენ ხატსა ღვთაებისასა მო(აჴმაროს).

ამ სიგელს უნდა აძლევდეს ისტორიაში უცნობი და ჩვენს „ქრონიკებში“ცო-
ბილი ნესტან–დარეჯან ყოფილი ნინო, ყვარყვარე IV-ის ცოლი (ის ჩემი გუჯ. წ.
II გვ. 222 260); ნინო სჩანს 1520 ან 1550 წ. – როგორც ჩვენის „ქრონიკები-
დამ“ მტკიცდება (ის 1518 წლის ქვეშე) ეს ყვარყვარე IV ყოფილა „სახელგანთ-
ქმულის ყუარყვარეს ძისწული, ქაიხოსროს ძე და არა მზეჭაბუკისა, როგორც ჩვენს
ისტორიაში ცნობილია (იხ. ბროსსი Rap· II, 130).

14) ხუცური ლამაზი, XV საუკ. ხელით.

Ⴔ. – არსთა ყ˜ლთა არ არსთა არსებად მომყვანებელსა ჩუ℘ნსა მცველსა და
მფარველსა სუშინელსა ხატსა მაცხოვრისასა ვანის ქუაბთა გკადრეთ და მოგა-
ჴსენეთ მცირედი ესე ძღუ℘ნი მე პატრონმან ყუარყუარე და თანამეცხედრემან ჩემ-
მან პატრონმან ანნა ჭაჭკრული ვ(ენაჯის) სათავე და კალოს კაბიწი პატრონს
ყ˜ყრეს (ყუარყუარეს) გაეშუა და შემოეწირა თქუ℘ნ(და), ჩუ℘ნცა მოგჳჴსენებია
ჩუ℘ნთჳს და ჩუნთა შვილთა აქა სამზეგრძელოდ (sic) და საუკუნოჲს სუსუფე-
ველსა დასამკჳდრებელად და არაოდეს მოეშალოს ხატსა ღთაებისასა უ˜კე - -

ჭაჭკრული სათუავიცა (sic) ხატისათჳს შეგჳწირავს ჩნ˜და სადღეგრძელოდ
და მონასტერი აიღებდეს და ხატს მოაჴმარებდეს და [ეკუდ]ურსა:.

აზის ორი ბეჭედი თათრული (იხ. ზემო №№ 12)

15) ხუცური XV საუკ.

Ⴑრსებად დაუბადებელსა. და გარე შეუწერელსა. ხატსა ღთაებისასა გკა-
დრეთ. და მოგაჴსენეთ და შემოგწირეთ. ჩ˜ნ რჩეულაშვილთა. ენუქ და ალფეზ.
განძას. კჴვს. ვენაჯი. და მე(ვე)ნაჯე. მისითა. სახლ. კარითა. ტულუხი. (sic)
ჩუ℘ნგანვე ჰქონდეს. და ჭაჭკარს. საზედაშეთ. ბერაულის. მესამედი. მისითა
სუ(ხლ)ითა. ვანის. ქუაბს. ირინაშვილი. ერთი. ძმა. მესამედი - - - ლითა; და
მელიას. ბაქელიძის. ნახევარი. მისითა, ვენ(უხითა) - - - ბოლოს. ფარნაოზაჲ და
ელისაი. ნუხევრისა. მამულ - - - - თა. ესე. მცირე. ძღუ℘ნი. კურთხეულისა.
ლეონისა. სულისა. საჴსრად, შემოგჳწირავს. სადამდის. საწყალობელი. დედა მი-
სი. ცოცხალ იყოს. მას ჰქონდეს. და მას უკუნით ვინცა. საყდარსა. და ეკუ-
დარსა. მსახურებდეს. მას მიებარებოდეს. და მათი. სული. იჴსენებოდეს. ვინცა.
და რამანცა. კუცმან. რისაცა. მიზეზისათჳს. მოშალოს. რისხავმცა. შენ. თთა-
ება. მჴსნელი. ადამის. ნათესავთა. და ყოველნი. წ˜დნი ზეცისა და ქუ℘ყანისა-
ნი... (წყევა).

Ⴏსე ამდესა (უმდენი) მამული მისთვის. შევატანეთ. წარწ℘მდა. სულითა
(და) ჴორცითა. დავით. და. მოკლა. უსამართლოდ. ღჳძლი ძმისწული ლეო-
ნი და მისი მამული ყოველი დაგორჩა:. (sic).

შემდეგი ორი წარწერა მე-XVI საუკუნისა გადასულია.

ამ გვარად, ვანის გუჯარი გვაძლევს ახალს საყურადღებო ცნობებს ისტორი-
ულს, გეოგრაფიულს, სარწმუნოებრივს და გვაროვნობითსაცა იმ საქართველოს კუ-
თხისას, რომელიც რამდენიმე საუკუნეა რაც მოსწყდა საქართველოს და რომელზედაც
იშვიათად იპოვება ახალი ცნობები.

———————

1218 – 1227 წ. ნაწყვეტი არსენი კათალიკოზის სიგლისა, № 66.

სინოდ. კანტორის გუჯრებში იპოვება წარჩინებულის მხედრულის ხელით ტყავზე ნაწერი სიგელი № 66 (სიგრძით $2^{3}/_{4}$ არშინი, სიგანით $^{1}/_{2}$ არშინი). უმეტესი ნაწილი (ანუ თვით ტექსტი) სიგლისა, რომელიც ხუცურად ყოფილა დაწერილი, დაკარგულია, დარჩენილა ტექსტისაგან მხოლოდ ერთი ნაწილი წყევა-კრულვისა, ხუცურად დაწერილნი და ხელმოწერანი. რაც დარჩენილა ისიც მეტად დაზიანებულია. ეტრატი აქა-იქ დაგლეჯილია ანუ მოცრცნილი სიძველით. მაგრამ რაც დარჩენილა, ისიც არ არის უმნიშვნელო ჩვენის ისტორიისა და მწერლობისათჳს.

სიგელი ხელმოწერილია თვით კითალიკოზის არსენისაგან, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, 1227 წლის ცოტა უწინ კათალიკოზობიდამ გადამდგარა, შიომღვიმეში შესულა უბრალო ბერად (იხ.ზემო გვ. 28 – 30); მის მაგიერ კ˜ზად დაუყენებიათ გიორგი. რადგან თეოდორე კათალიკოზის შემდეგ (რომელიც სცხოვრობდა თამარ-მეფის დროს, 1190 – 1200 წლებში: იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 80 და II, 75) არსენამდი ჩვენგან პოვნილის კ˜ზთა სიით: (იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 80) კათალიკოზად მჯდარან ბასილი (ეს ბასილი მოხსენებულია ეკ. მუზ. ხელნაწერშიაც, № 94), იოანე და ეპიფანე: ამის გამო არსენის კათალიკოზობას ერგება დაახლოვებით 1218 – 1227 წლები და ამ დროებშია დაწერილი მოხსენებული სიგელიც. – სასვენ ნიშნებად ხმარებულია წერტილები, თითო და ორ-ორი; თხლათ უზის და არა ყოველს სიტყვის შემღეგ.

სიგელი შეიცავს:

1) ხუცურად ნაწერს წყევა–კრულვის ნაწყვეტს, რომელსაც ჩვენ არ ვბეჭდავთ. ეს ნაწყვეტი ბოლოს მხედრულად წარწერილია: „მტკიცე არს - - - დამიმტკიცებია“ (ეს უნდა იყოს გიორგი-ლაშას ხელი და ანუ მეფე-რუსუდანისა).

2) თვით არსენ კ˜ზისაგან დაწერილს მხედრულად ლამაზის ხელით:

„ - - - [ესე ვითა] ზემოთ დაგუიწერია მე გლახაკსა არსენ ქ˜კზსა წამე[ბითა] - - - [ქარ]თლი(სა) ებისკოპოზთათა წ˜სა უდაბნოჲსა მღჳმისათჳს [1]) - - - - - - და უარძანებია ჩ˜ნ ყ˜თა შ˜დ მათსა - - - ღუწაი და ზრუნვაი მამათა მემღუიმეთა მათთა - - - [დაწერ]ილი და დაწყევაი - - . . . მე გლახაკი არსენი ქ˜კზი მათ[ი] - - - აღმასრულებელი ვარ - - - - ყოვლითა ზემოჲთ დაგუიწერია არა - - - ვითა დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა დავითის [2]) ენე - - - - - კმაარს წდ˜ისა ამის უდაბნოისათუის და მათნი ღთივ გჳრგჳნოსანი მეფენი და მოურავად ვითა იგი მასვე შ˜ა სწერია გაჩენითავე ნი - - [მწიგნობა]რთუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს და მამაჲ მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა [განაგე-

---

[1]) აქიდამ სჩანს, რომ სიგელი წარმოგვიდგენს განაჩენს, ყველა ეპისკოპოსთა კრებისაგან დადგენილს, როგორც ბოლო წარწერაში მ˜კსი საბაცა ჰმოწმობს: „ვითა კრებასა... განუჩენია ბჭობითა“.

[2]) ე. ი. დავით აღმაშენებელის; აქ იგულისხმება მისი „ანდერძი“ (იხ. ზემო, გ. 14).

ბდეს] - - - არ უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქ˜კზთა თუინიერ ლოცვისა და კურთხევისაგან [არცა] ებისკოპოზთა, არცა ვის სხუასა ებისკოპოზსა, არცა მთავარსა ვისმე და არს - - - მწერ ლოცვაჲ წ˜თა მეფეთაი ზედა-აც და ჟამისწირობანი ვითა ძუელითგან - - - უკუეთუ ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიყუნეთ, სახელსა ჩუენსა მოიჴსენებდენ პირეელად - - - [მოიჴ]სენებდენ [4]).

და ვინც ეს დაწერილი: და გაგებული: წ˜ასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს - - [უწ]ინდელი წ˜დისა მამათმთავრისა იოვანესი ქ˜ზისა [4]) ანუ ოქროპირი ქკ˜ზისა [5]): ანუ გაბრიელ [6]): - - - [და რაო]დენნი სხუანი შემდგომითი შემდგომად სხენან: ჴელით წერილნი სანატრელთა - - წ˜ისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი [7]):. ვინ შეიცვალოს ამას ყოველსა შენ - - - მათ სანატრელითა ჴელითა დამტკიცებული: გინა დიდისა დავითის ანდერძ[ი და] [8]) - - - სი-

---

[3]) აზრი ამ ფრასებისა ცხადია: კრება ამბობს, რომ წ˜ის დავით აღმაშენებელის განჩინებით (მისის „ანდერძით“) რაც დადგენილია, ის უნდა აღსრულდესო, ესე იგი: 1) შიომღვიმე თავისუფალია ყველა კათალიკოზების და მღვდელმთავრების უფლებათაგანო; 2) მღვიმე იმყოფება პირდაპირ მეფის გამგეობაში, რომელიც ჰზრუნავს მხოლოდ გარეგნულს მისს ცხოვრებაზე: ადგილ-მამულების და სარჩო-ცხოვრების მართვაზე და ამ საქმის გამგედ მღვიმეს უნიშნავს თვისს მწიგნობართ-უხუცესს და ვაზირს (როგორც დავით აღმაშენებელმა დანიშნა ამ თანამდებობაზე სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი, მწიგნობართ უხუცესი მეფისა). ხოლო სასულიეროსა და შინაურს ცხოვრებას მონასტრისას განაგებს მთავარ-მეღვდე, რომელსაც ირჩევენ თჳთ ბერები წილის ყრით (იხ. „ანდერძი“ დავით აღმაშენებელისა, ჩემგან რუსულ-ქართულად გამოცემული, გვ. 28 – 30); – 3) ნიშნად შიოს ლავრის ესრეთის დამოუკიდებლობისა ლავრაში არ იხსენიებენ წირვის დროს არც კათალიკოზებს და არც ეპისკოპოსებს: მოიხსენებენ მხოლოდ იმ მღვდელთ-მთავართა სახელებს, რომელთაც რამე შემოუწირავთ მღვიმესთვის და მხოლოდ როგორც შემომწირველთა და არა ვითარცა უფლების მექონეთა. (იხ. ამაზე ჩემი Завѣщаніе ц. Давида В. გვ. 27 – 29).

აქიდამ ცხადია, რომ მოხსენებულის გუჯრის ტექსტში, რომელშიც აღწერილი ყოფილა სამღვდელო კრების დადგენილობა, აღიარებული ყოფილა ესვე უფლებანი შიომღვისა („სტავროპიგიობა“ ანუ სრული დამოკიდებლობა შიოს ლავრისა).

[4]) ეს იოანე არის მოხსენებული ზემო გვ. 35 – 36. იოანე იყო კალიპოსში აღზდილი, მერე საფარელი; მისი ხსენება აღუწერია ეფრემ ყუმურდოელს („ივერია“ 1892, № 260 და 251). კ˜ზად სჩანს 1042 წ. „ქრონიკები“ 1, გვ. 189). ისიც უნდა ითქვას, რომ იოანე და ოქროპირ ერთი და იგივე სახელია.

[5]) ეს ოქროპირი უცნობია; ჩვენს „ქრონიკებში“ პირველად ცნობილი გვ. 80, № 160). იგი დამდგარა შემდეგ კ˜ზის „არსენ-დიდისა“, ე. ი. დაახლოვებით 980 – 1000 წლებში. ამის შემდეგ დამჯდარან სვიმონ და მერე მელქისედეკ.

[6]) ეს გუჯარი, კ˜ზის გაბრიელისაგან და მეფე გიორგი II-ისგან 1973 წელს მიცემული, იხ, ზემო გვ. 9 – 12.

[7]) მელქისედეკ ცოცხალი იყო 1020 და 1030 წ. (იხ. „ქრონიკები“ II გვ. 34 და წიგნი I, გვ, 80, შენიშ. № 162; და გვ. 169.

[8]) ე. ი. „ანდერძი“ 1123 წ. დავით აღმაშენებელისა, როგორც ამ ანდერძი-

გლები მათი . . . შეცვალებულ ყოს; ჰრისხავს ღ˜თი... კრულია ქ˜ეს ღ˜ისა მიერ . . . . (წყევა) ამენ. მე არსენ |ქკ˜ზმან] ჩემითა ჴელითა, დავწერე ყოველი ესე სიმტკიცე და სახენი მტკიცე მყოფელნი - - - [აკურთხ]ნეს ღ˜ნ და წ˜დამან დედაქალაქმან: —

სხვა-ჴელით, მხედრულად:

[ესე] ვითა წ˜დასა, კრებასა და წმიდასა მამათამთავარსა ჩუენსა არსენის ქ˜ს მ˜რ :ქ: კზ˜სა: განუჩენია ბჭობითა და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა ჴელით წერილნი - - დაუმტკიცებიან მეცა გლახაკი :ქ: მ˜კზი (ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი) საბა ჴელის წერით დავამტკიცებ... [9]): (წყევა).

სათაური მე-XVI საუკ. ხელით: „ - - ბური; სიგელი: სააღაპო: წმიდისა: შიოსა:.“

———————

1227 – 1230 წ. – ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი თავ-მოხვეული და ადგილ-ადგილ დახეული ტყავის გუჯარი ანუ „ძველი სიგელი ცხირეთ-ცხავერისა, გველდესისა და გავაზ-კოტმანი“, რომელიც ეკუთნის სინოდ. კონტ. № 37 (სიგრძე აქვს $2^1/_2$ არშინი, სიგანე – 7 კერშოკი). სიგელი დაწერილია მხედრულად, მეტად გადაბმულად და ამის გამო ძნელი ამოსაკითხია. თუმცა სიგელს ბევრი აკლია და აზრი დაბნელებულია, მაგრამ რაც დარჩენილა ისიც საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ ამ სიგელში მოხსენებულნი არიან ისტორიულნი პირნი მე-XIII საუკუნისანი: ცნობილი ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, (ქ.-ცხ. I, გვ. 364 – 390), და შვილი გრიგოლის ბეგა (ქ.-ცხ. 370; 383; 427). – გრიგოლ სულა ერისთვის ძე, ცხოვრობდა ლაშას, რუსუდანის და დავით IV-ის მეფობაში. სიგელში მოხსენებულნი არიან აგრეთვე ჩვენს ისტორიაში უცნობნი პირნი; მთავარეპისკოპოსი გიორგი, ერისთავის სურამელ გრიგოლის ძმა ივანე, დიმიტრი მემღვიმე, კათალიკოზი არსენი, რომელიც, ჩვენგან მოძებნილის და გამოქვეყნებულის ცნობებით ყოფილა „ყოვლად განთქმული, საღვთოთა წიგნთა თარგმანი და მწათობი“ (იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, 29; 81, შენიშ. № 175). როგორც ჩვენ უკვე განვმარტეთ („ქრონიკები“ II, გვ. 91 – 2), იგი კათალიკოზობდა დაახლოვებით – 1218 – 1227 წლებში. ხოლო რადგან ქვემო მოყვანილი სიგელი დაწერილია მაშინ, როდესაც იგი, კათალიკოსობის დამტევებელია,

———————————

დამ სჩანს (გვ. 29 – 30 ჩვენის რუსულ-ქართულის გამოცემისა), შიომღვიმე წინედაც თავისუფალი ყოფილა კათალიკოზთა და საზოგადოდ სამღვდელო-უწყების უფლებათაგან, და ზემოხსენებულ (ოქროპირის, მელქისედეკის, იოანეს და გაბრიელის) განჩინება ალბათ ამ თავისუფლობის ოქმი იქნებოდა.

[9]) ეს მ˜კზი საბა უცნობია ისტორიაში; იგი თანამედროვეა არსენისა. საბა კარის ეპისკოპოსი და სჯნელოსი, მწერალი, თანამედროვე არსენ კათალიკოზისა, იხ. ქვემო, 1233 წლის ქვეშე.

უბრალო ბერად შესულა შიოს ლავრაში, ამის გამო ეს სიგელი უნდა იყოს დაწერილი დაახლოვებით 1227 – 1240 წლებში.

სიგლის ძველი სათაური ეს ყოფილა: „სიგელი ცხირეთ-ცხავერისა, გველდესისა და გავაზ-კოტმანი“. შინაარსიდამაც სჩანს, რომ აქ მოხსენებულია ის მამულები, რომელნიც მღვიმემ სყიდვირ შეიძინა 890 – 908 წლებში (იხ. ამაზე ზემო. გვ. 1 – 4 და „ქრონიკები“ I, გვ. 87 – 89).

„ - - - ეს და თანად | ყ - - - ჩემსა არსენი ქ˜ს მ˜რ ქკ˜ზი | :მწ:უხცესისა (ე. ი. მწიგნობართ უხუცესისა) [მღუიმესა] - - - | მწირობად შემოსროლი ჩემსაცა ჯურციელსა და სულ[იერსა მამასა] | და ძისა ჩემისა ბეგაისა წ˜თა ემბაზითა: მშობელისათანა გა- -| - - - - - - - | ამა საქმესა რაოდენსა აწ გულმუდგინებით ვწერ წამა - - - | ნი სუფელი (სოფელი) ფა(ვ)ნელთაგან გუეყიდნეს ძუელ - - | და ჩ˜ნგანცა მოგართუ უბადოთა ჯელისუფალთაგან: ქმნი - - | ბისთჳს ნახევრისა სამართლისასა ჩუენნი ჯელისუ - - - | გან საჯმარსაც მოჰკრეფდეს სამუშაოცა ოწე [რია?]- - | და შეწუხებულნი იყვნეს წ˜ნი მამანი; მე დაწერილი - - - | - - - და მისყიდულები მათ თავისოფლად დაეწერა მე შემი - - | რა შემაწუხა სჳნიდისმან ჩემმან, რაიმცა ერგო ჩემდა წუთ ერთ | - - და ურგებსა დაღაცა თუმცა ყოვლისა სოფლისაი ყუფილიყო - - და თუ უსამართლოჲ საჩუენოი გავაზელთა სუფლი[სა] - - [ყოვ]ელივე დავთმე საციხუი სამართალი და საჯმარი ჩემისა სულ - - - | - - ად ნუცა ჯელისოფალი შევა, ნუცა ციხის, თავი - - ნუცა მესაჯმარე - - | - - რთლე და ნუ რაი მაწყინარი, ნუცა მენუკვარი, ნუცა მოხარჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თჳთ წ˜თა მეფეთაგან და ჩუენისა სახლისაგანცა წ˜ისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი ყოველსა ადგილსა თავისოფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიც აქვნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან [10]) წმიდასა უდაბნოსა მღჳმისასა. თუ ჩუენი კაცი და მღჳმისა ჩამუიკიდნენ, ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს და მღუიმისა კაცისა თჳთ მემღუიმის ჯელისუფალმან აიღოს. თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო მღუიმისა და ჩუენთა კაცთა შუა, მამასახლისმან და მღუიმის ჯელისუფალმან მართლითა სამართალითა დაუურვონ.

თუ სისხლი შეჰჯდეს მღუიმის კაცსა ჩუენისა კაცისაჲ, მემღუიმის ჯელი სუფალმან [11]): სისხლის პატრონსა სისხლი: გარდასცეს: მუნასტრისა წესითა; ვი-

---

[10]) აქიდამ საგულისხმებელია, რომ გრიგოლ სურამელი ეკუთნის იმ ფავნელთა გვარეულობას, რომელთაგან მღვიმემ პირველად 890 – 908 წლებში: შეიძინა ეს მამულები („ქრონიკ.“ I, 87 – 8). ამ სიგელში დადგენილია მხოლოდ იმის განჩინება, თუ რა ადგილ-მამულობითი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მონასტრის და გრიგოლ სურამელის გვარეულობათა შორის. ახალი მამულიც შეუწირავს გრიგოლს (სოფელი ს˜მე?) და აღაპი გაუჩენია თავისთვის.

[11]) ამიდამ დაწყებელი ქვემო ჩვენ დავიცევით ხმარება დედნის სასვენ ნიშნებისა.

თა ჩუენისაც: მონასტრის წესია და სხვებრ ჩუენი: მამასახლისისა პატრონთანა ნურას დაეკარების: ნუცა შეუდგების: ნუცა: რას წაუღებს, თაიღდა დაცეს: და შუა: ჩამუდგეს: და რაც: მემღუიმემან ბრძანოს იგი: იურვოს: თუ ნაპარევი შეჰჴდეს: მღუიმის კაცსა: მღუიმის ჴელისუფალმა თავნი ჴელთ მისცეს: და შუიდეული წ˜დის შიუსდა შემიწირავს: ს˜მნ (სამნო?): ჩემი კერძია საერისთა-ვოჲ: გარეთ ვინც მაწყინარი გამოჩნდეს: მღუიმის გლეხთაი: მამასახლისი ჩ˜ნი: ესე იურვოდეს ვითა ქეათაჴევისა გლეხთა: სხუაი: ყოველი ამიჴდია ჩ˜ნი ბეგა-რაი: და გაგუიშვია. ნუც ჩუენს დაჭირებასა რას: ჭამსა: და ნუც ლხინსა ნუ რათ შეუვალს: ნუ მამასახლისი: ნუ ჴელისუფალი ნუ ციხისთავი: ნუ გზირი: ნუ მსახური: და ნუ რაი: გუარი კაცი: ნუ იკადრებს: – ესე ყოველი ჩემითა: ნებითა დამიწერია: სრულითა ცნობითა: სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა: მე გგ˜ლ: ქ˜ს ე˜ვსა ჴელითა ჩემითა: ძესა სულკურთხეულისა: სულა ქართლის ე˜ვთა ე˜ვისასა: დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა: მარჯუნით დგუმასა ძმისა ჩემისა ივ˜ნესსა: (ივანესსა) და წინა დგუმასა: ძისა ჩემისა ბეგასსა: ამისთჳს: სუ-ლისა ჩემისა: შესავედრებელთა: მთავარ მამამან: დიმიტრი მემღუიმემან [12]) და ყ˜თა კრებულთა მეუდაბნოეთა: მუგუმადლეს: და ნიშანი დამიდვეს: საუკუნო აღაპი: დღესა ლაზარობასა: თუით ამას ჩემსა აღაპსა არ ეყოფოდა: ს˜მე მას სოფელსა გავაზელთასა: ჩემმან ჴელისუფალმან: ეწყინებოდეს:(?) განა სიყუარულისა ჩემი-სათუის:. ყვეს: ესე: და გარდაგან: (sic) ამა ჩემსა საუკუნესა აღაპსა ნუ ვინ შე-მიცვლის: დღესა ლაზარობასა: თუ ღ˜თს უნდეს სხუითაცა სამსახურითა: წმინ-დის უდაბნოსთა: გარდავიჴდი თუ ღ˜ნ ჭამ მომცეს და თუ არა ძესა ჩემსა ბეგას დავანდობ: თუ ღ˜ნ დღენი მისცნეს ვითა გუინდა მან მსახუროს წმიდასა უდაბ-ნოსა მღუიმისასა თავითა თუისითა რაჲთა წმიდამან მამამან მღუიმეს სცეს წარ-მართებაი კეთილი საწუთროსა ამას შინა და ვითა: მე არა სადა დამიტევა შე-უწევნელი ეგრეთვე იგი არი დაუტეოს: და მას საუკუნესა ორთავე მეოხად წარმოგუიდგეს: წინაშე საყდარსა ქრისტეს ღ˜თისასა: ოდეს ყოეელთა განშჯი-დეს მსაჯული იგი თუალ უხავი: აწ ესე ჩემგან დაწერილი მიითუალე პირვე-ლად შენ ღმერთო ყოველთა კითილთა მიზეზო და მესამე: შენ: წ˜ო ღ˜თ შე-მოსილო მამაო შიო და შენ მზრუნველო ორთავე ცხორებათა ჩემთაო არსენ მიუთვალე ეს ღ˜თს თავსმდებობითა ყ˜დ წ˜ის ღთისმშობლისათა და წ˜სა მთა-ვარ-მოწამისა [გიორგისი]თა ქმნილი და დაწერილი და შეწირული: და შენ ჩე-მო ძმაო ივანე და ძეო ჩემო ბეგაო თქუენ მიგითუალავ ამას ანდერძსა მე გგ˜ლ ქ˜ს ე˜ვი: მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათუის [13]). თუ ღ˜ნ ჩემს შედეგად გყვნეს. და თქუენ

---

[12]) ეს დიმიტრი მოხსენებულია გუჯრებში №

[13]) ეს ფრასა ვგონებ იმას ჰნიშნავს, რომ გრიგოლს ეს ანდერძი მიუცია მე-ოთხედ თათრებზედ (ე. ი. მონგოლებზე) გალაშქრების უწინ. აქ უნდა იგულისხმე-

ერთითაცა ბეწუისა ოდენითა შეჰშალოთ ესე ჩემგან ღ˜თისა მითუალული: ღ˜ნ ყოველი საქმე თქუენი შეშალოს და ნურაი კეთილი ნუ დაგიმტკიცოს და ჩემსა შედეგად მომავალნო ჩემგან შვილნო და შვილისშვილნო ვინც ეს ჩემგან ქმნილი საცილობელად შეჰქნათ ანუ საქმითა, ანუ სიტყუითა ღ˜ნ მოგჯადენ პატიჟი შეუნდობელი, ვინაითგან ვიყავ ოდესმე მეცა ამისი მუქმედი, თქ˜უნცა ამასვე გზასა წარმოვლით ოცილობელად, სირცხოლეულნიმც მოხვალთ წინაშე ქრისტეს ღ˜თისა და ღ˜თ შემოსილისა მამისა შიუსსა და მერმე ჩემთანა ა˜შათ ისმუნსა(?): – და რამაცა გუარმან კაცმან აქციოს ესე ჩემგან ნაქმარი ანუ ჩემისა სახლისა შვილმან ანუ სძალმან, ანუ სიძემან სისხლთამცა ქრისტეს ღთისათა მზღველად წარგუადგინენ დღესა მას განჰჯისასა წმ˜დნო ანგელოზო და ჯურცთაგან განსლვასა მისსა შინა სატანასმცა ახლავს შემწყნარებელად სულისა მისისა საწყალობელისად და ოკეთე ბილწსა ორიგნეს ებრ ღ˜ნ ყ(ო)ველთა კერპთმსახორთა ღ˜თისა მგმობელთაცა [14]) - - - - - - - სჯულისა. ოდეს მე ლხინებელო: ამისა შემცვალებელთა ნუცა: მაშინ მისცემ: შენდობასა: ღმერთო მართლ მსაჯულო: – მით რომე: სამართალი შენი მიქმნია: და სხუისა არ ვის- და რაი დამიკლია: და თუ ჯელისუფალმან ვინმე ოპატრონოდ ამისი ცილობა იკადროს: და იგი ჯელისოფალი არ გაპატიჟუს (გაპატიჟოს) ჩემისა: სახლის პატრონმან: ესე: ყოველნი: წყევანი: მას დაუმკუიდრენ ღმერთო: რომლისა თავსმდებუბითა: ამას ვწერ: ველითა, ჩემითა აქა სრულმყოფელი: – [15]).

ბოდეს პირველი ორი შემოსევა მონგოლთა საქართველოში, უცხოელ მწერალთა მოწმობით 1219 – 1220 და მეორე 1221 წელს, „როდესაც საქართველოს განაგებდაო დედაკაცი“ (Hist. de la G. I, 493, n. 3). რუსუდანიც სწერს რომის პაპს, პონორი II-ს 1222 1ნუ 1223 წელს, რომ თათრები ორჯერ დაგვეხსნენო (Addit. 302 – 305). მესამე ლაშქრობა უნდა იყოს გარნისის ომი 1223 წ., ხოლო მეოთხე – პირველი გალაშქრება ქართველებისა მონგოლებზე 1217 – 1219 წლებში, აღწერილი ჩინგიზ-ხანის ისტორიაში Parum. de la Qroch-ის მიერ (ქართულად თარგმნილი ხელნაწერი გვ. 437). – შეიძლება აქ იგულისხმებოდეს ორი შემოსევა მონგოლთა 1220 და 1223 წ. და ორიც – ჯალედდინისა 1225 და 1130 წ. (H. d. G. n. I; 500, n. I. 505 – 6; Addit. 309 – 317). – ძნელი საგულისხმებელია აქ ალმუთის ბრძოლა შვიდ-წლოვანი, რადგან ამ დროს (1245 – 1255 წ.), არსენი ცოცხალი არ იქნებოდა (ქ.-ცხ. 371).

[14]) აქ თავდება ეს სიგელი, რომელსაც ბოლო აკლია. – მაგრამ სინოდ. კანტორის გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ ტყავის სიგელი, რომელსაც თაბი არა აქვს (№ 67), რომელიც, შინაარსის მიხედვით, უნდა იყოს გაგრძელება ამ გუჯრისა და ამის გამო უკანასკნელს აქვე ვბეჭდავთ. სჩანს, რომ რაღაც კიდევ აკლია ამ უკანასკნელს გუჯარსაც, რადგან პირველი სტრიქონები გუჯრისა № 67 არ ეწყობა უკანასკნელს სტრიქონებს სიგელისას № 37.

[15]) ეს არის გრიგოლ სურამელის ნაწერი, როგორც შემდეგის წარწერებსაგანც

სხვა მომსხვილო ხელით, მხედრულად:

ქ! ამას: ჩემისა: ძმისა: და ღ˜თის:(?) გ˜გლ (გრიგოლ) ქართლისა: ერის-თავისა: დაწერილსა: ვითარად: მათისა: სულისა: სალოცველად; ღ˜თისდა: და წმიდისა: შეო: სდა: (შიოსდა) შეუწირავს: ყუველი: ჩ˜ნი: კერძი: და ბეგარაი: გავაზელთა: სუფლისაი: მე ივ˜ნე: მეაბჯრეთა: უხოცესსა: [16]) განაღამცა. დამი-მტკიცებია: ღ˜თმან: (ღმერთმან) მტკიცე ყუს (ყოს): და არგენ: სულსა: მათ-სა: –

სხვა მსხვილ ხელით მხედრულად, წარჩინებულის ხელით, ხვეულად:

ქ: ესე: ევთა: პატრონსა: და ღ˜თისა..(?) მამასა ჩემსა: უბ˜ბია (უბრძანებია) და დაუწერია: და შეუწირავს ყუველი ჩუენი: მუსავალი: გავაზელთაი: მეცა: მათსა: მიწასა: და ძესა ბეგასა: ქ˜სა (ე)˜ვსა (ქართლისა ერისთავსა) განაღამცა დამიმტკიც(ებია) და მტკიცე ყოს ღ˜თმან“: – [17]).

სხვა მომწვრილო ხელით, მხედრულად:

ქ: კ˜სნ: (კირიელეისონ) ესე ვითა: ე˜ევსა (ერისთავთერისთავსა). გრიგოლ ქ˜ს ე˜ესა (ქართლის ერისთავსა): დაუ სასოებაი ს˜კნოისაცა (საუკუნოისაცა) ცხ(ო)რებისაი: წ˜ისა მამათა მამისა შიოისი. და წ˜თავე ღ˜თისათა მიმსგავსებუ-ლისა ქკ˜ზ: და მწიგნ˜ბრთსცეს ყოფილისა (მწიგნობართ-უხუცეს ყოფილისა) და აწ მწიროობითა წმიდასა უდაბნოსა მღუიმისსა შინა: მყ˜ფისა (მყოფისა) არსენის და წ˜თა მამათა მღუიმისათა და დაუწერია თუით მის წ˜დისა უდაბნოისაგან მო-სყიდულისა გავაზელთა სოფლისათუის მათგან აზადებაი (sic) და უწყინლობაი: და თურაი ახალი უწესოი დაჭირებაი მოჰმატებოდა მის ყოვლისავე აჴდა [და] ყო-ვლისა შესავლობისაგან: შეუვალ და თავისუფლ ექმნა: და ძმასაცა მათსა მეაბჯრეთ უხუცესსა: ივანეს: თუით მათითა ჴელითა: დაუმტკიცებია: არგენ: ღ˜მან: ცხო-ვნებითა: სულიერითა და ჴორციელითა ორკერძოითავე: და ჩ˜ნ ქ˜ს მ˜რ ქვ˜ზი არსენიც. მოწამე და დამამტკიცებელი ვექმნებით: წ˜დისა განგებულებისა მათი-სასა:. ვინ და რამანცა გუარმან კაცმან: რასაცა ჟამსა: რაისაც მიზეზისა შემო-ღებითა: შეუცვალოს მას წ˜დასა უდაბნოსა მღუიმისსა ამას შინა: აღნაწერისა-თანი: რაიც რაისაცა წესის მქონებელმან კაცმან: დიდმან გინა თუ: მცირემან: კრულმცა არს და შეჩუენებულ სიტყუითა: სიტყუისა ღ˜ისა: იესო ქ˜ტისითა: წ˜დათა მისთა ათორმეტთა მოციქულთა: ჯუარითა (ჯუირითა): წ˜დათა შუიდთა და კრებათა მადლითა: ხუთთა: პატრიარქთა: ჯ˜რითა: წმიდისა და სამოცი-ქულოისა კათოლიკე: ეკლესიისა მადლითა: და რაოდენნი: მას შინა წ˜დნი

სჩანს. გრიგოლის მამა სულა და სულას მამა რატი (იხ. „ქრონიკ.“ I, 266).

[16]) ეს ივანე, ძმა გრიგოლისა, მეაბჯრეთ უხუც. ქ-ცხში არ სჩანს.

[17]) ბეგა ფრიად ცნობილი ისტორიული პირია (ქ-ცხ. I, გვ. 370; 383; 420). ამისი შვილი რატი და ქალი ხუაშაქ (ქ-ცხ: I, 427), რომელიც მითხოვდა გიორგი დადიანს (თუ ბედან) (Rap.. VII, 42 – 43).

ქკზ˜ნი (ქათალიკოზნი) სხდომილ არიან: და დასხდებიან: მათ ყ˜თა: ჯ˜რითა და მადლითაცამცა კრულია: და რაოდენი მას შინა და რაოდენ გზისცა: წ˜დაი მიჰრონი სრულ ქმნილა და იქმნების მის ყ˜ლისა მადლითაცამცა წყეულ და შეჩუენებულ არს: ცოცხალი და მკუდარი გაუჴსნელად; აქა და უმეტეს ს˜კნოსა საუკუნეთასა: ხოლო მტკიცე მყოფელნი ყ˜ლნი: აკურთხნეს ღ˜მან: და წ˜დმან დედაქალაქმან:.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ესე: ვითა: სულკურთხეულსა: გგ˜ლს: ქ. ე˜ესა (ქართლისა ერისთავსა) დაუწერია: და: მღუიმისთ˜ს: მათი: ნასყიდი: სოფელი: გავაზელნი: უსამართლოისა ზედა: დადებოლისა ბეგრისაგან: გაუთავისოფლებიან: კოტმნისა: თანა და წ˜დასა მეუფესა და მოძღორსა ჩუენსა არსენი: ქ˜სა (ქართლისა): კ˜ზსა: კანონითა მათითა დაუმტკიცებია: მეცა: ქ˜ეს: მიერ: ქართლისხა (ქ˜სა) მ˜კსი: (მთავარებისკოპოზი) გ˜ი (გიორგი): დავამტკიცებ: კანონითა: წ˜ისა: ეკლესიისათა: ვინცა: (მოშლისო... წყევა)... კრულ არს: გაუჴსნელად: ზე ცათა: შინა: და ქუე: ქუეყანასა: ზედა: პეტრე: (პ(ე) მოციქულთა თავისა ჯუარითა: და ჰრისხავსმცა: ხატი... ქ˜ეს ღ˜სა: რ˜ლი: მდგომარე: არს: ტაძარსა: შინა: დიდებისა: ღ˜ისასა: სამთავროს. და ჩ˜ენ: გლახაკისამცა: ჯუარით; კროლია: ცოცხალი და მკუდარიც გაუჴსნელად. დამამტკიცებელნი: ღ˜ნ აკორთხნეს.

ხუცურად (გაკრულ ხელით):

ქ· ესე ვითა: ქართლისა: ერისთავსა გ˜გლს დაუწერია თავისა ჴელითა: დმ მღჳმისათჳს: მათი ნასყიდი სოფელი გავაზელნი: უსამართლოჲსა ზ˜ა დადებულისა ბეგრისაგან გაუთავისუფლებიან კოტმნისავე თანა: და წმიდასა მეუფესა ქართლისა ქათალიკოზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია: მეცა: იოანე (ი˜ნე) ალავერდელი მტკიცე ვყოფ: შემცვალებელნი ამის დაწერილისანი იყავნ კრულ...

მხედრულად:

ქ. ესე ვითა: ე˜ევსა: ქართლის ერისთავსა გრიგოლს თავისა ჴელითა დაუწერია (როგორც ზემო)... და ქ˜კზსა არსენის და ქ˜ს მს˜კზსა გ˜ის უჯუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია, მეცა უნდუი არსენი მანგლელი ჩემითა ჴელითა ვამტკიცებ (წყევა ეგრეთივე)... და ჩ˜ნ უნდოისა ჯუარითა...

ქ· ესე ვითა: ერისთავთ: ერისთავს: ქართლის ერისთავსა: გგ˜ლს და ძმასა მისსა: ივანეს თავისა ჴელითა დაუწერია და წ˜დის შიოის-და ნასყიდი: უდაბნოისა მისისაგან: ძუელსავე წესსა ზ˜ა გუათავისოფლებია... მოწამენი ვართ: ჩუენ სამნივე უდაბნონი: გარესჯისანი: და დავამტკიცებთ: თუისის ჴელითა... (მსგავსადვე ზემო მოწერილებისა)

ხუცურად, ზედვე აწერია (სასვენი ნიშნები დაცულია დედნისა):

ქ. მე გლახაკმან არსენი მწიროობასა შ˜ა ჩემსა მღჳმეს ვეჰაჯე ნათელსა სულისა ჩემისასა გრიგოლ ქ˜ს ერისთავსა: რათამცა უბადოთა კაცთაგან შესავალად გასრული ს˜ფლი გავაზელნი ძუწლითავე წესითა გაუთავისუფლნა წ˜ასა მამასა შიოს და უდაბნოსა მღჳმისსა. ვითა ძუწლი დაწერილი აქუს ფავნელთა-

გან მონასყიდობისაჲ მღჳმესა: ერთსა ჯერსა ლაშქარს წამავალსა [18]) მოვაჴსენე თხუთმეტი ლიტრაჲ აბრეშუმი კარგი: ოქსინოჲ ჯუბაჩაჲ ახალი მოვაჴსენე: სამოცდათხუთმეტი დუკატი: ერთი პალანკურდნითა შეკაზმული დიდად კარგი ჯორი ოთხას თეთრად მოფასებული ჩემთჳს: ცხენი ერთი სამას ორმოცდა ათ თეთრად ნასყიდი; უნაგირი ოქროჲთა და ზარხოჲთა მოჭედილი ექუსას თეთრად დაფასებული: აღჳრნი თათრულნი მარგალიტის ძირისანი: რომელსა ჰქჳან სადაფი:. ოცი დუკატი მისთა ყმათა მოურავსა-და მიმიცემია: მართ გავაზელთა საქმისათჳს: რ˜ლ სამართლისა ნახევარსა აიღებდეს: და ამას: მამისა. მისისა სულაჲს დღეთა შიგან დადებულსა: აწ გრ˜გლ ქვათაჴევს წ˜ე ხატსა ყ˜დ წ˜დის ღ˜თის მშობელისასა მჯდომარემან მისითა თავსმდებობითა და წ˜ისა მთავარმოწამისა გ˜ისითა ესე ზემოჲთ დაწერილი დამიწერეს მან და ძმამან მისმან ივანე და შვილმან მისმან ბეგამან: და ამისვე საქმისათ˜ს ლაზაროზაჲ დღე მღჳმეს აღაპად გაუჩინეს [19]):. აწ შენ ღ˜თო ესე მათი აღთქუმა წ˜ე შენსა დამიც: და შენ ყ˜დ წ˜ო ღთისმშობელო თავსმდებო ამის მათისა აღთქუმისაო: თქ˜ნ იცით და მ˜თ: თუ მტკიცედ იპყრან ესე აღთქუმაჲ მათ პირველ (პ˜ლ) და მერმე მათთა შემდგომად მომავალთა და მათთა ყმათა და ჴელისუფალთა: ყ˜ლნი საქმენი მათნი შენ: კეთილად დაიცვენ და თუ შეცვალოს ვინმე: შენ ხარ ჩემი მოურნე და დედაო ღთისაო შენზედა დამიგდია ანდერძად.

———————

1250 – 1260 შიომღვიმის სიგელი № 38.

სინოდის კანტ. დაცულია ტყავზედ ხუცურად ლამაზის ხელით ნაწერი გუჯარი № 38 (სიგრძით 1¾ არშინი, სიგანით ხუთი გოჯი); თავი სიგლისა დაგლეჯილია. ტექსტი სიგლისა დაწერილია ხუცურად XIII საუკ. ხელით ხოლო დანარჩენი მისი ნაწილი დაწერილია მხედრულად მერმინდელის ხელით.

თუმცა სიგელს ქოროონიკონი არ უზის, მაგრამ იგი დაწერილია 1250 – 1260 წლებში. ამისი მტკიცე საბუთები შემდეგია: 1) ამ სიგელში მოხსენებულია ზოსიმე ბერი (თავაური?) და მისი „გამზრდელი იოანე“, რომელიც, როგორც შემდეგის მერმინდელის იმავე სიგლის წარწერათაგან სჩანს, ყოფილა თფილელი მთავარებისკოპოსი იოანე. როგორც სჩანს ზემო ჯაბეჭდილის სინოდ. კანტ. გუჯრისაგან №· 39 (გვ. 125) იოანე არის „გამზრდელი“ დემეტრე მღვიმელისა და ცოცხალი ყოფილა 1248 წლის ახლო-ხანებში; – 2) მერმინდელ წარწერაში სიგლისა № 38 მოხსენებულნი არიან: ბასილი თავაური მოძღვარი, მემღვიმე ზოსიმე, ბერმონაზონი გიორგი. ხოლო ქვემო დაბეჭდილის შიომღვიმის სახარებისაგან სჩანს, რომ ბასილი და ზოსიმე თავაურნი და ბერი გიორ-

———————————

[18]) და [19]) აქიდამაც უმეტესად მტკიცდება, რომ ეს გუჯარი (№ 67) არის გაგრძელება ზემო დაბეჭდილის სიგლისა № 37 (შეადარე შენიშნ. № 4).

გი ცოცხალნი ყოფილან 1270 წელს· აქიდამ ცხადია, რომ თვით ხუცური ტექსტი სიგლისა 1270 წელზე ადრეა დაწერილი· 3) რადგან ტექსტში მოხსენებულია აგრეთვე მანგლელი დანიელ, ხოლო 1259 – 1260 წელს მანგლელად მოხსენებულია არსენი, აქიდამ საგულისხმობელია, რომ დანიელ 1260 წელზე ადრე ცხოვრებულა; – 4) გარდა ამისა სიგელში დასახელებულია მემღვიმე დემეტრე, რომელიც ცხოვრობდა მთავარებისკოპოზის გიორგის დროს. უკანასკნელი ცოცხალი ყოფილა 1236 – 1257 წელს და მას დაუმტკიცებია 1259 – 1260 წლებში რკონის გუჯარი (იხ. ზემო გვ. 57 და ჩემი „ქრონიკები“ II, გვ. 143; 101; 128; 125).

შინაარსი სიგლისა, – ვინც-კი ღრმად ჩაუკვირდება, – ძვირფასს მასალას იძლევა არა თუ მონასტრების ნივთიერის ყოფა-ცხოვრებისას, არამედ საზოგადოდ წოდებათა იურიდიულის და ეკონომიურის დამოკიდებულობისას, და იმ-დროინდელ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას გვიხასიათებს.

- - - [სახელი]თა მამისა, ძისა და სლი - - - - - | (აქ განგებ გამოვუშვით 11 სტრიქონი) [ესე წერილი და სიგე]ლი დაგიწერეთ ჩ˜ნ მღჳმელთა ერთობით სრულად კრებულ[თა წ˜ისა] მამისა შიოჲს შვილთა და მოწაფეთა:. შენ ზოსიმეს:. კ˜ე (კჳრიკე) კახთა მეფისა [1]) სამწირველოჲ გქონდათ, ამას საკურთხეველსა მთ˜სა (მათსა) ზ˜ა შენ ზოსიმეს და შენსა გამზრდელსა ი˜ეს (იოანეს) დიდნი ჭირნი გენახნეს. ს˜კრთხელისა (საკურთხევლისა) სახლი დაშლილიყო. აღარ იყო და შენ ზოსიმეს - გამზრდელსა ი˜ეს. ერთნი ნაშვილებნი სახლნი და ერთნი მამულნი ეკკლესიასა ქუე (sic) დაუსხენით. და მისად სანაცვლოდ თოთაურნი სახლნი მოგცენით: და სასაკუმევლოჲცა, ავიღეთ თ˜ქნგ˜ნ. და თ˜ქნ დიდი ჭირი ჰნახეთ: და სახლი მოაშენეთ. უჯმარი საჯმრად შეჰქმენით. და ესე საკურთხ˜ელსა აქა შესძინეთ. და კულა საკურთხ˜ელსა ვენაჯსა ზ˜ა აგარას თორმეტისა დრაჰკნისა ვენაჯი იყიდეთ [2]) კჳრიკაჲსძისგან დაიგიცა ზედა მოჰკიდეთ. რუეთს საკურთხელისა საგლეხოსა ვენაჯსა ზ˜ა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არ-მემამულენი. მიწაჲ ვენაჯად აეშენა. და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მათისა ნაცვლად ი˜ეს გამზრდელსა გარისელაჲს. ძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კაცთათჳს. და მის გარისელაჲსძის სულისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილისაგან აიღების მ[ისა]დ სალოცავად ყ˜თა წელიწადთა. და ამისა სანაცვლოდ შენ ზოსიმეს გამზდელმან ი˜ე: გარისელაჲს ძისა სულისა სალოცავად: თევდორობისა პარასკევსა თესლი და კუანჩხითა

---

[1]) უნდა იგულისხმებოდეს კვირიკე დიდი († 1102 წ.), „კაცი მეფობისავე თანა მეფე ქმნული ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე“ ქ-ცხ. I, 241; შეად, ბროსსეს თარგმანი-Hist. Ge. I, 353).

[2]) თუ 12 დრაკნად ვენახი უყიდნია, ხოლო რვა დრაკნად „ორი გუთანი მიწა“ (იხ. ქვემო, შენიშ. № 5), აქიდან ცხადია, რომ მაშინდელი დრაჰკანი უდრიდა არა 1½ მანეთს, არამედ 20 – 40 მანეთს ჩვენის დროისას.

ღჳნოჲ [3]) ამას ძმათა გაუყოფდა ეკლესიას: და კულა მასვე ვენაჴსა საგლეხოსა ზ˜ა: ი˜ეს შენსა გამზრდელსა ნაკალოები მჭედლურა ეყიდა და ზედავე მოეყიდა. და კულა ი˜ეს მთხრობელი აუდგა ივანბერი წვერ-გრძელისძე, და მიწაჲ დაკარგული უთხრა და მან მისითა მოჭირვებითა და საურავითა ზედავე შესძინა. თჳთ ამისი დაწერილი ძეს. ესე საკურთხევლისა-და აქა შეუძენია. და კულა სა˜კრთხელისა მიწაჲ შალტამი. ჴოდათა გაუტეხელი უჴმარი საჴმრად შეჰქმენით: დიდნი ჭირნი ჰნახენით. შენ და შენმა გამზრდელმან ი˜ე ესე ყ˜ი საკურთხელესადა შეგიძენია შენ და შენსა გამზრდელსა ი˜ეს. და ვინაჲთგან ესე ყ˜ი შენ და შენსა გამზრდელსა ი˜ეს მოგეჭირვა შენ. ზოსიმეს დედულსა ზითვად მოცემულსა ზ˜ა ს˜ტფანეთ მამულისაგან. რ˜ლსა მსახური არაჲზ˜ა აც. მისსა ნაცვალსა სტქფანესძე. გარდაიჴდის. საეკლესიოსა და სამეფოსა სამსახურსა კულუხსა ღალასა და ყოველსავე გამოსაღებელსა. ჰაგრე მოცემული არს ესე მიწაჲ ზითვად. ამას მიწასა დედისა შენისა ზითევსა ზ˜ა შენ ზოსიმე და შენმან გამზრდელმან სახლკარი ააშენეთ და მოკიდებირ ვენაჴი კარგი: დიდნი ჭირნი ჰნახენით. და მეტის-მეტად შენ ზოსიმე. და კულა შენისა გამზრდელისა ი˜ეს. მ˜მას მუბერს (მამასა მუბერს). კჳრიკაული მიწაჲ აეღო საშენებლად ხელგიორგის ძისა ვენაჴსა გუერდით. დღისა ერთისაჲ. და რაჲ აღეშენა ორად გაეყო. ნახევარი იოანეს მამასა დაემჭირა მუბერს ნახევარი მიწის პატრონსა მერმე იგი მათი კერძი აოჴრდა და თქ˜ნ მისვე მამულისაგან იცვალეთ მიწითა: ოთხი ზომაჲ წყალმყინვართა ზ˜ა მიეცით. როსტომაჲსძისაგ˜ნ ეყიდა დღისა და ნახევრისაჲ მიწაჲ შენსა გამზრდელსა იე˜ს. და კულა მასვე ზ˜ა მოკიდებით მატლაშნისძისაგან დღისა ერთისაჲ და მასვე ზ˜ა მოკიდებით ზჳადისძისაგან დღისა ერთისაჲ. და ზედავე მოკიდებით დღისა ერთისაჲ სტეფანეს ძისაგან. ესე სამისა დღისაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა. წყაროთა ზ˜ა. ამასვე გუედით (sic) ზედავე მოკიდებით სამისა დღისაჲ მიწაჲ იყო ეკლესიისაჲ და მისითა სამართლითა სასაკუმევლოჲთა თქუენვე მოგეცით. და კულა ეკკლესიათა გუერდით ორისა დღისა მიწაჲ შენ ზოსიმეს გეჭიდა სტეფანეს ძეთაგანვე. და კულა მ˜ნ ზოსიმეს როეთელისა მჭედლისძისაგან გეყიდა ორისა დღისა მიწაჲ [აქ ზედ აწერია ხუცურადვე სხვა ხელით: „ამის მჭედლისძისაგან რომელთაცა ეყიდა შესამოსლისა ფასად ორი გუთანი არაისძეთა] ქანდაურსა ქუეშეთ რუსა: ესე შენ ზოსიმეს და შენისა გამზრდელისა. ნასყიდი დანაჭირვები და დედული ზითვად მოცემული ყოველივე ესე თქ˜ნის ამის მ˜ე კახთა მეფისა სამწირველოს ზ˜ა მოჰკიდე[თ] თქ˜ნისა სულისა და მშობელთა და გამზრდელთა სულისა სალოცავად. არავის საქმე უც ამას ადგილსა ზედა. არცა სამეფოჲ სამსახური ზედა აც. არცა მდგური (sic) არცა გამოსაღებელი თჳნიერ ეკლესიისა მამითნადი. (sic) [2]) ყოვლი-

---

[1]) „კვანჩხი ღვინის სასმისი მცირე“ (საბა).

[2]) მამითნადი უნდა იყოს „მამითადი, ე. ი. ნადი ყანათათვის“. აქ ორის სიტყვის ადგილი ამოფხეკილია. ნასყიდ-ნამზითევს არავითარი გამოსაღები არ ადევს.

თურთ უბეგროჲ არს მით რ˜ლ ნასყიდი არს. ესე შენ ზოსიმეს შენთჳს და შენთა მშობელთა და გამზრდელთათჳს სალოცავად სახლკარითა ვენაჯითა წისქულითა. საჴმრითა და უჴმრითა შემოგიწირავს ეკლესიისა სააღაპედ:. აწ ამას დაწერილსა ჩ˜ნსა მოწამენი ვართ: ამას უდაბნოსა შ˜ა მყოფნი ძმანი. და მოწაფენი და შვილნი წ˜ისა მამისა შიოჲსანი: პ˜დ წ˜ჲ მ˜მი მეღჯმე თ˜ე. და მძ˜ღრი ი˜ე: ბასილი მნათე. ბასილი თავაური. ბასილი ტიმოთეს ძმაიჲ: მიქელ ისაკის მწირველი. ზაქარია: ბრუკუაული ნ˜კზ: არსენი და არსენი: თ˜ე, (sic) დან˜კზ. და ლუკაი, (sic) გ˜ი, (sic) და მისი შვილი მანგლელი: დანიელ, (sic) და სჳმონ: ნ˜კლზ საგდუხტისი: იშტიმახი გ~ი: ბერი გინდაბერი: მიქელ აფხაზი: ბერი თ˜ე, (sic) ბერი კჳრიკაჲსძე: ყოველნივე ერთობით. მღდელნი და მამანი მკჳდრნი. ამის უდაბნოჲსანი:.

Ⴠა აწ ვინცა ვინ დაწერილი და გაგებული ჩ˜ნი შეცვალოს და აქციოს რაჲსაცა მიზეზითა შინამან ანუ გარემან დიდმან ანუ მცირემან: რამანცა გუარმან კაცმან ჰრისხავსმცა... მ˜მანი ჩ˜ნნი ი˜ე, შიო და ევეგრე (sic) და ყ˜ნი წ˜ნი მისნი: და წყევისამცა იგი კანონი: მას ზედა აღესრულების. და უდაბნოჲსამცა მღჳმისა, (sic) ლოცვაჲ წყევად და კრულობად მოექცევის და დამცაისაჯების ყ˜თა თ˜ა მგმობართა წ˜დისა სამებისათა: იუდას და იველიანეს თანა: და კრულმცა არს პ˜ლ ღ˜თისა დაუსაბამოჲსა პირითა და წ˜თა ათორმეტთა, (sic) მოციქ˜ლთა მადლითა: და ჯრითა და ექოსთა (sic) კრებათა მადლითა: და ხუთთა პატრიაქთა ჯ˜რითა:. ქართლისა კათალიკოზთა ჯ˜რითა: და ქართლისა მთავარებისკოპოსთა ჯ˜რითა: და ყოველთა მღდელთ-მოძღუართა ჯ˜ითა: აქა და ს˜კნესა ა˜ნ: – და ვინ დაამტკიცოს, (sic) ღ˜ნ აკ˜რთხენ: და ყ˜თა წ˜დათა მისთა:

გუჯრის მეორე პირზე მხედრულად, მე-XIII საუკ. ხელით და მქრალის მელნითა აწერია შემდეგი (თითქმის ყოველ სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილია):

ქ. სახელითა: ღთისათა..... წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩ˜ნთა :ი˜ნე: შიო და ევეგრესითა: ესე: დაწერილი დაგიწერეთ: ჩუენ: კარაჲსძეთა: კუირიკე: და ბასილმან: შენ გიურგის მუშირის ძესა მას ჟამსა ოდეს ძმაი შენი ზოსიმე მიიცვალა: უქროსა ვჭედით: ჩუენთა მშობელთაგან დანადებსა ზოსიმეს თანა და ამის საქმისათ შენ გიორგის გერჩოდით ვიძიეთ და ვცან მართალი, რომელი ძმასავე ჩუენსა იო˜ნე (იოვანე) თფილელსა წაეგო თჳნიერ ამისგან გარეშე, რომელ ზოსიმეს ჴელსა მინდობით შესამოსელი იყო და იგი დაიკარგა და წაჴდა და და ესე შესამოსელი რვა დრაჰკანად ვაჭრულად დააფასეს (დააფასესას?): შენ ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი [5]) მიწა მჭედლი[თური]. აწ დღესითგან წაღმართ არა ვინ იყოს ჩუენის გუარისა არცა ჩუენ კუირიკე და ბასილი და არცა ჩუენნი შვილნი და მომავალნი ამისა პროჲსანი (ამის პირისანი?) და ვინცა რამანც გუარმან ჩუენმან დღესით გთხოვოს და ანუ გერჩოდის კრულმცა არს დაუსაბამოისა ღ˜თისა პირითა. მკუდარი

---

[5]) გუთანი მიწა უნდა იყოს ერთი დღიური.

და ცოცხალი ესე დაწერილი მე ბასილსა თუით ჴელითა ჩემითა დამწერი არს (sic). მოწამენი არიან ამას დაწერილსა: ბასილი მოძღუარი: თავაური: მემღუიმე: ზოსიმე: გიორგი: ჭ(ყ)ონდიდლისა: მწირველი: ნიკოლაოზ: ბუსლისძე (ბუწის-ძე?) მნათე: ელია: არსენი. კალმახელთა: მწირველი: თევდოსი: ბასილი გიორ-გი: გაზრდილი: მათე ელიას ძე: და ყოველნი კრებულნი“· ზედვე სხვა ხელით მხედრულად: „ესე ვითა ბასილსა ძმასა ჩემსა დაგიწერია მეცა მოწამე ვარ კ˜ე“ (კჳრიკე?).

სხვა ხელით, XIII საუკ. მხედრულით: „ქ: სახელითა: ღ˜თისათა:. და თავს-დებობითა:. სუეტისა:. ცხოველისაითა: ესე დაწერილი: დაგიწერეთ: ჩენ (ჩუენ): ბურჯულთა:. კავთულამა: და თევდორამა:. და ჩენთა (ჩუენთა): შვილთა:. ბა-სილამა:. და მშუიდამა:. დაგუეჭირუა ჰავისა: ჟამისაგან: და ხარაჯობისაგან: და ავიღეთ: თ˜ქენ (თქუენ): მოძღურისაგან: დემეტრესაგა: ტუხუაისძისაგან: [6]) სა-მოცი: თეთრი: დეკენბერსა: ათსა: და გამიჩინეთ: უცი (ოცი): კოკაი:. ტკბი-ლი: [7]) წელიწადსა:. შიგა:. მზაი: რომე უსიტყუელადა: ჴელთა:. მოგაჴსენებ-დეთ: ვირემდისცაღა: ამა: თეთრსა: შენსა: ჴელთა: მოგაჴსენენდეთ: ამისნი მო-წამენი არიან: კარაისძე: ებაი: და წამალაისძე ი”აი:“.

მე-XVII საუკ. ხელით მხედრულად: „ქ. მღვიმეს: რომ: კრებულნი: ბერე-ბი: რომ: წასულან: და ბჭიტიბს: [8]) საყდარი: აუშენებიათ: ის კრებულნი: ამა-შიგან: სწერიან: იქ რომ: სახელები: სწერია: საყდარზედა: ისინი: არიან: ეს: კრებულნი:“.

1236 – 1248 წ. სინოდ. კანტორის სიგელი № 39.

ეს სიგელი (სიგრძით ერთი არშინი, ხოლო სიგანით $5^1/_2$ კერშოკი) დაწერი-ლია ტყავზე, მხედრულად, მე–XIII საუკ. ხელით, ხელოვნურად; მელანი გადასულია და ტექსტი სიგლისა ძლივსღა იკითხება, ხოლო რამდენიმე ნაწილი სრულიად ვერ გამოიცნობება. გარდა ამისა სიგელს თავი აკლია. – ამ სიგელში მოხსენებულია დე-მეტრე მემღვიმე, რომელიც სურამელის გრიგოლის და კ˜ზის ნიკოლოზის დროს სჩანან ამას ქვემო დაჯეჭდილს სინ. კანტ. გუჯარში № 34, ხოლო ეს პირნი სცსო-ვრობდნენ 1236 – 1248 წლის ახლო-ხანებში. გარდა ამისა ამ გუჯარში მოხსენე-

---

[6]) დიმიტი მოძღვარი კ˜ზის ნიკოლოზის დროს 1240 – 1280 იხ. ზემო, გვ.

[7]) თუ ახლანდელის ფასიანობით კოკა ტკბილი სამ მანეთობაზე ვიანგარიშეთ, მაშინ გა-მოვა, რომ თითო თეთრზე სარგებელი უანგარიშნიათ ერთი მანეთი. ბროსსეს გამოკვლევით ერთი თეთრი უდრიდა ერთს შაურს R(ap. IV, 84). – ცხადია, რომ ეს წარწერა ეკუთნის იმ დროს, როდესაც მონგოლთა ხარკობამ მეტად შეაწუხა ქართველობა და ფული გააძვირა (იხ. „ქრონიკები“ II, გვ. 133).

[8]) ბჭიტაბი უნდა იყოს ბჭითა თრიალეთისა (იხ. ჩემი „Завѣщаніе Ц. Давида Воз· 803.“ გვ. 26 – 7 და „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ გვ. 17).

ბულია „ხურაზმელთაგან (ე. ი. ჯალ-ედდინისაგან) მორბევა“ ქართლისა, რაიცა იყო 1225 – 1230 წლებში Hist. G. I, 500; Et. Orbelian: Hist: de la Siounie p. 206 (ბროსსეს გამოცემით).

1) - - - - - - ესე დაწერილი მე დემეტრე - - - მამამან ჩემმან ნიკოლოზ და ძმათა ჩემთა იოანე და გ˜ი დაგიწერეთ - - ძმასა შენსა: დ˜ნს (დანიელს?) და ყ˜თა მომავალთა თქუენთა, მას ჟამსა. ოდეს ჩ˜ნისა გამზრდელისა ი˜ნე მთავარებისკოპოზისა სამწირველო პ[ური]თა ჰქონებოდა დაწერით. და მათი აღარ ვინ იყო და უკაცუროზ[ითა] და ჟამთა შეშლითა :სახლი და საქონებელი ყუელაი დაშავებულ იყო, აწ თქუენდა მოგუიცემია მკუიდრად მამულად სახლი და პური უკუდავი და (ა)გარას ორი ვენაჯი მიწიანი, სხალტბას ვენაჯი და მიწანი და წყლის პირს ვაზნი კითხ[ვითა და] ნება-დართვითა სრულად მღუიმისა კრებულთაითა ესე ყუელა [გამზრდე]ლისა ჩ˜ნისა. მისგან აშენებულისა ნათლისმცემლისა ეკკლესია და უშენი და ხურაზმელთა მორბევასა შიგა ყუელაი მოიშალა და მას ჟამსა ესე გამოვარჩიეთ, რომელ მღუიმეს გქონდის ჩნსა [სამწი]რველოსა [სახლსა] და [შაბათ] კუირეთა და დღესასწაულთა ჩუენსა ეკკლესიასა შიგან წირ - - - იოვანე მთავარებისკოპოსისა და ჩუენთჳს კურტის (ბურცვის?) ჯ˜რის(?) - -თო - - [ა]ლგეთი გაკაცრიელდეს ამავე საქმითა შენ გქონდეს ვენაჯი და მიწანი რ˜ლიცა სხალტბას [არია] ყუელანი აგარას გოგთური, გოთან[ური], ბულახური გუთანი ერთი - - - სამი გუთანი მესხურისა მიწისაგან, გუთანი ური, ამას რანიცა მიწისა მეტნი აგარას, თუ ჩემისა გუარისა კაცი არ იყოს მღუიმეს, იგიცა ამავე სახლსა მისაყენებელნი არიან ბოლოდ და რაიცა რუეთს ნასყიდნი არიან იგინიცა გამზრდელისა ჩემისა და ჩემგან მოგებული ყუელაი საბოლოოდ ამა ეკკლესიისათუის მოგუჭა (მოგუინიჭავს?). აწ გიბედნიეროს ღ˜ნ ერთგულობასა შინა ჩუენსა - - მებაობასა და - - ბერსა: საბასა და მამასა შენსა და მ - - - არა არა შეგეცვალოს ჩემ დემეტრე წირკნელისაგან, არცა ძმათა, ძმისწულთა და მომავალთა ჩუენთაგან - - ამისი მოწამე არს ს˜დ კრებული. აწ ვინცა რაისაცა მიზეზითა შეუცვალოს, ჰრისხავსმცა ღ˜თი დაუსაბამოი... (წყევა:..) და მის მთავარ(ებისკოპოზის) იოვანეს ჯუარითა:. და მადლითა და ვინ დაამტკიცოს (ღ˜ნ აკურთხოს)“.

მერე ხელმოწერილია სხვა-და-სხვა პირთაგან, მაგრამ სრულიად გადასულა.

სათაურთ სიგლისა: „აგარული და სხალტბისა ნასყიდობისა და შეწიროლობის სიგელი“ (ეს მერმინდელის ხელით)·

———————

1236 – 1257 წ. – სიგელი სინოდ. კანტ. № 34.

ეს სიგელი (სიგრძით 1½ არშინი, სიგანით 5½ ვერშოკი) დაწერილია ტყავზედ მე-XIII საუკ· ხელით, მხედრულად, სიგელს თავი აკლია და რაც დარჩენილა, ისიც დაგლეჯილია და დაზიანებული. ამ სიგელში მოხსენებულნი არიან ისტორიულნი პირნი: 1) ე˜ვი გრიგოლ მსახურთ-უხუცესი სურამელი (ქ-ცხ., 1, 364 – 5;

377 – 8; 390 – 2), რომელიც უკანასკნელად მოხსენებულია ქ-ცხ· 1257 წლის ახლო-ხანებში (გვ. 390 – 2), 2) კათალიკოზი ნიკოლოზ, რომელიც 1246 წლის ახლო-ხანებში მონგოლეთში წავიდა და ყარაყურუმიდამ მოიტანა „იერლაყი“ (ოქმი) საქართველოს ეკკლესიის და სამღვდელოების სახელმწიფო ხარჯთაგან თავისუფლობისა (ქ-ცხ. I, 380; Hist. G. I, 541 – 2); 1280 წლის ახლო-ხანებში ნიკოლოზმა კათალიკოზობა გარდასცა აბრაამს (ქ-ცხ. 418; 415; Hist. G. I, 599). მისი წინამოადგილე, როგორც სჩანს, ყოფილა გიორგი (იხ. „ქრონიკ.“ II, გვ. 93 – 8).

[ცხოვე]ლს მყოფელისა:. | [და წინასწარ]მეტყუელისათა და | - - მღრდელთმო - - | - - - მამა ჩ˜ნთა იოანე (ი˜ნე) ბო - - | - - [მო]გაჴსენეთ ჩუენ სრულიად მღუი - - | - - მნათემან თადეოზ და ყ - - - [სუ]რამელსა გ˜გლ მსახურ ხსუცეს - - აღგჳშენენით წისქუილნი მტკუარსა ზედა სალოცველად დღეგრ - - თქუენისა თავისა და იყიდეთ ჩუენგანვე ციხედიდს გლეხი ქავთარერი ნ - - - - მეწისქუილედ და ავიღეთ თქუენგან ფასი სრული . . . [თქ]უენგან. აღშენებულთა წისქუილთათჳს საკაზმავად შემოსწირე წ˜სა შიოს და მის მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღჳმისასა სალოცველად და საჴმარად სულისა თქუენისათჳს, რომელი ყ˜თა დღეთა და ყ˜თა ლოცვათა გილოცვიდეთ და მოგიჴსენებდეთ და ვითა წ˜ისა ევაგრესობითგან გუქონებია უცილობელად და უწყინელად, ეგრეთვე თქუენთა ჩამომავალთაგან გუქონდეს და არავის საქმე უც თქუენისა სახლისა ჩამომავალთაგან თუინიერ თქუენსა სულისაგან კიდე, რომელ სამსახურთა ამისთა სული თქუენი იჴსენებოდეს წ˜ა ამას უდაბნოსა მღუიმისასა და ნუცა ვინ თქუენისა სახლისა ჩამომავალნი და მომავალნი შიგა დგომითა ნუკვევითა და სათხოვლითა და სხუითა რაი(თა)მე უწყენენ და არცა რაჲ ვის საქმე წუც და ვითა ციხედიდს სხუაი საქონებელი მღუიმისა არს შეუვალი, ჰაგრევე ესე ქავთარული თქუენგან ნასყიდი გლეხი შეუვალი იყოს თქუენისა სახლისაგან და მცხეთისა სახლისა ბეგარი თუით არცა რაი წინასა (წნისა – წინის?) ზედა სდებია; და ვინაითგან თქუენითა ოქროითა თქუენისა სულისათუის გიყიდია, არცა რა ამას წაღმა საქმე უც მცხეთის სახლსა შესავლობად არაის თანად არა და არცა რაი სათათროი გამოჰვიდოდეს: მალი: ყაფჩერი: სალაშქროი: და საიამე არასთანა გამოიღებდენ და წისქუილთა რაცა საკაზმავი უნდოდეს ესევე ჰკაზმავდეს და თუ რას წისქუილთა შიგა შეგუცდებოდეს, ჩუენ მღუიმელთაგან ეკითხვოდეს და ჩუენ გარდავაჴდევდეთ და სამართალი თუ რაი იყოს ჩუენგანვე აიღებოდეს და წელიწადსა შიგა სამსა დღეს სამებაუსა(?) იქმოდეს და ხრილისა ნახევარი ჩუენი იყოს და ნახევარი ამა ჩუენის მეწისქუილისა იყოს და ვინ გინდა მოფქვი იყოს და ფქვიდეს, მისდა ნუ ვისი ნუ აიღების, თქუენისა სულისა სალოცაედ ფქვიდეს და მეწისქუილე ეგ ზომისა საპატიოსა აიღებდეს რ˜უმე (sic) ერთსა ეყოფოდეს და ენკენიას და წელიწადის თავს მემღუიმეს ძღუენსა მოართუმუდის სამსა სქელსა პურსა და ერთსა კორჩხალასა ღუინოსა და სხუებრ, არაი გამოჰვა, რაიც არ დაგუიწერია ამისგან მეტი: და გლეხსა არ სუხრაუბაი, არ გენდგაუბაი, არ მოწიგნოროობაი, არ საბანჯრე, არ საჴმარი და არაისთანაი არა. ვინც ესე

თქუენგნით გაგებული შეცვალოს, შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთასა და ჰრისხავს - - - სული წმიდაი და კრულმცა არს ღ˜თისა პირითა. . . (წყევა გრძელი).

სხვა ხელი, მხედრული (ყოველ სიტყვის შემდეგ ორორი წერტილი უზის):

ქ: კურალესონ: ესე: ვითა: წ˜თა: და: ღმერთშემოსილთა მამათა მემღუიმეს და სხუათა ძმათა დიდის მსახურთ-უხუცესის გრიგოლ სურამელის და მისთა მოამავალთათუის სალოცავად საუკუნოდ დაწერილი ესე დაუწერია და პატრონთა საუფლოითა ჴელითა დაუმტკიცებია, ჩუენცა გლახაკი ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი ნიკოლაოზ (ნ˜კლზ) მოწამე და დამამტკიცებელი ვარ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ მადლითა კათოლიკე (კ˜კე) ეკლესიისა მუნ შინა ღ˜თივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, ღმერთმყოფელისა მიჰრონისა და კუართისა საუფლოჲსაჲთა და ჩუენ გლახაკისა ჯუარითა აქა და მერმესა საუკუნოსა. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენ და წმიდამან დედაქალაქმან“.

სხვა ხელით, მხედრულად: „...მე დემეტრე მოძღუარი მოწამე და თანა-დამჴდომი ვარ“... (წყევა).

მხედრულად, ხელოვნურად: „ესე ვითა სურამელსა გრიგოლს მსახურთუხუცესსა მათისა სულისათუის მღუიმელთა წისქუილნი აუშენნა და მღუიმელთაგანვე გლეხი იყიდა მეწისქუილედ და მათვე მღუიმელთა შესწირა სახელდებით ქავთარელი, მე ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“... (წყევა).

1260 წ. სინოდ. კანტორის სიგელი № 65.

ეს სიგელი დაწერილია ტყავზე (სიგრძით $2^1/_2$ არშინი, სიგანით 5 კერშოკი) ლამაზის ხელით, მხედრულად. სიგელს თავი აკლია, ზოგი-ერთი ბოლო-წარწერები გადასულია და ძნელი საკითხი. თუმცა სიგელს ქორონიკონი არ უზის, მაგრამ მიმცემელი სიგლისა, ძაგან აბულეთის ძე, ჰმოწმობს, რომ მისგან შეწირული სოფელი ანგროინი (ვახუშტის ანგრევანი, ფინეზაურის ჴეობაში, ხრამ-მაშავრის ღელეში: იხ. მისი გეოგრაფია გვ. 476, № 313) უყიდნია მას „ბაღდადს ჴრმლით მისგან ნაშოების ოქროჲთ“; ხოლო ბაღდადი ქართველ-მონგოლთა აიღეს იანვარს 1258 წ. გარდა ამისა სიგლის ტექსტში მოხსენებულია იგივე მთავარ-ეპისკოპოსი გიორგი, რომელსაც ხელი უწერია 1259 წლის რკონის და არსენ კ˜ზის გუჯრებზე (იხ. ქრონ. II გვ. 143; 101; 128). ამ საფუძვლებით უეჭველ ხდება, რომ სიგელი № 65 დაწერილია 1260 წლის ახლო ხანებში. – აქ მოხსენებულნი აბულეთის ძენი გიორგი და ივანე და მათნი შვილნი ძაგანი და ივანე ისტორიაში ცნობილნი არ არიან. უკანასკნელნი (ივანე და ძაგანი) უნდა იყვნენ ის „ორნი ძმანი აბულეთის-ძენი“, რომელნიც მოკლულ იქმნენ 1282 წლის ახლო ხანებში (ქ.-ცხოვ. I, გვ. 418).

+ -. - წ˜დისასა | - - - შეწე(ვნითა) და თავს[მდებობითა] | ყ˜დ წ˜ისა ქალ-
წულისა მ[არიამისათა] - - [და წ˜თა მთავარ-ანგე]ლოზთა მიქაელ და [გაბრიე-
ლი]|სითა |- - - შუამდგომელო[ბითა] - - წინასწარმეტყველთა, მო[ციქუ]ლთა,
მღდელთ-მოძღუართა, მოწამეთა, მამათა, ქილწულ(თა) და ყ˜ლთა წ˜დათაჲთა,
რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუნეს უ(ფა)ლსა ღ˜სა ჩ˜ნსა (ღმერთსა ჩუენსა);
თავსმდებობითა სანატრელთა მამათა ჩუენთა ში(ო), ი˜ნე (იოანე) და ევაგრესი-
თა დაგიწერე და მოგავსენე დაწერილი ესე თქუენ ყოველთა მამათა თუალსა
და მნათობსა წ˜დასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკუიდრებულთა წ˜დათა
მამათა მე აბულეთის ძემან ძაგანმან, ძემან ძაგანმან, ძე. მან ე˜ევისა (ერისთავთ-
ერისთავისა): ივანესმან; ბრძანებითა და გამოზრახვითა სულიერისა მამისა და
მოძღურისა ჩემისა ქ˜მკზისა (ქართლისა მთავარებისკოპოზისა) გ˜ისითა (გიორგი-
სითა) *) მას ჟამსა, ოდეს მივედ მღუიმეს და შევემთხუიე საფლავსა წ˜დისა მა-
მისა შიოისსა და ვიხილენ წ˜დანი მამანი მუნ შინა დამკუიდრებულნი და მომა-
გონა ღ˜მან, რაითამც ძალისა მსგავსი საწყალობელისა სულისა ჩემისა სალო-
ცავი გავიჩინე წ˜დასა ამას უდაბნოსა შინა: ბრძანებითა სულიერისა მამისა და
მოძღურისა ჩემისა გ˜ი ქ˜ს მ˜კზისაჲთა მოვაჴსენე და შევსწირე წ˜დასა მამასა
შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა ძმათა და მამათა სოფელი ანგროინი
ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძაის ძესა, გ˜ის შვილსა (გიორგის შვილსა)
ივანეს, გაეყიდა და მე ზევე უკ-მოვიყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა **),
იცოდეს ღმ˜ნ, მუნ ჩემითა ჯრმლითა ნაშოებისაგან კიდე არაი ვისი ყოფილა
ამის ადგილისა სყდას (სყიდასა) შიგა, არ მამულისაჲ და არ სოფელთაგან ანა-
ღები ***). შევსწირე მოუდევრად ყოვლისა კაცისაგან მთიითა, ბარითა, ტყითა და
მზღვრითა (sic) და მიმდგომითა მისითა, საჴმარითა და უჴმრითა, რაიცა მსა
სოფელსა ძუელიდგან ჰქონებია. არვის რაი საქმე უც, არცა პატრონსა
ღ˜ისა (ღვთის) სწორსა ****) ამას ადგილსათანა, არცა ჩემთა შვილთა

---

*) გიორგი-მ˜კზის მოუწერია რკონის სიგელი 1259 წ. არსენ კ˜ზის დროსაც სჩანს (სხვა?) გიორგი (იხ. ზემო 50 – 58). უკანასკნელი სხვაა, მას ალბათ კ˜ზობა მიუღია 1227 წლის ახლო ხანებში (იხ. ჩემი „კრონიკები“ II გვ. 93).

**) ე. ი. ბაღდადის ქართველ-მონგოლთაგან აღების წელს 1258 Hist. G. I)

***) მხოლოდ საკუთარის შრომით შეძენილის გაყიდვა-გამოწირვა შეიძლებოდა.

****) ე. ი. მეფეს დავით-ლაშასძეს რადგან აქ ხმარებულია ფრასა: „ღთისა სწორსა“ და არა „ღ˜თისა სწორთა“, ამისგამო საგულისხმოა, რომ ამ დროს საქართველო ორ-სამე-ფოდ ყოფილა გაყოფილი, რაიცა ბროსსეს აზრით ყოფილა 1258 წ. (Hist. G. I. n, 4); ხოლო ვახუშტისით – 1246 წ. – რადგან ვახუშტის ქრონოლოგია უმეტეს შემთხვევაში ათ-წლოვანობით უკან რჩება ჭეშმარიტ ცნობასთან, ამისგამო ჩვენ გვგონია სამეფოდ გაყოფა საქართველოსი 1256 წ. – მღ. ნ. ანთაძეს 1844 წელს გელათის ქრონიკიდამ გადმოუწერია სხვათაშორის: „ჩსმვ წელს (ქკს უიე?) განიყო (საქართველო) ორ სამეფოდ დავით ლაშას ძისაგან და ნარდავითის რუსუდანის ძისაგან“. ეტყობა, ანთაძეს სწორედ ვერ გადმოუწერია: ვახუმტის და ანთაძის წყაროშიც ერთნაირად უნდა წერებულიყო: „ქკს: უჲიე“ (1256).

და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა, არცა რაი სასთათროი გამოსაღებელი ზედა უც (აც?) ჩემისა სახლისაი ანგროვნელთა და არცა რაი სხუაი გამოსავალი და ბეგარი. თუ რას ვინ აწყენდეს საურავისაგან კიდე, რაითა ლოცვასა იგინიცა მიიღებდენ წ˜დათა მამათასა და არცა რაი თემმამისა პატრონთა *) ჴელი შეუვიდოდეს მათზედა და სასეფოი თემამისა პატრონთაი არაი ზედა სდებია, არცა ჴელისუფალთა შესულაი და არცა რაი სხუაი, და თქუენ გამიჩინეთ სამწირველოი და მწირველი სახლითა, მღუიმეს პურითა, ვენაჯითა, ფიჩხულითა, და მიუყენენით მიწანი ერთი გუთანი ვენაჯის ბოლოსა თრიალული: – ორი გუთანი ნავენაჯები თევდორული თხოთის აგარას და ორი გუთანი სარბიელთა და ანგროინს ერთი გლეხი და გამიჩინეთ აღაპი დღე თევდორობაი, რაითა მღდელნი წირვითა და მწირნი მუჴლთ-მოდრეკით ლოცვითა გარდაიჴდიდენ ღამისთევითა და პანაშუიდითა და კარღებული ტრაპეზი გარდაიჴდებოდეს მოძღურისა და მემღუიმისაგან მოსაჴსენებლად საწყალობელისა სულისა ჩემისა, და წირვასა და ყოველსა ტრაპეზსა ზედა იჴსენებოდეს სული ჩემი ყოველთაგან შენდობისა ბრძანებითა. – აწ ვინცა ესე ჩემგან ნასყიდი სოფელი ანგროინი თქუენ წ˜დასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკუიდრებულთა მამათა შეგიცვალოს და გამოგაჴუას ანუ პატრონმან მძლავრობით და ანუ ჩემისა გუარისა კაცმან ანუ გადიდებითა და ანუ გამრავლებითა, ანუ ტყუეობისა დამართებითა და რაისაცა მიზეზისათუის, ჰრისხავსმცა ღ˜თი დაუსაბამოი, მამაი, ძე და წ˜დაი სული და იგიმცა ყ˜ლდ წ˜მდაი ღ˜ისმშობელი და წ˜დაი მამაი შიო რისხვად აღიძრვიან მისთუის წინაშე ღვთისა (ღ˜ისა) აქა და მერმესა საუკუნესა. – და მღუიმისა მამათა წმიდათა და მოურავთა და ჩემთუის გაჩენილმან მწირველმან თუ ესე ჩემთუის გაჩენილი აღაპი და სალოცავი დააკლონ და შეცვალონ რაისა გინდა მიზეზისათუის, ჩემთამცა და ჩემისა გუარისა გარდაცვალებულთა და მომავალთა ცოდვათა პუსუხსა იგი მისცემს ღ˜თსა და მუმცა უბრალოი ვარ წ˜ე საყდართა ღ˜თისათა მეორედ მოსლვასა მისსა დიდებით. და ანგროვნისა საქმე და სამართალი რაიც შეჰჴდეს მღუიმეს მოძღურისა და მოურავთაგან დაიურვებოდეს; მემღუიმისაგან შიგ შედგომით და ჴელმიყოფით ნურაი ეწყინების: რ˜მე (რომე) მონასტრისათუის ზე არ ამოსწყდეს და ჩემისა სულისა სალოცავი ზე არ გარდაჰჴდეს. სიმტკიცისათუის სეფისა მწიგნობრისა ი˜ნეს მაჩხოიტისძის ჴელითა მომიჴსენებია“.

სხვა ხელით, მხედრულად მეტად გაბმულად და ძნელად გასარჩევით:

ქ: ესე ვითა ზემოთ მწიგნობრისა ჴელითა დამიწერია, თავისა ჴელითა ვამტკიცებ მე ძ(ა)განი აბოლეთისძეი მან წმიდამა შევა (შიო) რ˜სათს (რომლისათუის) შემიწირავს ანგროვანი **) არაი რთავს ჩემის მამოლისა ჩემსა ნასისხლი-

---

*) თემამი იყო საერისთვო გრიგოლ სურამელისა.

**) ა ნ გ რ ო ვ ნ ე ლ ნ ი მოხსენებულნი არიან ჩვენს „ქრონიკებში“ 1344 წ. ხოლო როგორც სჩანს სინოდ. კანტ. გუჯრიდამ № 104 (იხ. ჩემი „ქრონიკები“; II გვ.). ანგრო-

სა ბაღდადით: მოგებულსა მეტი, არცა რაი ღ˜სა (ღვთისა) სწორსა საქმე ოც და არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არც ვის სხუასა. სუფლისა მოსავლისა საქმე ასრე გავაჩინეთ, რომე ყოლაი სწორად გაეყოფოდეს და მემღუიმესა არაი საქმე ოც მას თანა (თავად?). აწ ჩემი მოძღუარი იურეოდეს; მერმე ვინც მოურავი იყოს, იგი მსახურებდეს მამათა წმიდათა. და ვინც შეცვალოს კრული (არს) ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და მან გადმცა იდეას პატიჟი აორაცხელთა ჩემთა ცოდევათა დღესა მას განკითხვისასა ამინ.

მეორე გერდზე სხვა ხელით წვრილად აწერია:

ქ. ესე ვითა პატრონსა პაპასა ჩემსა შეუწირავს და გაუჩენია და პატრონსა მამასა ჩემსა მათითა ჴელითა დაომტკიცებია, მე მიწაი მათი შვილი ყარიბითა ჩემითა ჴელითაცა დამიმტკიცებია და გამთავებელი ვარ.

ხვეულად: „ქ. ამა პატრონისა ბძანებულისა დამამტკიცებელი ვარ მე ხათუთაი“. – არშიაზე აწერია: 1) ქ. (ესე ვითა) პატრონის - - - ჩემისა ბრძანებისა მე მათი ძმა ივანეცა დამამტკიცებელი ვარ.

2) ესე: ვითა: პატრონს: მამას: ჩემს: უბრძანებია: მე: მათი: შვილი: პატრონიც (პ˜ტც) დამამტკიცებელი ვარ.

1270 წ. – ეტრატის სახარება შიომღვიმისა.

შიომღვიმეში დაცულია ხელოვნურად ტყავზედ დაწერილი და წარჩინებულის მხატვრობით შემკული სახარება ზანდუკითურთ in 4, 265 ფურცელი, ანუ 530 გვ.; ამათგან თავში 11 ფურცელი და ბოლოს 8 ფურცელი ქაღალდზეა დაწერილი მერმინდელის ხელით.

ხელნაწერსა აქვს შემდეგნი საყურადღებო წარწერანი:

ტექსტის ხელით: 1) მე-287 ფურც: „ქრისტე .. ნუ დასჯი... ცოდვილსა გიორგის, ამას წ˜ისა სახარებისა მწერალსა. ა˜ნ“ – 2). მე-256 ფურცელზე: „მადლი და დიდება ღმერთსა... განსრულდა წ˜ა ესე და ყოვლითურთ საწადელი... ოთხთავი... მოვიგე და დავწერე ჴელითა ჩემითა მე გიორგი საწყალობელმან... პირველად სალოცველად სულისა ჩემისათჳს და... მშობელთა ჩემთა და ძმისა ჩემისასა... დაიწერა... დიდსა უდაბნოსა მღჳმისასა, საყოფელსა წ˜ისა ღმერთშემოსილისა მამისა შიოისასა; ხოლო ქორონიკონისა წელნი იყუნეს: უ: ჟ: (ე. ი. 490+780=1270 წელს)· წელნი, რომელ გარდასრულ არიან დასაბამითგან ვიდრე ჯუარცუმადმდე უფლისა ჩუ˜ნისა იჴსო ქ˜ესსა ესრედ იცნობების: ჩ: ფ: ლდ: (ე. ი. 5534 წ); ხოლო შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე

ვანი და ძაგნაკორნათა შორს არ ყოფილა თემმის ხევიდამ. – ამ უკანასკნელის გუჯრიდამ ცხადდება ისიც, რომ 1405 წელს აბულეთის ძენი ალბათ ამოვარდნილან და ამისგამო მეფე გიორგის «აბულეთის ძედ დაუსვამს ამირახორი ხიმშია», „პირველ აბაზაძე მარალელი და აწ.... აბულეთისძე ამირახორი ხიმშია“ (ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ, 106).

მოაქამომდე: ჩ: ს: ო (ე. ო. 1270 წ.), ერთ–რიცხვად ყოველნი წელნი დასაბამითგან ვიდრე აქამომდე: ხ. ყ: დ: – “ (ე. ი. 6804 წელი, ანუ 6804 – 5534 = 1270 წ.); – 3) იქვე, მე-257 ფურცელზე: „სახელითა ღ˜თისათა... და ი˜ე, შიო და ევაგრესითა... შევსწირენ... მამასა შიოს ოთხთავი სახარებაჲ, სრული ყოვლითა განგებითა, კამარითა და ხატითა, ზანდუკითა და ბეჭდითა... და ერთი მარხვანი ეტრატსავე ზედა; ერთნი ზიტიკნი ეტრატსავე ზედა მე გიორგი... მონაზონმან ხუცესმან... და შემიწყალეს წინამძღუარმან ზოსიმე და ბასილმან თაკაურმან, მოძღურად წოდებულმან და სრულიად კრებულმან მღჳმისამან (და) აღაპი გამიჩინეს საუკუნოდ... წინადღესა ხარებისასა... (მერე წყევა, ვინც არ შეისრულოსო ანუ სახარება მღვიმიდამ გაიტანოსო)... ამენ“ (sic). – აქ დასახელებულნი პირნი მოხსენებულნი არიან ზემო დაბეჭდილს გუჯარში № 38 (გვ· 58 – 62).

აქ მოხსენებულ ეტრატის ხელნაწერთაგან, რომელნიც გიორგი-მონაზონს შეუწირავს შიომღვიმისთვის, აქამდე დარჩენილა მღვიმის წიგნთსაცავში ეტრატის ზატიკი, უთავბოლო, infolio.

ხელნაწერი შეიცავს 1) სასვინაქსროდ მოკლედ აღწერილს წ˜ა შიოს ცხოვრებას (ფურც. 2), რომელიც დიდად საყუარედღებოა და ამის გხმო გამო ვბეჭდავთ; – 2) წ˜ა ნინოს შემოკლებულს ცხოგვრებას (ფურც· 3); – 3) კათალიკოზის არსენის მიერ (1218 – 1227 წ.) შედგენილს წ˜ა ნინოს საგალობლებს კიდურ-წერილობით: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ (ფურც. 4 – 12); – 4) „ტჯფიკონი საეკლესიო წესისა... საბაჲს ლავრისაჲ, რომელი ესე ესრეთ იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა“; – 5) განგება ღამისთევისა (ყველა საუფლო დღესასწაულთა); – 6) მოთხრობა შემოკლებული საეკლესიოჲსა განწესებისა მონასტერთა იწრუსალიმისათა; – 7) სჳნაქსარი 12 თთვეთა; – 8) „დაქცევა სიბოროტისა“ ანუ მწვალებელთა განქიქება, რომელიც წაიკითხვის მართლმადიდებლობის დღესასწაულს, პირველს კვირიაკეს დიდის მარხვისას (საგალობლები აღნიშნულია წითურად სხვა-და-სხვა ნოტის ანუ ხმის-საქცევ ნიშნებით, რომლის მსგავსი სხვა ხელნაწერებში არ შემხვედრია); – ამ საკითხავში მოხსენებულნი არიან ბერძენთ და ქართველთ მეფენი, დედოფალნი, პატრიარქნი და ქართლის კათალიკოზნი, რომელთა სია ჩვენ უკვე დავბეჭდეთ (იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 79 – 81; 145 – 147). კათალიკოზთა სიაში უკანასკნელად მოხსენებულია გიორგი (არსენის შემდეგ), ხოლო ქართველთ მეფეებში – რუსუდანი; აქიდამ ცხად ჰხდება, რომ მოხსენებული ხელნაწერი დაწერილია 1245 წლის უწინ და 1223 წლის შემდეგ; – 9 ცხრილი ხუთასეულისა 1172 წლიდამ 1224 წლამდი. ბოლოს ტექსტის ხელით წარწერა: „...მე გიორგი, სახელით ოდენ მონაზონ-ხუცესი..., ღირს ვიქმენ აღწერად წიგნისა ამის და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა დავსდევ ეკლესიასა მღჳმისასა საჴსენებელად სულისა მისისა და ჩემისასა“...

ესრეთივე წარწერა აქვს შიომღვიმის ეტრატის უთაე-ბოლო ტიბიკონს (infolio), რომელიც შეიცავს: 1) წ˜ა ნინოს დღეობის განგებას, ბ) „ტჯფი-

კონს“ საბას ლავრისას; 3) სვინაქსარსა (სეკდემბრიდამ) და 4) და ცხრილს ხუთასეულისას.

ამავე ხელნაწერში ჩართულია შემდეგი შემოკლებული (სვინაქსრული) ცხოვრება წ˜ისა მამისა შიოსი; ეს ცხოვრება აქა-იქ ახალს ვარიანს გვაძლევს შიოს ცხოვრებისას, რამდენადმე განსხვავებულს მისის მეტაფრასისაგან.

„ყველიერსა ხუთშაბათსა ჴსენება საკჯრველ-მოქმედისა წ˜ისა მამისა შიოსი. ესე იყო (თემითა) ასური, ქალაქისაგან ანტიოქიაჲსა, რ˜ლ არს შუა-(მდინარისა)ჲ, მშობელთა ღთის მსახურთა და მდიდართა (შვილთა), ამან ნეტარმან სიყრმესა შ˜ა თჳსსა იჯმნა ყოვლისაგან სოფლიოჲსა საშუჱბელისა და სიმდიდრე დაშთომილი მისდა განუყო გლახაკთა და თჳთ თავადი შეუდგა დიდსა შუამდინარელსა, რ˜ი იყოფებოდა უდაბნოსა შავსა მთისასა: და დაყო ოცი წელიწადი მისთანა, წარვლნა ყ˜ნი სათნოებისა გზანი მრავალთა ღუაწლთა შ“ა განცდილმან, ვიდრემდის სიმდაბლითა თ˜სითა აღურაცხელნი სასწაულნი აღასრულნა. ხოლო ოდეს მოძღუარი მისი უწყებითა ღ˜ჲთა ქყნ˜დ ქართლისა მოიწია, ესეცა ნეტარი მისთანავე მოგზაურ იქმნა და მისთანავე მოციქულება (და) დ˜ჲ აღასრულა რათა (?) ღ˜ნ მისცა ენა ქართულად მეტყუჱლი:. სმ(ლეს) (?) რ˜თ კურთხევაჲ კვლალი კჳ˜სა განმავალთა მთად ზედაზნისა; ლოცვითა ამის (სანატრელისაჲთა) განვიდეს მდინარესა არაგუსა ჴმელად ჟამსა ზაფხულისასა, რამეთუ მდიდროდა მაშინ. – შ˜დ წელთა რაოდენთამე ამან ნეტარმან შიო აღირჩია დაყუდებით ცხრბ˜ჲ ჴევსა შ˜ა სარკინისასა; რ˜სა აწ მღჳმე ეწოდების, რომელსა შ˜ა ძლიერად მოღუაწებითა და ბუნებისა კაცთაჲსა უზეშთაესითა მარხვითა ყოველნი ეშმმაკისა ბრძოლანი, ე˜ა დედაზარდლისა ქსელნი, დაჰჴსნნა და ღირს იქმნა გამოცხადებასა ყ˜დ წ˜ისა ღ˜ის მშობლისასა და ნათლისმცემლისა იოანესსა აურიცხელთა თანა ანგელოზთა, რ˜ლთა კრებული იხილვებოდა ქ˜ყნით ცადმდე მგალობელნი გალობასა უცხოსა, რომელთა განაძლიერეს ნეტარი შიოჲ და ყ˜დ წ˜ნ დ˜ის მშობელმან შთაუდვა პირსა მისსა შესაჭმელი რაჲმე უცხოჲ კაცთაგან, და ჰრქ˜ა მას: „ამიერითგან კაცობრივი საზრდელი არღარა გიჴმს შენ და უბრძანებიეს ძესა ჩემსა ქრისტესა ღ˜ა, რ˜ა ერთი ანგელოზი მარადის მყოფ იყოს შენ თანა და გზრდიდეს და სცვიდეს ცხოვრებასა შენსა“; და ამაღლდა წ˜ა ღ˜თის მშობელი კრებულისა მისთანა და მიერითგან ნეტარი შიო რაჲდღე *) იზრდებოდა ანგილოზისა მის მიერ საზრდელითა მით, რ˜ლი ღ˜ნ უწყის. – ხოლო გამოაცხადა იგი ღ˜ნ ესრეთ: რამეთუ ევაგრი მთავარი ციხედიდისაჲ ჴევსა მას შინა, რ˜ლსა იყოფებოდა ნეტარი შიო, შევიდა ნადირობად, და იხილა ანგელოზი მზრდელი მისა სახითა ტრედისა სპეტაკისაჲთა შემავალი მისა, რომელსა პურის მსგავსი რაჲმე აქუნდა პირსა მისსა, და ამისგან სამგზის მხილველმან და შედგომილმან მისმან მიუტევა მას ზ˜ა

*) ე. ი. ყოველდღე „რაჲთურთ“ = ყოვლითურთ.

ქორი და შეუდგა თჳთ, ვ˜დის იხილა ბერი და ტრფიალ იქმნა ცხორებისა მისისა, არღარა დაუტეობდა. ხოლო ბერმან დააჯერა, რათა აღიღოს კუჱრთხი მისი და შთაყოს მდინარესა შ˜ა და უკეთუ ჴმელად გზა სცეს, განაგოს სიმდიდრე თჳსი და კ˜დ მომავალმან ეგრეთვე ყოს და უკეთუ კ˜დ ჴმელად გზა სცეს, მოვიდეს მისსა; – რომელი ესე იქმნა საკჳრველებით ღთის მიერ, ორგზის განაპო მდინარე ევაგრი და მოვიდა შიოჲსსა და იქმნა მონაზონ მაღალ, და ღირს ოქმნა ქმნად სასწაულთა მრავალთა.

ამან ნეტარმან შიო აღმოაცენა უღაღსა შ˜ა კლდესა წყალი და ბრძანებით მოუწოდა ყ˜თა მჴეცთა მის უდაბნოჲსათა და უბრძანა წარსლვაჲ და ერთი მჴეცი, რ˜ლ არს მგელი, ექუს წელ მაძოვნებელად კარაულთა განაჩინა და მერმე თჳთ ბრძანებით წარგზავნა. და თ˜ლი მთავრისა ვისიმე მოწყლული ისრითა აღუხილა, და ნებითა შიშველითა ნაკუჱრცხალთა მიერ მოტყინარეთა სამჭამ საკუმეველი შეწირა, ორმოც და სამ წელ მღვმესა უნათლოსა ათექუსმეტსა მჴარსა შთადგა და რომლითა ფლასითა ასურეთით ქართლს მოიწია, მასვე შ˜ა აღესრულა. აურაცხელნი სწაულნი აღასრულნა და განსლვაჲ თჳსი ჴორცთაგან ღ˜ისა მიერ ეუწყა; ანგელოზთა მგალობელთა ხილვითა განბჭყინდა პირი მისი და ესრეთ ძილი იგი მართალთაჲ დაიძინა; შეიმურა კ˜ზისა მაკარის და სხ˜თა (ღ˜ისა) მიერ უწყებულთა ებისკოპოზთა (მად)ლითა და დაიდვა მასვე მღჳმესა შ˜ა; და აღმოეცენა საფლავისა მისგან სუნელება მიუთხრობელი და იქმნნეს და იქმნებიან მის მიერ სარწმუნოებით მვედრებელთა ზ˜ა სასწაულნი აურაცხელნი.

იქვე: „თ˜ა იანვარსა: იდ: ნეტარისა მოციქულისა ნინოჲსა: „ⴰⵏⵏⵉⵙⵉⵎⵓ-ⵏⵉ:“ – (საგალობლები ნინოსი). მერე სხვა საგალობლები წარწერით ⵔ ⵏ˘ⵏⵉ ⵉⵛⴰⵏⵎⵏⵉ. „თავნი იტყჳან: „ქებით უგალობ სასძლოსა ჩემსა ნინოს. არსენი“.

1344 წ. – შიომღვიმის საბუთებში იპოვება ტყავზე ნაწერი გუჯარი № 63 (სიგრძით 1 ½ არშინამდე და სიგანით 2/5 არშინისა), მხედრულად მდარე ხელით დაწერილი. სიტყვები გაყოფილია ორ-ორ წერტილით.

სახელითა... და მეოხებითა... წ˜თა... მამათა ჩ˜თა იოვანე შიო და ევაგრესითა... ესე... დაწერილი მოგეცით ჩუენ დიდმა ლავრამან მღუიმისამან მ თ ა ვ ა რ-მ ა მ ა მ ე მ ღ უ ი მ ე მ ა ნ ი ო ვ ა ნ ე, დეკანოზმა დ˜თ, გგ˜ლ, იო˜ბ, ი˜ე, იოსებ დაყუდებულმა და გარბერმა ბარლამან და ყოველმანვე სისავსემან ლავრისამან, ძლიერმან და უძლეველმან (sic) შენ მც[- - ?] ბავტისძეს ჯაუნორსა და შვილთა... გუეჰაჯა სამისა დღისა მიწასა, რომემცა მოგუეცი... ვისმინეთ ჰაჯაი შენი და მოგეცით სამის დღისა მიწაი შოლაღრიური უსარჩელო მოუდევარი და უპატრონი, ვარდანის ძეთა საღალოდ რომე ჰქონდის; მათი ღალაი აღარ გუინდოდა და შენ მჭედელსა ჯაუნარსა მოგეცით და ბეგარი გაგიჩინეთ წელიწადსა შიგა ოთხი ლიტრაი ცჳლი, რომე შიოობასა დღესა მღუიმეს მოიღებდი. ამისგან მეტი არა ზე გაც ამა სამისა შოლაღარაურისა ყანისათუის,

გიბედნიეროს ღ˜ნ... (წყევა) ამისი მოწამენი არიან ანგროვნელნი ჯიღბოისძე მგელაი; თეიმის ჴელოსანი კობალაისძე შალვა, ჩარმაგოის ძე ჩამნაი, კოხტიელი იოანე, ჴევისპირული ნასარაი, მემღუიმის ყმანი: მზარეოლი იაი, გორისისძე დიაკონი ბექენი, გოროვნელი აბაშაი, წეროვნელი ციცხელაისძე იაი. ქ˜კსა :ლბ: აპრილსა :ე: მიწაი მიქელ პალატის წინამძღურის შვილი დამწერელი და მუწამე ვარ“.

ხვეულად: „მე საწოლის მწიგნობარი და მთავარ-მამა მემღუიმე ივანე გამათავებელი ვარ ამა დაწერილისა“.

ქ. მე ქ˜ა (ქართლისა) მთავარებისკ˜პზი მელქისედეკ მოწამე ვარ.

ქ. მე მცხეთისა მოძღური შაბერისძე (შაბურიძე) აბრამ მოწამე ვარ.

ქ. მე დეკანოზი მღუიმისაი დ˜თ მოწამე ვარ.

ხუცურად: „ქ. მე პალატისა მოძღარი (sic) გერ˜ნზ მოწამე ვარ“.

„ქ. მე იობ მოწამე ვარ“.

1433 წ. – შიომღვიმის სიგელი № 8, ტყავზე მხედრულად ნაწერი, რომელშიც დასახელებულის თაყა ზედგინიძე, მოსსენებული ზემო 1433 წ. და აგრეთვე ორასის წლის წინეთ საქართველოს აოხრება (1433 – 200 =1233 წ.), რაიცა მართლა უდრის ხვარაზმელთა და მონგოლთაგან საქართველოს აოხრების დროს. ამის გამო ჩვენ ძალიან არ უნდა ვცდებოდეთ, რომ ამ სიგლის დაწერას დავდებთ 1433 წლის ახლო ხანებს.

...„ურიცხუთა სასწაულთა თქუენთა ესრეთ გადამატა, რომელ თქუენგან შეყუარებულისა და დამოწაფებულისა ევაგრეს ძუალნი დღეინდელად დღედმდე ლუსკუმათა მისთაგან საღმრთოთა ძალთა მიერ მოძრავ იქმნებიან... აწ... მე ზევდგინიძე თაყა ...მოლტოლეილ ვიქმენ... მონასტერსა თქუენსა... და რომელ პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს, მათთანა დასაფლავებად... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ეკუდერი ავაგე... და შემოგწირე... მკჳდრი სოფელი ჩუენგან აშენებული კოდის-წყარო, ორასსა წელიწადსა კაცი არ სახლებულიყო და ჩუენნი მერიქიფე-მეჯინიბენი და შინაურნი კაცნი დავასახლეთ და ჩუენითა საფასითა ავაშენეთ... აბეთი... ავაშენეთ... და... დავასახლეთ... და შევიტანეთ ხატისუბანი, სხუილოს ბიშიაშვილი (და სხ.) ჩუენითა საფასითა მიწები ვიყიდეთ და მას ზედან დავასახლეთ... (ამის სანაცვლოდ გაუჩენია აღაპი თავისის სულის სალოცველად და) ...ორი კანდელი დაუვსებული და ოთხი აღაპი... ჩემთჳს ...და მეუღლისა ჩუენისა მამქაანისთჳს.

1445 – 1469 წ. ამ წლებში არის დაწერილი მხედრულაღ ტყავზე ნაწერი შიომღვიმის სიგელი № 66, მეორე გვერდზე წარწერილი (ტექსტი პირველის პირისა იხ. ზემო, გვ. 50-2), მიცემული მეფის გიორგი IX-ის მიერ. ყველა სიტყვები გაყოფილია ორ-ორ წერტილით.

„ქ. ჩუენ ორისავე ტახტისა და საჴელმწიფოჲსა თჳთ-მფლობით ჴელმწი-

ფედ, მტ[კიცედ მპყრობელმან]... მეფეთა მეფემან გი˜გი და მეუღლემან ჩ˜ნმან პატრონმან დედოფალმან ნესტან დარეჯან ესე... სიგელი... გკადრე... შიოს უდაბნოს მღუიმისა... მას ჟამსა, ოდეს კარზედა მოგუიდეგით და ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულისა აღმაშენებლისა დავითისი და ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობისაგან დიადი წესი და საქმე შეცულოდა და სულკურთხეულსა პატრონსა მამასა ჩემსა მეფეს ალექსანდრეს ჴელ ეყო და... [სათა]თრო - - ულუფა სჭირვებოდა, იჯი ამო[ეკუეთა]. აწ მისად შედეგად ჩუ[ენ ვი]გულისმოდგინეთ მცირითა ამით სამსახურითა მსახურებად წ˜დისა და ღ˜თშემოსილისა [მამასა] - - შიოსი და შემოვსწირეთ და მოვაჴსენეთ ქუეყანასა სხალტბასა რაც დიდი სათათრო [სდ]ებოდა და პირველთა მეფეთაგან გაჩენილი და შეგდებული, იგი სრულიად ამოუკუეთეთ და [დავწ]ერეთ: ასრე რომე დიდი სათათრო ულუფა არაოდეს და არას ჟამშიგა არა ეთხოვებოდეს. უკეთუ საქართველო განგებითა ღთისაჲთა ამოდ და დაწყობით იყოს, მაშინ არ ეთხოებოდეს და თუ რადმე ასეთი რამ იქნას ცოდვათა სიმჭრელისაგან, რომე მიჭირვებით იყოს არ - - - ეთხოებოდეს. ამა პირსა ზედა შემოგუიწირავს და მოგჳჴსენებია, რომ - - სულკურთხეულისა პატრონისა მამისა ჩუენისა ალექსანდრესტჯს კარგაღებულსა [აღაპსა] - - - შეგვიკვეთია დღესასწაულსა და დღეობასა წ˜ა და ღ˜თ შემოსილისა მამისა [შიოსსა მა]ისსა ცხრასა. იგი თქუენგანცა ასრე გაუთავდეს და არაოდეს მოეშალოს.

მერე ხელმოწერა ესრეთი: „ქ. ქ. ქ. მე გ˜გი ვამტკიცებ“.

1413 – 1442. მეფე ბაგრატის სიგელს, ზემო დაბეჭდილს (გვ. 3 – 4), მეორე პირზე აქვს შემდეგი მხედრული წარწერა, ფრიად ცუდის ხელით. რადგან პოლეოგრაფიულ ნიშნებით ეს წარწერა ეკუთნის მე-XVII საუკუნეს, ამისგამო გს წარწერა პირი უნდა იყოს ნამდვილის სიგლისა. ამას ასაბუთებს თჳთ შინაარსი სიგლისა (სასვენ ნიშნები სამ-სამი წერტილია ყოველ სიტყვის შემდეგ). ეს აზრი სრულ სიმართლედ მიგვაჩნია.

„- - - [ნებითა ღმრ]თისათა აფხაზთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შარვანშა | - - - და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვით-მპყრობელსა | - - - - მქონე - - მეფეთა მეფემან დიდმა ალექსანდრე ვიყიდე ძალის (ძალისს) მამული | - - - მამული შევსწირე წმიდასა შიოს და ევ(ა)გრეს უდაბნოსა წყაროზედა ნაფუძარი | - - [ორ]ის დღისა ბაბანთა ქედზედა, ერთის დღისა გარგარისშვილის მიწასთანა, ოთხის დღისა - - (აქ ერთის სტრიქონის ადგილი განგებ დატოვებულია და წაშლილი) - - თავისის ვენაჯითა, ბალსაონასშვილის გვერდზედ ორის დღისა არის, წილკანურის რუზედ ბოლოს უდებს ორის დღისა; კურდღელისშვილის გვერდზედა და გიორგის შვილის გეერდზედა გორასთან ერთის დღისა არის; ომარასა და ოსიაშვილს გვერდზედა ორის დღისა; მუხათა ყანაშიგა ორის დღისა არის; იქვე თევდორისა შვილს და ინანაშვილსა შუა ორის დღისა არის; ფარეხაშია და გორგიასშვილღ[გ გვერდზედა

ორის დღისა; საგლახაოზედა ბოლოს უდებს ინანას შვილსა და ირმას შვილს შუაზედა სამის დღის მიწა არის; გრიგოლასშვილს ინდუასი შუაზედა ორის დღისა; სატბეს ეულათანა (კულათან?) არის ხახანაური ოთხის დღისა; ჭიჭიას-შვილსა გვერდზედა სამძღვარ შიგა არის; ბერყენასთანა სამის დღისა, ინანა-შვილსა და ვარძელაშვილსა შუა არის; წისქვილთანა თევდორასა და კურდღ-ლის შვილსა შუა; ოთხის დღისა ხრამისპირსა არის; ზედავე შვიდის დღისა ოღ-რიკაზედა; ომრის შვილის სამის დღისა არის; წისქვილთანა გზაზედა კურდღე-ლაშვილის ექვსის დღისა არის ღელეშიგა; ირემაშვილის გვერდზედა ერთის დღისა ვენაჯი ორღობე და ღობე შიგ რაც ამ ერთისა გლეხისა არის. ყველა წმიდის შიოსთვის შეგვიწირავს სახლითა, კარითა, მარანითა, ვენაჯითა, წყლი-თა, სათიბითა, საჯნავითა, მისის სამართლიანის საქმითა, არა ეთხოვებოდეს რა საჩვენო გამოსაღები ერთი ლაშქრობის მეტი არა ჩვენგან და არა ჩვენთა ნა-თესავთაგან. ასრე წმიდის შიოსთვის შეგვიწირავს. მისის სამსახურის მეტი არა ეთხოვებოდეს რა... (წყევა-კრულვა ვინც შეშალოსო)... და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. ესე სიგელი მტკიცე არის დიდისა ალექსანდრე-საგან“ (უბეჭდო და ხელმოუწერელი).

უკანასკნელი ფრასა უეჭველ ჭყოფს, რომ ეს სიგელი პირია ნამდვილისა და არს თჳთ ასლი.

1445 – 1450 წ. – შიომღვიმის ეტრატზ მხედრულად დაწერილ სიგელს № 67 (იხ. ზემო, გვ. 55 – 58) მეორე პირზე აქვს შემდეგი წარწერა მხედრულადვე, ცუ-დის ხელით:

„ჩუენ: მეფეთ მეფისა:. ალექსანდრეს:· ძემან:. მეფემან:. დემეტრე დავი-თიან:. ბაგრატონიანი:. ნებითა:. ღ˜თისათა:. ჩრდილოეთისა:. აფხაზ:. რანთა:. კახთა:. და:. სომეხთა:. მეფისა:. შარვანშე შანაშვი (sic) და რათამცა:. სიგლი-თა:. ამითა:. შეგ(ი)წყალეთ:. მოხუედით:. წინაშე:. ჩუენდა:. მღუიმელნი:. კრე-ბულნი:. და გუეაჯენით:. ვისმინეთ:. აჯა და:. მოჯსენება:. თქუენი:· და მო-კითხულობა ვქენით:. და:. წმიდის:. შიოსა:. ნასყიდი:. და:. მკუიდრი:. იყო:. (იგულისხმება გუჯარში № 67 აღნიშნული მამულები, იხ. ზემო, გვ. 1 – 3) რაცა:. ამა სიგელსა შიგან:. სწერია: და სხუათა:. მებატონეთაგან:. შეშლოდა:. წმიდასა:. შიოსა:. და:. აწ:. ჩუენ:. დაგიმტკიცეთ:. წმიდასა:. შიოს:. ყოფილი-ყო ადამიანისა:. ნათესავისაგან:. უსარჩლელად:. და მოუდევრად:. ამა:. პირსა:. ზედან:. რომე:. ამბროსობას:. დღესა:. დაუკლებელად:. აღაპსა:. გარდიჴდი-დეთ:. ჩუენისა:. სულისათუის:.

ბოლოს მეტად ცუდის ხელით, მხედრულად: „ქ. მე: დემეტრე: ამის დამამ-ტკიცებელი ვარ. – “

დემეტრე, ვახუშტით, მეფობდა 1445 – 1453 წლებში.

1445 – 1469 ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი გუჯარი, რომელიც მხე-

დრულად მე-XV საუკუნის ხელით მიწერილია ტყავის სიგლის № 36 (იხ. ზემო გვ. 23) მეორე პირზედ და რომელშიც მოხსენებულია იოთამ ზედგინიძე, ჩვენის აზრით ის იოთამი, რომელიც ცნობილია, როგორც წამებული მეფისთჳს.

„ქ... შუამდგომლობითა: სამნაწილისა: ჯუარისა: და ძელისა: ცხოვრებისათა:... შემოგწირეთ: თქუენ: წმიდისა: (sic) შიოსა: დემეტრემან: და გიორგიმ: და ჩუენთა: შვილთა: დემეტრემ: და გიორგიმ: და ფარსადან: შემოგწირეთ: რაც: სვიმნისას შვილის: ნაქონი: მიწები: რაც ჩვენ: გქონდა (sic): ხელახლა შეგვიწირავს: მათზედ: სეიმნიას შვილის: ნაქონი; ხოდაბუნი:“

მერე მე-XVIII საუკ. ხელით: „ქ. ეს: სიგელი: წინამძღვარს: რომ: ზედგინიძეები: შეხდომოდათ: და ეს: სიგელი: წაერთმევინათ: მაშინ: ჯელები: ზედგინიძეს: მოეშალა“:

1451 წ. – მეფე დიმიტრი ყველა შიომღვიმის მამულებს უმტკიცებს მას (დ. ფურცელაძე: Церк. гуджары, გვ. 79).

1445 – 1469 წ. – პალეოგრაფიულის ნიშნებით ამავე გიორგი IX მეფობაში უნდა იყოს დაწერილი შემდეგი ხუცური ხელოვნურად მოყვანილი წარწერა, ტყავის სიგლის (№ 66) ზურგზე;

„...სიგელი ესე მოგეც მე მიწობლიძემან ფარემუზ თქუენ მონაზონთა ხერხეულიძის ასულსა ეკატერინეს მას ჟამსა, ოდეს მტკურის პირს მიწა მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი, რაჲსაც მთხოვნელნი ვიყვენით ან ბატონი და ან ყმა. პირველად მამულის პატრონმა აიღო სამას სამოცი ნაღდი თანგა და ჩუენ პატრონმან ავიღეთ. გქონდეს მისითა წყლის-პირითა ...(მერე წყევა: ვინც შეშალოს „ვერც ბატონი და ვერც ყმა ჰქონდეს მას“).

აქიდამ ცხადია, რომ თუ ბატონი გაჰყიდიდა თვისს მამულს, რომელიც გლეხს ეჭირა, ისე რომ გლეხს სრულიად ხელი აეღო მაგ მამულზე, მაშინ გაჰყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ ორთაგანვე ნებაყოფლობით (ბატონისა და ყმისაგანცა) და თანხმობით: ბატონი პირველად იღებს ფასს, როგორც მიწის მეუფლე, ხოლო შემდეგ – ყმა, როგორც მაგ მიწაზე ჭირ-ნახული. ესრეთი იურიდიული დამოკიდებულება შემდების დროის გუჯრებშიც ცხადად გამომსჭვირვალებს. გლეხი ფულს არ აიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბატონისგან გაყიდული მიწა მასვე ექნებოდა სამუშაოთ ახალ მებატონეს ხელშიც. ერთის სიტყვით, უმიწა-წყლოდ გლეხი მისის უნებურად არ გაიყიდებოდა.

1475 წ. – შიომღვიმის ეტრატის გუჯარი, მხედრული, № 14:

„ქ... მე ზევდგინისძემან მამიამან და მეუღლემან ჩემმან გულქან შევსწირეთ უდაბნოსა მღუიმისასა... ახატანს ვენაჯი... და შიუს უბანს (ყოველს წელიწადს) სამი კაბიწი პური დიდითა კაბიწითა და გავიჩინეთ (შიომღვიმეში)

აღაპი... დაიწერა თვესა თებერვალსა :ი: ქკ˜ს: რჲგ: ...ჴელით ბერისა მარკო-ზისათა“... (ბეჭდების მაგიერ აზის ექვსი ჯვარი).

ჩვენ გვგონია, რომ ეს გულქანია მოხსენებული სამთავისის ჯვარ-პატიოსნის ასომთავრულ წარწერაში: ”ქ· ღ˜ო და ჯუარპატიოსანო! ადიდე ორსავე ცხოვრებასა ზედგინიძე ამირინდო ამილახორი და გორისა მოურავი, რომელმან შეჰქედა ჯუარი ესე... ძმანი და შვილნი მისნი უცოცხლოს ღ˜ნ და პატრონი გულქან ადღეგრძელე“... (Rap. IV, 17). გულქან არას ანუ დედა და ან” რძალი ჯეამირინდოსი. ამირინდო, „გორის მოურავი“ სჩანს ჩვენს საბუთებში 1453 წ. (იხ. ჩემი „ქრონიკები“ წიგნი II, 1453 წ. ქვეშე).

1498 წ. – რუსულს ნუსხაში № 10 მოხსენებულია, რომ ერისთავი ქვენიფნეველი და ძენი მისნი ლარგვეელნი და შანშე აყენებენ სამიდინიძეს: მეაღაპედ მათის ნათესავისა დედაბრისა და მოძღერისა, აღაპი უნდა გადიხადოს შიოს მონასტერში და სანაცელოდ ყველა საერისთაო-გამოსაღებისაგან ათავისუფლებს სამადინიძეს, თჳთ სიგელი ჩვენ ვერ ვიპოვნეთ, თუმცა დ. ფურცელაძეც მოიხსენიებს (II. гуджары, გვ. 97).

1505 – 1526 წ. – ამ წლებში ალექსანდრე მეფის შვილისშვილს დავით-მეფეს მღვიმისთჳს დაუმტკიცებია ყველა მისი მამულები. არ ვიცი, რომელ საფუძვლით დ. ფურცელაძე (Церк. гуджары), ამ სიგელს აღნიშნავს თარიღით 1385 წ., როდესაც დავით მეფედ არ იჯდა. რუსულს ნუსხაში № 62 ეს სიგელი აღნიშნულია ასრე: „ჩვენ მეფეთ-მეფემან პატრონმა დავით და ძმათა ჩემთა პატრონმან გ˜ი და პატრონმა ბაგრატ... პაპისა ჩვენისას დიდისა ალექსანდრესაგან... (შიომღვიმისდა) ბოძებული სიგელი... ახლად დაგიმტკიცეთ“·

1508 წ. – ეტრატზე მხედრულად ნაწერი სიგელი შიომღვიმისა, № 2.

„...მე... დამან მეფისა ბაგრატისამან გაიანე; სახითა-ოდენ მონაზონმან... ვიყიდე კასპს ვენაჴი სამიაშვილის დეკანოზისეული... შემოვსწირე და შემოვიტანე ჩემთუის სააღაპოდ... (აღაპი გაუჩენია თავისთჳს 20 ივნისს)... დაიწერა... ქ˜კს: რჟ:... ჴელითა ჭარმაულის გრიგოლისათა“...

რადგან XV საუკუნეში სხვა ბაგრატ-მეფე არ იყო, გარდა იმერეთის მეფის ბაგრატ II, რომელმაც დაიპყრა ქართლი 1466 და 1471 – 1477 წ., ამისგამო, უეჭველია, გაიანე ამ ბაგრატ II-ის დაჲ იქნება, ისტორიაში უცნობია.

1508 – 1520 წ. – ამ წლებში უნდხ იყოს მიცემული ტყავის სიგელი შიომღვიმისა № 3, მხედრულად დაწერილი, რომელშიც მოხსენებულია „პატრონი ბაგრატ“, ჩვენის აზრით მეფის კონსტანტინეს ძე, პირველი „მუხრან-ბატონი“.

„ქ... ესე სიგელი... მოგეცით... მღუიმესა... ჩუენ პატრონმან ბაგრატ მას ჟამსა, ოდეს (შიომღვიმის) მოძღვრისა გერმანესთჳს და დედაბრისა მარინე-

სთვის ე·რისთეისა (ქვენიფნეველისა?) ჩაგილაძისაგან გლეხი სამადინიძე მოეცა, ჩუენ ასე ვათალხნეთ: სათხოვ[არი| - - - საჩუენო (არა) კულუხი, არა ულა-ყი... არა ღალა..., არა საქუეყნო ჯურუმი (არ ეთხოვებოდესო) .. არა მოგე-შალოს ჩუენგან და არა სხუათა მებატონეთაგან“. მერე ხვეულად: „ბაგრატ“.

აქ დასახელებული ერისთავი უნდა იყოს ქვენიფნეველი III, რომელიც სჩანს 1498 წ. და XVI საუკ· დამწყებს (იხ. ჩემი ქრონ.“ II გვ. 28, გენიალოგია ერისთავთა).

1523 წ. – ტყავზე მხედრულად ნაწერი სიგელი შიომღვიმისა:

...ესე... სიგელი... მოგაჴსენე.,, მამასა შიოს... უდაბნოსა მღუიმისასა... მე... ზევდგინის ძემან ამილახორმან თაყამან და თ˜ა მეცხედრემან ჩუენმან ფანას-კერტელის ასულმან ულუმპია და ჩემმა ძმამა აღნიამან და ძეთა ჩნთა მონაზონ-მან თომა, ბარზი, ავთანდილ, ფარემუზ და იოთამ... მას ჟამსა ოდეს... ჩუე-ნის შჯლისა... ბეჟანისგან ჩუენთჯს ღ˜თი გარისხდა... მისთჯს... სამწირველოდ შემოგწირეთ ჩემი მკჯდრი... მამული კასპს ვენაჯი:... (ერთი წილი ტკბილი მე-ზვრესო და ორი მწირველს, მეზვრეს ერთი წილი ტკბილი სარჩოდ არ ეყო-ფოდაო, ამისგამო. იმ მევენახეს სხვა მამულიც მივეციო, სხვა შეწირულებანიცა სწერია ტფილისს და სხვაგანაც ბეჟანისთჯს სააღაპოდ)... დაიწერა... ქ˜კს: სია: ჴელითა... გ˜ი ჭარმაულისათა“ სხვეულად „თაყა ამილახორი“.

1525 წ. – ქაღალდზე მხედრულად ნაწერი შიომღვიმის გუჯარი № 41, აქა-იქ დაზიანებული:

„ქ... ესე... სიგელი... მროგაჴსენე... შიოს და ევაგრეს ცრემლდასხმულსა უდაბნოსა... მე... მეფისა დავითის [პალატ]ის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სუნღულაშვილმან (სოლაღაშვილმან?) ივანე... შევსწირე თქვენდა... ლომისშვილისაგან ნასყიდი ვენაჯი... - - - - (და ამ ვენახის შემოსავლიდამ გაუ-ჩენია თავისთჯს აღაპი): დაიწერა... ქ˜კს :სიგ:

მერე ხუცური ხელმოწერანი:

„მეფესა დ˜თს: დამიმტ[კიცებია]“. – ეგრეთვე :ჩ˜ნ: ქ˜ეს :მიერ - - ქართ-ლისა: ქთ˜კზი ბჲსილი [ჩემითა ჴელ]ითა ვამტ[კიცებ].

ქვათახევის სიგელში № 3 მოხსენებულია 1513 წლის ქვეშე: „მე მეფისა... დავითის პალატის უხუცესი და მწიგნობართა მთავარი სოლაღაშვილი შალვას ძე ივანე“, რომელიც უნდა იყოს ამ გუჯარში მოხსენებული სუნღულაშვილი ივანე“.

„...ჩუენ მეფეთა მეფემან დიმიტრი წამებულმან წარსამართებელად სულისა ჩუენისა როდეს საქართველოს ჴსნისათუის ვიწამე მოძღურისა ჩემისა ბრძანები-თა და გავაჩინე სიონისა ღრთისა (sic) მშობელს ვერაზედან ქა[- - ნი] (ქარ-ვასლანი?) აღვაშენინე და შევწირე ვერის ჴევსა ვანანი სოფელი ლილოსა ახა-[კო]ვი? მისითა შესავალითა, სამსა აღაპსა მხეჲემღენ (მიზემდენ?) და გარდაიჴ-

დიდენ: შობასა, მიქუმასა და სულისა წ˜სა მოფენასა; და ვინცა დამაკლოს წამებისათუის ღმერთსა მისცეს პასუხი განკითხვისა დროსა ჩემისასა“.

ზედვე მეტად ლამაზის მხედრულით:

„ქ: ესე ვითა ძლიერსა და უძლეველსა მეფეთა მეფეს დავითს სამწირველოჲსა ბოძებითა შეუწყალებია იოსების ძე გიორგი და მეფეთა მეფესა და მოწამესა დიმიტრი მეფესა, – დიდებულ ყავნ ღ˜ნ სული მათი, – მწირველად გაუჩენია, მე მათი მიწა მლოცველი ქ˜ეს მიერ ანჩელ მთავარებისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი უნდოი ინ˜ე (იოვანე) კანონითა მტკიცვ ეყოფ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ... ამინ“. ბოლოს: ხვეულად ლამაზის სულით, მხედრულით: „მეფეთა მეფე დიმიტრი ვამტკიცებ“. სათაური სიგლისა მე-XVI საუკ. ხელით წარწერილი: „ლილოსა და ვანათის ჴელმწიფისაგან სიგელი“.

ეს სიგელი თფილისის სიონისა მიცემულია წ˜ის დიმიტრი თავდადებულის მიერ წამების დროს და მაშასადამე 1289 წელს და ძვირფას განძად უნდა ჩაითვალოს მით უმეტეს, რომ ამ მეფისგან სხვა სიგელი არ დარჩენილა. ტექსტი სიგლისა და ხელმოწერანი, ჩვენის თხოვნით, ფოტოჲრაფიულად გადაიღო. ბ. ა. როინაშვილმა ცალკე გამოსაცემად ფოტო-ტიპიით.

ზედგინიძენი იოთამ და მისნი ძენი: დემეტრე, გ˜ი და ფარსადან იხ. ზემო გვ. 75 აქ მოხსენებული იოთამ უნდა იყოს შვილის შვილი პირეელის იოთამისა, წამებულისა მეფისათჳს.

1505 – 1526 წ. – ამ წლებში არის მიცემული ტყავზე ჩინებულის ხელით მხედრულად ნაწერი სიგელი, რომელიც გაუთავებელად დაუგდიათ, № 62. აქ მოხსენებული მეფე-დავით 1505 – 1526 წლებში ჰმეფობდა.

ქ. სახელითა... ჩ˜ნ... მეფეთა მეფემან პატრონმა დავით და ძმათა ჩუენთა პატრონმა გ˜იგი (გიორგი) და პატრონმა ბაგრატ, ნებითა ღთისათა აბხაზთა ქართველთა რანთა კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰაშა და შარვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა აღმოსავალით ვიდრე დასავალამდე თჳთ მტკიცედ ჴელმწიფედ მპყრობელ მქონებელმან: მოვიდეს წინაშე ჩუ֍ნსა... წ˜ისა მამისა შიო მღუიმელისა წმიდანი მამანი მემღუიმენი; გვეაჯნეს და მოგუაჴსენეს წ˜ისა მის უდაბნოსა მნეთა და მოსამსახურეთა ძუელითგან განჩენილი და განწესებული საქმე. ვინადგან მოკითხულიცა ვქენით და სულკურთხეულისა პაპისა ჩუენისა დიდისა ალექსანდრესაგან (მეტი არ არის).

1525 წ. ქაღალდზე ნაწერი სიგელი № 10, დახეული:

„ქ... ჩუენ... მეფისა დავითის სახლის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლაღასშვილმავ ივანე... იგი ვენაჯი (ლომისაშვილისაგან ნაყიდი) მღჳმისთჳს შემომიწირავს... (17 იანვარს კარგაღებულს აღაპს გარდამიხდიდეთო)... დაიწერა... ჴელითა გიორგი ჰერმაულისათა ქ˜კს: სიგ:“

ხვეულად: „ქ. ქ. ქ.“ (სხვა არ გაირჩევა). მერე ხუცურად: „ესე ვითა მეფესა დავითს დაუმტკიცებია, ეგრევე ჩუ̃ნ ქ˜ეს მიერ ქ˜კზი ბასილი კანონითა ვამტკიცებ“.

1579 წ. – შიომღვიმეში დაცულს ძველს პატარა ზარას აწერია მხედრულად:

„ქ. შემოგწირეთ თქუენ წ˜ასა გიორგის გომართისასა ჩ[ენ] ფ˜შემან (?) აგრონმ (?) ალექსანდრე ზარი ესე მას ჟამსა, ოდეს ყაფლანს მცირე ზარი თქ˜ნთჳს შემ(ო)ეწირა. ის ზარი ჩუენ გამოვცუალეთ მისად სამუქფოდ ესე ზარი (გ)კადრეთ და მოგაჴსენეთ. წ˜ო გიორგი, ნუ გამიწყრები, შენის,იესოს ქრისტეს სიყუარულის მადლსა! ქ˜კს: სჲზ:“

ამ ქ˜კნში ასო „ჲ“ საეჭვოა, შეიძლება ის ქარაგმის მაგიერ იყოს ჩასმული ასოებში „სზ“ და მაშინ ქ-კნი იქნება 1519 წ. (ყაფლან „დიდი ორბელის შვილი“ ჩვენს საბუთებში სჩანს მე-XVII საუკ.).

1580 წელს, ქ˜კს: სჲზ: დაწერილია სიგელი № 4, მიცემული მეფის სვიმონისაგან, დედოფლის ნესტან-დარეჯნის და მათთა ძეთაგან (გ˜ი, ალექსანდრე და ლუარსაბ), რომელშიც მეფე სწერს:

„···მოვიდა··· წინაშე ჩუენსა წინამძღუარი (შიომღვიმისა) შილა და თქუენნი კრებულნი... და ძუელნი სიგელნი მოიღეს... სოფლისა სხალტბისა და ნასტაგისისა სითარხნისა... და წიგნსა და ნიშანსა (თარხნობისასა) გუეაჯა“. მეფეს ყველა შიომღვიმის მამულები გაუთარხნებია სახელმწიფო ხარჯობისა და გამოსაღებისაგან და სამაგიეროდ დაუვალებია მღვიმელთათჳს, რომ ყოველ წელიწადს ორი აღაპი გარდაეხადათ მეფის მოსახსენებლად. სიგელი დაწერილია „ქკს: სჲზ: ჴელითა კარის მწიგნობრისა აღათანგელისა ძისა ნავროზისათა“· ხვეულად ამტკიცებს მეფე სვიმონ.

ამ სიგელს დ. ფურცელაძე მოკლედ მოიხსენიებს და აღნიშნავს თარიღით 1520 წელს, როდესაც სვიმონ მეფე დაბადებულიც არ იყო. (Церк. гуджары, გვ. 97).

1630 – 1658 წ. სიგელი მხედრული, ფრიად დაზიანებული, № 24, რომლისაგან სჩანს: „ - - - [ჩუენ ზევდგინისძეთა ამილახორთა] დემეტრემ და ძმათა ჩუენთა ნიკოლოზ, თ - - - პაატა და ძმისწულმა ჩუენმა იოთამ და ავთანდილ... (ესე სიგელი მოგეცით) შენ მღუიმის წინამძღუარს მელიქსედეკს ყანჩაელს“: სწერენ, რომ მამულზე დავა გვქონდაო თქვენთან და ახლა შევრიგდითო. – რადგან ჩვენს საბუთებში მელქისედეკ სჩანს 1640 და 1658 წელს, ამის გამო ეს საბუთი უნდა იყოს დაწერილი მე-XVII საუკ.

1634 წ. – სიგელი მღვიმისა (მცხეთისა?) № 288, ეტრატზე მხედრულად ნაწერი: „...ჩუენ... ქკზ˜მან ევდემონ... (ესე სიგელი) მოგეც ამბროსაშვილს ამი-

რანს ამა პირსა ზედა, რომე თქუენის ბიძაშვილის... თეითონაც ნასყიდი სავენა-
ჯე მიწა გეყიდა და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ ქ˜კს: ტკბ:“

1630 – 1658 წ. – დაზიანებული სიგელი № 24, რომელსაც აძლევენ მღვიმეს ამილა-
ხვრები: „ - - - დემეტრე და ძმათა ჩუენთა ნიკოლოზ, თ[ეიმურაზ?], პაატა
ძმისწულმა ჩუენმა იოთამ და ავთანდილ... (მოგეციო სიგელი ესე) შენ მღვიმის
წინამძღვარს მელქისედეკს ყანჩაელს“: მამულზე დავა გვქონდა და შევრიგდითო.
ბეჭედი აზის წარწერით: „ბარძიმ“ და ხვეულები: „ნკ˜ლზ“; პაატა; იოთამ. – წი-
ნამძღვარი მელქისედეკ სჩანს 1654 წ. (სიგელი № 25).

1655 წ. ანდუყაფარ, გივი, დიმატრი, ბარძიმ, ნიკოლოზ და პაატა ამი-
ლახვრები შვილებითურთ ჰნიშნავენ მონასტრის მამულების დეკანოზად (გამგედ)
ნასყიდაშვილს, რადგან მონასტრის მამულების საქმე არეულ-დარეული იყოო
მათ, შესწირეს მღვიმეს ვენახი გუგულაური და ბედიაური და ორი ვენახიც ან-
თაური ხოდაბუნებითურთ. ვისაც ეს ადგილები ეჭიროს, მონასტერს აძლიოსო
მესამედი კულუხიდამ და მეხუთედი ღალა, ნახევარი ლიტრა ზეთი; მონასტრის
ვენახებში უნდა იმუშაონო და თითო ტიკი ღვინოც უნდა მოართვანო. ვინც
ცხოვრები გაიჩინოს საბალახოდ თითო კრავი მონასტერს მიართვანო აღღგო-
მას და თითო ძღვენი საშობაოთ და სააღდგომოდ. კომლზე ნახევარი ლიტრა
ერბო და ათ-ათი კვერცხი მიართვანო. ვინც ფუტკარს გაიჩენს, მონასტერს სარ-
გო აძლიოსო. სამთავისის საეკლესიო-მიწებიდამ მონასტერს ერგებაო 300
კოდი – ნახევარი ხორბალი და ნახევარი ქერიო (ეს სიგელი ჩვენ ვერ ვიპოვეთ
და დ. ფურცელაძის „Церк. гуджары“-დამ გადმოვაქართულეთ გვ. 98).

1658 შიომღვიმის ეტრატის სახარებაში ჩართულია შემდეგი გუჯარი, მიცემუ-
ლი წინამძღვრის მელქისედეკ ყანჩაელისგან:

„ნებითა... ღთისათა,.. ჩუენ ყანჩაელმან წინამძღუარმან მელქისედეკ გავა-
ჩინეთ ჩუენთჳს სასულიერო აღაპი, ასრე რომე მოვედით ჴელმწიფის როსტომ-
მეფის კართა ზედა და სამღუიმის... საურის ამოკუეთას ვიაჯენით... ბევრს და-
ვიხარჯენით...; ათარხნეს (შიოს მამული) ასრე, რომე შიოს უდაბნოს ყმათა
არა გამოუვიდოდეს არა საური, არა ჴელმწიფის მოსაქმე, არა შევიდოდეს...
არაფერი სამეფო სამსახური და გამოსაღები არა გამოვიდოდეს და გავიჩინეთ
ჩუენთჳს აღაპი ამა პირსა ზედა, რაჲსაც წელიწადს საური მოიკრიფოს, იმ წე-
ლიწადს კოდის-წყაროელნი მღვიმის ყმანი და ჯიციკურს მღვიმის ყმანი თითოს
შაურს გამოიღებდენ: ერთს უზალთუნს მღდელს მისცემდენ და სხჳთ თევზს
იყიდდენ, სამ-სამ ლიტრას პურს და ექვს-ექვსს პურს გამოიღებდენ... წინამ-
ძღვარს მიართმევდენ... ნოემბერს: კა:... ერთს დღეს ჟამს აწირვინებდენ, ას-
მევდენ... ფურნაველნი და უკმელნი ასრევე. ბერშუეთს გლარჯაძეები მაისსა:
თ; ბატკანს დაკლვიდენ და მისს პურს და ღვინოს დახარჯევდენ; ერთს მღდელს

ჟამს გვიწირვინებდენ... მორბედაძეები და ბიბაიშვილები ერთს კოკას, ღვინოს... :კე: პურს... საკმელს... (და) თევზს... მოიტანდენ.... ქ˜კს :ტმე:“..

1658 წ· წინამძღვარი ყანჩელი მელქისედეკ სწერს გივი-ამილახვარს: ერთი ქვევრი გამოგართვიო და იმისთჳს აღაპი გაგიჩინეო მღვიმეს ქ˜კს: ტმე: (იხ. წარწერა მეორე პირზე მღვიმის სიგელზე, ზემო დაბეჭდილზე 1523 წ. ქვეშე).

1660 – 1695 წ. ზემოხსენებულის შიოს სახარებისა მხედრული წარწერა, რომელშიაც მოხსენებულია აშოთან: უეჭველად ცნობილი აშოთან მუხრან-ბატონი, ბაგრატის ძე (იგი სჩანს საბუთებში: 1660 – 1695, აშოთან I მოკვდა 1561 წ.):

„ქ. ჩუენ·: ბატონის: შვილმა: აშოთან: შეწეენითა: შენითა:... (წ˜ის შიოსითა) მოგიჭედინე; ესე: სახარება“... და იქვე, იმავე ხელით: „მიებარა ერამიშვილს ზაალს სახარების მოსაჭედი შვიდი მილანთული და ორი აბაზი“.

1642 – 1709 წ. – მღვიმის ეტრატიის სიგლის № 66 მეორე პირზე იპოვება შემდეგნი წარწერანი:

1) ხუცურად, მე-XVI საუკ. ხელით: „მას ჟამსა ოდეს ჩუენთა ცოდვათაგან საქართველო წარიტყუენა [ოსმალო]სგან, ესე გუჯარნი დატყუჱვებულ იყუნეს და მე კურთხეულისა ვარა - - - ვიყიდე და თქუნვე დიდსა და წარჩინებულსა მონასტერსა მღჳმისასა (შემოგწირე). გევედრები წ˜ნო... მემღუიმენო... მომიჴსენებდით წ˜თა ლოცვათა შინა თქუენთა.

2) მხედრულად: ...მოვიდეს წ˜ე [ჩუენსა (ე. ი. როსტომ მეფისა)...] მოძღუარი ყანჩელი მელქისედეკ და სრულიად კრებულნი... რათამცა - - შემოწირული სოფელი სხალტბა და ნასტაგისი ძუელითგან - - - ჴელმწიფეთ ეთარხნებინა - - [და აღაპი გაეჩინა მაისს] ცხრას, მიცვალებასა წ˜ა შიოსასა... (მელქისედეკ) სიგლის გაახლებასა დაგუაეჯა... და გეითარხნებია... არა ეთხოეებოდეს რა: არა მალი და არა სათათრო საური... ულუფა - - არა საკლავი და საბალახე, არა საბაზიერო, კოდის-პური, არა სამეჯინიბო და არა სახოსალარო - - [სა]თხოვარი... დაიწერა... ქ˜კსა... ტლ... ჴელითა... ბირთველისათა“.

3) ბატონიშვილი ვახტანგიც (VI) უმტკიცებს გუჯრებს და უახლებს „ასრე რომ თქვენის მონასტრის [წინაშ]ე მდგომელი წინამძღუარი ყანჩელი იოსებ გვეაჯა - - - ... ჩვენცა მეფობისა გიორგისა წარსამართებელად - - სრული სოფლები სხალტბა, ნასტაგისი - - - [ვათარხნეთ. არა ეთხოებოდეს არა] საჩუენო - - გამოსაღები - - - არა მკა - - - - [ყოვლის საჴელმწიფო გამოსაღებისაგან] განგჳთავისუფლებია“.

1678 წ. – შიომღვიმის მიძინების ეკლესიის დასავლეთის მხარეს ასე სწერია:

„ძალითა ღ˜თისათა და შეწევნითა უდაბნოს განმანათლებელისა | წ˜ის შიოისა და ევაგრესითა ჩ˜ნ მსასოებელმან თქ˜ნმან და | ცვა-ფარვათა თქ˜ნთა მინ-

დობილმა იოთამ ამილახორის შვილმან თვით ამილახორმან გივმან და თანამეცხედრემან ჩ˜ნმან ქართველთა მეფის შინაოზის ასულმა, ბატონის შვილმან თამარ, განვაახლეთ საყდარი ესე, ზეით ცა და სამჯროები, კარის ბჭე და სამრეკლო და ქუ‰მოთ საღვარე სულთა ჩვენთა საოხად და ცოდვათა შესანდობელად და ძეთა ჩვენთა ანდუყაფარისა და დემეტრეს სადღეგრძელოდ. ვინცა იხილვიდეთ, შენდობით მოგჯსენებდეთ, რათა თქ˜ნცა შეგინდვნეს მას დღესა განკითხვისასა. ქ˜კს: ტნიე:“

1682 წ. – მღვიმის სიგელი № 22 სჩანს: შიომღვიმის წინამძღვარი ყანჩაელი იოსებ, ქ˜კს: ტო: ამ სიგელით ახალციხელ გლეხს ანტონაშვილს თავი შეუწირავს შიოსთჯს.

1713 წ. კახთა მეფეს დავით III-ს ვენახი შეუწირავს შიოს ლავრისთჯს სოფელს კონდოლში და აღაპი გაუჩენია თავისთვის შიოობას, ხუთშაბათს ყველიერისას (ეს სიგელი ჩვენ ვერ ვიპოვეთ და აღვნიშნეთ დ. ფურცელაძის „Церк. гуджары“-თ, გვ. 98).

1719 წ. სიგელი შიომღვიმისა, № 56: ციციშეილი ბაადურის შვილი ზაალ აძლევს სარდლის ზიზასშვილს უთრუთს (ამის შვილებს ზაზას, დ˜თს, გ˜ის, დ˜ტეს, სარიდონს, ბერს, და შვილიშვილს ივანეს) ნასყიდობის წიგნს „ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მკჯდრი ყმის მამული ქეხერელს (sic) მიხითარიშვილებისა ოთხნი ძმანი იყვნენ. სამი უფროსი ძმანი უშეილოდ ამოცვივდენ: პაპუა, აფრიამა, წატურა. ამათი წილი ჩალისძირის მიწა ხუთი თავი ჯანიზაშვილის მიწამდი ქვეითი ბოლო პაპიაშვილის მიწამდის, ზეითი გვერდი რუმდი, ქვეითი გვერდი აფთარაშვილის მიწის სამძღვრამდის. ავიღევი ფასი მთელი და უკლებელი... თუ ამისი მოდავე გამოჩნდეს ვინმე, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ... (მოწამენი), – ქ˜კს უ˜ზ... (ბოლოს ხუთი ბეჭედი აზის და ორ-ორი წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ).

1726 წ. – წარწერა მხედრული შიომღვიმის ეტრატის სახარებაზე: „ქ. წმიდის და ყოვლად წმიდის (ტაძრის) სამკაული ყოველი, საღმრთო სამსახური ყოველივე ამა ქუეყანას [და]ხიზნდა და ურუმთა და ლეკთაგან ქუეყანას საქმე დიაღ მოეჭირნა ერისთობასა შანშესსა და ამილახვრობასა გივისსა, ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და-ექვსსა, ქ˜კს: :უიდ: შენახულ იყო ყველი ხატი, ჯუარი, წიგნი, შესამოსელი პატ - - - ეზე [ქსნ]ის (?) ჯევს (სხვა წარწერა: წ˜ო შიო შ˜ე ერისთვის შვილი იესე“· ლეკ-ოსმალთაგან ქართლის დაჭერა მოხდა 1723 – 1724 წ.

1733 წ. შიომღვიმის მიძინების აკკლესიის კარისბჭეს ჩრდილოეთის მხარეს

იპოება ხუცური ფრიად წაბღალული წარწერა ლექსად „ - - - რომელთა ძეობანი | - - მამათა წყობინი | - - ფხვენისს, აჩაბეთს ციხეები არ არის ცუდობანი; | და მღვიმე განვაახლე მე გივმან, არს კრებულთ ბანაკობანი... ქ˜კს: უკა:“. მეორე წარწერა იქვე, სამხრეთისკენ: „ჵ ყ˜დ სანატრელო დედაო ღ˜თისაო! ჩუჷნ ფრიად ცოდვილმა ცხებულმან მეფემან (ცხებულთა მეფეთა მონამან?) ამილახორმა გივმან და თანამეცხედრემან ჩუჷნმან ორბელის შვილის ასულმან ბანგუამ განვაახლეთ ეკკლესია თქუჷნი, რომელი ძუჷლ ქმნილ იყო და გარდავსჭედეთ... ქ˜კს: [უკ]დ (1736 წ.). ეს ქ˜კნი საეჭვოა, გადასულია.

1735 წ. წარწერა საეკ. მუზეუმის ხელნაწერზე № 20, მხედრულად: ქ˜კს: ათას შვიდას ოც-და-იე (ე. ი. 1735 წ.) მოვიდა თამაზხან ქართლსა შინა და ფრიადნი შრომანი და ტყვეობანი გვეწივნეს ჟამსა მას და დევნულობანი ყოველთა საქართველოს და კახეთს. ამასვე წელსა მიიცვალა წ˜ა და სანატრელი კათალიკოზი ბესარიონ და ამასვე წელსა გამოვიდა წ˜ის შიოს ნაწილი სამი, ორი მკლავი და ერთი თავი, რომელ არსადა თქმულ არს სამთა ნაწილის გამოსლვა და თჳთ მე მიხილავს თვალითა ჩემითა... მე ვემთხვიე, თჳთ ჩემმა ძმამ, იკორთის არქიმანდრიტმან გარსევანა-ქრისტეფორემ ერისთვის შვილმან“. ეს წარწერა ეკუთნის იასე ერისთავს ყულარაღასს, კარგად ცნობილს ჩვენს ისტორიაში, როგორც იმავე წიგნის შემდეგთა წარწერათაგან სჩანს (იხ. ჩემი „ქრონიკები“ წიგ. II, გვ. 21). ამისი ცოლი ქეთევან, კახთ მეფის ქალი, დატყვევდა იმავე 1739 წ. (ქეთევან რომ კახთ-ბატონის ასული ყოფილა, ამას ამტკიცებს წარწერა საეკ. მუზ. ხელნაწ. № 218).

1753 წ. მაისის 29. მუხრანბატონის კოსტანტინეს წერილი, ჩართული წინამძღვრის დოსითეოსის მოხსენებაში [იხ· ქვემო 1806 წ· ქეშე, გვ. 87).

1776 წ. შიომღვიმის სიგელი № 17: მდივანბეგი იესე ამილახვარი სწერს სამთავნელს პაისიოსს: „შენის ეკლესიის ყმა მტრისაგან და ჩვენის სახლის კაცისაგან შეწუხებული იყო... გვეაჯე, რომ შენის ყმისთჳს ამირახორის შვილებს არა წაერთვათ რა“. ახლა ამ წერილს გაძლეო, რომ ამას უკან ამილახვრის შვილებს თქვენს კაცებთან და მამულებთან საქმე არა აქვთო. ამტკიცებენ: მეფე ერეკლე და ქ˜კზი ანტონ.

1783 წ. სიგლითა № 16: ამილახვრები პირობას აძლევენ იმავე პაისიოსს, რომ თქვენს მამულებზე არ შეგაწუხოთო.

1787 წ. ამილახვარი მდივანბეგი იესე და ბიძაშვილნი მისნი: გივი, ქაიხოსრო, იოთარ (ოთარ?), მინბაში ბეჟან აძლევენ სიგელს შიომღვიმეს: „ასე რომე თაყა ამილახვარს... ზვარი შიოსთჳს შეეწირა კასპს (იხ. 1523; 1525 წ.)...

მერე... დაჰკარგოდა... პაპათა ჩვენთა: ანდუყაფარს, გივს, დიმიტრის, ბარძიმს, ნიკოლოზს, იოთამს და ავთანდილს... ეპოვნათ (იხ. ზემო 1650 წლის მვეშე), დაეხსნათ... და ისევ დაკარგულიყო... ამას ჟამსა ყ˜დ სამღვდელო სამთავნელ ებისკობოსმან და მღვიმის წინამძღვარმან პაისიოს იჩივლა... და ხელახლა დაგიმტკიცეთო (კასპის ზვარიო).

1787 წ. სიგელი № 28. მთავარეპისკოპოსის პაისიოსის წერილი გიორგი-მეფის შვილთან: „მე რომ სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი გახლდი“... ამის მაგიერ სამთავნელად და მღვიმის წინამძღვრად ამ წელს დაუნიშნავთ გერვასი (მაჭავარიანი).

1794 წ. სიგელი, შეტანილი შიომღვიმის ეტრატის სახარებაში: „ქ· ჩვენ... ირაკლი მეორემან... ესე წიგნი გიბოძეთ... შენ მახარებელის შვილს იაკობს... ერევანს წასულიყავ; საქართველოში (ნათესავი) არავინ გყვანდა რა... (ამისთჳს იქიდამ მობრუნდიო და) ჩვენ ჴელმეორედ... შიოს შეგწირეთ... სხვას შენზე ჴელი არა ჰქონდეს... ჩვენი სათხოვარი არ გეთხოვებოდეს... როგორც სვეტიცხოველის ყმანი და წ˜ის იერუსალიმის ყმანი (აღებ-მიცემობაში) ნახევარს ბაჟს აძლევდენ, შენც ნახევარს ბაჟს წ˜ას შიოს მიართმევდე... და შენ ამილახორის დიმიტრის, ამირინდოსი, იესესი, ნიკოლაოზისა, თეიმურაზისა, იოანესი, ქაიხოსროსი და მათის ბიძაშვილებისაგან მოცემული საფიცრის წიგნიცა გქონდა, რომ არას ამილახორს შენთან საქმე არა ჰქონდეს-რა წინამძღვრის მეტსა... დაიწერა... სეკდ, :ით: ქ˜კს: უპბ:“ ხელს აწერს ებისკოპოსი წინამძღვარი მღვიმისა გერვასი მაჭავარიანი „ვილოცავ, რათა მეფობდეს მშვიდობით... ჩღჟე. მარტის :ა:“ .

1790 – 1800 წ. – სიგელი მღვიმისა № 54, უთარიღო: № 54: „ქ: ნებითა... ესე... წიგნი და სიგელი მოგეცი მე ზედგინიძემ შარმაზანის შვილმან ლუარსაბ და ბერმან შენ წ˜დის შიოს დეკანოზს პეტრესა და იოვანესა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასე რომე მოგყიდე მთაზე მიწა ორის დღისა ქანდურს შარას ზევით ხოდაბუნთან ლაზარეშვილის მიწამდი მოგცეს და მოგახმაროს ღ˜ნ“... † † † † †

1801 წ. – წერილი მეფის ძის დავითისა, № 51: „წ˜ნო მამანო: არხიმანდრიტო ნიკიფორე, არხიმანდრიტო გამალიილ და მამაო გრიგოლ და წ˜ნო მამანო მონასტრისანო.

... თქვენი წიგნი მომივიდა და საჩივარი კახეთის სუდზედ. ომ(?) ჩემი საკუთარის თეთრით ნასყიდი მამული ომეყა წმიდას მონასტერს შევსწირე; წაერთმევინა; ეს ამის მეტი არა არს რა, მხოლოდ ეშმაკის მანქანებაა (მამულზე

ნუ შესწუხდებითო, რომ ტყუილს მოწმობენო, კანონით უნდა დაიფიცონო. კახეთის მამულებზე ამბობს).

1804 წ. დეკ. 26: – შიომღვიმის სიგელი № 42: ... „ წ˜ო შიო... შევვედრებ საფარველსა შენსა მე ადგილით იმერთა ქუჱყანით მოსრული დავითაშვილი გ˜ი და შვილი ჩემი იოსებ... უდაბნო შენი მოვილოცე... ვიხილე მამა მონასტრისა, სქესით სოლოღაშვილი არხიმანდრიტი გერონტი და ძმათა სიმრავლენი... უბატონო და უპატრონო ვიყავ, მე თვით ნებითა ჩემითა თავი ჩემი შემოვსწირე წ˜ა საფლავსა შენსა... ყმად და მონად მონასტრისა შენისა ...მორჩილ ვიყო... ნება აქვს (არქიმანდრიტს) და უფლება ჩემზედა აყრისა და ავადმოჰყრობისა, ვითარცა უფალსა მონასა ზედა... ქ˜ეს აქათ: ჩყდ: დეკ, :კვ: აქართულს ქ˜კს :უჟბ:“

1805 წ. აპრილის :ათ: სიგელი შიომღვ. № 31: „ქ: კათალიკოზ პატრიაქი მცხეთისა, და სრულიად საქართუჱლოჲსა მეფის ირაკლის მეორის ძე ანტონ მოგიწერთ ბრძანებასა ამას ჩვენ-მიერსა ძეგვის მოურავო, გედეონისშვილო ნიკოლაოს. მერმე მანდ ციხედიდს წ˜დის შიოს ზვარი რომ არის, მაგის ბოძებას და დანებებას შემოგვვედრნენ, როგორც რომ ძველად ჰქონიათ, ეგრეთვე ახლა მღვიმის წინამძღვარი გერონტი და ამისნი კრებულნი და ამ საქმისთვის გვიბრძანებია, რომ ჩვენი სახლთხუცესი ამილბარ და აგრეთვე მაღალაშვილი ციხედიდის მოურავი გაბრიელ უნდა შემოჰკრიბო მანდ ციხედიდს და პარკაძე მღუდელიც მოვა მანდა, რომელიც რომ მახსოვრობს მაგ ზვრის სამზღვრებსა... ყოველივე სამზღუარი იმათის (მოწმების და მახსოვრების) დაფიცებით და გამოკითხვითა შიოს ზვრისა გაარჩიოთ... აპრილის :ით: წელსა ჩყე“. (ხვეულად ამტკიცებ კზ˜ი ანტონი).

1806 წ. იანვრის კზ: სიგელი შიომღვიმისა № 53: წერილი, მიცემული ქვათახევის და შიომღვიმის არხიმანდრიტ დოსითეოსისადმი: „მზირიშვილს რომელიც მამული ვენახი ჰქონდა, გერონტი არხიმანდრიტის თხოვნისაებრ წერილით მივართვით მონასტერსა, რომელსაც ვამტკიცებ ბეჭდითა ჩემითა... მე რადგან სახლის უფროსი ვარ, ამ წერილს მე ვაძლევ მაღალ ღირსებასა თქვენსა... წელსა: ჩყვ: იანვრის :კზ: ქ˜კს :უჟდ:

მონა ღვთისა ამილახვარი იოთამ

1806 წ., აპრილს :იზ: სიგელი შიომღვიმისა ფურცლიან ქაღალდზე, № 30: „დიკასტერიისა ჩნ˜ისა მსაჯულთა მიერ განსჯილსა განჩინებასა ამას ვამტკიცებთ აპრილის :კ˜ზ: წელსა ჩყვ, კათალიკოზი ანტონ“ (ხვეულად).

„განჩინება მისის უწმიდესობის დიკისტერისა მიერ:

მისის უწშიდესობის დიკასტერიის შეკრებულებისა შ˜ს მოვიდა ქუაბთახევის და მღჳმის მაღალ ღირსი არხიმანდრიტი დოსითეოს, არზი მოიტანა დიკასტერიაში და არზის გარდა სხ□ა წერილებიც მტკიცე და ჭეშმარიტი მოიღო დიკასტერიაში სრულიად დიდთა და მცირეთა ამილახორის 'შვილთაგან დამტკიცებული წიგნი, გორის უეზდნის სასამართლოსაგანაც დამტკიცებულიყო. რომელიც თავის მონასტრის მამული მეორედ დაებრუნებინათ და ისევ მონასტრისთჳს შეეწირათ და ვინ უწყის, რომ თავისი საკუთარი სხუა მამულიც შესწირონ, ვინ ჴელჰყოფს შლად მისა. ამ წერილებისა ჩუენგან უწინარეს განხილვისა გზირიშვილი დიკასტერიაში მოვიდა და გაბათილებული წერილი ჭეშმარიტებად გამოგვიცხადა და ჩ˜ნგან წერილიც მიიღო სიცრუით და მზაკუარებით; არ უნდა გაებედნა. ამას რომ სიცრუით დიკასტერიაში შემოსრულ იყო და წიგნი დაეტყუვნა, ამ სიცრუით დიკასტერიაში შემოსლვისათვის და ჩუ□ნის მოტყუებისათვის კანონი განუწესეთ ეკლესიის სამსახურისა, რომ შიომღვიმის მონასტერს ხუთი ლიტრა სანთელი უნდა მიართოს აწ და არა ყოველწლივ; და ეს აღშენებული ვენახი საუკუნოდ მონასტერს დარჩა და როდესაც აღშენებულა ის ვენახი, მუნიდგან აქამომდე კულუხს გარდა ნახევარი მონასტრისათვის უნდა ეძლივა და იმას კულუხის მეტი არა უძლევია რა. ამისთვის არც არა იმ მამულიდამ საჭირნახულო მიეცემა და არცა რა სხუა რამ ნივთი; და ის ვენახი საუკუნოდ მონესტერს დარჩა და ის ჩუ□ნი წერილიც დაგვიყენებია· და გაგვიბათილებია, ამისთჳს რომ სიცრუით შემოგუატყუა ის გაბათილებული წერილი და დაგ□აბეჭდვინა და ღვინო რომელიც მძლავრებით მიუტაცნია ამ ვენახისა, ისიც სამართლის განწესებისამებრ მონასტერს უკანვე უნდა მიართოს. ესრეთ განგვისჯია და განგვიჩენია აპრილის :კზ·: წელსა ჩყვ·

მდაბალი მიტროპოლიტი მიქაელ მისის უწმიდესობის დიკასტერიის მწევრი არხიმანდრიტი ჯუარის მონასტრისა ტრიფილე დიკასტერიის მწევრი ანჩისხატის დეკანოზი სოლომონ... მწერალი გაბრიელ.

1806 წ. მაისის 14. „არქიმანდრიტი ქვაბთახევისა, შიომღვიმისა და სხვათა მონასტერთა არქიმანდრიტი დოსითეოს“ სწერს განცხადებას „ბრწყინვალეთა თავადთა, მუხრანბატონის ძეთაგან აღრჩეულთა მედიატორთა წინაშე“ და სთხოვს „მედიატორთა გასინჯონ ესაო“. მედიატორობა დაინიშნა იმის გამო, რომ მუხრანბატონები ეცილებოდენ შიოს მამულებს იმ არევ-დარევის დროს, რომელიც შეუდგა პირველს წლებს რუსების ქართლ-კახეთში დამკვიდრებისას. მედიატორად ამორჩეულნი ყოფილან: რევაზ ერისთავი, ევსტათი ციციანოვი და გიორგი ამილახვარი.

ეს აღნცხადება, დაცული შიო-მღ. გუჯრებში, № 46 შეიცავს შიომღვიმის მამულების ისტორიას შედგენილს საბუთებით და გუჯრებით, რომელნიც ჩვენ უკვე დავბეჭდეთ და ზოგი ცნობებიც შემოაქვს მატიანედამ და სხვა საბუთებიდამ, რომელნიც ჩვენ არ გვქონდა.

მედიატორებმა გასინჯეს რა განცხადება დოსითეოსისა, გამოუცხადეს მას, მას საჩივარს ჩვენ ვერ გადავწყვეტთო, სახელმწიფო სამართალში იჩივლეო.

„მოთხრობით ვიცით ძველთაგან ისტორიათა, მონასტერი შიომღვიმე უკანასკნელისა შმეფისა ფარსმან ხოსროიანისა დროსა შინა აღშენდა და ამა მეფის სიკვდილისა დღიდამ ვიდრე მეფედმდე სვიმონისა, რ˜ნ მოსცა ესე მონასტერი ამილახორიანთა, აქა დღემდე არს განსრულ წელნი :ჩდ:[1]) და ამა მეფეთა ესოდენთა წელთა შინა... მღჳმესა შ˜ა იყო დიდი კრებულობა, რომელსაც აღრიცხავს მეისტორიე მაშინ ყოფასა ორ-ორი ათასთა მონაზონთასა.. ამისთჳს ვეტყვი წინააღმდგომთა: რით ცხოვრობდა ოსედენი სიმრავლე, უკეთუ არა აქვნდა მამული და მონასტერსა? თუ ჰქონდა სადა არს, მიჩვენონ? დღეს, რომელიც უჭირავს ესე არიან ამილახორთაგან შეწირულნი და არა ძველნი“.. გვიბრძანებენ: არ გქონდათ მაშინ მამულიო. კმა არს ჩვენდა სიმართლედ დავით დიდისა მონარხისა, ზედწოდებით აღმაშენებელის ანდერძი, რომელსაც შინა მოიღებს მრავალთა ზვართა ქონებასა, წისქვილთა და ხოდაბუნთასა, სოფელთა სითარხნესა და ეგრეთვე მღვიმისა ყმათაგან აძლევს მონასტერსა ყოველსა, სარჯულოსა დრამასა საკანონოსა და სხვასა ესრეთ: „ვითარად წ˜დასა მეუფესა ქართლის კზ˜სა უბრძანებია ყოველსა სარჯულოსა სოფელთა მათთასა, ნუვინ ეცილების, თჳთ მემღჳმის დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიას ზეთად მოახმარონ“; [2]) და ამას ძველსა ანდერძსა აახლებს განსვენებულის მუხრანბატონის კოსტანტინეს წერილი, რომელსა შინა სწერს ესრეთ: „„მუხრანბატონის კოსტანტინეს დიდო იმედო, მამასახლისო გიორგი! მანდ წ˜დის შიოს საყდრის სარგო დრამა შიუს უბნისა თუ სხვა რამე შემოსავალი (არს); ყველას ყური შენ მიუგდე, ნურას დაუკარგავ, წინამძღვარს ეპიფანეს მოართმევდე. – მაისის :კთ: :ქკს: უმა:“ აჰა, თუ არ ვის ულაპარაკნია? როღესაც შიოს უბნის შენობა უწყია, მოუხსენებია მუხრანბატონისათჳს ეპიფანე წინამძღვარსა და ეს წიგნი უბოძებია მისისაებრ თხოვისა; და თუ სხალტბა და ნასტაგისი ანუ შენ ყოფილიყო. ანუ სახმარ, მასცა იდავებდა და ვინათგან ლეკთ სადგურ იყო მაშინ, სახმარ არ იყო უშენთა ადგილთა დავა. გაშინჯეთ, ვითარ ემოწმა ძველთა სიგელთა სანატრელის მუხრანბატონის წერილი; და ამით სჩანს, რომ მონასტრის არის შიოს უბანი და ჭეშმარიტადცა თჳთ მონაზონთაგან მოსყიდული.

ბრძანებენ: შიოს უბანი ამისთვის ჰქვიან, რომ მონასტრის მხარე არისო. მე ვიტყვი: ესე თქმა უძლური არის: რად არა ჰქვიან უმახლობელესთა ადგილთა – ან სხალტბასა, ნასპარსევსა, ან წყალშეტრონსა? და ესე შიოს უბანი არცა მხარე არს მონასტრისა, გარნა ჰქვიან ესე მონაზონთა მეუდაბნოეთა მოსყიდვისამებრ. სხვა არს. მუხრანი და სხვა არს შიოს უბანი ისტორიისამებრ ქართ-

---

[1]) აქ ანგარიშებულია სვიმონ მეფის გამეფების წლიდამ: 1558 – 1004 = 554 წ.

[2]) აქ გვიჩვენებს ზემო დაბეჭდილს (გვ. 15 – 19) დავით აღმაშენებელის „ანდერძს“ (იხ. გვ. 16 და შენიშნვა).

ლისა: „ოსმალ ქართველნი ეკვეთნენ ლეკთა მუხრანს; მოსრნეს იგინი და ნაშთნი შევიდეს შიოს უბანსა. აჰა, სხვა არს მუხრანი და სხვა შიოს უბახნი; და სხვაგანაც მრავალს ალაგს არის ამის მოწმობა.

აქვს მონასტერსა სიგელი სხალტბისა, ნასტაგისისა, რუეთისა, შიოთ უბნისა და არსი სიგელი ესე გ˜ი მეფისა ბაგრატოვანისაგან, რომელსა შ˜ა მოიხსენებს ესრეთ: „სხალტბასა, ნუცა რუეთსა და ნუცა შიოს უბანსა ამათ სოფელთა, ბრძანებისამებრ პაპის ჩემისა სარჯულოსა ნუვინ ეცილების [3]. აჰა თანხმობა: მონასტრის სიგელთა: დავით აღმაშენებელის ანდერძი ემოწმება კ˜ზის იოანეს ბრძანებასა [4]) და მის ანდერძს ემოწმება შვილისშვილი დ˜თ აღმაშენებელისა გ˜ი მეფე [5]), დიმიტრის ძე ბაგრატოვანე და შ˜დ ამისა თამარი მეფის სიგელი [6]) და შ˜დ თამარ მე–ფისა სვიმონ მეფის სიგელი [7]) და როსტომ მეფისა [8]). აჰა სჩანს, რომ მონასტრისა არის ეს მამული თავის სარჯულო დრამითა და საკანონოთი“. არას დროს მომხდარა რომ მეფეს ეკლესიისთჳს მამული ჩამოერთმინოს... და თავადთათჳს მიეცეს.

მონასტერი იყო ლეკთა სადგური, სხალტბა და ნასტაგისი უშენი... ეკლესიის მამულს სიძველე არ შეეხება და თუ ახლა მღჳმეზედ შემოვალს მანგლისის საყდრისა და ამ გვართა სხვათა ეკლესიათა შეწირულობანი უქმ იქმნებიან... თრიალეთშიც აქვს მამული შიოს მონასტერსა სათარხნოთა და საჯავახოშვილოთა მთათა შინა [9]), ეგრეთვე საგურამოს... შვენიერად აღმკულ იყო მონასტერი და ბოტკოს წყარო დიდის ჭირ-შრომით იყო მონასტერში მიყვანილი და თჳთ ამ წყაროს მაკეთებლად ოთხი კომლი კაცი სხალტბისაგან მიყენებული და თჳთ ამ წყაროს მაკეთებლად ოთხი კომლი კაცი სხალტბისაგან მიყენებული ჰქონდა და ამ წყაროს ემსახუოებოდა. და კვალად სწერია გუჯარსა შ˜ა: სხალტბურითა ძალითა ზედა მივიდოდეთო წყაროსა საწმენდელადო. აჰა სჩანს, რომე სხალტბო მონასტრისა არის და ახლაც აძლევს მეფე სიმეონ და როსტომ“.

„ოდეს ყიზიბლაშნი იპყრობდენ ქართლსა, მაშინ ეს მონასტერი განმაგრებულ იყო და სავსე კრებულითა და მოუშლელ ყოვლითურთ და დახიზნულ იყვნეს ქვაბებთა შინა და თანა აქვნდათ ყოველი საგანძური ეკლესიისა. მაშინ ბრძოდენ ამათ ყიზილბაშნი და სწადდათ აღება, მაგრამ ვერ შეუძლეს, ვინათ-

---

[3]) მეფე-გიორგი VIII–სიგელი იხ. გვ. 72 – 3, სადაც მოხსენებულია მარტო სხალტბა; დოსითეოსს ალბათ სხვა სიგელი აქვს სახეში.

[4]) იოვანე კ˜ზი იხ. გვ. 15 – 16 და 51. მაგრამ აქ სხვა გუჯარი იგულისხმება.

[5]) ე. ი. გიორგი II, 1073 წ. გუჯარი; იხ. ზემო გვ.10 – 12, აქ დოსითეოს სცდება, როდესაც გიორგის ჰხადის შვილისშვილად და არა მამად დავით აღმაშენებელისა, რადგან ყველა ისტორიული პირები იმ გუჯრისა და თჳთ პალეოგრაფიული მისი ხასიათი უეჭველ ჰყოფს, რომ სიგელი ეკუთნის გიორგი II-ს.

[6]) ზემო დაბეჭდილი, 1902 წ. (იხ. გვ. 25 – 28; 21 – 23).

[7]) ზემო დაბეჭდილი, გვ. 79 (1580 წ. – 8).

[8]) იხ. ზემო გვ. 81.

[9]) იხ. ზემო, გვ. 15 – 18.

გან აქვნდათ მათ წყალი ესე ბოტკოსი და რადგან ცუდ იქმნა შრომა მათი, აღიღეს ჴელი ყიზილბაშთა, გარნა მუხრანბატონმან ლეონ [10]) უჩვენა მათ გზანი ადვილ ასაღებნი და რქვა მათ: ვიდრე არა მოუწყვიდოთ წყალი, ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ აღებად მათდა. აჰა დამხობის მნებებელი მონასტრისა... ჩაამტვრიეს წყარო იგი, რომელიცა დღესაცა ნიშნად სჩანს და მოკლებულთა წყურვილისაგან შეესივნენ ყიზილბაშნი და მოსრნეს მოღვაწენი მონაზონნი მახჳლითა და იავარ ყვეს საქონელი მონასტრისა. განა ესე სიგელნი ზენამან ძიებამან დაიცვნა სახლსა შინა ამილახორთიანთასა. მაშინ აოხრდა ეს მონასტერი. ჩვენ არა თუ მის წარსულს საქმესა ვდაობთ, მაგრამ თქვენ მოგახსენებთ, რომელმაც რომ სიცოცხლე მიუღო მონაზონთა, ის გვამი რათ დაერიდებოდა მონასტრის მამულის მიტაცებასა, რომელმან მამულის მოტაცების გულისთჳს დააქცია მონასტერი. მე თქმადცა მეშინის, რამდენი წყევლა სწერია გუჯართა შინა მონასტრისათა მეფეთაგან, კათალიკოზთაგან... შეჩვენებულ ყოფენ მშლელთა... დასასრულ ითხოვს მონასტერი უკუნეცეს თვისი ქონებული მამული... თქვენ გთხოვთ მედიატორთა გაშინჯოთ ჩემი მოხსენება... წელსა ჩყვ, მაისის იდ. არხიმანდრიტი ქუაბთახევისა, შიომღვიმისა და სხუათა მონასტერთა დოსითეოს“.

1806 წ. ივლისის :ი: შიომღვიმის სიგელი № 47: ქ. ესე შეკრულობისა და პირობისა წიგნი მოგართვით თქვენ თავადს გიორგი ამილახვარსა მე სოფელსა სამთავისს მცხოვრებელმან იმერელმან პაატამა ასე რომა მე ჩემის ნებაყოფლობით და დიდის თხოვნით მოვედი და შემოგეხვეწენით და ჩვენი თავი ჩვენ ყმათ მოგეცით ამ პირობით რომე მანამ თქვენი დაა (sic) ელისაბედ ცოცხალი იყოს, მანამდისინ იმას უნდა ვემსახურო, როგორათაც ბატომყმობის სამსახურის რიგი იყოს, და როდესაც ღვთის ნებით თქვენი დაა ელისაბედ გარდაიცვალოს, მაშინ უნდა მამული მომცეთ და წ˜დის შიოს მონასტერსა შეგვწიროთ ყმადა და უნდა ვიყვნეთ მეცა და ჩემი ჩამომავლობაცა ამ მონასტრის მკვიდრნი ყმანი საბოლოოდ და საუკუნოდ. ივლისის :ი: ქკს: უჟდ: და თქვენის დის მუახლეც მე მიბოძეთ ცოლათა; და მანამ ცოცხალი იყოს თქვენი დაა, ზემოხსენებულის რიგით უნდა ვემსახურო; და გარდაცვალების შემდგომად დისა თქვენისა, ისიც ზემოხსენებულის განწესებით მიმართვა მონასტერსა და მანამ ცოცხალი იყოს თქვენი დაა, მე იმას ვერ მოვშორდე“ (ხელმოწერანი).

სხვა ხელით:

„ჩუენს სასოსა და სასაფლაოს შიომღვიმის მონასტერს შემოგწირეთ ეს პაატა იმერელი ჩუ[illegible]ნ გიორგი ამილახვარმა, როგორათაც ეს ამისგან მორთმეული ჩვენდა პირობის წერილი აცხადებს. ფებერვლის :გ: ქ˜კს :უჟვ: თ· გიორგი ამილახვაროვი“.

---

[10]) ეს ლევან, ერეკლეს ძე, სჩანს 1670 – 1703 წ.

1806 წ. ოკდომბრის :დ. შიომღვიმის სიგელი № 48:

გორის ზემკცკი პოლიცის სასამართლო (თ. იოსებ თუმანოვი] სწერს თ. აკ-თანდილ ამილახვრიშვილს: „კასპს მღვიმის მონასტრის ვენახები რომელიც არის, რომელიც უეზდნი სუდის ბრძანებით მონასტერს მიჰბარებია, იმ ვენახებს შენ შენის ძალით ნურას შეეცილები, ანუ იმის გამოსავალს ნურას მიუღებ... ოკ-დომბრის :დ: ქკს უჟდ“·

1808 წ. – თებერვლის :ი: სიგელი № 52: „ჩვენ თავადთა ამილახორიანთ ეს შეკრულობის და პირობის წერილი წარუდგინეთ მისს აღმატებულებას, სა-ქართველოს მმართებელს, ესრეთითა შეკრულებითითა აღთქმითა, რომელ კუ-ლავ აღარ შევაწუხოთ და არაფრისთანა არა ვთხოვოთ რა, ჩვენის წინაპართა-გან წმინდის შიოს მონასტრისადმი შეწირულთა ყმათა არცა რა სდებიათ და აქამომდე არ უძლევიათ რა... ფებერვალს :ი: დღესა, ჩყჱ წელსა. თავადი ამი-ლახორი ოთარ; თ˜დი გ˜ი ამილახორი; თ. იოანე ამილახოროვი (sic), ემვემიას შვილი; თ. ამილახოროვი ბეჟანისშვილი იოანე; თ. ამილახოროვი ავთანდილ“·

1810 წ. სინოდ. კანტ· სიგელი № 487: „...შენ სასოსა... მონასტერსა შიო მღჳმისასა… მე შენდა მსასოებელმან მხევალმან ღვთისამან, ფალავანდიშვი-ლის ასულმან ელენემ, შემოგწირე საოხად... მეუღლისა ჩემისა ქარუმიძე იოსე-ბისა… მამის ჩემის ყმის შვილი (მზითვად მოცემული ფაფხაძეს ბიძინას შვილისადმი) გიორგი.., რომელიცა ქვრიობითა ჩემითა აღვზარდე, ვითარცა შვილი ჩემი... არას შეაწუხებდეს (წინამძღვარნი მღვიმისანი) უსამართლოებითა, არცა გაითვ-ლებოდეს სხვათა უდაბნოსა ყმებთან, ჩემის სულის შვილათა და ჩემის შვილის საოხათ შემომიწირავს; ესეც უნდა იყოს ჩემი მახსენებელი და მწირველი უდა-ბნოსა შენსა. სამღვდელოდ შემომიწირავს“·